

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა

ლია ძევისაური

დისერტაცია

**საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების  
სტატისტიკური შესწავლა**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
სრული პროფესორი ქეთევან მარშავა

თბილისი

2012

## შინაარსი

შესავალი		4
<b>თავი I</b>	<b>საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლის მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე და განახლებული საერთაშორისო მეთოდოლოგია</b>	
1.1	საგარეო ვაჭრობის არსი, მისი სტატისტიკური შესწავლის მიზნები და ამოცანები	13
1.2	საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო მეთოდოლოგია	
1.2.1	საქონლის კატეგორიები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში	17
1.2.2	საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის ზოგადი და სპეციალური სისტემები, მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები	28
1.2.3	საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების ახალი და განახლებული რეკომენდაციები და ქართულ პრაქტიკაში მათი დანერგვის პრობლემები	35
<b>თავი II</b>	<b>საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა, მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია</b>	
2.1	საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ზოგად მაჩვენებელთა სისტემა	45
2.2	საერთაშორისო ფასები და ინდექსების სისტემა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში	57
<b>თავი III</b>	<b>საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება საქართველოში, არსებული პრობლემები და მონაცემთა მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის გზები</b>	
3.1	საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ინფორმაციის ძირითადი წყაროები და მონაცემთა დამუშავების ტექნიკური საკითხები საქართველოში	79
3.2	ძირითადი კლასიფიკაციები და დაჯგუფებები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში	91

3.3	საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშების პრაქტიკული ასპექტები და პრობლემები საქართველოში	105
3.4	სარკისებური შედარებები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში	124
<b>თავი IV</b>	<b>საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური ანალიზი</b>	
4.1	საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში და გლობალიზაციის გავლენა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ზოგად ტენდენციებზე	132
4.2	საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებები	150
4.3	საქართველოს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურა	159
4.4	საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და მისი რეალიზაციის შესაძლებლობების სტატისტიკური ანალიზი	168
	<b>დასკვნა</b>	<b>182</b>
	<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	<b>193</b>
	<b>დანართები</b>	<b>200</b>

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტემპებმა და განსაკუთრებით ეროვნული ეკონომიკების აქტიურმა სწრაფვამ გლობალიზაციისაკენ, რომელიც აძლიერებს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებას, აჩქარებს გლობალური სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ფორმირებას, გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი საგარეო ვაჭრობის მეცნიერული შესწავლისადმი. სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სიღრმისეულმა ცვლილებებმა და განვითარების სწრაფმა ტემპებმა მოითხოვა სტატისტიკის თეორიული საკითხების ახლებურად გააზრება და მეცნიერულად დასაბუთებული, პრაქტიკასთან თავსებადი მეთოდოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბება.

XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკის აქტიური გლობალიზაციის პროცესმა ეროვნული ეკონომიკის განვითარების უმთავრეს მოთხოვნად ინტეგრაციული პროცესების ადეკვატური და ოპერატიული გაშუქების საკითხი დააყენა. აქედან გამომდინარე, საგარეო ვაჭრობის შესახებ დროული და ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების არსებობა აუცილებელი პირობაა წარმოების, მოხმარების, დასაქმების, შემოსავლებისა და ზოგადად კეთილდღეობის მრავალმხრივი ანალიზისათვის როგორც ქვეყნის, ისე გლობალურ დონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის განხილვის საგანს წარმოადგენს, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკურ-სტატისტიკური კუთხით ამ პროცესების გაანალიზება და რეალური ტენდენციების გამოვლენა.

საგარეო ვაჭრობის თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი მზარდი ინტერესი, გარდა ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში სწრაფი ინტეგრაციის შეუქცევადი პროცესისა, განპირობებულია ასევე, ხელისუფლების მიერ მრავალ ქვეყანასთან სამთავრობო დონეზე გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებებით. მხარეების მიერ წარმოდგენილი პროტოკოლიც სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლითა და სავაჭრო ურთიერთობების გადრმავეების ინიციატივით იწყება. ის პირველ რიგში ითვალისწინებს აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებას და ეროვნული წარმოების საქონლის ექსპორტის სტიმულირებას.

დღეისათვის, როდესაც ასე ინტენსიურად მიმდინარეობს და უფრო მეტად დრმავედება მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ეკონომიკის

ინტეგრაციის პროცესი, გლობალიზაცია ყოველდღიური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების მიზანსწრაფვის ობიექტი ხდება.

მსოფლიო ეკონომიკური ცხოვრების აქტიური გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით იზრდება სტატისტიკის როლი და მნიშვნელობა ეკონომიკურ პროცესებში მიმდინარე ტენდენციების რეალური ასახვისა და სახელისუფლო ორგანოების ოპერატიული ინფორმაციით უზრუნველყოფის საკითხებში. ინგლისელი მწერლის, ჰელბერტ უელსის, თქმით „სტატისტიკური განათლება, ერთ მშვენიერ დღეს, ისეთივე აუცილებელი გახდება განათლებული ადამიანისათვის, როგორც წერა-კითხვის ცოდნა“.

ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ფონზე თავად ეროვნული სტატისტიკური სისტემაც საჭიროებს აქტიურ ჩართულობას მსოფლიო სტატისტიკურ სისტემაში, რაც მოითხოვს ოფიციალური სტატისტიკის მეტად განვითარებას და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურ ჰარმონიზაციას.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში თეორიული და პრაქტიკული ხასიათის გამოკვლევების ჩასატარებლად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი პროცესებისა და ტენდენციების გამოსავლენად, საერთაშორისო და რეგიონული, ასევე, ცალკეული ქვეყნის, დარგისა და კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად, რეალური დასკვნების გამოსატანად და აქედან გამომდინარე, სათანადო პოლიტიკურ-ეკონომიკური წინადადებებისა და პრევენციული ღონისძიებების შესამუშავებლად, აუცილებელია შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენება.

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირების რაოდენობრივი შესწავლა, მათი სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება ქვეყნის საგარეო ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის შემუშავების აუცილებელი ინსტრუმენტია. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა მეტად აქტუალური პრობლემაა და ნებისმიერი ქვეყნის ინტერესის საგანს შეადგენს.

სტატისტიკა ეროვნული მეურნეობის მდგომარეობისა და განვითარების საერთო სურათს ქმნის და რეგიონებში ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობებს აშუქებს, რისთვისაც კვლევის სპეციალურ მეთოდებს იყენებს.

საერთაშორისო ურთიერთობების და კერძოდ კი საგარეო ვაჭრობის სფეროში კვლევითი პროცესები მსოფლიო მეურნეობის ინტენსიური ინტეგრაციის შედეგად უფრო გლობალურ ხასიათს იძენს, რისთვისაც მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ოპერირებას მოითხოვს, ამიტომ ინფორმაციის ძირითად წყაროს სტატისტიკა წარმოადგენს. ამისათვის გამოიყენება არსებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ამა თუ იმ მოვლენისა და პროცესის სტატისტიკური გამოკვლევის შედეგად მიიღება.

აღსანიშნავია, რომ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ახალი კონცეფციები და განსაზღვრებები, რომლებიც მაქსიმალურად ჰარმონიზებულია ეროვნული ანგარიშებისა და საგადასახდლო ბალანსის სტატისტიკის პრინციპებთან, რამდენიმე თვის შემუშავებულია. მის საფუძველზე აგებული ახალი სახელმძღვანელო ჯერ კიდევ სრულყოფის პროცესშია და დასრულებული სახით გამოცემა 2012 წლის ბოლოსთვის იგეგმება. ასეთ ვითარებაში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების ახალი და განახლებული რეკომენდაციების განხილვა, მათი პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობების შეფასება და მეთოდოლოგიური სიახლეების დასაწერად კონკრეტული წინადადებების შემუშავება, თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის სტატისტიკური სისტემის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია.

საქართველოს აქტიური ჩართულობა საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში, ჩვენი ქვეყნის წინაშე პერმანენტულად აყენებს ეროვნული სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის საკითხს. თანამედროვე პერიოდში დღის წესრიგში დადგა ასევე, ობიექტური სტატისტიკური ინფორმაციის გონივრულად შემჭიდროვებულ ვადებში საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებელთა გაანგარიშებაში თეორიულად აპრობირებული მეთოდების გამოყენების პრობლემები და მათი პრაქტიკული გადაწყვეტის შესაძლებლობების დოკუმენტური არქივი საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს. იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ქვეყანა გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება, ზოგადი მეთოდოლოგიური საკითხების პარალელურად, აუცილებელია შეიქმნას მეტამონაცემები და შემუშავდეს მისი სწავლების მეთოდიკა სტატისტიკის თეორიისა და პრაქტიკის უფრო მეტად ჰარმონიზაციის მიზნით.

სწორედ ზემოაღნიშნული მოტივები დაედო საფუძვლად სადისერტაციო თემატიკის არჩევას.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** ნაშრომის ძირითადი მიზნებია:

- საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიის გაცნობა;
- საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის განახლებული საერთაშორისო მეთოდოლოგიის ახალი და განახლებული რეკომენდაციების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობის შეფასება საქართველოში;
- საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში გამოყენებული მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის გაცნობა;
- საგარეო ვაჭრობის ექსპერიმენტული ინდექსის გაანგარიშება საქართველოში უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფის მაგალითზე;
- საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიის შესაბამისობის დადგენა საერთაშორისო სტანდარტებთან და კლასიფიკაციებთან;
- საგარეო ვაჭრობისა და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის კავშირის დადგენა;
- ექსპორტისა და იმპორტის სასაქონლო სტრუქტურისა და გეოგრაფიული მიმართულებების თავისებურებების გამოვლენა;
- მსოფლიოსთან საქართველოს თანამედროვე სავაჭრო კავშირების დონის დადგენა ექსპორტისა და იმპორტის ქვოტების გაანგარიშებით;
- საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ მონაცემთა საერთაშორისო ურთიერთშესადარისობის პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა;
- საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გამოვლენა და მისი რეალიზაციის შესაძლებლობების სტატისტიკური გაშუქება პერსპექტივაში.
- პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება საქართველოში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესებისა და მონაცემთა ხარისხის ამაღლებისათვის.

აღნიშნული მიზნები ამოცანად გვისახავს:

- დეტალურად განვიხილოთ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგია ახალი და განახლებული რეკომენდაციების გათვალისწინებით;
- თანამიმდევრულად მიმოვიხილოთ საქართველოში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიური და ტექნიკური საკითხები;
- დეტალურად აღვწეროთ საგარეო ვაჭრობის ინდექსების აგების მეთოდოლოგია და პრაქტიკული ეტაპები შესაბამისი გაანგარიშების წარმოებით;
- მოვახდინოთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობის ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზი დიდი მოცულობის სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენებით;
- გავიანგარიშოთ ექსპორტისა და იმპორტის ქვოტების სიდიდე და დინამიკაში შევავასოთ მათი მნიშვნელობა;
- კორელაციური ანალიზის საფუძველზე გავიანგარიშოთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის კავშირის სიმჭიდროვის ხარისხი;
- ჩამოვაყალიბოთ სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებს შორის სარკისებური შედარებების დროს არსებული ძირითადი განსხვავებები და მათი გამომწვევი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები;
- შევისწავლოთ საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და ამის საფუძველზე გამოვავლინოთ ეროვნული პროდუქციის საგარეო ბაზრებზე შეღწევისა და დამკვიდრების პერსპექტივები.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** გამოკვლევის საგანია საქართველოში საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას გამოყენებული მეთოდოლოგია და პრაქტიკა და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საგარეო სავაჭრო ნაკადების სტატისტიკური აღრიცხვის სისტემა, საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებული ტენდენციები და მათი რაოდენობრივი კანონზომიერებები 2000-2011 წლებში.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.** მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვაჭრობის სფერო საქართველოში, წლების განმავლობაში, იყო და დღესაც რჩება მრავალი მეცნიერ-ეკონომისტის კვლევის ობიექტად,

როგორებიც არიან: ბ. გაბიაშვილი, ქ. მარშავა, ს. გელაშვილი, ნ. ასლამაზიშვილი, ლ. ყორღანაშვილი, გ. ჯოლია, თ. ბერუჩაშვილი, შ. ვეშაპიძე, ე. ლეკაშვილი, ი. გოგორიშვილი და სხვები, აღნიშნული სფეროს ფუნდამენტური გამოკვლევები, სტატისტიკური კუთხით შესწავლის მხრივ, არ ჩატარებულა. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მრავალი ქართველი და უცხოელი მეცნიერის შრომები და გამოკვლევები, ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულების მასალები, ინტერნეტით მოპოვებული საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა პუბლიკაციები და ემპირიული სტატისტიკური მონაცემები.

რაც შეეხება მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ იგი ეფუძნება საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის 2004 წლის სტანდარტულ სახელმძღვანელოს, თუმცა აქვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ მიმდინარე წლიდან საქსტატში იგეგმება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ახალ მეთოდოლოგიაზე ეტაპობრივი გადასვლის სამუშაოები, რამაც განაპირობა ჩვენს მიერ ნაშრომში მეთოდოლოგიური სიახლეებისა და მათი პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობების დეტალური განხილვა.

საგარეო ვაჭრობაში არსებული მდგომარეობის შესასწავლად და ჩამოყალიბებული კანონზომიერებების დასადგენად, ნაშრომში მრავლად არის გამოყენებული როგორც ზოგადი (დიალექტიკური, ინდუქციისა და დედუქციის), ისე სპეციფიკური სტატისტიკური მეთოდები; ანალიზური მასალის უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით მოცემულია მაჩვენებელთა ურთიერთშედარებისა და დინამიკის გრაფიკები; გაანგარიშებულია საგარეო ვაჭრობაში საშუალო და შეფარდებითი სიდიდეების სხვადასხვა სახეები; მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის კავშირის ხარისხის დასადგენად გამოყენებულია კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდი, წარმოდგენილია ინდექსების აგების პროცესის ცალკეული ეტაპების დეტალური აღწერა, რაც ნაშრომს მთლიანობაში სპეციფიკურ სტატისტიკურ შინაარსს აძლევს.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** ნაშრომი წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის სფეროში, ქართულ ენაზე დამუშავებულ, ერთ-ერთ პირველ სისტემურ გამოკვლევას თეორიული და პრაქტიკული საკითხების უშუალო სინთეზის საფუძველზე. კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მეცნიერული სიახლეები:

- ავტორის მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და საერთაშორისო მეთოდოლოგიებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი საქართველოში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას გამოყენებული მეთოდოლოგიური პრინციპები და დოკუმენტურად არის ჩამოყალიბებული მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნის მთლიანი პროცესი;
- მრავალფეროვანი ემპირიული სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით სიღრმისეულად არის გაანალიზებული საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებული უახლესი ტენდენციები და გამოვლენილია ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობების პრიორიტეტული მიმართულებები;
- ახალი მეთოდოლოგიური რეკომენდაციების თანახმად გაანგარიშებულია რექსპორტისა და რეიმპორტის მოცულობები;
- გაანგარიშებულია ექსპორტის კონცენტრაციის ინდექსი;
- საქართველო-აზერბაიჯანის და საქართველო-აშშ-ის ვაჭრობის მონაცემებს შორის არსებული განსხვავების შესაფასებლად, სარკისებური შედარების საფუძველზე, გაანგარიშებულია სტატისტიკური ასიმეტრიის დონე;
- ნაშრომში მოცემულია საგარეო ვაჭრობის ინდექსების პრაქტიკული აგების ეტაპების დეტალური აღწერა და გაანგარიშების პირველი მცდელობა. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად ჩამოყალიბებულია საწყისი ტექნიკური ამოცანა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია საქართველოს სტატისტიკის პრაქტიკაში დაიწყოს ინდექსების წარმოება, რაც წლების მანძილზე წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიების რეკომენდაციას და აუცილებელ წინაპირობას იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება მუდმივ ფასებში განხორციელდეს დანახარჯების მეთოდით, ყველაზე სრულყოფილი და საიმედო მონაცემების მისაღებად.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლევა ჩატარებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის სფეროში არსებული მდგომარეობის შესაფასებლად და ახალი მეთოდოლოგიის

პრაქტიკაში ადაპტაციის შესაძლებლობების გამოსავლენად. საგარეო ვაჭრობის ინდექსებთან დაკავშირებული გაანგარიშებები, უახლოეს მომავალში, დანერგილი იქნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პტრაქტიკაში. ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციების რეალიზაცია რამდენადმე აამაღლებს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ინფორმაციის ხარისხს და უზრუნველყოფს მონაცემთა შესადარისობას საერთაშორისო დონეზე.

გარდა აღნიშნულისა, ნაშრომში წარმოდგენილი მასალები, ნებისმიერი დონის მომხმარებლის მიერ, შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც მნიშვნელოვანი სტატისტიკური მეტამონაცემები საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მიმდინარე პროცესების სწორი ანალიზისათვის; ასევე, როგორც თეორიულ-პრაქტიკული სინთეზის ემპირიული მასალა, ეკონომიკური და საერთაშორისო სფეროს სტატისტიკური დისციპლინების შესწავლის პროცესში.

**გამოკვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია.** ნაშრომის ძირითადი შედეგები გატანილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და გამოქვეყნებულია სხვადასხვა პუბლიკაციებში. საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშების ეტაპები და მიმართულებები მოწონებულია უცხოელი ექსპერტების და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მენეჯმენტის მიერ. ნაშრომი აპრობირებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე, სადაც იგი მოწონებული და რეკომენდებული იქნა საჯარო დაცვისათვის.

**გამოკვლევის შედეგების რეალიზაცია, პრაქტიკული რეკომენდაციები.** ნაშრომში მოცემული დეტალური კვლევა იძლევა გარკვეული პრაქტიკული რეკომენდაციების ჩამოყალიბების საფუძველს. კერძოდ, მიზანშეწონილია:

1. საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დამუშავებისათვის შეიქმნას სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც დღეისათვის წარმოებულ სამუშაოებს ავტომატურს გახდის, რაც შედარებით ნაკლები დროითი და საკადრო რესურსების დანახარჯების პირობებში უფრო მაღალი ხარისხის ინფორმაციის მიღების საშუალებას მოგვცემს;
2. აქტიურად დაიწყოს საექსპორტო და საიმპორტო საქონლის ფასების ყოველთვიური კონტროლი სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მიხედვით, რაც შექმნის მყარ და საიმედო ინფორმაციულ ბაზას საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშებისათვის;

3. შემუშავდეს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა საგარეო ვაჭრობის ერთეულის ღირებულების ინდექსების ასაგებად, რომლისთვისაც საწყისი ტექნიკური ალგორითმი, ავტორის მიერ, უკვე ჩამოყალიბებულია წინამდებარე ნაშრომში;
4. ექსპორტ-იმპორტის ფასების ინდექსების გაანგარიშებისათვის, საქონლის ფასების მისაღებად დაიგეგმოს ექსპორტიორი და იმპორტიორი კომპანიების სპეციალური სტატისტიკური გამოკვლევა. კერძოდ, საექსპორტო საქონლის ფასების შესახებ შეკითხვები შეიძლება დაემატოს უკვე არსებულ ფორმულარს, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის მიღება მწარმოებელთა ფასების ინდექსისთვის (PPI), ხოლო საიმპორტო საქონლის ფასების მისაღებად აუცილებელია ცალკე გამოკვლევის ჩატარება რეგულარულ საფუძველზე;
5. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ახალი რეკომენდაციების რეალიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელდეს ბიზნეს რეგისტრისა და საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზების ურთიერთდაკავშირება.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, თორმეტი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან. ის, სადისერტაციო ნაშრომისთვის წაყენებული ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად, მოიცავს კომპიუტერზე აწყობილ 240 გვერდს. წარმოდგენილია 4 ცხრილი, 19 გრაფიკული გამოსახულება. ნაშრომს თან ახლავს 35 დანართი და გამოყენებული ლიტერატურისა და ინტერნეტ გვერდების სია 140 დასახელებით.

**თავი I საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლის  
მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე და განახლებული საერთაშორისო  
მეთოდოლოგია**

**1.1 საგარეო ვაჭრობის არსი და თავისებურებები, მისი სტატისტიკური  
შესწავლის მიზნები და ამოცანები**

დღეისათვის, როდესაც ასე აქტიურად მიმდინარეობს და უფრო მეტად ღრმავდება საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის პროცესი, საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკურ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც საგარეო სავაჭრო მოვლენებისა და პროცესების დონის, დინამიკისა და განვითარების ტენდენციების დადგენაში, ისე არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საკითხებში.

ვაჭრობა – ქუჩაა ორმხრივი მოძრაობით, იმპორტის გადახდისათვის ქვეყნებს არ შეუძლიათ უსასრულოდ აიღონ სესხი ან გაყიდონ თავისი აქტივები. იმისათვის, რომ გვექნდეს იმპორტირების შესაძლებლობა, ქვეყანამ უნდა განახორციელოს ექსპორტი.

მსოფლიოში ეკონომიკური და საფინანსო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ, კაპიტალისა და საქონლის გადაადგილებისათვის სახელმწიფო საზღვრების გახსნამ ახალი პირობები და პერსპექტივები შექმნა მსხვილი ეროვნული საწარმოებისა და კორპორაციების პოლიტიკის დარგში, მნიშვნელოვნად გააფართოვა მათი მოქმედების სფერო და საერთაშორისო ხასიათი მიანიჭა. ამიტომ, XXI საუკუნეში უკვე თითქმის აღარ არსებობს ქვეყანა, რომელიც ეკონომიკურად დაკავშირებული არ არის დანარჩენ მსოფლიოსთან.

კონკურენტული ბრძოლის შედეგად ქვეყნებს შორის განვითარდა შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესი. მოხდა მთელი რიგი ქვეყნების სპეციალიზაცია მათთვის ეკონომიკურად მომგებიანი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის (მომსახურების) წარმოებაზე, რომელიც მნიშვნელოვნად სჭარბობდა საშინაო მოთხოვნას და საერთაშორისო ბაზრებზე რეალიზაციისათვის იყო გათვლილი. ქვეყნებს შორის საქონლის (მომსახურების) მოძრაობა ეროვნულ ბაზრებს ერთიანი ბაზრის სისტემაში აკავშირებს და, შედეგად, ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას აღრმავებს.

წარმოების ინტერნაციონალიზაცია, შრომის საერთაშორისო დანაწილება და ინტეგრაციულ პროცესთა გაღრმავება იწვევს იმ ტენდენციას, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მხოლოდ ეროვნულ ჩარჩოებში შეუძლებელი ხდება.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიო მეურნეობის განვითარებასთან ერთად აფართოებს და აღრმავებს თავისი არსებობის სფეროს, იძენს გლობალურ ხასიათს. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა გლობალური ეკონომიკური ორგანიზმია, ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობა, რომლებიც მჭიდრო ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება და ექვემდებარება საბაზრო ეკონომიკის ობიექტურ კანონებს.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ტრადიციულ და უფრო განვითარებულ ფორმას წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა. მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაცია პრაქტიკულად ვაჭრობით დაიწყო. ჯ. საკსის განმარტებით, „მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წარმატება დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობაზე. ჯერ არც ერთ ქვეყანას არ შეუქმნია ჯანსაღი ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკური სისტემისაგან დამოუკიდებლად“.

საგარეო ვაჭრობა ექსპორტ-იმპორტის წესით ქვეყნებს შორის საქონლის ურთიერთგაცვლას ურთიერთხელსაყრელ პირობებში ყიდვა-გაყიდვის გზით.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საგარეო სავაჭრო ნაკადების რაოდენობრივ მხარეს, მისი განვითარების კანონზომიერებებს, თვისობრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში კონკრეტულ დროსა და სივრცეში.

ერთი შეხედვით, როცა ორიენტირებას ვახდენთ ტერმინზე „ვაჭრობა“, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას ბევრი საერთო აქვს შიდა ვაჭრობის სტატისტიკასთან. თუმცა, ეს მთლად ასე არ არის. საგარეო ვაჭრობა სპეციფიკური სფეროა, რომლის მიმდინარეობა და განვითარების პერსპექტივები დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვეყნის შიდა ეკონომიკურ პოლიტიკაზე, არამედ მსოფლიოს წამყვანი სავაჭრო ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკურ კურსზე და აქედან გამომდინარე, მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი თავისებურებებია:

- განსხვავება მობილურობაში. ქვეყნებს შორის რესურსების გადაადგილება უფრო რთულია, ვიდრე ქვეყნის შიგნით;

- თითოეული ქვეყანა განსხვავებულ ვალუტას იყენებს და იმისათვის, რომ სხვა ქვეყნიდან იმპორტირებული საქონლისთვის ანგარიშსწორება მოახდინოს, ამ ქვეყნის ვალუტა უნდა შეიძინოს. ე.ი. თავისი ვალუტა სხვა ქვეყნის ვალუტაზე უნდა გაცვალოს;
- საგარეო ვაჭრობა ისეთ პოლიტიკურ ჩარევასა და კონტროლს ექვემდებარება, რომელიც თავისი ხარისხითა და ხასიათით მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რასაც საშინაო ვაჭრობაში იყენებენ და სხვა.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის საგანი არის არა დარგის ეკონომიკური საქმიანობის შედეგები, როგორც ამას ადგილი აქვს შიდა ვაჭრობის სტატისტიკაში, არამედ იმ საქონლის მოცულობა და სახეები, რომლებიც კვეთენ საზღვარს, ასევე, ვაჭრობის ზოგიერთი პირობები, მაგალითად, ფასები.

საზღვარზე საქონლის მოძრაობა აუცილებლად არ გულისხმობს სავაჭრო გარიგების არსებობას და ამიტომ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლები ეხება არა მარტო ქვეყნებს შორის ვაჭრობას, არამედ სხვა ოპერაციებსაც (მაგალითად, როგორცაა საქონლის გადამუშავება). საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვაში არ აისახება მომსახურების ყიდვა-გაყიდვა, შემოსავლები კაპიტალიდან და კაპიტალის ბრუნვა, მაგრამ მასში ჩაირთვება საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა (მაგალითად, გრანტები, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება).

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას, განსხვავებით სხვა მეცნიერული დისციპლინებისაგან, საქმე აქვს საქონლის ისეთ მახასიათებლებთან, როგორებიცაა: ღირებულება, რაოდენობა, ფასი. სტატისტიკის სპეციფიკურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ზუსტად მოახდინოს ამა თუ იმ მოვლენის არსისა და სტრუქტურის ინტერპრეტაცია და გაგება, რათა სწორად იქნას შერჩეული კვლევის ობიექტი და რეალურად დახასიათდეს მისი განვითარების ტენდენციები. არასწორად დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები და მის საფუძველზე წარმოებული ანალიზი გამოიწვევს მცდარი დასკვნების გაკეთებას და შესაბამისად, არასწორი პოლიტიკის შემუშავებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატისტიკა არის ბაზისი ნებისმიერ სფეროში შექმნილი მდგომარეობის ზუსტი სურათის მისაღებად, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტატისტიკა ასრულებს ექიმის ფუნქციას, რომელმაც „პაციენტს“ უნდა დაუსვას

სწორი დიაგნოზი, რათა მკურნალობა წარმოებდეს მისი მდგომარეობის გაჯანსაღების მიმართულებით.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ამოცანებია:

- ქვეყნის საგარეო ვაჭრობის დამახასიათებელი სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის შექმნა და მისი სისტემატური სრულყოფა;
- საგარეო ვაჭრობის შესახებ მონაცემთა მოპოვება, დამუშავება და ერთიანი მონაცემთა ბაზის ფორმირება;
- საგარეო-სავაჭრო კავშირების დამახასიათებელ მაჩვენებელთა მოპოვებისა და გაანგარიშების მეთოდების დამუშავება და ანალიზი;
- ქვეყნის საგარეო სავაჭრო აქტივობის დონის შეფასება და ანალიზი, რომელსაც ეყრდნობიან სახელისუფლო ორგანოები შესაბამისი სფეროს პრობლემებისა და მათი გადაჭრის შესაძლო ვარიანტების განხილვისას;
- საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა;
- საგარეო სავაჭრო კავშირურთიერთობების ამსახველი საბალანსო გაანგარიშებების სრულყოფა და მათი გამოყენება ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის შემუშავებაში;
- ეროვნული ეკონომიკის მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა კავშირების დადგენა საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების მაჩვენებლებთან და შედეგების გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავებისათვის.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, კერძოდ კი, საგარეო ვაჭრობის მეცნიერული კვლევის პროცესში მრავალი მეთოდი გამოიყენება. მათ შორის ფილოსოფიის ზოგადი ანუ დიალექტიკური მეთოდი, რომელიც ეკონომიკურ მოვლენებს განიხილავს მუდმივ მოძრაობაში, ურთიერთკავშირსა და განუწყვეტელ განვითარებაში. გარდა ამისა, გამოიყენება შემდეგი მეთოდებიც: ინდუქცია და დედუქცია (პიპოთეზის), მეცნიერული აბსტრაქცია, ანალიზი და სინთეზი.

რამდენადაც სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს აქვთ არა მხოლოდ თვისობრივი, არამედ რაოდენობრივი განსაზღვრულობა, ანალიზისათვის ფართოდ გამოიყენება სტატისტიკური მეთოდები: მასობრივი სტატისტიკური დაკვირვება, თავმოყრა და დაჯგუფება, შერჩევითი მეთოდები, ანალიზისას - აბსოლუტური,

საშუალო და შეფარდებითი სიდიდეები, საინდექსო, კორელაციურ-რეგრესიული მეთოდი და სხვა.

საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ხასიათდებიან გარკვეულ მაჩვენებელთა სისტემით, რომელთა შორის გამოიყოფა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მახასიათებლები. მათ განეკუთვნება: ექსპორტი, იმპორტი, ექსპორტ-იმპორტის ანუ საგარეო ვაჭრობის სალდო, საგარეო სავაჭრო ბრუნვა, რექსპორტი, რეიმპორტი, საგადასახდელი ბალანსი, საგადასახდელი ბალანსის სალდო, საგარეო ვაჭრობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურა (ესნ), დემპინგი, გენერალური ვაჭრობა, საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკონომიკის გახსნილობის რაოდენობრივი ინდიკატორები და სხვა.

საქონლის ექსპორტი და იმპორტი არის კომერციული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან. იმის გამო, რომ ერთი ქვეყნიდან მეორეში საქონლის გადაადგილება მხედველობით აღიქმება, ზოგჯერ მათ “ხილულ” ექსპორტს და იმპორტს უწოდებენ.

თუმცა, ყველა საქონელი, რომელიც საზღვარზე გადაადგილდება, საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად, არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის შესწავლის საგანი. ამის მიზეზებს და საქონლის კატეგორიებს, რომლებიც ჩვენი მიზნების შესაბამისად, ექვემდებარება სტატისტიკურ აღრიცხვას, მომდევნო თავში განვიხილავთ.

## 1.2 საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო მეთოდოლოგია

### 1.2.1 საქონლის კატეგორიები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში

სტატისტიკურ მონაცემთა საერთაშორისო ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფისათვის, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ სტატისტიკური მეთოდოლოგიების დამუშავებასა და მათ

სისტემატიურ სრულყოფაში. მათი რეკომენდაციებით ქვეყნები უზრუნველყოფენ მანქანებლთა გაანგარიშებას შესაბამის მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის შესწავლა საქართველოში ამჟამად ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციების საფუძველზე (საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, სახელმძღვანელო შემდგენლებისათვის, გაერო, ნიუ-იორკი, 2010 წ.). რეკომენდებული მეთოდოლოგია ითვალისწინებს საქონლის წრის განსაზღვრას, რომელიც უნდა აღირიცხოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ან დარჩეს მის საზღვრებს მიღმა, ასევე, იმ საქონლის გამოყოფას, რომელიც არ აღირიცხება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, მაგრამ ცალკე უნდა იქნას დამუშავებული, რათა შესაძლებელი იყოს მონაცემებში შესაბამისი კორექტირების შეტანა ქვეყნის საგადასახდლო ბალანსისა და ეროვნული ანგარიშების მიზნებიდან გამომდინარე. მეთოდოლოგიური საკითხები ასევე მოიცავს საგარეო ვაჭრობის სხვადასხვა სისტემების გამიჯვნას, სასაქონლო კლასიფიკაციებს, საქონლის ღირებულების განსაზღვრას და სხვა საკითხებს, რომლებიც საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას ანიჭებს მკვეთრად განსხვავებულ როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზის, პროგნოზირებისა და ეფექტიანი სავაჭრო და საგარეო პოლიტიკის შემუშავების საკითხებში.

როგორც ზოგადი პრინციპი, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას რეკომენდებულია, საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღირიცხოს ყველა საქონელი, რომელიც გადაკვეთს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიას და ამის შედეგად იზრდება (იმპორტის შემთხვევაში) ან მცირდება (ექსპორტის შემთხვევაში) მოცემული ქვეყნის მატერიალური რესურსების მარაგები. ამასთან, სატრანზიტო ან დროებითი ტვირთები საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ასახვას არ ჰპოვებს, გარდა გადასამუშავებლად შემოტანილი საქონლისა.

უფრო კონკრეტულად, საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღირიცხება შემდეგი კატეგორიის საქონელი:

- არამონეტარული ოქრო, რომელიც შეიძლება იყოს დამუშავებული ან ნახევრადდამუშავებული სახით; მონეტების სახით, რომლებიც არ იმყოფებიან ოფიციალურ მიმოქცევაში, როგორც გადახდის საშუალება; ზოდების ან საიუველირო ნაწარმის ფორმით;

- მიმოქცევაში არმყოფი ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები, რომლებიც ითვლება საქონლად და არა ფინანსურ ინსტრუმენტებად;
- ბარტერული გარიგების საფუძველზე რეალიზებული საქონელი;
- ჰუმანიტარული ტვირთები;
- სამხედრო დანიშნულების საქონელი, რომლის რეალიზაცია ხდება სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე (საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის (სსვს) კონცეფციებისა და განსაზღვრებების 2010 წლის ვერსიის მიხედვით (შემდგომში სსვს 2010)). ასეთ საქონელთან დაკავშირებული საბაჟო დოკუმენტები, როგორც წესი, კონფიდენციალურია, თუმცა მიუხედავად ამისა, საქართველოში საბაჟო და სტატისტიკურ სამსახურებს შორის ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმება მოიცავს აღნიშნული კატეგორიის მონაცემებით სტატისტიკური ორგანოების უზრუნველყოფის პირობას. ამ შემთხვევაში, კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, სამხედრო დანიშნულების საქონლის მონაცემთა გამოქვეყნება ხორციელდება ნაერთი ინფორმაციის სახით დაფარული კოდით. ინფორმაციის გაშიფვრა არ წარმოებს ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნებისა და ნატურალური მოცულობის მითითებით;
- კონსიგნაციის საფუძველზე გადაცემული საქონელი;
- საქონელი, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის მატარებლის ან პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებად. მაგალითად: დისკეტების ან ლაზერული დისკების (CD-ROM) შეფუთული კომპლექტები ჩაწერილი კომპიუტერული პროგრამებით, ან აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, რომლებიც შექმნილია კომერციული მიზნებისთვის;
- გადამუშავებისათვის განკუთვნილი საქონელი. საქონელი, რომელიც იგზავნება საზღვარგარეთ გადამუშავების მიზნით და მოსალოდნელია, რომ ის დაბრუნებული იქნება ახალი საქონლის სახით. ასეთი საქონელი უნდა აღირიცხოს როგორც ექსპორტი მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება არ იყოს რეალიზებული არარეზიდენტზე. ასეთ შემთხვევაში უკან დაბრუნებული საქონელი აღირიცხება იმპორტში, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება არ იყოს ნაყიდი არარეზიდენტისგან;
- საქონელი, რომელიც კვეთს საზღვარს სათაო კომპანიასა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის დადებული გარიგების საფუძველზე (სსვს

2010). ასეთი გარიგების შემთხვევაში, იურიდიული თვალსაზრისით, საქონელზე საკუთრების უფლება შეიძლება არც შეიცვალოს, თუმცა პირობითად ითვლება, რომ საკუთრების უფლების ფაქტიურ ცვლილებას მაინც აქვს ადგილი;

- დაბრუნებული საქონელი (ამის მაგალითი გვექონდა 2006 წელს რუსეთის მიერ საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და სურსათის ექსპორტზე დაწესებული ემბარგოს შედეგად. რუსეთში ექსპორტირებული ქართული ღვინის დაბრუნება აისახა რუსეთიდან იმპორტის სახით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებისას, სტატისტიკური სამსახურების მიერ აუცილებლად უნდა გაკეთდეს კომენტარი, რათა მომხმარებელი ინფორმირებული იყოს მსგავსი ფაქტის შესახებ, რომ არ მოხდეს მათი მხრიდან მონაცემების არასწორი ინტერპრეტაცია და მცდარი დასკვნების გაკეთება);
- ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის საქონლის აღრიცხვა ყოველთვის არ ხდება საბაჟო ორგანოების მიერ, მათი ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები აუცილებლად უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში. ამისათვის წყაროდ გამოყენებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოებიდან მიღებული ინფორმაცია;
- საფოსტო და საკურიერო სამსახურების საშუალებით გადაადგილებული საქონელი. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა ელექტრონული ფორმით ვაჭრობა. ინტერნეტის საშუალებით გამოწერილი საქონლის ჩამოტანა ქვეყანაში ძირითადად ხორციელდება საფოსტო მომსახურების საქმიანობით დაკავებული კომპანიების მიერ;
- საბაჟო საწყობის რეჟიმით გადაადგილებული საქონელი. მასში იგულისხმება შემოტანილი საქონლის შენახვა საბაჟო კონტროლის ქვეშ, საბაჟო საწყობში, საბაჟო და საიმპორტო გადასახადების გადახდის გარეშე. თუმცა იმპორტირებული საქონლის გარდა აღნიშნული რეჟიმი დაშვებულია იმ საქონელზე, რომელზეც უნდა მოხდეს გადასახადების დაბრუნება მათი რეექსპორტის შემთხვევაში;
- მიგრანტების ქონება;
- ფინანსური ლიზინგის ქვეშ მყოფი საქონელი. არსებობს ლიზინგის ორი ყველაზე გავრცელებული სახე: ფინანსური და საოპერაციო. საქონელი ითვლება ფინანსური ლიზინგის ქვეშ, როდესაც ამ საქონელზე

საკუთრების უფლება, რისკები, სარგებელი და ვალდებულებები გადადის მეიჯარეზე და როცა ის ეკონომიკური თვალსაზრისით, განიხილება, როგორც ამ საქონლის ფაქტიური მესაკუთრე;

- სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე განლაგებული ოფშორული საწარმოების მიერ მიღებული ან გაგზავნილი საქონელი ასევე უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში;
- ელექტრონული არხების საშუალებით ექსპორტირებული ან იმპორტირებული საქონელი (სსვს 2010). ამ ტიპის ვაჭრობას მიეკუთვნება საქონელი, რომელიც ფიზიკურად გადაადგილდება იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, რომლებმაც დადეს გარიგება უმეტესწილად ინტერნეტის საშუალებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ასეთი კატეგორიის საქონელზე ექსპორტ-იმპორტის მონაცემების მოპოვების დროს შეიძლება მრავალი სახის პრობლემას შევეჯახოთ, მაგალითად, როგორცაა საქონლის მიწოდება საკურიერო სამსახურების მიერ ამანათის, ბანდეროლის ან წერილების სახით. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნული პრობლემებისა, გაეროს მიერ რეკომენდებულია, რომ ქვეყნებმა აუცილებლად შეიმუშაონ მსგავსი მონაცემების მოპოვების ან/და შეფასების ხერხების სისტემა;
- დაჭერილი თევზი, ზღვის ფსკერიდან მოპოვებული მინერალები და გადარჩენილი ტვირთი. ეს საქონელი, გადმოტვირთული ერთი ქვეყნის კუთვნილი ხომალდიდან სხვა ქვეყნის ეროვნულ პორტში ან შესყიდული ერთი ქვეყნის კუთვნილი ხომალდების მიერ ღია ზღვაში სხვა ქვეყნის ხომალდებიდან, უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში (სსვს 2010) მათი ეკონომიკური და ეკოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე;
- საცავეები, ბალასტი, ხომალდის მარაგები, შექმნილი ეროვნული საფრენი აპარატებისა და ხომალდების მიერ სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ ან მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე მყოფი უცხოური ხომალდებიდან და საფრენი აპარატებიდან, უნდა აისახოს მოცემული ქვეყნის იმპორტში და უნდა აღრიცხოს მათი ეკონომიკური და ეკოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე (სსვს 2010). ანალოგიური საქონელი, რომელიც მიეწოდება უცხოურ ხომალდებს და საფრენ აპარატებს სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე, ან ეროვნული ხომალდებისა და საფრენი აპარატების მიერ, რომლებიც იმყოფებიან სტატისტიკური

აღრიცხვის ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, უნდა აისახოს ექსპორტში ასევე მათი ეკონომიკური და ეკოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე. მსგავსი ოპერაციების აღრიცხვაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ შესაბამის მონაცემთა მოპოვების ან ამ ოპერაციების შეფასების სათანადო სისტემა;

- საჩუქრები და შემოწირულობები (სსვის 2010). თუ აღნიშნული საქონელი გადაადგილდება მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე, ის აუცილებლად გაივლის საბაჟო კონტროლს და მიუხედავად ამ ტრანსაქციის არაკომერციული ხასიათისა, მაინც აღირიცხება საბაჟო ორგანოების მიერ, რაც გაამარტივებს მის ასახვას საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში;
- ექსპლუატაციაში ნამყოფი (მეორადი მოხმარების) საქონელი. ეს კატეგორია მოიცავს ექსპლუატაციაში ნამყოფ სამრეწველო და სამომხმარებლო დანიშნულების საქონელს (მაგალითად, კომპიუტერები ან ავტომობილები) ასევე, ხმარებაში ნამყოფ ტევადობებს, რომლებიც კვეთენ საზღვარს მათი ხელახალი გამოყენების მიზნით (მაგალითად, ცარიელი ბოთლები). აღსანიშნავია, რომ ამ მიზნით საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას, დაემატა რამდენიმე კოდი სწორედ მეორადი მოხმარების საქონლის აღრიცხვისათვის;
- ნარჩენები და ჯართი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც გარემოსთვის წარმოადგენენ საშიშ პროდუქტებს და აქვთ გარკვეული საბაზრო ღირებულება;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული ან საზღვარგარეთ გაგზავნილი საქონელი უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში. ასეთი სახის ნაკადები აღირიცხება იმ ქვეყნის იმპორტში, რომლებიც იღებენ საქონელს საერთაშორისო ორგანიზაციიდან და იმ ქვეყნის ექსპორტში, საიდანაც საერთაშორისო ორგანიზაციები აგზავნიან საქონელს. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ეს საქონელი არ აისახება მიმღები ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაცია;
- მობილური მოწყობილობები, რომლებზეც საკუთრების ცვლილება ხორციელდება მათი თავდაპირველი მესაკუთრის მდებარეობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამ კატეგორიის საქონელი მოიცავს: მოწყობილობებს,

რომლებიც თავდაპირველად სხვა ქვეყანაში იქნა შეტანილი დროებითი რეჟიმის ქვეშ კონკრეტული მიზნებით მისი გამოყენებისათვის (მაგალითად, სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის, ხანძრის ლოკალიზებისათვის ან დახმარების გასაწევად უბედური შემთხვევების დროს), მაგრამ შეიცვალა მისი მესაკუთრე მისი გაჩუქების ან მოცემული ქვეყნის რეზიდენტისათვის მიყიდვის შედეგად (სსეს 2010);

- და სხვა სახის საქონელი.

რაც შეეხება საქონელს, რომელიც არ ექვემდებარება საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღრიცხვას, წარმოადგენს:

- მონეტარული ოქრო, რომელიც განიხილება, როგორც საფინანსო აქტივი;
- მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური უზრუნველყოფის ნიშნებს;
- დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი. ზოგიერთი მათგანი კიოტოს და სტამბულის კონვენციებით არის განსაზღვრული<sup>[1]</sup> – გამოფენებზე გატანილი სადემონსტრაციო მოწყობილობები, ხელოვნების ნიმუშები, საწარმოო ნიმუშები და სამეცნიერო-მეთოდური მასალები და შეჯიბრებაზე გაყვანილი ცოცხალი ცხოველები. ხოლო ნაწილი შესაძლებელია ცალკე იყოს აღნიშნული ეროვნულ საბაჟო კანონმდებლობაში;
- სატრანზიტო ტვირთები, რომლებიც კიოტოს კონვენციის თანახმად, გადაადგილდებიან საბაჟო ტერიტორიის გავლით მხოლოდ ტრანსპორტირების მიზნით;
- საქონელი, გაგზავნილი ან მიღებული ტერიტორიული ანკლავებიდან ე.წ. დიპლომატიური ტვირთები უნდა განვიხილოთ, როგორც შიდა სავაჭრო ნაკადები;
- რეზიდენტების მიერ არაფინანსური აქტივების გადაცემა არარეზიდენტის საკუთრებაში, საზღვრის გადაკვეთის გარეშე. ეს აქტივები მოიცავს: მიწას, მოწყობილობებს, დანადგარებს და მატერიალურ მარაგებს. არაფინანსურ აქტივებზე ასეთი სახის საკუთრების ცვლილება ითვლება ფინანსურ ოპერაციად;

<sup>[1]</sup> World Customs Organization, International Convention on the Simplification and Harmonization of Customs Procedures, Revised Kyoto Convention, Brussels, 2006, Specific Annex G, Chapter 1, para 22; Convention on Temporary Admission, Istanbul Convention, 26 June, 1990.

- საქონელი, რომელიც განიხილება, როგორც მომსახურებით ვაჭრობა. ეს კატეგორია მოიცავს: ა) ყველა კატეგორიის (მათ შორის მომუშავე არარეზიდენტების) ჩამოსული მგზავრის მიერ შექმნილ და საზღვარზე გადატანილ საქონელს, რომლებიც არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს; ბ) გაზეთები და პერიოდული გამოცემები, რომლებიც იგზავნება პირდაპირი გამოწერის წესით; გ) საქონელი მოწოდებული უცხოური სახელმწიფოების ანკლავების (საელჩოები, სამხედრო და სამეცნიერო ბაზები და ა.შ.) და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც განლაგებულია მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე, არ აისახება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში იქიდან გამომდინარე, რომ საგადასახდელო ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიის თანახმად, ისინი მიეკუთვნებიან მომსახურების კატეგორიას; დ) ინფორმაციის მატარებლები, რომლებზეც ჩაწერილია პროგრამული უზრუნველყოფა, შექმნილი ინდივიდუალური დაკვეთით;
- საქონელი შესყიდული შემდგომი გადაყიდვისათვის. გადაყიდვა განისაზღვრება, როგორც სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის რეზიდენტის მიერ ამავე ქვეყნის არარეზიდენტისგან საქონლის ყიდვა, შემდგომში ამავე საქონლის სხვა არარეზიდენტისათვის მიყიდვის მიზნით საზღვრის გადაკვეთის გარეშე;
- საქონელი, რომელიც დაიკარგა ან განადგურდა გზაში ექსპორტიორი ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, მაგრამ იმპორტიორი ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე შეტანამდე, არ აისახება იმპორტიორი ქვეყნის იმპორტში, მაგრამ აუცილებლად უნდა აისახოს ექსპორტიორი ქვეყნის ექსპორტის სტატისტიკაში. თუმცა, იმ შემთხვევაში, როცა იმპორტიორმა უკვე მოიპოვა ასეთ საქონელზე საკუთრების უფლება, მისი ღირებულება ცალკე უნდა აღრიცხოს სავარაუდო იმპორტიორი ქვეყნის მიერ იმისათვის, რომ შესაბამისი კორექტირებები გაკეთდეს საქონლის მთლიანი იმპორტის გაანგარიშების დროს საგადასახდელო ბალანსისა და ეროვნული ანგარიშების წარმოების მიზნებიდან გამომდინარე;
- საქონელი, რომელიც გამოიყენება ტვირთების ტრანსპორტირების საშუალებად. ეს სასაქონლო კატეგორია მოიცავს ხომალდებს, საფრენ

აპარატებს, კონტეინერებს და ასევე, ცარიელ ბოთლებს, რომლებიც უკან ბრუნდება მათი ხელახალი გამოყენებისათვის;

- სარემონტოდ განკუთვნილი და სხვა სახის საქონელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის 2010 წლის რეკომენდაციების თანახმად, ზოგიერთი კატეგორიის საქონელი, რომელიც უნდა აისახოს ან არა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, ნებისმიერ შემთხვევაში ცალკე უნდა აღირიცხოს საგადასახდელი ბალანსისა (BPM6) და ეროვნული ანგარიშების (SNA-2008) წარმოების საჭიროებიდან გამომდინარე.

საქონელს, რომელიც უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში და ასევე, ცალკე აღირიცხოს, მიეკუთვნება:

- გადამუშავებისათვის განკუთვნილი საქონელი საკუთრების უფლების ცვლილების გარეშე;
- საქონელი, რომელიც გადაკვეთს საზღვარს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციების საფუძველზე.

საქონელს, რომელიც არ უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში და ცალკე აღირიცხოს, მიეკუთვნება:

- სარემონტოდ ან ტექნიკური მომსახურების მიზნით გადაადგილებული საქონელი. ასეთი სახის ოპერაციები მხოლოდ აღადგენენ ან აუმჯობესებენ არსებული საქონლის ხარისხს, მაგრამ არ იქმნება ახალი პროდუქტი. აღნიშნულიდან უნდა გამოიყოს მხოლოდ რემონტის ღირებულება, რომელიც განიხილება, როგორც გაწეული ან მიღებული მომსახურება იმის შესაბამისად, რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელდა საქონლის შეკეთების სამუშაოები;
- ნარჩენები და ჯართი. ასეთი სახის საქონელი არ უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, თუ მათ არ აქვთ კომერციული ღირებულება, მაგრამ უნდა აღირიცხოს ცალკე შესაბამის რაოდენობრივ ერთეულებში;
- საქონელი, რომლის გადაადგილება საზღვარზე ხდება არალეგალურად (მაგალითად, კონტრაბანდული საქონელი, მოპარული სატრანსპორტო საშუალებები და ნარკოტიკული ტვირთი, რომელთა გამოყენება და შენახვა წარმოადგენს არალეგალურ საქმიანობას);
- საქონელი, რომელიც დაიკარგა ან განადგურდა იმპორტიორზე საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან განასხვავებენ ქვეყნის ეკონომიკურ, საბაჟო და სტატისტიკურ ტერიტორიებს, რომლებიც შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში ემთხვეოდეს კიდევ ერთმანეთს. თუ სტატისტიკური ტერიტორია არ ემთხვევა ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიას, მაშინ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში შემოსული და გასული სასაქონლო ნაკადების სრულ აღრიცხვას.

სტატისტიკური ტერიტორია წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება.

ქვეყნების უმრავლესობაში სავაჭრო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება წარმოებს საბაჟო პროცედურების საფუძველზე და ამ ქვეყნებში სტატისტიკური ტერიტორიის საზღვრად განიხილება სწორედ საბაჟო ტერიტორიის საზღვარი.

საბაჟო ტერიტორია, თავის მხრივ, წარმოადგენს ტერიტორიას, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობა. მიუხედავად ამისა, ქვეყნებს შორის განხორციელებული გაზრდილი სასაქონლო სავაჭრო ნაკადები არ ხდება საბაჟო აღრიცხვის ფარგლებში ან აღირიცხება არასრულად (მაგალითად, საბაჟო კავშირის წევრ ქვეყნებს შორის განხორციელებული სავაჭრო ნაკადები, ასევე, თავისუფალ საბაჟო ზონებში ან ასეთი ზონებიდან გადატვირთული საქონელი). ამ მიზეზების გამო, უმეტეს შემთხვევაში სტატისტიკური ტერიტორიის განსაზღვრა უფრო ფართო ხასიათს იძენს საბაჟო ტერიტორიასთან შედარებით და სტატისტიკის მწარმოებლები იძულებულნი არიან გამოიყენონ ინფორმაციის არასაბაჟო წყაროები, რათა მოახდინონ იმ სავაჭრო ოპერაციების მოცულობის დადგენა, რომლებიც ხორციელდება სტატისტიკური ტერიტორიის საზღვრებში. ასეთ წყაროს წარმოადგენს სავაჭრო ორგანიზაციების შერჩევითი კვლევები ან სპეციალური მაქოსებრი სტატისტიკური გამოკვლევა, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს საბაჟო ღირებულების ზღვარს ქვემოთ არსებული სავაჭრო ნაკადების მოცულობა, რომლებიც არ ექვემდებარება დეკლარირებას. ასეთი ვაჭრობის მოცულობა ბოლო პერიოდებში სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევების შესამცირებლად საბაჟო ორგანოების მიერ დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები დღის განმავლობაში საზღვრის გადაკვეთის რაოდენობასთან და გადატანილი ტვირთის მოცულობასთან მიმართებაში.

ქვეყნის სტატისტიკურ სამსახურებს შეუძლიათ განსაზღვრონ სტატისტიკური ტერიტორია მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ტერიტორიის ელემენტების ნუსხის შედგენით. ეს ელემენტები აღიწერება, რა თქმა უნდა, საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე და შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ქვეყნებში. თუმცა მონაცემთა საერთაშორისო ურთიერთშესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყნებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ ზუსტად განისაზღვროს არსებობს თუ არა მათ ქვეყანაში შემდეგი ტერიტორიული ელემენტები და მოიცავს თუ არა მათი სტატისტიკური ტერიტორია აღნიშნულ ელემენტებს:

- ა) კუნძულები;
- ბ) ტერიტორიული წყლები;
- გ) კონტინენტური შელფი;
- დ) ოფშორული ან კოსმოსური დანადგარები და აპარატები;
- ე) თავისუფალი ვაჭრობის ზონები;
- ვ) თავისუფალი ინდუსტრიული ან ეკონომიკური ზონები;
- ზ) საბაჟო საწყობები;
- თ) შიდა გადამუშავეების ადგილები;
- ი) სხვა ქვეყნებში სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის ტერიტორიული ანკლავები (მაგალითად, ჩვენი ქვეყნის საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო და სამეცნიერო ბაზები სხვა ქვეყნებში);
- კ) ტერიტორიული ექსკლავები, ანუ სხვა ქვეყნების ანკლავები სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყანაში.

აღნიშნული საკითხები წარმოადგენს საკვანძო დეფინიციებს. მათი კონკრეტიზაცია აუცილებელია იმისათვის, რომ ზუსტად განხორციელდეს იმ სასაქონლო ნაკადების გამიჯვნა, რომლებიც ექვემდებარება საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ასახვას. ასევე, იმ ტერიტორიების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს სრულყოფილი ინფორმაციის არსებობას შესაბამისი არეალიდან მოპოვებული სტატისტიკური მონაცემებით.

## 1.2.2 საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის ზოგადი და სპეციალური სისტემები, მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები

იმის მიხედვით, თუ ეკონომიკური ტერიტორიის რა ნაწილს მოიცავს სტატისტიკური ტერიტორია, ქვეყნების მიერ გამოყენებული სავაჭრო სისტემები შეიძლება იყოს „ზოგადი“ და „სპეციალური“.

ვაჭრობის ზოგადი სისტემა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ქვეყნის ეკონომიკური და სტატისტიკური ტერიტორია ერთმანეთს ემთხვევა. შესაბამისად, ამ დროს ექსპორტში და იმპორტში აღირიცხება ყველა საქონელი, რომელიც გადაადგილდება ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან რეკომენდებულია, რომ ვაჭრობის ზოგადი სისტემის გამოყენების შემთხვევაში სტატისტიკური ტერიტორია მოიცავდეს ყველა ტერიტორიულ ელემენტს ქვეთავში 1.2.1 დასახელებული „ა“-დან „თ“ პუნქტის ჩათვლით.

სპეციალური სისტემა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სტატისტიკური ტერიტორია წარმოადგენს ეკონომიკური ტერიტორიის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს. ტრადიციულად განასხვავებენ ვაჭრობის სპეციალური სისტემის განსაზღვრის „ვიწრო“ და „ფართო“ გაგებას.

„ვიწრო“ გაგება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სტატისტიკური ტერიტორია მოიცავს მხოლოდ თავისუფალი მიმოქცევის ზონას ანუ ეკონომიკური ტერიტორიის იმ ნაწილს, სადაც საქონელი შეიძლება რეალიზებული იქნას ყოველგვარი საბაჟო შეზღუდვების გარეშე. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში იმპორტში აისახება მხოლოდ ის საქონელი, რომელიც შეიტანება სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, ხოლო ექსპორტი მოიცავს მხოლოდ იმ საქონელს, რომელიც გადის ასეთი ზონიდან. აღნიშნული განმარტების შესაბამისად, საქონელი, რომელიც იმპორტირებულია შიდა გადამუშავებისათვის, ან შეტანილია თავისუფალ სამრეწველო ან სავაჭრო ზონაში, ასევე, საბაჟო საწყობებში, არ ექვემდებარება აღრიცხვას, რადგან ეს საქონელი არ გაივლის საბაჟო კონტროლის პროცედურებს შიდა მოხმარებისათვის. ანალოგიური მიდგომა გამოიყენება ექსპორტის შემთხვევაშიც.

„ფართო“ გაგებით სპეციალური სისტემა გამოიყენება, როცა საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში გაითვალისწინება: ა) საქონლის იმპორტი შიდა გადამუშავების მიზნით ან გადამუშავების შემდეგ საქონლის ექსპორტი; ბ)

თავისუფალ სავაჭრო ზონაში იმპორტირებული ან ასეთივე ზონიდან ექსპორტირებული საქონელი.

საქართველო იყენებს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგად სისტემას, ამიტომ დეტალურად განვიხილოთ მასთან დაკავშირებული საკითხები ექსპორტისა და იმპორტისთვის ცალ-ცალკე.

ექსპორტის დროს საექსპორტო ნაკადები გადაადგილდებიან:

- ა) თავისუფალი მიმოქცევის ზონიდან, შიდა გადამუშავების ტერიტორიიდან ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონებიდან;
- ბ) საბაჟო საწყობებიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონებიდან;
- გ) ეროვნული საქონელი, რომელიც წარმოებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში ან გადაადგილებულია თავისუფალი მიმოქცევის ზონიდან;
- დ) ეროვნული წარმოების საქონელი შიდა გადამუშავების შემდეგ, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, ანუ პროდუქცია მიღებულია დამუშავების, გადამუშავების ან შეკეთების შედეგად;
- ე) უცხოური წარმოების საქონელი იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყო იმპორტირებული.

ექსპორტს მხოლოდ ერთი დანიშნულების პუნქტი აქვს – დანარჩენი მსოფლიო, აქედან გამომდინარე, „ზოგადი“ ექსპორტი შედგება ექვსი სხვადასხვა ნაკადისგან, რომელთაგან ორი წარმოადგენს რეექსპორტს.

ამგვარად, ზოგადი ექსპორტი მოიცავს:

1. თავისუფალი მიმოქცევის ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან გადაადგილებული ეროვნული წარმოების საქონლის ნაკადს, რომლის ექსპორტი ხორციელდება უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში;
2. თავისუფალი მიმოქცევის ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან გადაადგილებულ ეროვნული წარმოების საქონლის ნაკადს, რომლის ექსპორტი ხორციელდება თავისუფალი ვაჭრობის ან საბაჟო საწყობის ზონიდან უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში;
3. ეროვნული საქონლის ექსპორტს შიდა გადამუშავების შედეგად, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში;
4. ეროვნული საქონლის ექსპორტს შიდა გადამუშავების შედეგად, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, რომლის

ექსპორტი ხორციელდება თავისუფალი ვაჭრობის ან საბაჟო საწყობის ზონიდან უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში;

5. უცხოური წარმოების საქონლის რეექსპორტს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყო იმპორტირებული, თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავებისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონებიდან უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში;

6. უცხოური წარმოების საქონლის რეექსპორტს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყო იმპორტირებული, თავისუფალი ვაჭრობის ან საბაჟო საწყობის ზონიდან უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში.

ვაჭრობის ზოგადი სისტემის შემთხვევაში საიმპორტო ნაკადების გადაადგილება ქვეყანაში ხორციელდება დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტის (როცა ტრანზიტული საქონელი რჩება ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე) შედეგად.

არსებობს საიმპორტო საქონლის სამი სახე:

- ა) უცხოური საქონელი (გარდა მაკომპენსირებელი პროდუქციისა, მიღებული გარე გადამუშავების შედეგად);
- ბ) უცხოური საქონელი, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, მიღებული გარე გადამუშავების შედეგად;
- გ) ეროვნული წარმოების საქონელი იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ადრე იყვნენ ექსპორტირებული.

საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი სისტემის დროს საიმპორტო ნაკადები გადაადგილდებიან:

- ა) თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში;
- ბ) საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონებში.

ამგვარად, ზოგადი იმპორტი მოიცავს ექვს განსხვავებულ სასაქონლო ნაკადს, რომელთაგან ორი წარმოადგენს რეიმპორტს:

- 1) უცხოური საქონლის იმპორტს (გარდა გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისა) თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტოდან;
- 2) უცხოური საქონლის იმპორტს (გარდა გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისა) საბაჟო საწყობში ან

თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტოდან;

- 3) უცხოური საქონლის იმპორტს, რომელიც შედგება გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტოდან;
- 4) უცხოური საქონლის იმპორტს, რომელიც შედგება გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტოდან;
- 5) ეროვნული წარმოების საქონელს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ადრე იყვნენ ექსპორტირებული თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტოდან;
- 6) ეროვნული წარმოების საქონელს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ადრე იყვნენ ექსპორტირებული, საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტოდან.

საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგად და სპეციალურ სისტემებს შორის არსებობს გარკვეული მსგავსება და განსხვავება საექსპორტო და საიმპორტო ნაკადების მხრივ. იმისათვის, რომ თვალსაჩინოდ დავინახოთ ეს განსხვავება, უმჯობესია იგი წარმოვადგინოთ გრაფიკული სქემის სახით (სქემა №1 „საექსპორტო ნაკადების შედარება საგარეო ვაჭრობის ზოგად და სპეციალურ სისტემაში“ და სქემა №2 „საიმპორტო ნაკადების შედარება საგარეო ვაჭრობის ზოგად და სპეციალურ სისტემაში“):

**სქემა №1.**

**საექსპორტო ნაკადების შედარება საგარეო ვაჭრობის ზოგად და სპეციალურ სისტემაში<sup>(ა)</sup>**

ექსპორტი	ზოგადი სისტემა	სპეციალური სისტემა
----------	----------------	--------------------

*ეროვნული საქონელი  
(გარდა მაკომპენსირებელი პროდუქციისა შიდა გადამუშავების შემდეგ)*

**თავისუფალი მიმოქცევის ან თავისუფალი სამრეწველო ზონიდან**

1. დანარჩენ მსოფლიოში	X	X
-----------------------	---	---

2. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში X

წარმოშობილი თავისუფალი მიმოქცევის ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში, მაგრამ ექსპორტირებული საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან

3. დანარჩენ მსოფლიოში X<sup>[2]</sup>

*ეროვნული საქონელი  
(მაკომპენსირებელი პროდუქცია შიდა გადამუშავების შემდეგ)*

შიდა გადამუშავების ადგილიდან

4. დანარჩენ მსოფლიოში X X

5. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში X

წარმოშობილი შიდა გადამუშავების ადგილას, მაგრამ ექსპორტირებული საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან

6. დანარჩენ მსოფლიოში X<sup>[3]</sup>

*უცხოური წარმოების საქონელი  
იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყვნენ იმპორტირებული*

თავისუფალი მიმოქცევის ზონიდან, შიდა გადამუშავების ადგილიდან ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან

7. დანარჩენ მსოფლიოში RX RX

8. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში RX

საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან

9. დანარჩენ მსოფლიოში RX

(ა) აღნიშვნები: X = ექსპორტი; RX = რექსპორტი

## სქემა №2.

საიმპორტო ნაკადების შედარება საგარეო ვაჭრობის ზოგად და სპეციალურ სისტემაში<sup>(ა)</sup>

<sup>[2]</sup> ამ კატეგორიას მიეკუთვნება ეროვნული წარმოების საქონელი, რომლებიც თავდაპირველად შეიტანება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში თავისუფალი მიმოქცევის ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან და შემდგომ ხდება მათი ექსპორტირება.

<sup>[3]</sup> ამ კატეგორიას მიეკუთვნება მაკომპენსირებელი საქონელი, რომელიც თავდაპირველად გადაიხილება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში შიდა გადამუშავების ადგილიდან და შედეგად ხდება მისი ექსპორტირება.

იმპორტი	ზოგადი სისტემა	სპეციალური სისტემა
---------	----------------	--------------------

*უცხოური საქონელი  
(გარდა მაკომპენსირებელი პროდუქციისა გარე გადამუშავების შემდეგ)*

**დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტოდან**

- |   |   |   |
|---|---|---|
| 1. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში | M | M |
| 2. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში  | M |   |

**საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან**

- |   |  |                  |
|---|--|------------------|
| 3. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში |  | M <sup>[4]</sup> |
|---|--|------------------|

*უცხოური საქონელი  
(მაკომპენსირებელი პროდუქცია გარე გადამუშავების შემდეგ)*

**დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტოდან**

- |   |   |   |
|---|---|---|
| 4. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში | M | M |
| 5. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში  | M |   |

**საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან**

- |   |  |                  |
|---|--|------------------|
| 6. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში |  | M <sup>[5]</sup> |
|---|--|------------------|

*ეროვნული წარმოების საქონელი  
იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყვნენ ექსპორტირებული*

**საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან**

<sup>[4]</sup> ამ კატეგორიას მიეკუთვნება უცხოური წარმოების საქონელი (მაკომპენსირებელი პროდუქციის გარდა) გარე გადამუშავების შედეგად, რომელიც თავდაპირველად გადაიხიდება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში და შედეგად ხდება მისი იმპორტირება.

<sup>[5]</sup> ამ კატეგორიას მიეკუთვნება უცხოური წარმოების საქონელი, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისაგან გარე გადამუშავების შემდეგ და რომელიც თავდაპირველად გადაიხიდება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში და შედეგად ხდება მისი იმპორტირება.

7. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში	RM	RM
8. საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში	RM	
<b>საბაჟო საწყობიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან</b>		
9. თავისუფალი მიმოქცევის ზონაში, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში		RM <sup>[6]</sup>

(ა) აღნიშვნები: M = იმპორტი; RM = რეიმპორტი

ვაჭრობის სპეციალური სისტემის გამოყენება ზღუდავს სტატისტიკის მოცვის სფეროს, რადგან არ გულისხმობს ყველა საქონლის აღრიცხვას, რომელიც ექვემდებარება საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში ასახვას. გარდა ამისა, მის გამოყენებას სხვადასხვა ქვეყნების მიერ არ აქვს ერთნაირი მიდგომა, რაც იწვევს მონაცემთა შეუსაბამობის სერიოზულ პრობლემას. მაგალითად, სტატისტიკური აღრიცხვისას ზოგიერთი ქვეყანა იყენებს ვაჭრობის სპეციალურ სისტემას „ვიწრო“ გაგებით მაშინ, როდესაც სხვა მრავალი ქვეყანა იყენებს „ფართო“ გაგების სხვადასხვა ვარიანტებს და სტატისტიკურ აღრიცხვაში შეყავს თავისუფალი საბაჟო ზონების მხოლოდ ნაწილი.

როგორც ცნობილია, ევროკავშირის ქვეყნებში გამოიყენება საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის სპეციალური სისტემა, თუმცა ამ კავშირის ფარგლებშიც დაფიქსირებულია ზემოთხსენებული სხვადასხვა ვარიანტები, რაც ართულებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მონაცემთა ურთიერთშესადარისობას.

მსოფლიო პრაქტიკაში აღრიცხულია სტატისტიკურ ტერიტორიაში შემავალი არეალის შემდეგი შემთხვევები. კერძოდ:

ა) ქვეყნები, სადაც სტატისტიკური ტერიტორია არ მოიცავს თავისუფალ ზონებს და საბაჟო საწყობებს: არგენტინა, არუბა, ავსტრია, ისლანდია, მონღოლეთი, პანამა, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, თურქეთი, ურუგვაი;

ბ) ქვეყნები, სადაც სტატისტიკური ტერიტორია არ მოიცავს თავისუფალ ზონებს: კუბა, ქუვეითი, ყირგიზეთი, მადაგასკარი, ნიდერლანდების ანტილები, რუმინეთი, შვეიცარია;

გ) სტატისტიკური ტერიტორია არ მოიცავს საბაჟო საწყობს შედეგთში;

<sup>[6]</sup> ამ კატეგორიას მიეკუთვნება ეროვნული წარმოების საქონელი იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყო ექსპორტირებული და რომელიც თავდაპირველად გადაიზიდება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში და შედეგად ხდება მისი იმპორტირება.

დ) სტატისტიკური ტერიტორია ფორმირებულია ძირითადად თავისუფალი მიმოქცევის არეალით ლუქსემბურგში;

ე) სტატისტიკური ტერიტორია მოიცავს მხოლოდ საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფ თავისუფალ ზონებს და საბაჟო საწყოებს გაერთიანებულ სამეფოში;

ვ) სტატისტიკური ტერიტორია არ მოიცავს კომერციულ თავისუფალ ზონებს და საბაჟო საწყოებს, გარდა სამრეწველო საქმიანობისათვის შექმნილი კერძო საბაჟო საწყოებისა, უნგრეთში.

საქართველოში სტატისტიკური ტერიტორია მოიცავს: თავისუფალი მიმოქცევის ზონას, საბაჟო საწყოებს და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი სისტემა სპეციალურთან შედარებით უზრუნველყოფს საგარეო სავაჭრო ნაკადების მეტი სისრულით აღრიცხვას. ასევე, უფრო მეტ მიახლოებას საქონლის მფლობელის ცვლილების კრიტერიუმთან, რომელიც გამოყენებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა (SNA 2008) და საგადასახდელო ბალანსის (BPM6) აგების საერთაშორისო მეთოდოლოგიებში. ამიტომ, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან რეკომენდებულია, რომ საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის შედგენისას და სასაქონლო ნაკადების საერთაშორისო მოძრაობის რეგისტრაციისას, გამოყენებული იყოს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი სისტემა.

### **1.2.3 საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების ახალი და განახლებული რეკომენდაციები და ქართულ პრაქტიკაში მათი დანერგვის პრობლემები**

2008 წელს ნიუ-იორკში გაიმართა სტატისტიკური კომისიის 39-ე სესია, სადაც გადაწყდა საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისათვის ახალი კონცეფციებისა და დეფინიციების, მონაცემთა დამუშავებისა და გაერცელების განახლებული სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, რომელიც ჰარმონიზებული იქნებოდა მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის, საგადასახდელო ბალანსისა და ეროვნული ანგარიშების განახლებულ რეკომენდაციებთან. აღნიშნული სამუშაოების წარმოება დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების ინიციატივით.

2010 წელს 41-ე სესიაზე სტატისტიკურმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის განახლებული მეთოდოლოგიის შემუშავებაზე, რომელიც თავსებადი იქნებოდა ეროვნული ანგარიშებისა და საგადასახდელო ბალანსის განმარტებებთან და ძირითად კონცეფციებთან.

2011 წლის სექტემბრის ბოლოს ლიტვაში, ქ. ვილნიუსში, გაიმართა ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა, სადაც განხილული იქნა ყველა ახალი თუ განახლებული რეკომენდაცია, რომლებიც საფუძვლად დაედება ახალი საერთაშორისო მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას. შეხვედრაზე გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები ახალ რეკომენდაციებთან, ახალ შემოთავაზებებთან და მომავალ მეთოდოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირებით. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით 2011 წლის ბოლოს გამოიცა ახალი სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსია. 2012 წლიდან დაიგეგმა ახალ კონცეფციებსა და განმარტებებზე ქვეყნების ეტაპობრივი გადასვლისათვის მზადება.

ზოგიერთი რეკომენდაციის პრაქტიკული რეალიზაცია საკმაოდ რთულია და რიგ შემთხვევებში შეუძლებელიც კი. ეს ძირითადად ეხება ახალ შემოთავაზებებს.

ზოგადად შევეხოთ პრობლემატურ და ისეთი სახის რეკომენდაციებს, რომლებიც უდაოდ მნიშვნელოვანია სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებისა და შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოებული მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის (დანართი №1).

მე-6 პუნქტი ეხება საკუთრების ცვლილების შემთხვევაში საქონლის გადამუშავების ოპერაციის ცალკე აღრიცხვას. პრაქტიკაში ძალიან რთულია იმ შემთხვევის დაჭერა, მოხდა თუ არა ამა თუ იმ პროდუქციაზე მესაკუთრის შეცვლა.

მე-7 პუნქტი ასევე ახალი შემოთავაზებაა და უფრო რთული შემთხვევა, რადგან ურთიერთდაკავშირებული მხარეების გამოვლენა ძალზედ გართულებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემთა მისაღებად წარმოებული საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკურ გამოკვლევაშიც. ამ რეკომენდაციის რეალიზება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში დაემატება ერთი ველი, სადაც მიეთითება არის თუ არა აღნიშნული საქონელი განკუთვნილი კონტრაგენტისათვის, რომელსაც იურიდიული სახის კავშირი აქვს მოცემულ ექსპორტიორ ან იმპორტიორ სუბიექტთან. თუმცა დეკლარაციაში დამატებითი ველის ჩასმაზე საბაჟო სამსახურები არ თანხმდებიან

ექსპორტიორებისა და იმპორტიორების ზედმეტი დატვირთვის თავიდან აცილების მოტივით.

მე-15 პუნქტი, რომელიც მოითხოვს იმპორტის მონაცემების აღრიცხვას CIF ფასის პარალელურად FOB ფასში. მოქმედი პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოები სრულდება საქართველოს ეროვნულ ბანკში საგადასახდლო ბალანსის აგების მეთოდოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადაანგარიშებისათვის გამოიყენება ისეთი მარტივი მეთოდი, როგორც ადრე იყო შემოთავაზებული საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან: საქონლის CIF ღირებულებას აკლდება 10-12 პროცენტი, საიდანაც 2 პროცენტი მიეკუთვნება დაზღვევას, ხოლო დანარჩენი სატრანსპორტო დანახარჯებს.

ამ მიმართულებით, სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს და დღეს უკვე გაეროც თანხმდება იმ მოსაზრებას, რომ ეს მიდგომა მოძველებულია და ზუსტად ვერ ასახავს მსოფლიო საიმპორტო ნაკადების ღირებულებას FOB ფასით. მოცემული კონკრეტული ქვეყნიდან დანარჩენი ქვეყნების ტერიტორიული განლაგების სხვადასხვა მანძილი თავისთავად გულისხმობს საქონლის გადაადგილებისათვის სატრანსპორტო და დაზღვევის ხარჯების ღირებულების განსხვავებულ სიდიდეს. ამიტომ, ამ ხარჯების შეფასება უნდა მოხდეს მინიმუმ ცალკეული ქვეყნების მიხედვით.

ამ მიმართულებით ყირგიზეთში საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯია, რამაც გაეროს ექსპერტების დიდი მოწონება დაიმსახურა, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებში დამატებით ორი ველის ფორმირება, რომელთაგან ერთი ეხება სატრანსპორტო ხარჯების, ხოლო მეორე დაზღვევის ხარჯის სიდიდეს მოცემული დეკლარაციის ფარგლებში გაფორმებულ ტვირთზე. ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, იძლევა შესაბამისი მომსახურების დანახარჯების ზუსტ სურათს. საქართველოს რეალობაში ამ პრაქტიკის გადმოტანა თითქმის შეუძლებელია საბაჟო პროცედურების უპრეცედენტო გამარტივების გამო, რაც პერსპექტივაში ძალიან დიდ პრობლემას უქმნის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებას საერთაშორისო სტანდარტებთან და ახალ რეკომენდაციებთან მიმართებაში.

მე-20 პუნქტი უცვლელია, მაგრამ მაინც მოვიყვანეთ, როგორც პრობლემატური საკითხი, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაციის სტრუქტურა ითვალისწინებს წარმოშობის ქვეყნის ველის დაფიქსირებას, საქართველოს საბაჟო სამსახურების მიერ არ ხდება ამ ველის სრულყოფილად შევსება, რაც

შეუძლებელს ხდის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებას საქონლის წარმოშობის ქვეყნის მიხედვით. ამავე პრობლემას ეხმიანება 22-ე პუნქტი.

პუნქტი 24. გულისხმობს საგარეო ვაჭრობის მონაცემთა დამუშავებას ტრანსპორტის სახეობების მიხედვით. ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გაეროს მიერ ამ რეკომენდაციის გაწევამდე, საქართველოს ჰქონდა შესაძლებლობა საგარეო ვაჭრობის მონაცემები დაემუშავებინა და გამოექვეყნებინა ტრანსპორტის სახეობის მიხედვით. 2011 წლიდან ტვირთების გაფორმების პროცედურების გამარტივებასთან დაკავშირებით, ნებაყოფლობითი გახდა დეკლარაციაში აღნიშნული ველის შევსება, რამაც გამოიწვია აღნიშნული ველის სიცარიელე დეკლარაციების თითქმის 95 პროცენტში. არასრული აღრიცხვა კი, ბუნებრივია, პრობლემას ქმნის სრულყოფილი ინფორმაციის მიღებაში. აღნიშნული ნაკლოვანება ხელისშემშლელი ფაქტორია ასევე, 25-ე და 26-ე პუნქტების რეალიზაციაში.

პუნქტი 37. მეტამონაცემების შედგენა და მათი გამოქვეყნება პირველ რიგში აამაღლებს ინფორმაციის მომხმარებლების მხრიდან ამა თუ იმ მაჩვენებლების შინაარსის, მისი სტრუქტურისა და გაანგარიშების მეთოდების შესახებ ცოდნას და მეორე მხრივ, სტატისტიკური სამსახურების მუშაობას უფრო ეფექტიანს გახდის.

პუნქტი 38. საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ხარისხის შეფასებისათვის გაეროს მიერ შემოთავაზებული მაჩვენებლები შეგვიძლია წარმოვადგინოთ უფრო დეტალურად. მათი გამოყენება საშუალებას იძლევა წარმოდგენა შეგვექმნას შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ხარისხზე და მათ შესაბამისობაზე თანამედროვე მოთხოვნებთან (დანართი №2):

არსებობს სტატისტიკური მონაცემების რამდენიმე ტიპი:

- ა) მიკრომონაცემები – მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ცალკეულ ოპერაციებს;
- ბ) მაკრომონაცემები – მონაცემები, მიღებული მიკრომონაცემების საფუძველზე მათი დაჯგუფებისა და აგრეგირების გზით. მაგალითად, როგორცაა ექსპორტის მონაცემები კონკრეტული სასაქონლო პოზიციის მიხედვით;
- გ) მეტამონაცემები – მონაცემები, რომლებიც განსაზღვრავენ ან აღწერენ მიკრომონაცემებს, მაკრომონაცემებს ან სხვა მეტამონაცემებს.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით გაიზარდა მეტამონაცემების შედგენისადმი საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება და ის იქცა ძირითად

მოთხოვნად სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების პარალელურად. ამის გამო უფრო დეტალურად შევეხეთ მეტამონაცემების თემას, როგორც მნიშვნელოვან საკითხს სტატისტიკურ პრაქტიკაში.

შეიძლება ითქვას, რომ მეტამონაცემები არის მონაცემები, რომლებიც აღწერენ სხვა მონაცემებს. ის ასრულებს ორ უმნიშვნელოვანეს საბაზისო ფუნქციას. პირველი მდგომარეობს სტატისტიკური საინფორმაციო სისტემის ობიექტსა და პროცესებს შორის კავშირებისა და შინაარსის უნიკალურ და ფორმალურ განსაზღვრებაში. მეორე მდგომარეობს ყველა შესაბამისი ტექნიკური პარამეტრის ჩამოყალიბებაში.

ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში სტატისტიკის შემუშავებისა და გავრცელების სფეროში ეფექტიანი სტრატეგიების განხორციელება შეიძლება იქცეს რთულად შესასრულებელ ამოცანად, რომელიც მოითხოვს ძალების მაქსიმალურად მობილიზებას. ასეთ პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციული ნაკადების ტრანსპარენტულ და კომპლექსურ აღწერას.

ამ მიზნისათვის უნდა ჩამოყალიბდეს სტატისტიკური მეტამონაცემების სისტემა. მის როლსა და მნიშვნელობას კარგად განსაზღვრავს ოფიციალური სტატისტიკის ათი პრინციპიდან ხუთი მათგანი (მეორე - ოფიციალური სტატისტიკისადმი სანდოობის უზრუნველყოფისათვის სტატისტიკურმა უწყებებმა პროფესიული ეთიკისა და სამეცნიერო პრინციპების გათვალისწინებით, უნდა მიიღონ გადაწყვეტილება სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მეთოდებსა და პროცედურებზე, მათ შენახვასა და გავრცელებაზე; მესამე - მონაცემთა სწორი ინტერპრეტაციის გამარტივებისათვის სტატისტიკურმა სამსახურებმა, სამეცნიერო სტანდარტების შესაბამისად, მომხმარებლებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მონაცემთა წყაროებზე, გამოყენებულ მეთოდებსა და მონაცემთა დამუშავების პროცედურებზე; მესამე - სტატისტიკური მიზნებისათვის ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს როგორც სტატისტიკური გამოკვლევის შედეგების, ისე ადმინისტრაციული წყაროდან მიღებული მონაცემები. სტატისტიკური სამსახურები ვალდებული არიან ინფორმაციის წყაროები შეარჩიონ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ხარისხი, დროულობა, დანახარჯები და დატვირთვა, რომელიც მოდის რესპონდენტზე; მეოთხე - სტატისტიკურ სისტემაში ურთიერთშეთანხმებულობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის, აუცილებელია სტატისტიკური საქმიანობით დაკავებულ უწყებებს შორის მძლავრი

კოორდინაცია ქვეყნის დონეზე (საქართველოში ასეთი კოორდინატორის როლი ეკისრება საქსტატს, ხოლო სტატისტიკურ სისტემაში შედის დამატებით ორი უწყება: საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო); მეცხრე – ყველა ქვეყანაში სტატისტიკური სამსახურების მიერ საერთაშორისო კონცეფციების, კლასიფიკაციებისა და მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს მთლიანი სტატისტიკური სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.) და საერთაშორისო სტატისტიკური საქმიანობის ხუთი პრინციპი (პირველი – ყველასათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო სტატისტიკის მაღალი ხარისხის მონაცემები წარმოადგენენ გლობალური საინფორმაციო სისტემების ძირეულ ელემენტს; მეორე – საერთაშორისო სტატისტიკის მონაცემებისადმი ნდობის უზრუნველყოფის მიზნით, მათი ხარისხობრივი გაუმჯობესების პროცესს უნდა ჰქონდეს შეუქცევადი ხასიათი და მკაცრად ეყრდნობოდეს ყველაზე მაღალ პროფესიულ სტანდარტებს; მეოთხე – საერთაშორისო სტატისტიკის მონაცემების დამუშავებისას გამოყენებული კონცეფციები, განსაზღვრებები, კლასიფიკაციები, წყაროები, მეთოდები და პროცედურები უნდა შეირჩეს პროფესიული სამეცნიერო ნორმების გათვალისწინებით და გასაგები უნდა იყოს მომხმარებლისათვის; მეხუთე – მონაცემთა წყაროები და მოპოვების მეთოდები შესაბამისად უნდა იყოს შერჩეული იმ მიზნით, რომ დაცული იყოს თავისდროულობა და ხარისხის სხვა ასპექტები, უზრუნველყოფილი იყოს ეფექტიანობა დანახარჯების მიხედვით და მონაცემთა მომწოდებლების მინიმალური დატვირთვა; მეშვიდე – სტატისტიკური მონაცემების არასწორი გაგების ან გამოყენების შემთხვევაში ოპერატიულად უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები გაუგებრობისა და უზუსტობის აღმოსაფხვრელად).

სტატისტიკური მეტამონაცემების სისტემამ (სმს) უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის როლი, რომელიც სტატისტიკურ სამსახურებს მისცემს საშუალებას განახორციელონ შემდეგი ფუნქციები:

1. სტატისტიკური წარმოების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება;
2. სამუშაო ოპერაციებისა და პროცესების მართვა, უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია;
3. მონაცემთა შეგროვების დოკუმენტირება, მათი შენახვა, შეფასება და გავრცელება;
4. მეთოდოლოგიური საქმიანობის მართვა, კონცეფციების, დეფინიციებისა და კლასიფიკაციების სტანდარტიზაცია და დოკუმენტირება;


5. სტატისტიკური ინფორმაციის საბოლოო მომხმარებლებთან კავშირის მართვა და მომხმარებელთა შეფასებების შეგროვება;
6. სტატისტიკურ მონაცემთა ხარისხისა და გამოყენებული მეთოდოლოგიის გამჭირვალობის დონის ამაღლება. სტატისტიკური საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მომხმარებლების უზრუნველყოფა მონაცემებით და მათი ხარისხის შეფასება. ამ მიზნით ეროვნულმა და საერთაშორისო სტატისტიკურმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს კრიტერიუმები: რელევანტურობა და სისრულე, შესადარისობა და კავშირი სტატისტიკურ კონცეფციებთან, სტატისტიკური შეფასების სიზუსტე, მონაცემთა გავრცელების დროულობა, მისი ხელმისაწვდომობა და სიცხადე;
7. სტატისტიკურ მონაცემთა წყაროების მართვა და რესპონდენტებთან თანამშრომლობა;
8. სტატისტიკურ სამსახურებსა და მომხმარებლებს შორის ინფორმაციის მოპოვებისა და გაცვლის პროცედურების სრულყოფა;
9. სტატისტიკური საინფორმაციო სისტემების სხვა ეროვნულ საინფორმაციო სისტემებთან ინტეგრაციის დონის ამაღლება. სტატისტიკური მიზნებისათვის ინფორმაციის ადმინისტრაციული წყაროების გამოყენებისადმი გაზრდილი მოთხოვნილება საჭიროებს სტატისტიკურ და ადმინისტრაციულ უწყებებს შორის უკეთეს კომუნიკაციას, ინტეგრაციას და მეტამონაცემების გაცვლას, რათა უზრუნველყოფილი იყოს გაცვლილ ინფორმაციებს შორის კავშირი და შესაბამისობა;
10. სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება საბოლოო მომხმარებელზე. მათთვის მნიშვნელოვანია სანდო ინფორმაცია მონაცემთა მოძიების, ნავიგაციისა და სწორი ინტერპრეტაციისათვის;
11. ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ინტეგრაციის გადრმავება. საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საკმაოდ გაზრდილია საკუთარი მეტამონაცემების ინტეგრირებულობის მოთხოვნა ეროვნული სტატისტიკური სამსახურების მეტამონაცემებთან იმ მიზნით, რომ სტატისტიკური ინფორმაცია იყოს უფრო მეტად შესადარისი და კონკურენტუნარიანი, და ასევე, მოახდინოს შეთანხმებული საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების დონის მონიტორინგი;

12. სტატისტიკური საინფორმაციო სისტემების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა, თანამშრომლებს შორის ცოდნის გაზიარება, რისკების მინიმიზაცია, რომელიც უკავშირდება თანამშრომელთა ფუნქციის შეცვლას ან მათ გათავისუფლებას სამსახურიდან;
13. სტატისტიკური საინფორმაციო სისტემების მართვის გაუმჯობესება, რომელიც ასევე მოიცავს ფუნქციების მართვას, კანონმდებლობის დაცვას, შესრულებადობას და მომხმარებელთა დაკმაყოფილებას;
14. სტატისტიკური ორგანიზაციისათვის საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შეფასების გამარტივება;
15. სტატისტიკური ტერმინოლოგიის უნიფიცირება იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს კავშირი და ურთიერთგაგება ხელმძღვანელებს, დიზაინერებს, დარგობრივ სტატისტიკოსებს, მეთოდოლოგებს, რესპონდენტებსა და სტატისტიკური სისტემის სხვა მომხმარებლებს შორის.

ქვემოთ მოცემული სქემა (სქემა №5) გვიჩვენებს სტატისტიკური მეტამონაცემების მომხმარებლების პოტენციურ ჯგუფებს.

**სქემა №5.**

**სტატისტიკური მეტამონაცემების მომხმარებელთა პოტენციური ჯგუფები**



მოცემული სქემის საფუძველზე ძალიან მარტვია დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, რომ სტატისტიკურ ინფორმაციას მომხმარებელთა ძალზე ფართო წრე ჰყავს და ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხარისხიანი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას, მისი გავრცელების დროულობას და შესაბამისი სრულყოფილი მეტამონაცემების არსებობას.

პუნქტი 39. სხვადასხვა ქვეყნის მონაცემთა ურთიერთშესადარისობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც საკუთარი მონაცემების სიზუსტისა და მონაცემთა დამუშავების მეთოდების საერთაშორისო მეთოდოლოგიასთან თავსებადობის შემოწმების თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ზუსტი ანალიზისა და ობიექტური დასკვნების გაკეთების კუთხით.

პუნქტი 42. ეხება მონაცემთა გავრცელების კალენდრის შემუშავებას, რომელშიც მოცემულია გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ერთი კვარტალის, ექვსი თვის ან ერთი წლის) გასავრცელებელი ინდიკატორების ჩამონათვალი და მათი გავრცელების თარიღები. მომხმარებელი წინასწარ არის ინფორმირებული ამა თუ იმ მაჩვენებლის გამოქვეყნების ზუსტ თარიღზე. ეს ხელს უწყობს პირველ რიგში სტატისტიკის სამსახურის სისტემურ ფუნქციონირებას. გარდა აღნიშნული რეკომენდაციისა, მონაცემთა გავრცელების ვადების განსაზღვრა და მათი დაცვა სავალდებულოა მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის (საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინიციატივა) წევრობით.

პუნქტი 43. საგარეო ვაჭრობის ექსპრეს-მონაცემების ოპერატიული გამოქვეყნება საქართველოში დაიწყო 2012 წლის იანვრიდან და ყოველთვიურად, საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-17 დღეს ხდება საგარეო ვაჭრობის აგრეგირებული მონაცემების შესახებ პრეს-რელიზის გავრცელება. აღნიშნული სამუშაოს შესრულება მოითხოვს მოკლე ვადებში დიდი მოცულობის ინფორმაციის ზუსტ დამუშავებას და საკადრო რესურსების უზარმაზარ დატვირთვას. გარდა ამისა, ცდომილება ექსპრეს მონაცემებსა და საანგარიშო თვის ბოლოს გამოსაქვეყნებელ დეტალურ ინფორმაციას შორის უნდა იყოს მინიმალური, რომ მომხმარებელმა არ დაკარგოს სტატისტიკური სამსახურის მიერ წარმოებული საქმისადმი ნდობა.

პუნქტი 46. ეხება სეზონურ შესწორებებს, რომელიც მოითხოვს სპეციალური მეთოდოლოგიის დამუშავებას. ამისათვის პირველ რიგში საჭირო იქნება ექსპერტების დახმარება და სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

პუნქტი 47. კავშირის დამყარება ბიზნეს რეგისტრსა და საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზებს შორის. ეს საკითხი დადგა დღის წესრიგში მომხმარებელთა მოთხოვნიდან გამომდინარე, რომ საგარეო ვაჭრობის მონაცემების დამუშავება მოხდეს ქვეყნის რეგიონების და დარგობრივ ჭრილში. თუმცა, აქ აუცილებლად წავაწყდებით შემდეგი სახის პრობლემას: საგარეო საგაჭრო ოპერაციებში მონაწილეობენ არა მხოლოდ იურიდიული, არამედ ფიზიკური პირებიც. საწარმოს ადგილმდებარეობის განსაზღვრა შესაძლებელია როგორც იურიდიული, ისე ფაქტიური მისამართის მიხედვით და რეგისტრში ასევე მარტივად მოიპოვება ინფორმაცია შესაბამისი იურიდიული პირის ძირითადი საქმიანობის შესახებ. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, რომლებიც მრავლად არიან წარმოდგენილნი საგარეო საგაჭრო გარიგებებში, რამდენადმე გართულებულია მათი ადგილმდებარეობის დადგენა და არ არსებობს მეთოდოლოგიური განმარტება ან ინსტრუქცია, რომელიც ზუსტ მიმართულებას მისცემს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას.

მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაცია ზოგადად არ არის მკაცრად განსაზღვრული გადაწყვეტილება ვალდებულების აღებისა და მისი შესრულების შესახებ, მაინც სასურველია, ქვეყანამ მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინოს აღნიშნული სიახლეების დანერგვა. ერთი მხრივ, ეს საშუალებას მოგვცემს, რომ უზრუნველყოთ სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებს შორის ურთიერთშესადარისობა. ხოლო მეორე მხრივ, ქვეყანას აიყვანს განვითარების იმ საფეხურზე, რომელიც მას მიანიჭებს ძლიერი სტატისტიკური სისტემის მქონე სახელმწიფოს სტატუსს.

## თავი II საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა, მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია

### 2.1 საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ზოგად მაჩვენებელთა სისტემა

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების შესწავლისას სტატისტიკის ძირითადი ამოცანებია: ექსპორტ-იმპორტის შესახებ შესაბამისი უწყებებიდან სტატისტიკური მასალის მოპოვება და დამუშავება, ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის, სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა და ანალიზი საერთაშორისო მეთოდოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, სტატისტიკურ მონაცემთა საერთაშორისო ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად სტატისტიკა ფართოდ იყენებს სტატისტიკის ზოგადი თეორიის უმნიშვნელოვანეს მეთოდებს, ისეთებს, როგორებიცაა: მასობრივი სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრისა და დაჯგუფების, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის, ინდექსებისა და სხვა.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა საკმაოდ მრავალფეროვანია.

საქონლის ექსპორტ-იმპორტის ცნება გულისხმობს ყველა იმ პროდუქციის მოძრაობას, რომლებზეც მფლობელის შეცვლა, ფაქტიურად ან პირობითად, ხდება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. საქონლის ფლობის უფლება ითვლება შეცვლილად, თუ ექსპორტიორი აღარ ასახავს მას, როგორც თავის ქონებას, აფიქსირებს მის გაყიდვას და შესაბამის ჩანაწერს აკეთებს თავის ფინანსურ ანგარიშებში. საწინააღმდეგო აღრიცხვას აწარმოებს იმპორტიორი.

საქონელზე მფლობელობის შეცვლისას, ჩვეულებრივ ხდება ამ საქონლის მიერ საზღვრის გადაკვეთა. ამასთან, არ არის გამორიცხული შემთხვევებიც, როდესაც საქონელი, იცვლის რა მფლობელს, არ გადაკვეთს საზღვარს, ან გადაკვეთს საზღვარს, მაგრამ არ იცვლის მფლობელს.

საქონელი, რომელიც არ გადაკვეთს საზღვარს, აისახება საგარეო ვაჭრობაში, თუ იგი იცვლის მფლობელს. ასეთ საქონელს მიეკუთვნება:

- გემები, საჰაერო ხომალდები, გაზისა და ნავთობის ჭაბურღილები და საექსპლუატაციო პლატფორმები;
- სასაზღვრე ორგანიზაციების ან საწარმოების მიერ მოხმარებული საქონელი;

- ეროვნული ეკონომიკის ეკიპაჟების მიერ დაჭერილი თევზი და ზღვის სხვა პროდუქტები, ან ზღვაზე გადარჩენილი საქონელი, რომელიც გაიყიდა უშუალოდ საზღვარგარეთ;
- ქვეყნის მთავრობის მიერ უცხოეთში ნაყიდი საქონელი, სხვა ქვეყანაში (ასევე უცხოეთში) თავისივე საკუთარი მოხმარებისათვის;
- იმპორტიორის მფლობელობაში გადასული, მაგრამ საზღვრის გადაკვეთამდე დაკარგული ან განადგურებული საქონელი.
- მოვაჭრეების ან სასაქონლო დილერების მიერ ხდება საქონლის შექმნა არარეზიდენტებისაგან და ასევე არარეზიდენტებზე მათი რეალიზაცია იმავე საანგარიშო პერიოდში. ამასთან, ასეთი საქონელი ფაქტიურად არ ხვდება იმ ქვეყნის ეკონომიკაში, რომლის რეზიდენტებსაც წარმოადგენენ მოვაჭრეები. ასეთ შემთხვევაში, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ახდენს მესაკუთრის ცვლილების იგნორირებას. ანალოგიურ რეკომენდაციას ითვალისწინებს საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელოც<sup>[7]</sup>.

საქონელი, რომელიც არ იცვლის მფლობელს, მიუხედავად იმისა, რომ იგი გადაკვეთს საზღვარს, არ აისახება საგარეო ვაჭრობის მოცულობაში (გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა). მათ მიეკუთვნება:

- სარემონტოდ განკუთვნილი საქონელი;
- საქონელი, რომელიც გაგზავნილია ექსპორტიორი ქვეყნიდან იმ მიზნით, რომ იგი შემდეგ თავდაპირველ მფლობელს უნდა დაუბრუნდეს და ამდენად იგი არ იცვლის მფლობელს (ანუ დროებითი ტვირთები);
- საექსპლუატაციო იჯარით მიღებული საქონელი, მაგალითად სარკინიგზო ვაგონები, კონტეინერები და ა.შ. ეკიპაჟის გარეშე, აგრეთვე ფილმების, ფირების, ფირფიტების და მსგავსი საქონლის გაქირავება;
- სატრანსპორტო მოწყობილობა, თევზსაჭერი ხომალდები, გაზისა და ნავთობის ჭაბურღილები და სხვა მოძრავი მოწყობილობა, რომელიც მოქმედებაში იქნება მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში;
- პირდაპირი სატრანზიტო ვაჭრობა;
- მოცემული ქვეყნის ტერიტორიიდან თავისივე, მაგრამ მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განლაგებული სამხედრო და დიპლომატიური დაწესებულებებისათვის საქონლის მიწოდება;

<sup>[7]</sup> SNA 2008 par. 14.60, BPM6 par. 207

- საქონელი, რომელმაც გადააკეთა საზღვარი, მაგრამ დაიკარგა ან განადგურდა, ვიდრე მიაღწევდა იმპორტიორამდე;
- საქონელი, რომლის ექსპორტირება ან იმპორტირება ხდება არა გაყიდვის მიზნით, არამედ გამოფენების, ბაზრობების ჩვენებების, რბოლების, წარმოდგენების და ა.შ. მოსაწყობად;
- კომერციული ღირებულების მქონე ნიმუშები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების სახესხვაობებია რეექსპორტი და რეიმპორტი.

საქონლის რეექსპორტი გულისხმობს საზღვარგარეთიდან ადრე იმპორტირებული საქონლის ექსპორტს მისი გადამუშავების გარეშე ან უმნიშვნელო გადამუშავების (დახარისხება, გასუფთავება, ხელახალი შეფუთვა და ა. შ.) შემდეგ.

რეექსპორტის საგანია უმეტესად ისეთი საქონელი, რომელიც საერთაშორისო აუქციონებსა და საფონდო ბირჟებზე იყიდება. რეექსპორტი შეიძლება განხორციელდეს მოცემულ ქვეყანაში შეტანის გარეშეც, ე.წ. თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში (პორტების ტერიტორიაზე, რომელიც არ იმყოფება მოცემული ქვეყნის საბაჟო იურისდიქციის ქვეშ).

საქონლის რეიმპორტი გულისხმობს უცხოეთში ადრე გატანილი ადგილობრივი წარმოების საქონლის უკან შემოტანას მისი გადამუშავების გარეშე ან უმნიშვნელო გადამუშავების შემდეგ.

რეიმპორტს მიეკუთვნება, ასევე, საქონლის დაბრუნება, რომელიც ადრე შუამავლის მიერ იყო გატანილი, მაგრამ მისი გასაღება ვერ მოხერხდა - დაწუნებულია მყიდველის მიერ, ან ადგილი აქვს სხვადასხვა სახის პოლიტიკურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რომლის შედეგად საზღვარზე გადაადგილებული საქონელი უკან ბრუნდება.

თუ საქონელი არ გაიყიდა აუქციონებზე, დაბრუნებულია საკონსიგნაციო (საქონლის საზღვარგარეთ გაყიდვის საკომისიო ფორმა) საწყობიდან - ეს მოძრაობაც რეიმპორტში აისახება.

მაგრამ საზღვარგარეთ ადრე გატანილი ისეთი საქონლის უკან შემოტანა, როგორცაა საგამოფენო ექსპონატები, დოღებში და სხვა წარმოდგენებში მონაწილე ცხოველები და ა.შ. რეიმპორტში არ აისახება. ასეთი ოპერაცია მიეკუთვნება დროებითი რეჟიმის სავაჭრო ოპერაციას და ის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღრიცხვას არ ექვემდებარება.

გარდა იმისა, რომ რეექსპორტი უნდა აისახოს ქვეყნის ექსპორტის და რეიმპორტი – იმპორტის სტატისტიკაში, გარკვეული ანალიტიკური მიზნებისათვის, რეკომენდებულია მათი ცალკე აღრიცხვაც. ეს მოითხოვს დამატებითი ინფორმაციის არსებობას რეექსპორტისა და რეიმპორტის წარმომავლობის განსაზღვრისათვის, რათა დაერწმუნდეთ, რომ ეს საქონელი ნამდვილად წარმოადგენს რეექსპორტს ან რეიმპორტს და არა საქონელს, რომლებმაც გადამუშავების შედეგად მიიღეს ეროვნული (ექსპორტის შემთხვევაში) ან უცხოური (იმპორტის შემთხვევაში) წარმოების საქონლის სტატუსი.

კიოტოს კონვენციის თანახმად, მოცემულ ქვეყანაში სრულად წარმოებულ საქონელს მიეკუთვნება შემდეგი პოზიციები:

- მინერალური პროდუქტები, რომლებიც მოპოვებულია ამ ქვეყნის საბადოებიდან, ტერიტორიული წყლებიდან ან მისი ზღვის ფსკერიდან;
- მცენარეული წარმოშობის პროდუქტები, მოყვანილი და აღებული მოცემულ ქვეყანაში;
- ცოცხალი ცხოველები, შობილი ან გამოზრდილი მოცემულ ქვეყანაში;
- პროდუქტი, მიღებული ცოცხალი ცხოველებიდან მოცემულ ქვეყანაში;
- პროდუქტი მიღებული მოცემულ ქვეყანაში ნადირობის ან თევზჭერის შედეგად;
- საწარმოო გადამუშავების შედეგად მიღებული ჯართი და ნარჩენები, ასევე, მოცემულ ქვეყანაში შეგროვილი უტილიზებული პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ნედლეულის მისაღებად;
- საქონელი, მიღებული უშუალოდ ამ ქვეყანაში წარმოებული პროდუქტებისგან.

იმ შემთხვევაში, როცა საქონლის წარმოებაში მონაწილეობს რამდენიმე ქვეყანა, წარმოშობის დასადგენად, კიოტოს კონვენციის თანახმად, გამოიყენება „არსებითი ტრანსფორმაციის კრიტერიუმი“. ამის მიხედვით, საქონლის წარმოშობის ქვეყნად ითვლება საბოლოო გადამუშავების ქვეყანა, სადაც მოხდა არსებითი გადამუშავება ან ისეთი სახის გადამუშავება, რომელმაც საქონელს მიანიჭა ძირითადი მახასიათებლები. ის შეიძლება განისაზღვროს საქონლის შემადგენლობაში გამოყენებული მასალის ღირებულების ან საქონლის დამატებული ღირებულების წილით.

ექსპორტ-იმპორტის ანუ საგარეო ვაჭრობის სალდო ეწოდება სხვაობას ექსპორტსა და იმპორტს შორის. ის შეიძლება იყოს აქტიური (+ ნიშნით), როცა

ექსპორტი აჭარბებს იმპორტს და პასიური (- ნიშნით), როცა საწინააღმდეგო შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

საგარეო ვაჭრობის სალდოს სხვაგვარად წმინდა ექსპორტს უწოდებენ.

საგარეო სავაჭრო ბალანსი გულისხმობს, რომ ექსპორტი უდრის იმპორტს ე.ი. წმინდა ექსპორტი უდრის ნულს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში მსგავს ბალანსს ფაქტიურად არ აქვს ადგილი.

როგორც ქვემოთ მოყვანილი ფორმულა გვიჩვენებს, წმინდა ექსპორტი არის შიდა შემოსავლის, უცხოეთის სახელმწიფოების შემოსავლისა და სავალუტო კურსის ფუნქცია:

$$NX = X - M,$$

$$NX = f(Y, Y_f, R)$$

სადაც,  $NX$  – არის წმინდა ექსპორტი;

$X$  – ექსპორტი;

$M$  – იმპორტი;

$Y$  – შიდა შემოსავალი;

$Y_f$  – უცხოეთის სახელმწიფოების შემოსავალი;

$R$  – სავალუტო კურსი.

წმინდა ექსპორტი სხვა ქვეყნების შემოსავლის პირდაპირპროპორციულია და შიდა შემოსავლებთან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია. შიდა შემოსავლის გაზრდისას იზრდება იმპორტი, ხოლო უცხოეთის სახელმწიფოს შემოსავლების გაზრდისას – ექსპორტი, რამდენადაც როგორც უცხოური, ისე ეროვნული ნაწარმის მოხმარება პირდაპირ უკავშირდება შემოსავლებს. მოცემულ ქვეყანაში სავალუტო კურსის შემცირება აუმჯობესებს წმინდა ექსპორტს, რადგან ვალუტა სუსტდება, ექსპორტი ნაკლებად ძვირი იქნება და შესაბამისად, უფრო კონკურენტუნარიანი სხვა თანაბარ პირობებში, ხოლო იმპორტი იქნება უფრო ძვირი. თუ სავალუტო კურსი იზრდება, მაშინ საგარეო სავაჭრო მდგომარეობა სუსტდება, წმინდა ექსპორტი მცირდება იქიდან გამომდინარე, რომ თავად ექსპორტი შემცირდება, ხოლო იმპორტი – გაიზრდება.

საგარეო სავაჭრო ბრუნვა ექსპორტისა და იმპორტის ჯამია ფულად ფორმაში გამოსახული კალენდარული დროის ამა თუ იმ მონაკვეთში.

დემპინგი წარმოადგენს საქონლის ექსპორტირებას სხვა ქვეყნების ბაზრებზე იმ ფასად, რომელიც ნაკლებია ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზრის ფასებზე, ან

საქონლის თვითღირებულებაზე. მისი მიზანია ბაზრის “დაპყრობა” ანუ ბაზარზე შეღწევა, პოტენციური კონკურენტების გამოდევნა და ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის დაკავება. მიღებული ზარალი დაიფარება შიდა ბაზარზე დაწესებული მაღალი ფასების ხარჯზე.

გენერალური ვაჭრობა გამოიყენება ექსპორტ-იმპორტის გასაანგარიშებლად საგარეო ვაჭრობის ე.წ. „ზოგადი“ სისტემით აღრიცხვის პირობებში. ის მოიცავს იმპორტში: საქონელს, შემოზიდულს მოცემულ ქვეყანაში გადასამუშავებლად და მოხმარებისათვის; საქონელს, რომელიც შემოზიდულია ქვეყანაში გადასამუშავებლად საბაჟო კონტროლით; საქონელს, შესყიდულს ქვეყნის საგარეო სავაჭრო ორგანიზაციების მიერ და მოწოდებულს უშუალოდ მესამე ქვეყნისათვის. ექსპორტში: მოცემულ ქვეყანაში წარმოებულ და სხვა ქვეყანაში გატანილ საქონელს; წინა პერიოდში მოცემულ ქვეყანაში საბაჟო კონტროლით გადასამუშავებლად შემოზიდულ და მიმდინარე პერიოდში გაზიდულ საქონელს (რეექსპორტი) და ა. შ.

საგარეო ვაჭრობაში არსებული ვითარების შესაფასებლად გაიანგარიშება ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორცაა საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობა. ეფექტიანობა ფართო ცნებაა და გულისხმობს მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღებას.

საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობა გვიჩვენებს, რომ გარკვეული ოდენობით შემოზიდულ პროდუქციაზე შესყიდვის, ტრანსპორტირების, დაზღვევისა და რეალიზაციის ხარჯები უფრო ნაკლებია, ვიდრე იმავე რაოდენობის მსგავსი პროდუქციის ადგილზე წარმოება-რეალიზაციის დანახარჯები იქნებოდა. იგი გაიანგარიშება ფორმულით:

$$\mathfrak{E}_{\text{სგ}} = \frac{\text{იმპორტის ხარჯები}}{\text{ექსპორტის ხარჯები}}$$

თუ ხარჯები იმპორტზე უფრო მცირეა, ვიდრე იმავე რაოდენობის საქონლის ექსპორტისთვისაა საჭირო, მაშინ ადგილი აქვს საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობას და პირიქით, თუ მრიცხველი მეტია მნიშვნელზე - მის წამგებიანობას.

რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით (დანართი №3) შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობა არაეფექტიანია, თუმცა აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ეფექტიანობის კოეფიციენტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც დადებით ფაქტს წარმოადგენს.

ქვეყანაში წარმოების განვითარება, მაღალკონკურენტული პროდუქციის წარმოება, საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზება და გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობების ოპტიმალური გამოყენება, პერსპექტივაში საქართველოში საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის ზრდას შეუწყობს ხელს.

პროფესორმა გ. ჯულაყიძემ მოგვცა საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის რენტაბელობის შემდეგი ფორმულირება: საგარეო ვაჭრობის რენტაბელობა განისაზღვრება იმპორტიდან მიღებული წმინდა ფულადი ნავაჭრის შეფარდებით მათ სრულ საექსპორტო ფულად დანახარჯებთან, გამოსახული პროცენტებში:

$$რ_{სგ} = (n_o/n_e) \times 100$$

სადაც,  $რ_{სგ}$  – საქონელბრუნვის რენტაბელობაა;

$n_o$  – ნავაჭრი თანხა იმპორტიდან;

$n_e$  – ფულადი ხარჯები ექსპორტზე.

ექსპორტისა და იმპორტის ეკონომიკური ეფექტიანობა გაიანგარიშება ცალკეული საქონლისათვის და შემდეგ ჯამდება, რადგან ერთი საქონლის ექსპორტი იმავე დროს შეიძლება არ დაფიქსირდეს იმპორტში, უმეტესწილად კი გამორიცხავს მას.

ექსპორტის ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელი არის საექსპორტო საქონლის საერთაშორისო ღირებულება (გამოსახული ვალუტაში) შეფარდებული საქონლის ეროვნულ ღირებულებასთან, რაც ასახავს შრომის დანახარჯებს მის წარმოებასა და ექსპორტზე:

$$m_e = m_e/n_e$$

სადაც,  $m_e$  – არის ექსპორტის ეფექტიანობა;

$m_e$  – ვალუტით ამონაგები, ნავაჭრი თანხა ექსპორტიდან (საერთაშორისო ღირებულება);

$n_e$  – შრომის ხარჯები საქონლის წარმოებასა და ექსპორტზე (ეროვნული ღირებულება).

იმპორტის ეკონომიკური ეფექტიანობა არის იმპორტირებული საქონლის ეროვნული ღირებულების შეფარდება საქონლის საერთაშორისო ღირებულებასთან, გამოსახული იმპორტზე სავალუტო დანახარჯებით:

$$m_i = n_o/m_i$$

სადაც,  $m_i$  – არის იმპორტის ეფექტიანობა;

**ხ<sub>ი</sub>** – ხარჯები იმპორტირებულ საქონელზე (ეროვნული ღირებულება);

**მ<sub>ი</sub>** – ვალუტის დანახარჯები იმპორტზე (საერთაშორისო ღირებულება).

ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გასაანალიზებლად და არსებული ტენდენციების შესაფასებლად მრავალი მაჩვენებელი გამოიყენება, რომლებიც ამავე დროს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციის ხარისხის (ეკონომიკის გახსნილობის) რაოდენობრივ ინდიკატორებს წარმოადგენენ.

### **საგარეო ვაჭრობის მოცულობა/მოსახლეობის რაოდენობა**

აღნიშნული მაჩვენებლით შესაძლებელია არა მარტო რომელიმე ქვეყნის, არამედ მისი ცალკეული რეგიონის, ეკონომიკის დარგისა და კონკრეტული პროდუქციის მიხედვით საკვლევი დონის შეფასება. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა როგორც ტერიტორიულ, ისე დარგობრივ და პროდუქციის სახეობათა ჭრილში განხილული, აღრიცხული და შედარებული იქნას საგარეო ეკონომიკური კავშირები, გამოვლინდეს რეზერვები და დაისახოს მომავლის პერსპექტივები. ეს ინდიკატორი გვიჩვენებს ერთ სულ მოსახლეზე საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის სიდიდეს.

ერთ სულ მოსახლეზე საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის სიდიდე წლიდან წლამდე განუხრელად იზრდება (დანართი №4), თუმცა მეორე მხრივ, საგარეო ვაჭრობის შემადგენელი კომპონენტების გაანალიზებით აშკარაა, რომ ზრდა ძირითადად იმპორტის ხარჯზე ხდება.

ეკონომიკური გახსნილობის მაჩვენებლებს მიეკუთვნება ექსპორტისა და იმპორტის პროცენტული წილი მშპ-ში ანუ ექსპორტისა და იმპორტის ქვოტები:

$$E_j = \frac{e}{GDP} \times 100\%,$$

სადაც, **E<sub>j</sub>** – ექსპორტის ქვოტა;

**e** – ექსპორტის მოცულობა.

ეკონომიკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი ჩაითვალოს მისაღებად, თუ **E<sub>j</sub> = 10%**.

1996-2011 წლების დინამიკაში ექსპორტის ქვოტის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველოში 1998 წელს დაფიქსირდა და 5.3 პროცენტი შეადგინა

(დანართი №5), რაც მისაღებ დონესთან შედარებით თითქმის ორჯერ დაბალია. 2000 წლისთვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა მისაღებ დონეს გადააჭარბა და 10.6 პროცენტი შეადგინა, თუმცა 2001 წელს კვლავ დაეცა რამდენიმე ნიშნულით. 2002 წლიდან ექსპორტის ქვოტა საქართველოში განუხრელად იზრდებოდა, მაქსიმალურ მნიშვნელობას 2011 წელს მიაღწია და 15.2 პროცენტი შეადგინა. მაშასადამე საქართველოს ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი მისაღებ დონეს 5.2 პროცენტით აჭარბებს.

ექსპორტის მაღალი ქვოტა საგარეო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ეროვნული საქონლის გაჯერებულობას ნიშნავს. ზემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბოლო წლებში ქართული წარმოების საქონელი საერთაშორისო ბაზრებზე პოზიციებს იმყარებს და კონკურენტუნარიანი ხდება.

საერთაშორისო გაცვლაში მონაწილეობის ხარისხსა და ეროვნული ბაზრის გაჯერებულობას ახასიათებს სტატისტიკური მაჩვენებელი – იმპორტის ქვოტა:

$$იქ = \frac{ო}{მშპ} \times 100\%,$$

სადაც,  $იქ$  – იმპორტის ქვოტაა;

$ო$  – იმპორტის მოცულობა.

აღნიშნული მაჩვენებელი შეიძლება დადგინდეს მთლიანად ეკონომიკის მიხედვით, ასევე ცალკეული რეგიონის, დარგისა და სასაქონლო ჯგუფის დონეზე.

მსოფლიო სავაჭრო პროცესებში საქართველოს მონაწილეობის ხარისხი 1996 წლიდან დღემდე გაორმაგდა და 2011 წელს 49.1 პროცენტი შეადგინა (დანართი №6). აღნიშნული ინდიკატორი ასევე გვიჩვენებს, რომ შიდა ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული საქონლით.

უფრო კომპლექსურ მაჩვენებელთა რიცხვს მიეკუთვნება საგარეო ვაჭრობის ქვოტა:

$$სვქ = \frac{სგ}{მშპ} \times 100\%$$

სადაც,  $სვქ$  – საგარეო ვაჭრობის ქვოტაა;

$სგ$  – საგარეო სავაჭრო ბრუნვა.

თუმცა, ამ მაჩვენებელს გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებები. მაგალითად, უნდა აღინიშნოს შემდეგი: გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ვაჭრობის

გახსნილობის შესაფასებლად საჭიროა გაანალიზდეს მთელი რიგი ფაქტორები, მათ შორის საიმპორტო და საექსპორტო ტარიფები, არასავაჭრო ბარიერები, სავალუტო პოლიტიკა, ადგილობრივი გადასახადები და სუბსიდიები, კონკურენციული და რეგულირების ინსტრუმენტები, განათლებისა და ეკონომიკური პოლიტიკა, სამართლებრივი სისტემა, ასევე კულტურული და ინსტიტუციონალური საკითხები. ა. კრუგერი ამტკიცებს, რომ გახსნილობა უნდა უკავშირდებოდეს რეფორმებს და ჯანსაღ ეკონომიკურ პოლიტიკას ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით და მათ შორის ანტიკორუფციულ ღონისძიებებს. საერთო ჯამში, გახსნილობა სასარგებლოა პოლიტიკური მეთოდების ერთიანობისათვის, რომელთა მიზანია საბაზრო კონკურენციის შექმნა და ეფექტიანობის ამაღლება, ასევე, გამჭვირვალობისა და დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფა. ამ მიდგომას ეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ბოლო რეკომენდაციებიც.

სასარგებლო იქნება ჩამოვყალიბოთ გახსნილობის შეფასების რა კრიტერიუმებია გამოყენებული თანამედროვე კვლევებში (დანართი №7)<sup>[8]</sup>.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ემპირიული კვლევების უმრავლესობა ეკონომიკის გახსნილობის ძირითად მახასიათებლად იყენებს ვაჭრობის მოცულობის შეფარდებას მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ). თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს მოსაზრება, რომ მხოლოდ ვაჭრობის (ექსპორტი + იმპორტი) მოცულობის პროპორცია მშპ-თან სრულად ვერ ასახავს ეკონომიკურ ზრდაზე ვაჭრობის გავლენის დინამიკას, მაგრამ მკვლევარები სტატისტიკაზე ხელმისაწვდომობის გამო უპირატესობას მაინც ამ მაჩვენებელს ანიჭებენ.

განვიხილოთ მაჩვენებელი, რომელიც მარტივად შეიძლება დავახასიათოთ, როგორც იმპორტის წილი საქონელბრუნვაში (დანართი №8):

**(იმპორტის მოცულობა/საქონელბრუნვის მოცულობა) X 100 %.**

მის გათვალისწინებას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედებას ასახავს. ამ მაჩვენებლის მაღალი დონე ეროვნული წარმოების განუვითარებლობაზე მიგვანიშნებს, რაც პერსპექტივაში შესაძლოა საშიში გახდეს.

<sup>[8]</sup> Rodrigues, F. and Rodrik, D. op. cit

მიუხედავად იმისა, რომ იმპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 2008 წლიდან კლების ტენდენციით ხასიათდება, ის მაინც ფართო მასშტაბებს აღწევს და ეროვნულ ეკონომიკას არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს.

როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკის გახსნილობა იზომება იმპორტისა და ექსპორტის ქვოტებით, მაგრამ ეს ძალიან გამარტივებული მიდგომაა და არ ასახავს კავშირს ეკონომიკურ პოლიტიკასთან.

აღნიშნულის ალტერნატიული მიდგომაა ინსტიტუციონალური გახსნილობის კონცეფცია, რომლის თანახმად ქვეყანა ითვლება უფრო გახსნილად (ე.ი. საგარეო ვაჭრობა უფრო განვითარებულია), თუ ეროვნული სავაჭრო აგენტები საგარეო ბაზარზე გასვლისას ნაკლები რაოდენობის შეზღუდვას ეჯახებიან. რაოდენობრივად იგი იზომება შემდეგი შესაბამისობით:

$$IO = \frac{T + S + Q + F + L}{E + M}$$

- სადაც, **IO** - ინსტიტუციონალური გახსნილობის ხარისხია;
- T** - არაპირდაპირი გადასახადები;
- S** - სავაჭრო სუბსიდიები;
- Q** - რაოდენობრივი შეზღუდვების სატარიფო ექვივალენტი;
- F** - სავალუტო შეზღუდვები;
- L** - სალიცენზიო შეზღუდვები;
- E** - ექსპორტი;
- M** - იმპორტი.

ამ მაჩვენებლის რაოდენობრივი გაზომვა საკმაოდ რთულია.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში საექსპორტო და საიმპორტო ნაკადების რაოდენობრივი დახასიათებისათვის აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის სტატისტიკური სიდიდეები: აბსოლუტური, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეები, ასევე, ვარიაციის მაჩვენებლები, კერძოდ, დისპერსია და ვარიაციის კოეფიციენტი. უნდა აღინიშნოს რომ ბოლო ორი მაჩვენებლის გაანგარიშება საგარეო ვაჭრობის ინდექსების აგებისას უპირობო აუცილებლობას წარმოადგენს.

საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის მოცულობას ახასიათებს ექსპორტისა და იმპორტის ჯამი გამოსახული ფულად ფორმაში. იგი საგარეო ვაჭრობის ღირებულებითი მაჩვენებელია. საქონელბრუნვაში ჩაირთვება მხოლოდ ის საქონელი, რომელსაც ნივთობრივი ფორმა გააჩნია.

საგარეო ვაჭრობის სტრუქტურას ახასიათებს ექსპორტისა და იმპორტის მიმართულება გეოგრაფიული, შემადგენლობა საქონლის სახეების, გაყიდვის ფორმებისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

ექსპორტისა და იმპორტის დინამიკის გასაზომად გამოიყენება სვადასხვა შეფარდებითი მაჩვენებლები, მათ შორის, ეკონომიკური ინდექსების სისტემა, რომელიც მოიცავს ღირებულებით, ფასებისა და ფიზიკური მოცულობის ინდექსებს.

დინამიკაში ამა თუ იმ ინდიკატორის ცვლილებას ზომავს ზრდის ტემპის მაჩვენებელი და პრაქტიკაში ყველაზე ხშირად მიმართავენ ჯაჭვური ზრდის ტემპის გაანგარიშებას შემდეგი ფორმულით:

$$K_t = \frac{y_{t+1}}{y_t} \times 100$$

სადაც,  $K_t$  - ჯაჭვური ზრდის ტემპია,

$y_{t+1}$  - საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელია,

$y_t$  - საანგარიშო პერიოდის წინა დონის მაჩვენებელია.

მაგრამ იმის გამო, რომ დინამიკაში მაჩვენებლის განვითარება განიცდის რყევებს, ზოგჯერ რთულია ზოგადი ტენდენციის გამოვლენა. ამისათვის სტატისტიკაში ანგარიშობენ საშუალოწლიური ზრდის ტემპებს შემდეგი ფორმულით:

$$\bar{K} = \frac{\sum y - y_1}{\sum y - y_n} \times 100$$

სადაც,  $\bar{K}$  - საშუალო წლიური ზრდის ტემპია,

$\sum y$  - დინამიკური მწკრივის დონეების ჯამია,

$y_1$  - დინამიკური მწკრივის პირველი დონეა,

$y_n$  - დინამიკური მწკრივის ბოლო დონეა.

მართალია, ეს ფორმულა მსოფლიო სტატისტიკაში 1930-იანი წლებიდან ცნობილია, როგორც შედარებით არაზუსტი მაჩვენებელი, მაგრამ გასაანგარიშებლად ყველაზე მარტივი ტოლობა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, შედეგები ზოგად საშუალო ტენდენციას მაინც კარგად ასახავენ.

რაც შეეხება ინდექსების სისტემას, მათი აგების მეთოდოლოგიას დეტალურად განვიხილავთ მომდევნო ქვეთავში.

## 2.2 საერთაშორისო ფასები და ინდექსების სისტემა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში

ზოგადად ინდექსები გვიჩვენებს მოვლენების განვითარებას დროსა და სივრცეში. თუ მოვლენებს, ამ შემთხვევაში ექსპორტისა და იმპორტის საქონელბრუნვას, განვიხილავთ დროში, კერძოდ წლების მიხედვით, ინდექსები გვექნება ინდივიდუალური, ჯგუფური და საერთო ანუ აგრეგატული.

საგარეო ვაჭრობის დინამიკაზე დიდ გავლენას ახდენს ფასების ცვლილება. აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება ექსპორტის (იმპორტის) მოცულობის შესწავლა შესაძარ ფასებში და შესაბამისად, მისი ფიზიკური მოცულობისა და ფასების ინდექსების გაანგარიშება.

აღნიშნული ინდექსები გაიანგარიშება როგორც ცალკეული საქონლის, ისე სასაქონლო ჯგუფებისა და მთლიანად ექსპორტის (იმპორტის) მიხედვით „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის“ სექციების, ჯგუფების, ცალკეული სასაქონლო პოზიციების (ოთხთანრიგიანი კოდის), ქვეპოზიციების (ექვსთანრიგიანი კოდის), სუბპოზიციების (ცხრათანრიგიანი კოდის) და ქვესუბპოზიციის (თერთმეტთანრიგიანი კოდის) შესაბამისად. თანამედროვე ეტაპზე ექსპორტის (იმპორტის) ფიზიკური მოცულობისა და ფასების ინდექსების გაანგარიშების მეთოდოლოგია ითვალისწინებს ინდექსების გაანგარიშებას მაქსიმალურად დეტალიზებულ დონეზე და მის აგრეგირებას საფეხურეობრივად ზედა დონეებზე. ინფორმაციის გასავრცელებლად მიღებულია საგარეო ვაჭრობის ინდექსების გამოქვეყნება მხოლოდ სექციის დონეზე.

საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებებიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებულია საგარეო ეკონომიკური კავშირების არასტაბილურობასთან და ფასების მკვეთრ ცვლილებებთან, მეთოდოლოგია მიზანშეწონილად მიიჩნევა ჯაჭვური ინდექსების გაანგარიშებას, რის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია საბაზისო ინდექსების გაანგარიშება.

საგარეო ვაჭრობის ფიზიკური მოცულობის ინდექსი **I<sub>ექსპ/იმპ</sub>** ახასიათებს საქონლის ექსპორტის (იმპორტის) ფიზიკური მოცულობის ცვლილებას მოცემულ პერიოდში წინა პერიოდთან შედარებით, ამავე პერიოდის ფასების ცვლილების ელიმინირების პირობებში. იგი გაიანგარიშება ეტაპობრივად, ჯგუფებისა და სექციების მიხედვით გაანგარიშებული ინდექსების საფუძველზე.

ცალკეული სახის საქონლის (სასაქონლო პოზიციების მიხედვით) ფიზიკური მოცულობის ცვალებადობას ექსპორტში (იმპორტში) გვიჩვენებს ფიზიკური მოცულობის ინდივიდუალური ინდექსი, რომელიც გაიანგარიშება ფორმულით:

$$i_q = \frac{q_1}{q_0}$$

სადაც,  $i_q$  – ამა თუ იმ კონკრეტული საქონლის ფიზიკური მოცულობის ინდექსია;

$q_1$  და  $q_0$  – მოცემული (ცალკეულ სასაქონლო პოზიციაში გაერთიანებული) საქონლის ფიზიკური მოცულობაა შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

სასაქონლო პოზიციების მიხედვით გაანგარიშებული ინდექსების საფუძველზე ხდება ექსპორტის (იმპორტის) ფიზიკური მოცულობის ჯგუფური ინდექსების გაანგარიშება. ე.ი. თუ გვაქვს არა ერთი სახეობის საქონელი, არამედ საქონლის ჯგუფები, მაშინ ფიზიკური მოცულობის დინამიკა ექსპორტში (იმპორტში) გაიზომება ჯგუფური ინდექსით:

$$I_{q_{\text{ჯგ}}}} = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \frac{\sum i_q q_0 p_0}{\sum q_0 p_0}$$

სადაც,  $q_1 p_0$  - არის ცალკეული სასაქონლო პოზიციების მიხედვით ექსპორტირებული (იმპორტირებული) პროდუქციის მოცულობა საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდის ფასებით;

$q_0 p_0$  - საბაზისო პერიოდში ექსპორტის (იმპორტის) საერთო მოცულობაა ამავე პერიოდის ფასებით.

ჯგუფური ინდექსებიდან გამომდინარე გაიანგარიშება ექსპორტის (იმპორტის) ფიზიკური მოცულობის ინდექსები სექციების დონეზე შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$I_{q_{\text{სექც.}}} = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \frac{\sum I_{q_{\text{ჯგ.}}} q_0 p_0}{\sum q_0 p_0} .$$

საგარეო ვაჭრობის ფიზიკური მოცულობის საერთო ანუ აგრეგატული ინდექსი გაიანგარიშება სექციების მიხედვით გაანგარიშებული ინდექსების საფუძველზე:

$$Iq_{\text{ექსპ/იმპ}} = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \frac{\sum Iq_{\text{სექტ.}} q_0 p_0}{\sum q_0 p_0}$$

ექსპორტის (იმპორტის) საერთო ანუ აგრეგატული ინდექსი  $Iq$  გაიზომება საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის შეფარდებით საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვასთან:

$$Iq = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$$

სადაც,  $p_1$  და  $p_0$  - საქონლის ერთეულის ფასია შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

როგორც ვხედავთ, საქონელბრუნვის საერთო ინდექსი ასახავს ორი ფაქტორის - საქონლის ფიზიკური მოცულობისა და საქონლის ერთეულის ფასის - ზემოქმედების შედეგს.

საქონელბრუნვის მხოლოდ ფიზიკური მოცულობის გავლენას ასახავს ფიზიკური მოცულობის ინდექსი  $Iq$ :

$$Iq = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} \quad (\text{დასპეირესი})$$

საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი შეგვიძლია გავიანგარიშოთ აგრეთვე, საქონლის ფიზიკური მოცულობის ინდივიდუალური ან ჯგუფური ინდექსებისა და საქონელბრუნვის მოცულობის საფუძველზე, რასაც ეწოდება საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის საშუალო არითმეტიკული ინდექსი:

$$Iq_{\text{საშ.შეწ.}} = \frac{\sum i q q_0 p_0}{\sum q_0 p_0}$$

სადაც,  $i q$  - საქონლის ფიზიკური მოცულობის ინდივიდუალური ან ჯგუფური ინდექსებია;

$q_0 p_0$  - წონა, ანუ ცალკეული სახის საქონლის მიხედვით საქონელბრუნვაა საბაზისო პერიოდში.

თუ საშუალო არითმეტიკულ ინდექსში ჩავსვამთ  $i q$ -ს მნიშვნელობას, მაშინ მივიღებთ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსს:

$$Iq = \frac{\sum \frac{q_1 q_0 P_0}{q_0}}{\sum q_0 P_0} = \frac{\sum q_1 P_0}{\sum q_0 P_0}$$

საერთო ანუ აგრეგატიული ინდექსი წარმოადგენს სამი ინდექსის ურთიერთკავშირს: ღირებულების (**Iqp**), ფასებისა (**Ip**) და ფიზიკური მოცულობის (**Iq**). მათი ურთიერთკავშირი ასე გამოისახება:

$$Iqp = Iq \times Ip$$

ფორმალიზებული სახით ინდექსების აღნიშნული ურთიერთკავშირი გამოისახება შემდეგი მულტიპლიკაციური მოდელით:

$$\frac{\sum_{i=1}^n q_{i1} P_{i1}}{\sum_{i=1}^n q_{i0} P_{i0}} = \frac{\sum_{i=1}^n q_{i1} P_{i0}}{\sum_{i=1}^n q_{i0} P_{i0}} \times \frac{\sum_{i=1}^n P_{i1} q_{i1}}{\sum_{i=1}^n P_{i0} q_{i1}}$$

- სადაც, **q<sub>i1</sub>** და **q<sub>i0</sub>** – შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში *i* –ური საქონლის მოცულობაა;
- p<sub>i1</sub>** და **p<sub>i0</sub>** - შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში *i*–ური საქონლის ფასია;
- n** - ჯგუფში საქონლის რაოდენობაა.

საგარეო ვაჭრობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი მომენტია ფასწარმოქმნა, რადგან ფასებმა უნდა უზრუნველყონ მძაფრი კონკურენციის პირობებში საქსპორტო საქონლის წარმატებული რეალიზაცია, რეალური შემოსავალი და შესაბამისად, მოგების მატება. ფასების არსებობა დაკავშირებულია საქონლის ფულად ფორმაში გამოსახვის აუცილებლობასთან. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა სწავლობს საგარეო ვაჭრობის ფასების დონეს, მათ დინამიკას წლების მიხედვით და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების გავლენის ხარისხს.

საგარეო ვაჭრობის ფასების დონე განისაზღვრება სავაჭრო გარიგებებით. საკონტრაქტო ფასების დადგენისას ექსპორტიორები და იმპორტიორები ითვალისწინებენ მსოფლიო ფასების დონეს. საქონლის მსოფლიო ფასის ქვეშ იგულისხმება ბაზარზე რეალიზებული საქონლის საერთაშორისო ღირებულების ფულადი გამოხატულება. მსოფლიო ფასები გამოიყენება რეგულარული ხასიათის

მსხვილი კომერციული საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების განსახორციელებლად.

გარდა მსოფლიო ფასისა, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩამოყალიბდა ფასების შემდეგი სახეები:

1. ჩვეულებრივი კომერციული გარიგების ფასები კონვერტირებად, ნაწილობრივ კონვერტირებად და არაკონვერტირებად ვალუტაში ანგარიშსწორებით;
2. კლირინგული შეთანხმების ფასები;
3. დახმარების პროგრამების ფარგლებში არსებული და სხვა სპეციალური ოპერაციების ფასები;
4. ტრანსფერტული ფასები, რომლითაც ხორციელდება შიდაკორპორაციული ოპერაციები.

ფასების ასეთი სიმრავლის პირობებში მსოფლიო ფასად შეიძლება ჩაითვალოს ის ფასი, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს: ადგილი აქვს მსხვილ კომერციულ გარიგებას, რომელიც ითვალისწინებს განცალკევებულ საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებს; ანგარიშსწორება წარმოებს კონვერტირებად ვალუტაში; გარიგებები განხორციელებულია საერთაშორისო ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში.

კონკრეტული საქონლის ფასებიდან მსოფლიო ფასად შეიძლება ჩაითვალოს ნედლეულის ძირითადი მწარმოებლის ფასები, აგრეთვე დასავლეთ ევროპის ბაზრების საიმპორტო და უმსხვილესი ბირჟების ფასები. მაგალითად, ბეწვეულისათვის ესაა ნიუ-იორკისა და ლონდონის აუქციონები, ალუმინისათვის – კანადის საექსპორტო ფასები, კაუჩუკისათვის – სინგაპურის ბირჟის ფასები და ა.შ.

მსოფლიო ფასების დონისა და დინამიკის შესახებ ინფორმაციის მისაღებად წარმოებს ფასების გამოქვეყნება. ისინი შემდეგი სახისაა: საცნობარო, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის, საბირჟო კოტირების, აუქციონების, ფაქტობრივი გარიგებისა და კონტრაქტების ფასები. ამ უკანასკნელის გამოქვეყნება იშვიათად ხდება, ამიტომ მათი გამოყენება მსოფლიო ფასების დინამიკის ანალიზში გართულებულია. თავის მხრივ, ეს ფასები შეიძლება იყოს: მოძრავი, მყარი, მომავალი პერიოდის მიხედვით ფიქსირებული და მცოცავი.

რაც შეეხება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ფასებს, ისინი ასახავენ საერთაშორისო ვაჭრობაში რეალური გარიგებების ფასებს. მათი გაანგარიშება წარმოებს ექსპორტის ან იმპორტის ღირებულების საქონლის რაოდენობაზე

გაყოფით. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ფასები არა კონკრეტული საქონლის, არამედ ერთი პოზიციის საქონლის ფასია. ისინი საკმაოდ სრულად ასახავენ როგორც ცალკეული ქვეყნების საექსპორტო ფასებს, ისე მსოფლიო ფასების დინამიკას. მათ საფუძველზე ხდება საშუალო ფაქტობრივი ფასების ან ე.წ. ხვედრითი ფასების ინდექსების გაანგარიშება. ეს ინდექსები ქვეყნდება ქვეყნების ეროვნულ სტატისტიკასა და გაეროს სტატისტიკაში. თუმცა, საქართველოში საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშება დღემდე არ ხორციელდება.

საგარეო ვაჭრობის ფასების დონე განისაზღვრება, აგრეთვე, მიწოდების ბაზისის მიხედვით. მის ქვეშ იგულისხმება საქონლის მიღება-ჩაბარების გეოგრაფიული ადგილი, სადაც საქონელზე საკუთრების უფლება გამყიდველიდან გადადის მყიდველზე.

მსოფლიო საგარეო ვაჭრობის პრაქტიკაში გავრცელებულია საკონტრაქტო ფასების დადგენა სხვადასხვა ბაზისზე. მათ შორის გვაქვს ფრანკო საზღვარი ან მიმღების პორტი. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ღირებულების გარდა ფასები მოიცავს ან გაგზავნის პორტში გემის პორტამდე საქონლის გადაზიდვის ან კიდევ დანიშნულების პორტამდე მიტანის ხარჯებს. საქონელბრუნვის დონისა და დინამიკის შესადარისობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა საბაზისო საკონტრაქტო ფასები გადაიყვანება მიწოდების ერთიან ბაზისში. პრაქტიკულად ფასები გადაიყვანება გამგზავნის ან მიმღების ფრანკო-საზღვრის საბაზისო ფასში, რაც საგარეო ვაჭრობის ღირებულებით მანქვენებლებს ურთიერთშესადარისს ხდის.

კონტრაქტის გაფორმებისას, განსაკუთრებით საერთაშორისო მასშტაბით საქმიანობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია საქონლის მიწოდების პირობების ზუსტად განსაზღვრა და მათი შესრულება. ძირითადად საკითხი ეხება საქონლის ტრანსპორტირების პროცესს, მასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და რისკს (საქონლის გაფუჭება, დაკარგვა, დაზიანება და სხვა). ეს ხარჯები ძალზე მრავალფეროვანია და ზოგჯერ საქონლის ფასის 40-50%-ს შეადგენს. მასში ერთიანდება: საქონლის გასაგზავნად მომზადების (რაოდენობისა და ხარისხის შემოწმება, ნიმუშების შერჩევა და შეფუთვა) ხარჯები, ტრანსპორტირების, დაზღვევისა და საბაჟო გადასახადების ხარჯები და სხვა.

საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის დადებისას ყველა ქვეყნის კომერსანტი ხელმძღვანელობს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული საქონლის მიწოდების საბაზისო პირობებით, რომელიც ცნობილია „INCOTERMS“-ის სახელწოდებით.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის პრაქტიკაში გამოიყენება საბაზისო პირობების 15 ძირითადი ტიპი (დანართი №9).

საბაზისო პირობებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია FOB (ექსპორტის დროს) და CIF (იმპორტის შემთხვევაში) პირობები. გამყიდველი ორივე შემთხვევაში იხსნის პასუხისმგებლობას საქონლის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანებისაგან.

სსფ-სა და გაეროს სტანდარტების შესაბამისად, საექსპორტო ოპერაციების შეფასება ხდება საბაზრო ფასებით.

საბაზრო ფასი არის ის თანხა, რომელსაც მყიდველი უხდის გამყიდველს გარკვეული სახის საქონლის შეძენის მიზნით.

საბაზრო ფასი ექსპორტ-იმპორტზე წარმოადგენს საქონლისათვის არარეზიდენტისაგან ფაქტიურად მიღებულ (ექსპორტის შემთხვევაში) ან არარეზიდენტისათვის ფაქტიურად გადახდილ (იმპორტის შემთხვევაში) ღირებულებას. იგი მოიცავს შესაბამისი საქონლისა და ასევე, იმ მომსახურების ღირებულებას, რომელიც დაკავშირებულია მოცემული საქონლის ტრანსპორტირებასთან, დაზღვევისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე მისი დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯების ჩათვლით. საქონლის ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული მომსახურების ანაზღაურების პირობებიდან გამომდინარე, საბაზრო ფასის სტრუქტურა ექსპორტზე და იმპორტზე განსხვავებულია.

საბაზრო ფასი, რომლითაც ხდება ექსპორტის შეფასება, მოიცავს შესაბამისი პროდუქციის ღირებულებას და ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე მისი დატვირთვის ხარჯებს და ცნობილია FOB – ფასის სახელწოდებით.

საბაზრო ფასი, რომლითაც ფასდება იმპორტი გარდა FOB – ფასისა, მოიცავს საერთაშორისო ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს და ცნობილია CIF – ფასის სახელწოდებით.

ექსპორტისა და იმპორტის ფასების აღნიშნული სტრუქტურა მარტივად შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი სქემის სახით (სქემა №6):

სქემა №6.

ექსპორტისა (FOB) და იმპორტის (CIF) ფასების სტრუქტურა

საქონლის ღირებულება	ტრანსპორტირების ხარჯები	ბორტზე საქონლის დარვირთვის ხარჯები		
<b>FOB</b>			საერთაშორისო ფრახტი	დაზღვევა
<b>CIF</b>				

საქონლის უმეტესობა, რომლის შესახებაც წარმოებს საერთაშორისო სავაჭრო სტატისტიკა, საზღვარს გადაკვეთს წინასწარ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, რომელიც სხვა მაჩვენებლებთან ერთად მოიცავს ინფორმაციას საქონლის ფასის შესახებ. შეთანხმების ფასი ხშირად არ ასახავს საქონლის მოძრაობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ან სტატისტიკოსებს ხელი არ მიუწვდებათ ყველა სახის დანახარჯების მომცველ ინფორმაციაზე. ამგვარად, არსებობს საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციები, რომლებიც განსაკუთრებულ სირთულეს ქმნიან ასეთი სახის საქონლის სრული ღირებულების განსაზღვრაში. ზოგიერთ შემთხვევაში სავაჭრო ოპერაციები დაკავშირებული არ არის ვალუტის მოძრაობასთან ან სავაჭრო კრედიტებთან. თუმცა ყველა საქონლის ღირებულების დადგენა უნდა წარმოებდეს საქონლის ღირებულების განსაზღვრის შესახებ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების შესაბამისად. გარდა ამისა, ქვეყნებმა უნდა ისარგებლონ შემდეგი რეკომენდაციებით:

- ა) მიმოქცევაში არმყოფი ბანკოტების, ფასიანი ქაღალდებისა და მონეტების ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს საბეჭდი ქაღალდის წარმოების ან დაბეჭდილი მასალის ღირებულების და არა მათი ნომინალური ღირებულების საფუძველზე;
- ბ) ისეთი საქონლის ღირებულება, რომელიც გამოიყენება, როგორც ინფორმაციის მატარებელი და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალება, როგორცაა მაგალითად: დისკეტებისა და კომპაქტ-დისკების (CD-ROM) დაფასოებული კომპლექტები მათზე ჩაწერილი კომპიუტერული პროგრამებით ან/და მასობრივი ან კომერციული გამოყენების მონაცემებით (მაგრამ წარმოებული არა ინდივიდუალური შეკვეთის საფუძველზე), უნდა განისაზღვროს მათი სრული

ღირებულებით და არა ცარიელი დისკეტების, კომპაქტ-დისკების, ქალაღდის ან სხვა მასალის ღირებულებით;

გ) გადასამუშავებლად განკუთვნილი და გადამუშავების შედეგად მიღებული საქონლის ღირებულება უნდა განისაზღვროს მათი მთლიანი ღირებულების საფუძველზე გადამუშავებამდე და მის შემდეგ;

დ) სარემონტოდ განკუთვნილი საქონლის ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს უშუალოდ რემონტის ღირებულების საფუძველზე. მასში იგულისხმება გაწეული სამუშაოებისა და შეცვლილი დეტალების ღირებულება.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას მნიშვნელოვანი საკითხია თითოეული სასაქონლო გარიგების ღირებულების შეფასება, რომელიც ექვემდებარება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ აღრიცხვას, იმისგან დამოუკიდებლად, ეს საქონელი იქნა გაყიდული, გაცვლილი თუ უსასყიდლოდ გაცემული. ამ ამოცანის შესასრულებლად სტატისტიკოსებისათვის მნიშვნელოვანია როგორც საბაჟო, ისე ინფორმაციის სხვა ალტერნატიული წყაროების გამოყენება.

საქონლის ღირებულება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ფასდება სტატისტიკური ღირებულებით. ის წარმოადგენს გარიგებაში მონაწილე საქონლის ღირებულებისა და მომსახურების ღირებულების ჯამს, რომელიც გაიწევა ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე საქონლის ტრანსპორტირებისას (უმეტესწილად ფრახტი და დაზღვევა), რომლებიც არ შედის საქონლის შესახებ შესაბამისი გარიგების ღირებულებაში. უმეტეს შემთხვევაში საქონლის ღირებულება წარმოადგენს შესაბამისი გარიგების ღირებულებას საქონლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულების ჩათვლით. ყოველ ასეთ შემთხვევაში საბაჟო და სტატისტიკური ღირებულება ერთმანეთს ემთხვევა.

თუ საბაჟო ღირებულება გაიანგარიშება საქონლის ღირებულების განსაზღვრის შესახებ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმების თანახმად, მაშინ იმპორტირებული საქონლის სტატისტიკური ღირებულება საბაჟო ღირებულების ექვივალენტია, ან შეიძლება გამოვიყვანოთ მასზე ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დამატებით. კერძოდ: ტრანსპორტირების, სატრანსპორტო საშუალების ბორტზე საქონლის დატვირთვის და დაზღვევის ღირებულების დამატებით ან გამოკლებით.

საქონლის ღირებულების ზუსტად განსაზღვრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის უტყუარობისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რაც თავის მხრივ სხვადასხვა ქვეყნის მონაცემთა საერთაშორისო ურთიერთშესადარისობის საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე, სტატისტიკურმა სამსახურებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ განსაკუთრებით პრობლემური საქონლის რეალური ღირებულების დადგენის საკითხებში.

სავაჭრო გარიგება თავდაპირველად შეიძლება დაიდოს სხვადასხვა ვალუტაში ან სხვა ღირებულებით სტანდარტებში (მაგალითად, ევროპის სავალუტო ერთეულში). სტატისტიკის მწარმოებელმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ ღირებულების გადაყვანა საბაზო საანგარიშო ერთეულში თანმიმდევრული და ანალიტიკურად მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მისაღებად, რომელიც გამოსადეგი იქნება როგორც სავაჭრო ნაკადების გასაზომად, ისე სავადასახდლო ბალანსისა და ეროვნული ანგარიშების სტატისტიკის საწარმოებლად.

ზოგადად, სტატისტიკის მწარმოებლები უპირატესობას ანიჭებენ, რომ საბაზო საანგარიშო ერთეულის ფუნქციას ასრულებდეს ეროვნული ვალუტა. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა სავალუტო კურსი მერყევია, მიღებული მონაცემების ანალიტიკური მნიშვნელობა მცირდება. ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას უფრო მყარი ვალუტა. საქართველოში საგარეო სავაჭრო ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს როგორც ლარში, ისე ამერიკულ დოლარში. თუმცა, მონაცემები მუშავდება და ქვეყნდება მხოლოდ აშშ დოლარებში.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულია, რომ საბაზო ღირებულების განსაზღვრისათვის აუცილებლად უნდა წარმოებდეს ვალუტის გადაანგარიშება ოფიციალური გაცვლითი კურსის საფუძველზე. გარდა ამისა, გამოყენებული უნდა იქნას საქონლის ექსპორტირების ან იმპორტირების მომენტში მოქმედი გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია სავაჭრო ოპერაციებში მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობით.

ექსპორტის და იმპორტის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას გადაანგარიშების ერთნაირი მეთოდიკა.

ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს რამდენიმე ოფიციალური გაცვლითი კურსის რეჟიმი და სხვადასხვა კატეგორიის საქონლის მიმართ გამოიყენება სხვადასხვა გაცვლითი კურსი. ამის მიზანია გარკვეული საქონლით ვაჭრობის წახალისება ან პირიქით, შეზღუდვა. მსგავს შემთხვევებში რეკომენდებულია, რომ სავაჭრო

ოპერაციების აღრიცხვა წარმოებდეს ფაქტიური გაცვლითი კურსით. ასეთ დროს აუცილებლად უნდა მიეთითოს რომელი ოფიციალური კურსი იქნა გამოყენებული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგარეო ვაჭრობაში ფასების დინამიკა იზომება ფასების ინდექსების მეშვეობით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხარისხობრივი მაჩვენებლების ინდექსებიდან განსაკუთრებული ადგილი სწორედ ფასების ინდექსებს უკავია. ამისათვის გამოიყენება ინდივიდუალური და საერთო (აგრეგატული) ინდექსები.

ინდივიდუალური ინდექსი ზომავს ცალკეული კონკრეტული დასახელების საქონლის ერთეულის ფასის ცვლილებას:

$$ip = \frac{P_1}{P_0}$$

სადაც, **ip** - ფასების ინდივიდუალური ინდექსია;

**p<sub>1</sub>** და **p<sub>0</sub>** – საქონლის ერთეულის ფასია შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

საგარეო ვაჭრობის ფასების აგრეგატული ინდექსი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$Ip = \frac{\sum P_1 q_1}{\sum P_0 q_1}$$

იგი გვიჩვენებს რამდენჯერ გაიზარდა (შემცირდა) პროდუქციის ღირებულება ფასების ცვლილების გამო საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით. წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ცვლილება გავლენას არ ახდენს ინდექსის სიდიდეზე.

ფასების ინდექსის გაანგარიშებისათვის პირველი ფორმულა ფორმულირებული იყო 1783 წ. ფრანგი ეკონომისტის დიუტოს მიერ, რომელმაც შემოგვთავაზა ფასების ცვლილების განმაზოგადებელი მაჩვენებლის გამოთვლა, როგორც საანგარიშო პერიოდში ცალკეული სახის საქონლის ფასის ჯამის შეფარდება იმავე საქონლის ფასების ჯამთან საბაზისო პერიოდში. ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$Ip = \frac{\sum P_1}{\sum P_0}$$

1764 წელს იტალიელი კარლის მიერ შემოთავაზებული იქნა ფასების საერთო ინდექსის განსაზღვრა, როგორც ჩვეულებრივი საშუალო არითმეტიკული სიდიდის, ფასების ინდივიდუალური ინდექსებიდან:

$$I_p = \frac{\sum \frac{P_1}{P_0}}{n} = \frac{\sum ip}{n}$$

მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს იქნა აგებული ფასების ორი ინდექსი, რომლებიც გამოიყენება, როგორც ძირითადი ინდექსები თანამედროვე ეროვნულ და მსოფლიო სტატისტიკაში.

პირველი ფორმულის ავტორია გერმანელი სტატისტიკოსი გ. პააშე:

$$I_p = \frac{\sum P_1 Q_1}{\sum P_0 Q_1}$$

ფასების მეორე ინდექსის განსაზღვრა შემოგვთავაზა გერმანელმა მეცნიერმა ე. ლასპეირსმა:

$$I_p = \frac{\sum P_1 Q_0}{\sum P_0 Q_0}$$

პააშესა და ლასპეირსის ინდექსების მნიშვნელობები ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს განსხვავება იმით აიხსნება, რომ ამ ინდექსებს გააჩნიათ სხვადასხვა ეკონომიკური შინაარსი. კერძოდ, პააშეს ფორმულით გამოთვლილი ინდექსი პასუხობს კითხვაზე: რამდენად გაძვირდა (გაიაფდა) საქონელი მიმდინარე პერიოდში საბაზისოსთან შედარებით? ლასპეირსის ფასების ინდექსი გვიჩვენებს რამდენჯერ გაძვირდებოდა (გაიაფდებოდა) საბაზისო პერიოდის საქონელი საანგარიშო პერიოდში მათზე ფასების ცვლილების გამო.

ინდექსების გამოთვლის ალტერნატიულ მეთოდებში, რომელთაც ქვემოთ წარმოვადგენთ, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად შერწყმულია ლასპეირსისა და პააშეს ინდექსების უპირატესობანი და მათ საფუძვლად უდევს ამ ორი ინდექსის „გასაშუალოების“ იდეა.

ინდექსს, რომელშიც წონითი კოეფიციენტების როლში საბაზისო და მიმდინარე პერიოდებში საქონლის ფასისა და ფიზიკური მოცულობის ჯამური რაოდენობრივი მნიშვნელობები გვეკლინება, მარშალ-ეჯვორტის ინდექსს უწოდებენ და შემდეგი ფორმულით გაიანგარიშება:

$$I_p = \frac{\sum (q_0 + q_1) p_1}{\sum (q_0 + q_1) p_0}$$

ამერიკელი ეკონომისტის ი. ფიშერის ფასების ინდექსი, თავის მხრივ, წარმოადგენს ლასპეირესისა და პააშეს ფასების აგრეგატული ინდექსების ნამრავლიდან საშუალო გეომეტრიულს:

$$I_p = \sqrt{\frac{\sum p_1 q_0}{\sum p_0 q_0} \times \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1}}$$

აღსანიშნავია, რომ ფიშერის, ლასპეირესისა და პააშეს მიერ შემოთავაზებული ფორმულები შეიძლება გამოყენებულ იქნას ფიზიკური მოცულობის ინდექსის განსაზღვრის დროსაც.

ინდექსების გეომეტრიულ ფორმას აქვს პრინციპული ნაკლოვანება: იგი მოკლებულია კონკრეტულ ეკონომიკურ შინაარსს. მაგალითად, ლასპეირესისა და პააშეს აგრეგატული ინდექსებისაგან განსხვავებით, მრიცხველსა და მნიშვნელს შორის სხვაობა არ გვიჩვენებს არანაირ რეალურ ეკონომიას ან დანაკარგს პროდუქციის ფასების ან ფიზიკური მოცულობის ცვლილების გამო.

ფიშერმა ფორმულას უწოდა იდეალური, რაც იმაში გამოიხატება, რომ ინდექსი დროში შექცევადია. ე.ი. საბაზისო და საანგარიშო პერიოდის შენაცვლებით მიღებული „შებრუნებული“ ინდექსი – ეს არის თავდაპირველი ინდექსის სიდიდის შებრუნებული სიდიდე. ამ პირობას პასუხობს ნებისმიერი ინდივიდუალური ინდექსი. მაგალითად ფასების ინდექსი:

$$I_p = \frac{P_1}{P_0}$$

მაშინ ფასების შებრუნებული ინდექსი განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\frac{1}{I_p} = \frac{P_0}{P_1}$$

თუ ამ ორ ინდექსს გადავამრავლებთ, მივიღებთ 1-ს:

$$\frac{P_1}{P_0} \times \frac{P_0}{P_1} = 1$$

ამ პირობას აკმაყოფილებს ფიშერის ფასების იდეალური ინდექსი:

$$\frac{\sum p_1 q_0}{\sum p_0 q_0} \times \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1} \times \sqrt{\frac{\sum p_0 q_0}{\sum p_1 q_0} \times \frac{\sum p_0 q_1}{\sum p_1 q_1}} = 1$$

ფიშერის ინდექსი, გამოთვლისა და ეკონომიკური ინტერპრეტაციის სირთულის გამო, პრაქტიკაში ძალზე იშვიათად გამოიყენება.

ღირებულებითი მაჩვენებლების გადაანგარიშება ფაქტიური ფასებიდან შესადარში სორციელდება ინდექს-დეფლატორის მეშვეობით. იგი გაიანგარიშება როგორც საანგარიშო პერიოდის პროდუქციის ფაქტიური ღირებულების თანაფარდობა პროდუქციის მოცულობის ღირებულებასთან, რომლის სტრუქტურაც საანგარიშო წლის სტრუქტურის ანალოგიურია, მაგრამ განსაზღვრულია საბაზისო წლის ფასებში. ინდექს-დეფლატორის გაანგარიშების საფუძველში დევს პააშენ ფორმულა:

$$I_{\text{გ}} = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1} .$$

ინდექს-დეფლატორის მთავარი თავისებურება ის არის, რომ იგი არ შეიძლება გამოვიყენოთ ორი პერიოდისათვის ფასების დინამიკის შედარებითი შეფასებისათვის. ეს ინდექსი წარმოდგენას იძლევა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში პროდუქციის ღირებულების შეფარდებაზე საბაზისო პერიოდის პროდუქციის ღირებულებასთან.

სტატისტიკა ანგარიშობს სხვადასხვა საქონლის საშუალო ფასს შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\bar{p} = \frac{\sum qp}{\sum q}, \quad \left( i\bar{p} = \frac{p_1}{p_0} \right)$$

სადაც  $\bar{p}$  – საექსპორტო (საიმპორტო) საქონლის საშუალო ფასია;

$p$  – საექსპორტო (საიმპორტო) საქონლის ერთეულის ინდივიდუალური ფასია;

$q$  – საექსპორტო (საიმპორტო) საქონლის მოცულობა.

სასაქონლო პოზიციების (ცალკეული სახის საქონლის) მიხედვით გაანგარიშებული ინდექსების საფუძველზე ხდება ექსპორტის (იმპორტის) საშუალო ფასის ჯგუფური ინდექსის გაანგარიშება:

$$I_{\bar{p}}^{\text{ჯგ.}} = \frac{\sum \bar{p}_1 q_1}{\sum p_0 q_1}$$

ამავე ინდექსით გაიზომება ყველა სახეობის საექსპორტო ან საიმპორტო საქონლის საშუალო ფასის დინამიკა.

თუ მოცემულია საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის მოცულობა და ინდივიდუალური ინდექსები, მაშინ ფასების დინამიკა გაიზომება საშუალო ჰარმონიული ინდექსის გამოყენებით:

$$I_p = \frac{\sum p_1 q_1}{\sum \frac{1}{I_p} p_1 q_1}$$

საგარეო ვაჭრობის შესწავლისას აუცილებელია არა მხოლოდ ღირებულების, ფასების და ფიზიკური მოცულობის ცვლილების გაანალიზება, არამედ აუცილებელია შეფასდეს ვაჭრობის შექმნილი პირობები. ამ მიზნით ეკონომიკური თეორია გვთავაზობს შემდეგ მაჩვენებლებს:

1. ვაჭრობის საერთო პირობები -  $I_{\Sigma} = I_p q_j / I_p q_o;$
2. რეალური პირობები -  $I_r = I_p q_j / I_p o;$
3. მთლიანი პირობები -  $I_{\Sigma} = I_q j / I_q o;$
4. შემოსავლების მიხედვით ვაჭრობის პირობები -  $I_{\Sigma} = I_r \times I_q j.$

ფასების ცვლილების თანაფარდობა ანუ „ვაჭრობის რეალური პირობები“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ექსპორტის ფიქსირებული ფიზიკური მოცულობის მსყიდველობითუნარიანობის ინდექსი (იმპორტის ერთეულებში).

ვაჭრობის მთლიანი პირობების მაჩვენებელი წარმოადგენს თანაფარდობას ექსპორტის ფიზიკური მოცულობის ინდექსსა და იმპორტის ფიზიკური მოცულობის ინდექსს შორის.

შემოსავლების მიხედვით ვაჭრობის პირობების მაჩვენებელი განისაზღვრება, როგორც ვაჭრობის რეალური პირობების მაჩვენებლის ნამრავლი ექსპორტის მიხედვით ფიზიკური მოცულობის ინდექსზე და ახასიათებს მიმდინარე პერიოდის საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესებას/გაუარესებას საბაზისო პერიოდთან შედარებით. პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება ვაჭრობის რეალური პირობების მაჩვენებელი.

ვაჭრობის პირობების გასარკვევად საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით ანგარიშობენ „ვაჭრობის პირობების“ ინდექსს შემდეგი ფორმულით:

$$I_{\text{ვაჭრ. პირ.}} = \frac{I_{\text{ექსპ. საშ. ფასის}}}{I_{\text{იმპ. საშ. ფასის}}}$$

სადაც  $I_{\text{ვაჭრ. პირ.}}$  – „ვაჭრობის პირობების ინდექსია“;

$I_{\text{ექსპ. საშ. ფასის}}$  – ექსპორტის საშუალო ფასის ინდექსი;

### I<sup>თავ. საშ. ფასის</sup> – იმპორტის საშუალო ფასის ინდექსი.

მოცემულ ინდექსზე არ მოქმედებს საგარეო ვაჭრობის სალდოს აქტიურობა და პასიურობა (ანუ საგარეო ვაჭრობის სალდო დადებითია თუ უარყოფითი). მას ვერ ცვლის, აგრეთვე, ვალუტის კურსის ცვალებადობა და ამიტომ ის შესადარისია სხვადასხვა ქვეყნებისათვის და გამოიყენება სათანადო საანალიზო მიზნებისათვის.

თუ „ვაჭრობის პირობების“ ინდექსი ერთის ტოლია, მაშინ იტყვიან, რომ „ვაჭრობის პირობები“ საანგარიშო პერიოდში ისეთივე იყო, როგორც საბაზისო პერიოდში; თუ ერთზე ნაკლებია, მაშინ საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით გვქონდა არახელსაყრელი „ვაჭრობის პირობები“, ხოლო თუ ინდექსი ერთზე მეტია, მაშინ მოცემულ პერიოდში გაცილებით ხელსაყრელი „ვაჭრობის პირობები“ გვქონია.

არსებობს აგრეთვე, ექსპორტის კონცენტრაციის ინდექსი. იგი ზომავს ეროვნული ექსპორტის კონცენტრაციის ან დივერსიფიკაციის ხარისხს, სადაც ყველა საქონელი საერთაშორისო სავაჭრო კლასიფიკაციის საერთაშორისო სისტემაში დაყოფილია 3 კატეგორიად. ინდექსი გაიანგარიშება გირშმანის ან გერფინდალის მეთოდოლოგიით: შეიკრიბება ცალკეული საქონლის ექსპორტის ხვედრითი წილის კვადრატები; ინდექსი, თავის მხრივ, წარმოადგენს მიღებული ჯამიდან კვადრატულ ფესვს, გამოსახულს 0-დან 1-მდე (კონცენტრაციის მაქსიმუმი) დიაპაზონში. აღსანიშნავია, რომ ინდექსის ინვერსია, უფრო ზუსტად კი ერთეული, შეფარდებული მის მნიშვნელობასთან, თავის მხრივ, წარმოადგენს საქონლის ექვივალენტურ რაოდენობას, რომელთაგან თითოეულს მოცემული ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში თანაბარი წილი აქვს. ფორმულა წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$E_j = \sqrt{\sum s^2} \times 100$$

სადაც,  $E_j$  - ექსპორტის კონცენტრაციის ინდექსია;

$s^2$  - მთლიან ექსპორტში ცალკეული საქონლის ექსპორტის წილის კვადრატია.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული ექსპორტის კონცენტრაციის ინდექსის სიდიდემ საქართველოში 2009 წელს შეადგინა 0.22 პროცენტი, 2010 წელს - 0.25 პროცენტი, ხოლო 2011 წელს - 0.28%. აღნიშნული მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ექსპორტის ასორტიმენტი საკმაოდ მწირია. თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ინდექსის სიდიდე ყოველწლიურად იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპორტის სტრუქტურა

უფრო მრავალფეროვანი ხდება და ეს თავისთავად დადებით ტენდენციას წარმოადგენს.

დარგის საერთაშორისო სპეციალიზაციის შესაფასებლად გამოიყენება შეფარდებითი საექსპორტო სპეციალიზაციის კოეფიციენტი. იგი ქვეყნის ექსპორტში საქონლის ხვედრითი წილისა და მსოფლიო ექსპორტში ანალოგიური საქონლის ხვედრითი წილის თანაფარდობაა. იგი გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$K_v = \frac{E_{\text{მ}}}{E_g}$$

სადაც,  $K_v$  - შეფარდებითი საექსპორტო სპეციალიზაციის კოეფიციენტი;

$E_{\text{მ}}$  - საქონლის ხვედრითი წილი ქვეყნის ექსპორტში;

$E_g$  - საქონლის (ანალოგიური) ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტში.

აღნიშნული კოეფიციენტით წარმოებს ქვეყნისათვის საქონლის საერთაშორისო სპეციალიზაციისა და შესაბამისად, დარგების საერთაშორისო სპეციალიზაციის მნიშვნელობის დადგენა.

პრაქტიკაში შეიძლება გაანგარიშებული იქნეს ექსპორტის ეფექტიანობის კოეფიციენტი:

$$K = B * V/Z$$

სადაც,  $K$  – არის ექსპორტის აბსოლუტური ეფექტიანობის კოეფიციენტი;

$V$  – საგალუტო გაცვლითი კურსი (ლარი/დოლართან);

$B$  – საექსპორტო საქონლის ფასი დოლარებში;

$Z$  – საექსპორტო საქონლის შიდა ფასი ლარებში;

აღნიშნული კოეფიციენტი გამოიყენება იმისათვის, რომ მოვახდინოთ იმპორტშენაცვლებადი და საექსპორტო დარგების ფორმულირება. მისი გამოთვლა შესაძლებელია ძირითადი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით და გავაკეთებთ დასკვნას, თუ რაში ვფლობთ უპირატესობას (ნედლეულის, თუ მზა პროდუქციის ექსპორტში). თუმცა, ამ კოეფიციენტის გამოთვლის გარეშე შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის საექსპორტო (საქონლის მიხედვით) ორიენტაციის განსაზღვრა, ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურის დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა ექსპორტის სოფისტიკაციის (სრულყოფილების) ინდექსი. აქამდე განხილული

ინდექსებისგან განსხვავებით, ის უფრო რთულ გაანგარიშებას ექვემდებარება და საგარეო ვაჭრობის სფეროში საერთაშორისო მაკროეკონომიკური მნიშვნელობის ხასიათს იძენს.

პირველ რიგში განვიხილოთ ექსპორტის სოფისტიკაციის არსი. კაპლინსკი და სანტოს პაულინო ახდენენ საგარეო ვაჭრობას დაქვემდებარებული პროდუქტების ისეთ კლასიფიკაციას, რომელიც არ მოითხოვს მრეწველობის დარგის მონაცემებს. ის გულისხმობს შეფასებას ექსპორტიორების და არა მწარმოებლების მხრიდან საქონლის მახასიათებლების გათვალისწინებით. ამის მიხედვით, ექსპორტი მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო მაღალია ამ საქონლის ექსპორტით მიღებული საშუალო შემოსავალი ექსპორტიორებისთვის. სრულყოფილების გაზომვის ლოგიკური საფუძველი მარტივია. საგაჭრო პროცესებში ჩარევის არარსებობის პირობებში, მდიდარი ქვეყნების მიერ ექსპორტირებულ საქონელს ექნება ის მახასიათებლები, რომელიც მაღალი შემოსავლის მწარმოებლებს საშუალებას მისცემს შეავსონ (დაიპყრონ) მსოფილო ბაზარი. ეს მახასიათებლები მოიცავს ტექნოლოგიას, როგორც მნიშვნელოვან დეტერმინანტს, თუმცა ისინი ასევე ეხება სხვა ფაქტორებსაც.

მსოფლიო ბაზარზე ამა თუ იმ საქონლის ექსპორტის ადგილმდებარეობას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

- ტექნოლოგია: მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენება მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია. „ტექნოლოგია“ გულისხმობს არა მხოლოდ კვლევებსა და გამოგონებებზე, ან ინოვაციური პროცესების საფუძველზე წარმოებულ საქონელს, არამედ ასევე, ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებას და მის პერმანენტულ განახლებას მცირე ინოვაციების ხარჯზე, განვითარების გარკვეული დონის უზრუნველყოფას, სხვადასხვა სახის საქმიანობის გაერთიანების ხარჯზე მიღებული დანახარჯების ეკონომიას, მომწოდებლების ქსელის რაციონალურად ორგანიზებას. საქონელი, რომლის წარმოებაც საჭიროებს მაღალ ტექნოლოგიებს, ტენდენციურად ექსპორტირებული იქნება იმ ქვეყნების მიერ, რომლებსაც ექნებათ სათანადო გამოცდილება, ტექნოლოგიური პოტენციალი და ძლიერი ინოვაციური სისტემა, რომელიც ტექნოლოგიურ დახმარებას გაუწევს საწარმოს. ინოვაციური სისტემა გულისხმობს კვლევითი დაწესებულებების, ინტელექტუალური საკუთრების ძლიერი დაცვის

საშუალებების, ხარისხისა და მეტროლოგიის კარგი ინსტიტუტების და ფორმასა და ტექნოლოგიურ ინსტიტუტებს შორის მჭიდრო კავშირის არსებობას.

- მარკეტინგი: თანამედროვე დიზაინი და შეფუთვა, ძლიერი სავაჭრო ნიშანი, საქონლის მომხმარებლის მოთხოვნაზე მორგება, სადისტრიბუციო არხების ყოველმხრივი კონტროლი. ფართო ასორტიმენტის პროდუქციის ექსპორტი, როგორც წესი, ხორციელდება მდიდარი ქვეყნების მიერ. თუ წარმოება არ არის ტექნოლოგიატევადი, მაშინ საქონელი დამკვიდრდება დაბალშემოსავლიან სივრცეში.
- ლოგისტიკა და სიახლოვე: სატრანსპორტო ხარჯები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ექსპორტის ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე იმ საქონლისთვის, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი ფასით ან მოითხოვენ სწრაფ გადაადგილებას. რადგან მდიდარი ქვეყნები ექსპორტისთვის ძირითად ბაზრებს წარმოადგენენ, ამიტომ წარმოების ადგილმდებარეობას, შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება.
- ფრაგმენტულობა: იმ საქმიანობაში, სადაც წარმოების პროცესი დანაწევრებულია და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არსებობს, ექსპორტის დანიშნულების ადგილი სეგმენტის დაყოფის ტექნიკურ შესაძლებლობას იძლევა. ასეთ შემთხვევაში საქონლის გადაადგილება მოსახერხებელია დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. ამგვარად, სოფისტიკაციის მაღალი მაჩვენებელი შეიძლება ასახავდეს დაბალ ფრაგმენტულობას და პირიქით, დაბალი სოფისტიკაცია – ფრაგმენტულობის მაღალ დონეს.
- ინფორმაციულობა და ცნობადობა: პროდუქციის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის არსებობა ძირითადი ბაზრების მიხედვით, განსაზღვრავს ცალკეული ქვეყნების მიერ აღნიშნული პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას, მათი ბიზნეს სისტემისა და პროცედურების, ენის, საკანონმდებლო სისტემისა და სხვა საკითხების ცნობადობას.
- ბუნებრივი რესურსები: რესურსტევადი პროდუქციის ექსპორტი ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია ლოკალური ძირითადი რესურსების არსებობაზე. მაღალშემოსავლიანი ქვეყნები იმ საქონლის მნიშვნელოვანი ექსპორტიორები იქნებიან, რომლის საწარმოებლად მათ აქვთ ბუნებრივი

რესურსების საკმაო მარაგი ან შეუძლიათ ახალი ტექნოლოგიების უფრო ეფექტურად გამოყენება ღარიბ კონკურენტებთან შედარებით.

- ინფრასტრუქტურა: ზოგიერთი საქონელი მოითხოვს უმაღლესი ინფრასტრუქტურის არსებობას, კონკრეტულად კი საინფორმაციო და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს იმისათვის, რომ იყოს კონკურენტუნარიანი. მხოლოდ მაღალი ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ ძლიერ კონკურენციას გაუძლონ.
- ფასწარმოქმნელი ორგანიზაციები: გლობალური ვაჭრობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ფასწარმოქმნის ჯაჭვზე. ფასის ჩამოყალიბების ცალკეულ მოდელზე შეიძლება გავლენა მოახდინოს გეოგრაფიულმა მდებარეობამაც. სანამ ფასწარმოქმნის ლიდერები (მყიდველები, მულტინაციონალური ინვესტორები ან სუბკონტრაქტორები) რეაგირებას მოახდენენ ზემოთდასახელებულ ფაქტორებზე, ბაზარზე შეიძლება გამოჩნდეს განსხვავებული ფაქტორი, რომელიც იმოქმედებს მიმწოდებლის არჩევანზე.

გარდა აღნიშნულისა, არსებობს ეკონომიკური ფაქტორებიც, რომლებიც განსაზღვრავს ექსპორტის წარმოების ადგილმდებარეობას და აქედან გამომდინარე, თითოეული პროდუქტის სოფისტიკაციის დონეს. გავლენა შეიძლება მოახდინოს პოლიტიკურმა ფაქტორებმაც: სავაჭრო შეზღუდვები და სუბსიდიები, სავაჭრო გაერთიანებები და პრეფერენციები. მაგალითად, ტანსაცმელზე და ტექსტილის სხვა ნაწარმზე ინდუსტრიული ქვეყნების მიერ ქვოტების სისტემის შემოღებამ გავლენა მოახდინა ექსპორტის მდებარეობაზე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის და ასევე, განვითარებადი სამყაროს შიგნით. სოფლის მეურნეობის სუბსიდირებამ და პროტექციონისტულმა პოლიტიკამ, რომელიც განახორციელეს განვითარებულმა ქვეყნებმა, შეაჩერა ექსპორტი განვითარებადი ქვეყნებიდან. სავაჭრო ბლოკმა „ნაფტა“ ხელი შეუწყო ექსპორტის კონცენტრირებას ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ევროკავშირის მიერ ბანანის და შაქრის ექსპორტიორებზე უპირატესობის მინიჭებამ დახმარება გაუწია არაეფექტურ მწარმოებლებს ყოფილ კოლონიებში.

ამგვარად სოფისტიკაციის ინდექსი ამგვარი გავლენის ერთობლიობაა და არა სპეციფიკური ტექნოლოგიური საზომი. ინდექსში ტექნოლოგია ცალსახად მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ მისი როლი არ შეიძლება გამოყოფილი იყოს დანარჩენი ფაქტორებისგან. ტექნოლოგია როგორ გავლენას ახდენს ექსპორტის

ადგილის განსაზღვრაში სხვა დეტერმინანტებთან ერთად. ამიტომ სოფისტიკაციის ინდექსიდან შესაძლებელია ექსპორტის ძალზედ საინტერესო დახასიათება მივიღოთ.

ექსპორტის სოფისტიკაციის ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგია 2007 წელს იქნა შემოთავაზებული ჰაუსმანის მიერ. ამისათვის პირველ რიგში გაიანგარიშება ცალკეული სავაჭრო საქონლის პროდუქტიულობა  $i$  ( $PRODY$ ), როგორც ანალოგიური საქონლის ექსპორტიორი თითოეული ქვეყნის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული მშპ-ის შეწონილი საშუალოს ჯამი:

$$PRODY_{i,t} = \sum_c \frac{\frac{xval_{i,c,t}}{X_{c,t}} Y_{c,t}}{\sum_c \frac{xval_{i,c,t}}{X_{c,t}}}$$

სადაც,  $Y_c$   $c$  ქვეყნის მშპ-ის სიდიდეა ერთ სულ მოსახლეზე, შეწონილი ქვეყნების შედარებითი უპირატესობის საფუძველზე და ფაქტიურად წარმოადგენს რეალურ მშპ-ს გამოსახულს ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით (PPP);

$xval_{i,c,t}$  –  $c$  ქვეყნის მიერ  $i$  საქონლის ექსპორტია  $t$  პერიოდში;

$X_{c,t}$  -  $c$  ქვეყნის მთლიანი ექსპორტის სიდიდეა  $t$  პერიოდში.

რაც უფრო მაღალია მოცემული საქონლის წილი მდიდარი ქვეყნების ექსპორტში, მით მეტად კონკურენტუნარიანი იქნება ეს საქონელი.

პროდუქტიულობის დონე დაკავშირებულია მთლიანი ქვეყნის საექსპორტო კალათასთან და გაიანგარიშება, როგორც მთლიანი ექსპორტის შეწონილი საშუალო.

ექსპორტის სოფისტიკაციის ინდექსი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$EXPY_{c,t} = \sum_i \frac{xval_{i,c,t}}{X_{c,t}} PRODY_{i,t}$$

რაც იმას გულისხმობს, რომ განისაზღვრება ცალკეული საექსპორტო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში, მრავლდება მოცემული საქონლის პროდუქტიულობაზე და საბოლოო მაჩვენებელი გაიანგარიშება როგორც შეწონილი ჯამი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მაჩვენებლის გაანგარიშება პრაქტიკაში, ცალკეული ქვეყნების მიერ გართულებულია და ამ ამოცანის გადაწყვეტას ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, საგარეო ვაჭრობის დასახასიათებლად სტატისტიკის თეორიაში უამრავი მაჩვენებელი გამოიყენება. თუმცა ქართულ რეალობაში მათი გაანგარიშება მთელ რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული და პირველ რიგში საჭირო მოცულობისა და შინაარსის სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობით არის გამოწვეული.

### თავი III საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება საქართველოში, არსებული პრობლემები და მონაცემთა მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის გზები

#### 3.1 საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ინფორმაციის ძირითადი წყაროები და მონაცემთა დამუშავების ტექნიკური საკითხები საქართველოში

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება საქართველოში ხორციელდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სტატისტიკის დეპარტამენტის სამართალმემკვიდრე 2010 წლიდან) მიერ გაეროს სტატისტიკის ბიუროს ეგიდით შემუშავებული საერთაშორისო მეთოდოლოგიის საფუძველზე „საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა“.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (საბაჟო დეპარტამენტის სამართალმემკვიდრე) სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემები. საქსტატში საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზები სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ყოველთვიურად მიიღება თვის დასაწყისში (წინა თვის მონაცემთა ბაზა) ელექტრონული ფორმით ექსელის ფორმატში, სადაც თვის განმავლობაში საშუალოდ 69 500 დეკლარაციაა გაფორმებული, ხოლო მონაცემთა ბაზები საბოლოოდ ფორმირდება MS Access-ში.

საბაჟო დეპარტამენტთან თავდაპირველი ხელშეკრულება თანამშრომლობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ გაფორმდა 1994 წელს. მანამდე ექსპორტ-იმპორტის შესახებ მონაცემების მიღება ხდებოდა სტატისტიკური გამოკვლევის საშუალებით უშუალოდ მსხვილი ფირმებიდან, რომლებიც ახორციელებდნენ საგარეო სავაჭრო ოპერაციებს.

გარდა აღნიშნულისა, ინფორმაცია მიიღება ისეთი საქონლის ექსპორტ-იმპორტის შესახებ, რომელიც არ ექვემდებარება საბაჟო კონტროლის გავლას. ასეთებია: ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი. ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის რაოდენობის შესახებ მონაცემები მიიღება შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემიდან“ ყოველი თვის 10 რიცხვში გადამცემი ხაზების მიხედვით. ფასების შესახებ მონაცემების მოზიდვა ხდება სხვადასხვა კომპანიებიდან: ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ ე.წ. „ესკო“, რომლებსაც დაზუსტებული

სახელშეკრულებო ფასის შესახებ ინფორმაციის გაცემა შეუძლიათ ყოველი თვის 14-15 რიცხვში. სს „გაზის ტრანსპორტირების საერთაშორისო კომპანიიდან“ მიიღება ინფორმაცია ბუნებრივი აირის იმპორტის შესახებ ქვეყნების ჭრილში.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკისთვის დამატებითი ინფორმაციული წყარო წარმოიშვა 2010 წლის ივნისიდან, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ დაიწყო იმპორტირებული სატრანსპორტო საშუალებების განბაჟებისა და ექსპორტირებული ავტომობილების დეკლარირების პროცედურების წარმოება, ხოლო 2011 წლის ნოემბრიდან კონტეინერებით შემოსული ტვირთების განბაჟება. ამ პერიოდებიდან საქსტატი აწარმოებს შესაბამისი მონაცემთა ბაზების მიღებას და დამუშავებას საერთაშორისო მეთოდოლოგიის შესაბამისად. სსიპ მომსახურების სააგენტოში ყოველთვიურად დაახლოებით 7000-მდე დეკლარაციაა გაფორმებული, რაც ისედაც სოლიდური მოცულობის მონაცემთა ბაზის დამუშავების პროცესს უფრო მეტად ართულებს.

მონაცემთა ბაზების მიღების შემდეგ ინფორმაციის მონიტორინგი და რედაქტირება ხორციელდება სპეციალურად შემუშავებული ალგორითმის საფუძველზე.

საბაჟო-სატვირთო დეკლარაციების ძირითადი ველები, რომლის მიხედვითაც ხდება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დამუშავება არის: ოპერაციის ტიპი ანუ რეჟიმი (ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, რეიმპორტი), დეკლარაციის გაფორმების თარიღი, გაფორმების საბაჟო პუნქტი, დეკლარაციის ნომერი, იმპორტიორის კოდი და დასახელება, საქონლის 11 ნიშნა კოდი და აღწერილობა, მოვაჭრე ქვეყნის კოდი, სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე და საზღვრის შიგნით, ჩანაწერის რიგითი ნომერი დეკლარაციაში, ღირებულება ლარში და აშშ დოლარში, წონა და დამატებითი ზომა.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ბაზების დამუშავება წარმოებს რამდენიმე ეტაპად. ბაზის მონიტორინგის პროცესში თავს იჩენს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც საჭიროებს აღმოფხვრას საბოლოო მონაცემთა ბაზის ფორმირებამდე. აქ საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება დეკლარაციის ოთხ უნიკალურ ველს, რომლებიც გარანტიას იძლევა მონაცემთა ბაზიდან გამოირიცხოს დუბლირებული ჩანაწერები, რაც გამოიწვევს მონაცემების ხელოვნურად ზრდას და შესაბამისად, ინფორმაციის დაბალ ხარისხს.

უფრო დეტალურად განვიხილოთ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ბაზის დამუშავების მთლიანი პროცესი ცალკეული კატეგორიების ჭრილში:

- **დუბლიკატები.** პირველ ეტაპზე ხდება დუბლირებული დეკლარაციების აღმოჩენა ზემოთ აღნიშნული ოთხი ველის საშუალებით და მათი გამორიცხვა შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან;
- **ახალი სუბიექტები.** გამოვლინდება ახალი იმპორტიორი და ექსპორტიორი ორგანიზაციები (რომლებიც არ ფიგურირებდა წინა პერიოდის ვაჭრობაში) ბაზაში უკვე არსებულ ორგანიზაციათა ერთობლიობასთან შედარების გზით და დაემატება საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზას;
- **საქონლისა და ქვეყნების კოდები.** მოწმდება საქონლისა და ქვეყნების კოდების სისწორე მოქმედი კლასიფიკატორების საფუძველზე. ხშირად ადგილი აქვს არარსებული ან არასწორი ქვეყნისა და საქონლის კოდების მინიჭების შემთხვევებს. ქვეყნების კოდებში ფიგურირებს კოდი “999”, რაც კლასიფიკატორით არ არის განსაზღვრული. ხშირად აღნიშნული კოდის მინიჭება ხდება ინდუსტრიული ზონისთვის, როგორც ტერიტორიისთვის, საქონლის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში (თიზ) შეტანის ან ასეთი ზონიდან გამოტანის დროს. თუმცა, საქართველოს მიერ გამოყენებადი, საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი სისტემის მიხედვით, თიზ-ის ტერიტორიიდან ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და ასეთივე ტერიტორიიდან თიზ-ში გადაადგილებული საქონელი არ უნდა აღრიცხოს როგორც ქვეყნის ექსპორტი ან იმპორტი, რადგან ამ ტვირთების დეკლარირება ხდება ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს.

კოდის დასაზუსტებლად უნდა მოიძებნოს შესაბამისი ორგანიზაციის მიერ სხვა დროს გაფორმებული დეკლარაციები და ამის მიხედვით შეირჩეს სწორი კოდი ან შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს დაკავშირება უშუალოდ იმპორტიორ ან ექსპორტიორ კომპანიასთან და ამ გზით გადაიჭრას პრობლემა;

- **დიპლომატიური ტვირთები.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად, დიპლომატიური ტვირთები არ უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, რადგან დიპლომატიური წარმომადგენლობები წარმოადგენენ საქართველოს ექსკლავებს და

შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე სასაქონლო ნაკადების მოძრაობა არ ცვლის ჩვენი ქვეყნის სასაქონლო-მატერიალური მარაგების სიდიდეს. ყოველივე ამის გამო ხდება დიპლომატიური სტატუსის მქონე ორგანიზაციების ან ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ოპერაციების გამოყოფა საგარეო ვაჭრობიდან. ხშირად მხოლოდ დეკლარაციის აღწერილობაში არის მითითებული ასეთი სახის ტვირთის წარმომავლობა, რის გამოც საჭიროა დეკლარაციების ტექსტური ნაწილის მონიტორინგი;

- **გადამუშავებისა და რემონტის ოპერაციები.** მეთოდოლოგიის მიხედვით, საქონლის გადამუშავება უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, ხოლო რემონტი უნდა გამოირიცხოს, რადგან ის წარმოადგენს მომსახურების სახეს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რემონტისა და გადამუშავების ინფორმაციული მასალა ცალკე მუშავდება საქართველოს ეროვნული ბანკის საჭიროებისათვის, რომელიც ახორციელებს საგადასახდელო ბალანსის კომპილაციას.

დეკლარაციებში მოცემულია მხოლოდ საბაჟო ტერიტორიის შიგნით და გარეთ განხორციელებული რემონტის და არა გადამუშავების რეჟიმები (კლასიფიკატორით განსაზღვრული), საიდანაც უნდა მოხდეს რემონტის, როგორც განსხვავებული რეჟიმის დამოუკიდებელი სახით გამოყოფა, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინდივიდუალური საბაჟო რეჟიმის კოდი არ გააჩნია. ამისათვის მოწმდება ცალკეული ორგანიზაციების (სს „თბილავიამშენი“, შპს „ტავ ურბან საქართველო“, სს „ელმავალმშენი“, შპს „ვაგონშემკეთებელი“ და სხვა) მიერ შემოტანილი და გატანილი საქონლის დეკლარაციები და განისაზღვრება რომელი ტვირთები უნდა მივაკუთვნოთ გადამუშავების და რომელი რემონტის რეჟიმს. ამ მიზნით აუცილებელია თავად დეკლარაციების აღწერილობის შემოწმება და ზოგიერთ შემთხვევაში უშუალოდ ორგანიზაციებთან დაკავშირება.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთი ორგანიზაცია აწარმოებდა კატალიზური ლითონის ბადეების ექსპორტ-იმპორტს რემონტის რეჟიმით. იმის გასარკვევად, თუ რეალურად რა სახის ოპერაცია სრულდებოდა და სინამდვილეში რომელი რეჟიმი უნდა მიგვენიჭებინა აღნიშნული ოპერაციისთვის, დავუკავშირდით შესაბამის

კომპანიას, სადაც კომპეტენტურ პირთან გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა, რომ მთლიანი პროცესი მოიცავდა ძველი ბადეების გადადნობას და სრულიად ახალი ლითონის ბადის თავიდან ჩამოსხმას. ასე დადგინდა, რომ ყოველი ასეთი ოპერაცია უნდა გაფორმებულიყო გადამუშავების რეჟიმის კოდით;

- **დროებითი რეჟიმი.** საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად, დროებითი რეჟიმის ქვეშ გადაადგილებული ტვირთები არ უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში. დროებითი რეჟიმის მინიჭება საბაჟო ორგანოების მიერ ხშირად არ ხდება, რის გამოც არაერთი ორგანიზაციის დეკლარაციის შემოწმებაა საჭირო. ასეთებია: „ბაქო-ჯეიჰანის კომპანია“, შპს “ვაგონშემკეთებელი“, შპს "იუ-ემ-ეს", სახელმწიფო მუზეუმი და სხვა მრავალი. მაგალითად: სახელმწიფო მუზეუმს საგამოფენოდ წადებულ ექსპონატებზე, რომელთა ღირებულება ასეულობით დოლარს და ცალკეულ შემთხვევებში მილიონობით დოლარს აჭარბებს, არ აქვს დროებითი გატანის რეჟიმი მინიჭებული. ასეთი დეკლარაციების ბაზაში მოხვედრა გამოიწვევს საგარეო ვაჭრობის მოცულობის ხელოვნურ ზრდას. ეს რეჟიმი უნდა გაკონტროლდეს ასევე, არა მხოლოდ ორგანიზაციების, არამედ პროდუქციების მიხედვით: კინოფილმები, ცოცხალი ცხოველები, ნედლი ნავთობი და სხვა სახის საქონელი, რომლებიც შეიძლება დაექვემდებაროს დროებით გადაადგილებას;
- **ვალუტის კურსი.** ვალუტის კურსი უნდა მოთავსდეს გარკვეულ დიაპაზონში. კერძოდ, აიღება ეროვნული ვალუტის შესაბამისი თვის მინიმალური და მაქსიმალური კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში და ყველა დეკლარაციის ღირებულება უცხოურ ვალუტაში მოწმდება აღნიშნული დიაპაზონის მიხედვით. სტატისტიკური ღირებულების გაანგარიშება აშშ დოლარებში ხორციელდება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გაფორმების მომენტში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის საფუძველზე;
- **ზღვრული ფასის კონტროლი.** კონტროლდება საქონლის ერთეულის ფასი. საეჭვოდ მაღალი ან დაბალი ფასის შემთხვევაში მოწმდება საქონლის აღწერილობის ველი წონისა და დამატებითი ზომის მოცულობის სისწორის დასადგენად, იმ შემთხვევაში, თუ აღწერილობაში მითითებული იქნება შესაბამისი ინფორმაცია. როცა არსებული ინფორმაციით

შეუძლებელია რეალური ფასის დადგენა, ხდება დაკავშირება უშუალოდ ექსპორტიორ ან იმპორტიორ კომპანიასთან და ირკვევა რამდენად შეესაბამება აღნიშნული ფასი სინამდვილეს. ამა თუ იმ საქონლზე საექვოდ მაღალი ფასის არსებობა შეიძლება აიხსნას სხვადასხვა გარემოებებით: წარმოადგენს ნიმუშს, მცირე მოცულობის, მაგრამ სპეციფიკური დანამატების მქონე საქონელს, განსაკუთრებული ტექნიკური მახასიათებლების მქონე პროდუქციას და ა.შ.;

- **შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოს ინფორმაცია.** მომსახურების სააგენტოდან მიღებული ექსპორტის დეკლარაციებს არ გააჩნია საქონლისა და ქვეყნის კოდები, ბაზაში მოცემულია მხოლოდ დასახელებები, რომელთა მიხედვით უნდა მოხდეს სწორი კოდების მინიჭება. ამისათვის საჭიროა ყოველი დეკლარაციის აღწერილობის სრულად წაკითხვა. ექსპორტისგან განსხვავებით, იმპორტის დეკლარაციებში საქონლისა და ქვეყნის კოდები დაფიქსირებულია, მაგრამ საქონლის კოდები ძირითადად არასწორადაა მინიჭებული. ყოველთვიურად საშუალოდ 6200 დეკლარაცია მიიღება მომსახურების სააგენტოდან. აღნიშნული სამუშაოების შესრულება ასეთ მოკლე დროში მოითხოვს დიდ საკადრო და ინტელექტუალურ დანახარჯებს;
- **მსუბუქი ავტომობილების ექსპორტ-იმპორტის დეკლარაციები დეტალურად მოწმდება,** რადგან არასწორად არის მინიჭებული ძირითადად ახალი და ექსპლუატაციაში ნამყოფი მანქანების კოდები. შემოსავლების სამსახურის მიერ გამოყენებული მარტივი მიდგომით, დეკლარანტი ახალი ავტომობილის კოდს ანიჭებს იმ შემთხვევაში, თუ სარტანსპორტო საშუალების იმპორტიორი არის კომპანია, ხოლო თუ იმპორტიორის რანგში გვევლინება კერძო პირი, მაშინ სატრანსპორტო საშუალებას ენიჭება ექსპლუატაციაში ნამყოფის კოდი. არის შემთხვევები, როცა სასაქონლო კოდის ველი საერთოდ ცარიელია. მომსახურების სააგენტოდან მიღებული მონაცემთა ბაზა მოიცავს საქონლის მიახლოებით საბაზრო ღირებულებას ეროვნულ ვალუტაში. საბოლოო მონაცემთა ბაზაში ხდება საქონლის ღირებულების გადაყვანა აშშ დოლარებში ცალკეული დეკლარაციების მიხედვით ყოველდღიური გაცვლითი სავალუტო კურსების გამოყენებით;

- მცირე და დიდი თანხის დეკლარაციებში მოწმდება საქონლის ღირებულების შესაბამისობა წონასთან და რაოდენობასთან;
- სხვადასხვა სასაქონლო კოდებისათვის რაოდენობა-ღირებულების შესაბამისობის შემოწმება: საყოფაცხოვრებო ტექნიკის, კვების პროდუქტების (სასმელები, კვერცხი, იოდიზირებული მარილი, თევზი), სიგარეტების, ხე-ტყის, პოლიეთილენის პარკების, სამშენებლო მასალის, საავტომობილო ბენზინის, მობილური ტელეფონების, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა). შერჩეულია საქონლის გარკვეული ჯგუფები, რომლებზეც, ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, ფიქსირდება სისტემატიური ხასიათის შეცდომები. მის გამო მომწმდება შესაბამისი საქონლის აბსოლუტურად ყველა დეკლარაცია ინდივიდუალურად და ხდება შესაბამისი კორექტივების შეტანა.
- საქონლის დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისობის შემოწმება სასაქონლო კლასიფიკატორით გათვალისწინებულთან და უზუსტობების კორექტირება. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა ითვალისწინებს საქონლის კოდს, აღწერილობას და ზომის ერთეულის დასახელებას. მაგალითად : კვერცხი და სიგარეტები აღრიცხული უნდა იყოს ათას ცალებში, სატრანსპორტო საშუალებები ერთეულებში, ელექტროენერგია კვტ. საათებში, ბუნებრივი აირი ათას მ<sup>3</sup>-ში. შეცდომების აღმოჩენა წარმოებს ერთეულის ფასის შემოწმებით. კორექტირება ხდება საქონლის აღწერილობის შესაბამისად ან ლოგიკური შეფასებით.

ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპების გავლის შემდეგ წარმოებს მონაცემთა პირველადი ინდივიდუალური ბაზების შექმნა (ინდივიდუალური გულისხმობს, რომ ცალ-ცალკე ფორმირდება შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ექსპორტისა და იმპორტის, დამოუკიდებელი წყაროდან მიღებული ენერჯის და მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპორტ-იმპორტის მონაცემთა ბაზები), ხოლო მომდევნო ეტაპს წარმოადგენს გაერთიანებული საბოლოო ბაზის ფორმირება, სადაც მოცემულია დინამიკური მწკრივი 1995 წლიდან.

თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მომსახურებით ვაჭრობამ. საქონლის მსგავსად არსებობს მომსახურების ექსპორტი და იმპორტი.

მომსახურება გარკვეული ჯგუფის დარგთა ან კონკრეტული სახის შრომითი საქმიანობის პროდუქტია. მომსახურება საქონელია, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის გარკვეულ მოთხოვნილებას ან საჭიროებას, მაგრამ საქონლის სამყაროდან იგი გამოყოფილია წმინდა ფორმალური მიზეზით: მისთვის დამახასიათებელია არანივთობრივი ფორმა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინდივიდუალური ტიპი. მომსახურება ითვლება „უხილავ სიკეთედ“.

იმის გამო, რომ მომსახურებას არ გააჩნია მატერიალური ფორმა, მისი მეშვეობით ვაჭრობას „უხილავ ვაჭრობასაც“ უწოდებენ.

საქონლით ტრადიციული ვაჭრობისგან განსხვავებით, მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით:

- მომსახურება, საქონლისგან განსხვავებით, თითქმის ერთდროულად იწარმოება და მოიხმარება. ამასთან, იგი არ ინახება. ამის გამო, მომსახურების სახეობათა უმეტესი ნაწილი მის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის პირდაპირი კონტაქტების დამყარებას მოითხოვს. შესაბამისად, მისი ექსპორტი უცხოეთში მწარმოებელთა დიდ რაოდენობას გულისხმობს და შუამავლების გამოყენება ნაკლებადაა შესაძლებელი;
- მომსახურებით საგარეო ვაჭრობა უშუალოდაა დაკავშირებული საქონლით საგარეო ვაჭრობასთან, ეს კავშირი ნათლად ვლინდება მეცნიერებატევადი საქონლით ვაჭრობის დროს, ვინაიდან ამ უკანასკნელის განხორციელება შეუძლებელია ტექნიკური მომსახურების, საინფორმაციო და სხვა სახის საკონსულტაციო მომსახურების გარეშე;
- მომსახურების სფეროს ზოგიერთი დარგები (ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მეცნიერება, ჯანდაცვა და სხვა) მთელ რიგ ქვეყნებში მთლიანად ან ნაწილობრივ სახელმწიფოს საკუთრებაშია, ან მის მკაცრ კონტროლს ექვემდებარება. გარდა ამისა, ითვლება, რომ მომსახურების ცალკეული სახეები გარკვეულ ზიანს აყენებენ ქვეყნის კეთილდღეობას, სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას. ამიტომ მის იმპორტზე უფრო მეტი შეზღუდვებია დაწესებული;
- მომსახურების მთელი რიგი სახეებიდან (კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სხვა, რაც დაკავშირებულია პირად მოხმარებასთან), მათი სპეციფიკურობის გამო, საგარეო ვაჭრობაში ძირითადად ჩართულია შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურებები, თუმცა

ზოგიერთი სხვა (ჯანდაცვა, განათლება) განვითარების კარგი პერსპექტივით გამოირჩევა.

მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის დადგენა და მისი ანალიზი საკმაოდ გართულებულია. მისი აღრიცხვა და დეკლარირება არ ხორციელდება საბაჟო ორგანოების მიერ. არ არსებობს მომსახურებით ვაჭრობის რეესტრი, რაც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ინფორმაციის წყაროდ შესაბამისი სტატისტიკის წარმოებისათვის. აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, მომსახურებით ვაჭრობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ხორციელდება სპეციალური კვლევების საფუძველზე.

მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების ხელშეწყობისათვის გაეროს მიერ დამუშავებულია სპეციალური მეთოდოლოგია „მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სახელმძღვანელო“ (გაერო, 2004 წ.)

საქართველოში მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, როგორც დარგობრივი სტატისტიკის დამოუკიდებელი სფერო, არ იწარმოება. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელოვანეს წყაროს მიმდინარე ანგარიშის კომპილაციისათვის. მონაცემები მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ მიიღება საქსტატის მიერ წარმოებული საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური კვლევიდან, რომელიც ითვალისწინებს ამ ინფორმაციის მიღებას მომსახურების სახეებისა და ქვეყნების ჭრილში. სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში სათანადო საკადრო რესურსებით უზრუნველყოფის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება საფუძველი ჩაეყაროს მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებას.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემები აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საწარმოებლად. ისინი შეუცვლელი ინფორმაციული წყაროა საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშისათვის. თავად ბალანსი მნიშვნელოვანი სტატისტიკური დოკუმენტია, რომელიც წარმოადგენს განსაზღვრულ პერიოდში მოცემული ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის დადებულ გარიგებათა კრების ბალანსს. იგი ახასიათებს ქვეყნის სავაჭრო და სავალუტო-საფინანსო ურთიერთობებს საზღვარგარეთთან და ასახავს შესაბამისი ოპერაციების მიხედვით სავალუტო სახსრების შემოსავალ-გასავალს შორის თანაფარდობას.

აქტიური გლობალიზაციის პირობებში საგადასახდელო ბალანსი განიხილება არა მხოლოდ როგორც უბრალო სტატისტიკური მაჩვენებელი, არამედ როგორც ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკაში რეალური ინტეგრაციის ამსახველი ფენომენი. საგადასახდელო ბალანსის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება, ეკონომიკური კრიზისის პროგნოზირება, ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება.

„საგადასახდელო ბალანსის“ ცნება შემოდებულ იქნა ჯერ კიდევ 1767 წელს გვიანდელი მერკანტილიზმის წარმომადგენლის ჯ. სტიუარტის მიერ. მისი შედგენის მეთოდოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ერთა ლიგამ, რომელმაც 1924 წელს გამოაქვეყნა ზოგიერთი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი, რითაც დასაბამი მისცა მისი მაჩვენებლების საერთაშორისო შედარებას.

1947 წელს გამოქვეყნდა საგადასახდელო ბალანსის სქემა გაეროში. შემდგომში მისი შედგენის მეთოდოლოგიის დამუშავება განაგრძო საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, რომელიც აქვეყნებს რეკომენდაციებს საგადასახდელო ბალანსის შედგენის შესახებ.

საგადასახდელო ბალანსი პირობითად შეიძლება დაიყოს 2 ნაწილად: მიმდინარე ოპერაციების ბალანსად (ანგარიშად) და კაპიტალისა და ფინანსური რესურსების ბალანსად (ანგარიშად).

მიმდინარე ოპერაციების ბალანსი ასახავს მოცემულ ქვეყანასა და საზღვარგარეთს შორის რეალური რესურსების მოძრაობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს. ამდენად, საგადასახდელო ბალანსის ეს ნაწილი მოიცავს საქონელს, მომსახურებას, შემოსავლებსა და მიმდინარე ტრანსფერტებს.

კაპიტალისა და ფინანსური რესურსების ბალანსი ასახავს მატერიალური და ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული კაპიტალისა და ფინანსური ნაკადების მოძრაობას.

საგადასახდელო ბალანსის შედგენა აგების თვალსაზრისით ემყარება შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპს – თითოეული ოპერაციის გატარება ხორციელდება ბუღალტრული ჩაწერის სისტემით, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი ოპერაციის გატარება ხდება ორი, ერთმნიშვნელოვანი ჩანაწერის საფუძველზე. ოპერაცია აისახება ერთი ანგარიშის კრედიტში (“+” ნიშნით), ხოლო მეორე ანგარიშის დებეტში (“-” ნიშნით). ამასთან, კრედიტში აისახება ექსპორტი, ხოლო დებეტში – იმპორტი.

ჩაწერის ბუღალტრული სისტემის გამოყენება საგადასახდელო ბალანსის ნაკადების რეგისტრაციისას მოითხოვს გარკვეული მოთხოვნების დაცვას. კერძოდ, ჩანაწერი უნდა გაკეთდეს დროის ერთსა და იმავე მონაკვეთის მიხედვით და ერთსა და იმავე ფასებში. ამ მოთხოვნების დაცვისას, ფაქტიურად ყველა გატარების წმინდა სალდო ნულის ტოლი უნდა იყოს, რადგან კრედიტის მიხედვით გატარებების ჯამი ტოლი იქნება დებეტის მიხედვით გატარებების ჯამის. თუმცა პრაქტიკაში ასეთ იდეალურ შემთხვევას თითქმის არ აქვს ადგილი. ამის მიზეზია: ფასების არაერთგვაროვნება, ოპერაციების რეგისტრაციის დროში სხვაობა, პირველადი ინფორმაციის სხვადასხვა დამოუკიდებელი წყაროების გამოყენება და სხვა მიზეზები, რის შედეგადაც ადგილი აქვს ან კრედიტის ან დებეტის სალდოს. ანგარიშის დაბალანსების უზრუნველსაყოფად კეთდება ცალკე ჩანაწერი „შეცდომები და გამოტოვებები“, სადაც ჩაიწერება ზემოაღნიშნული სალდო საწინააღმდეგო ნიშნით. ამასთან, ასეთი დაბალანსება ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა სალდო თავისი აბსოლუტური მნიშვნელობით მცირეა. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მოხდეს სალდოს დიდი აბსოლუტური მნიშვნელობის გამომწვევი მიზეზების ძიება.

საგადასახდელო ბალანსი ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებისა და დანარჩენ მსოფლიოსთან არსებული კავშირების დამახასიათებელი მნიშვნელოვანი საანალიზო ინსტრუმენტია.

საგადასახდელო ბალანსი, მის მიერ შესასწავლი ოპერაციების სირთულისა და მრავალფეროვნების, აგრეთვე შესაბამისი მაჩვენებლების სისტემატიზაციის საკმაოდ რთული ტექნოლოგიის გამო, გაანგარიშების თვალსაზრისით მსოფლიოში აღიარებულია ურთულეს ბალანსად.

საგადასახდელო ბალანსში ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ცნებაა რეზიდენტობა. ეკონომიკური ერთეული ითვლება რეზიდენტად, თუ იგი მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრობს 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში და მისი ეკონომიკური ინტერესების ცენტრი ამ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზეა.

რეზიდენტებს მიეკუთვნებიან ასევე ფიზიკური პირები, რომლებიც 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ მოცემულ ქვეყანაში (გამონაკლისს წარმოადგენენ სტუდენტები და მკურნალობის მიზნით სხვა ქვეყანაში მყოფი ფიზიკური პირები, რომლებიც რჩებიან ქვეყნის რეზიდენტებად, მიუხედავად საკუთარ ქვეყანაში არყოფნის ხანგრძლივ, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია ამ ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად და

მდებარეობს მის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, დიპლომატიური და ქვეყნის სხვა ოფიციალური წარმომადგენლობები საზღვარგარეთ (სამხედრო და სამეცნიერო ბაზები), ასევე საწარმოების საზღვარგარეთული ფილიალები.

საგადასახდელო ბალანსის შემოსავლებსა და გასავლებს შორის სხვაობას საგადასახდელო ბალანსის სალდო ეწოდება, რომელიც შეიძლება იყოს აქტიური, როდესაც შემოსავლები აჭარბებს გასავლებს და პასიური, როდესაც საწინააღმდეგო მდგომარეობაა.

ამჟამად, საქართველოში საგადასახდელო ბალანსის კომპილაცია ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სსფ-ის მიერ შემუშავებული საერთაშორისო მეთოდოლოგიის საგადასახდელო ბალანსი (BPM5) და ნაწილობრივ „საგადასახდელო ბალანსი და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია“ (BPM6) საფუძველზე, რომლის განახლებული ვერსია გამოიცა 2008 წელს. ახალ ვერსიაზე სრულად გადასვლა იგეგმება 2014 წლისთვის.

გარდა აღნიშნულისა, საგარეო ვაჭრობის მონაცემები გამოიყენება როგორც ეროვნული ანგარიშების წარმოების ისე, სხვადასხვა დარგობრივი სტატისტიკების მონაცემთა გაანგარიშებისა და კონტროლის პროცესში. კერძოდ, მშპ-ის გასაანგარიშებლად დანახარჯების მეთოდით, რესურსებისა და გამოყენების ცხრილების ასაგებად. სოფლის მეურნეობის სტატისტიკაში სასურსათო ბალანსების შედგენისას, ასევე, ბიზნეს სტატისტიკასა და სოციალურ სტატისტიკაში პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების მონაცემების სტატისტიკური ანალიზის დროს.

საგარეო ვაჭრობის მონაცემების დამუშავების მთლიანი პროცესი ფაქტიურად მექანიკურად ხორციელდება, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის იმ თვალსაზრისით, რომ შეიძლება დაშვებული იქნას შეცდომა, რომელიც სრულიად გამორიცხული იქნებოდა საგარეო ვაჭრობის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის არსებობის პირობებში. თუ გავითვალისწინებთ მომხმარებელთა საკმაოდ ფართო წრეს როგორც სტრუქტურის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და ინფორმაციის წარმოებისა და მოთხოვნის ინტენსივობას, საგარეო ვაჭრობის მონაცემების ტექნიკური დამუშავების საკითხებს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

უმთავრეს ქმედით ღონისძიებას წარმოადგენს, საგარეო ვაჭრობის სპეციალური პროგრამის შექმნა, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების

გაცილებით მაღალ სისწრაფეს, შედარებით ნაკლებ დროით დანახარჯებს და საშუალო მონაცემების მაღალ ხარისხს.

### 3.2 ძირითადი კლასიფიკაციები და დაჯგუფებები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში

საგარეო ვაჭრობის სასაქონლო ნაკადების სტრუქტურის ანალიზი წარმოებს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული სხვადასხვა სასაქონლო კლასიფიკაციების გამოყენებით, რომლებსაც აქვთ დეტალიზაციის სხვადასხვა დონე და აგებულია განსხვავებულ საკლასიფიკაციო კრიტერიუმებზე. განსაზღვრული სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენების არსი იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული ანალიტიკური მიზნებისთვის შესაძლებელი იყოს საქონლის გამოყოფა მისთვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით ყველაზე დეტალური სპეციფიკაციის გათვალისწინებით, რაც აუცილებელია ასევე, საგარეო ვაჭრობის განვითარების საკითხებზე სხვადასხვა მოლაპარაკებების წარმოებისათვის.

ძალზე დეტალური კლასიფიკაციის გამოყენების აუცილებლობა განსაზღვრულია საბაჟო და სტატისტიკური მოთხოვნების საკმაოდ რთული ხასიათით. ასეთ დეტალიზაციას მოიცავს საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა, ან მის საფუძველზე აგებული კლასიფიკატორები, რომლის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნების მიერ გამოყენებული კომბინირებული ნომენკლატურა. ასეთი სახის ნომენკლატურებში საქონლის კლასიფიკაცია დამოკიდებულია თავად საქონლის შემადგენლობაზე. თუმცა ეკონომიკური ანალიზისათვის უფრო მისაღებია საერთაშორისო სტანდარტული სავაჭრო კლასიფიკაცია (SITC), სადაც საქონელი კლასიფიცირებულია მისი წარმოების სტადიების მიხედვით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ანალიტიკურ მიზნებს ემსახურება კლასიფიკაცია ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით (BEC), სადაც საქონლის მსხვილი ეკონომიკური ჯგუფები კლასიფიცირებულია მათი საბოლოო გამოყენების მიხედვით. შემუშავებულია ასევე ნომენკლატურა, სადაც საქონლის კლასიფიკაცია

ხორციელდება ძირითადად მწარმოებლური ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით. ასეთი ნომენკლატურის მაგალითს წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია, სადაც საქონლის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს მისი მწარმოებელი დარგი.

ძირითადი პროდუქტების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციისა და ჰარმონიზებული სისტემის კრიტერიუმები. საგადასახდლო ბალანსის სტატისტიკის მიზნებიდან გამომდინარე, სავაჭრო ნაკადები იყოფა ისეთ მსხვილ კატეგორიებად, როგორიცაა: გადამუშავებისათვის განკუთვნილი საქონელი, რემონტისთვის განკუთვნილი საქონელი, პორტებში შექმნილი საქონელი და არამონეტარული ოქრო.

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა მოწონებული იქნა საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს მიერ 1983 წელს, ხოლო საერთაშორისო კონვენცია ჰარმონიზებული სისტემის შესახებ ძალაში შევიდა 1988 წელს.

გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ 1993 წელს გამოსცა რეკომენდაცია მისი წევრი ქვეყნებისთვის, რომ სავაჭრო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელებისას გამოეყენებინათ ჰარმონიზებული სისტემა.

ჰარმონიზებული სისტემის შესახებ არსებული კონვენციის პრეამბულის შესაბამისად, რომელიც აღიარებს ნომენკლატურის სისტემატური განახლების აუცილებლობას საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურისა და ტექნოლოგიების ცვლილების გათვალისწინებით, რეგულარულად წარმოებს მისი გადახედვა და დაუსტება.

ჰარმონიზებული სისტემის შემადგენელი ჯგუფებისა და ქვეჯგუფების დასახელებებისათვის მოცემულია გარკვეული შენიშვნები, რომელიც ამარტივებს შესაბამის ჯგუფში შემავალი საქონლის კლასიფიკაციას.

კლასიფიკაციის ზოგადი სტრუქტურა, რომელიც საერთოა ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელიც ჰარმონიზებულ სისტემას იყენებს, ასეთია:

სექცია I-IV სოფლის მეურნეობის პროდუქცია;

სექცია V-VII მინერალები, ქიმიური და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, პლასტმასა, კაუჩუკი და მათგან დამზადებული ნაწარმი;

სექცია VIII-X ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, როგორიცაა: დაუმუშავებელი და დამუშავებული ტყავი, ბეწვი, ასევე ხის მორები, საცობები, ცელულოზა-ქაღალდი და მათი ნაწარმი;

სექცია XI-XII ტექსტილი, ფეხსაცმელი, თავსაბურავები;

სექცია XIII-XV ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, კერამიკის, მინის, მარგალიტის, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვების, ძვირფასი ლითონებისა და საიუველირო ნაკეთობები, ძირითადი ლითონები და მისი ნაკეთობები;

სექცია XVI მანქანები, მექანიკური მოწყობილობები და ელექტრული აღჭურვილობა;

სექცია XVII სატრანსპორტო საშუალებები, საფრენი აპარატები, გემები და მათთან დაკავშირებული სატრანსპორტო აღჭურვილობა;

სექცია XVIII ოპტიკური, ფოტო და კინომატოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, ზუსტი, სამედიცინო და ქირურგიული ხელსაწყოები, მაჯის და სხვა სახის საათები, მუსიკალური ინსტრუმენტები;

სექცია XIX იარაღი და საბრძოლო მასალები;

სექცია XX-XXI სხვადასხვა სამრეწველო ნაწარმი, როგორცაა: ავეჯი, გასანათებელი საშუალებები, სპორტული საკუთნოები, ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) ჰარმონიზებული სისტემა საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ის გულისხმობს, რომ მრავალი დასახელების საქონელი კლასიფიცირებულია გარკვეული ნიშნების მიხედვით და შექმნილია ესნ-ის სისტემა, რომელიც გამოიყენება ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკურ აღრიცხვაში როგორც ერთი, ისე რამდენიმე ქვეყნის ფარგლებში.

საქართველოში 2006 წლის სექტემბრამდე მოქმედებდა სეს სნ-ის 1997 წლის ვერსია, რომლის მაქსიმალური დეტალიზაცია შესაძლებელი იყო 9 ნიშნა დონეზე. 6 ნიშნა დონეზე საქონლო კოდები შესადარისი იყო ევროკავშირის ქვეყნებში გამოყენებულ კლასიფიკატორთან, ხოლო 9 ნიშნა დონეზე შესადარისობა უზრუნველყოფილი იყო დსთ-ის სივრცეში შემავალი ყველა სახელმწიფოს სტატისტიკურ მონაცემებთან.

სასაქონლო ნომენკლატურის განახლება, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, მიღებულია ხუთ წელიწადში ერთხელ, თუმცა გასულ წლებში ჩვენი ქვეყანა რამდენადმე ჩამორჩებოდა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ცვლილებებსა და სიახლეებს. როგორც წესი, ახალი კლასიფიკატორი მოქმედებაში უნდა შევიდეს წლის დასაწყისიდან, მაგრამ, ქართული პრაქტიკა ამ დისციპლინისგან ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა.

2006 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა სეს ესნ-ის 2002 წლის ვერსია. მისი დეტალიზაცია მოხდა 11 ნიშნა დონეზე და ბოლო ორი ნიშანი წარმოადგენდა ეროვნულ ნიშანს, რაც იმას ნიშნავს, რომ 11 ნიშნა დონეზე შესაძლებელი იყო ეროვნული წარმოების საქონლის გამოყოფა. გარდა ამისა, ცვლილება შეეხო რამდენიმე ჯგუფს, რომელთა დეტალიზაცია განპირობებული იყო კონკრეტული საბაზრო მოთხოვნებით, რომ კომპანიათა მარკეტინგული ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებელი ყოფილიყო კონკრეტული საქონლის საგარეო სავაჭრო ნაკადების შესახებ არსებულ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი. კერძოდ, სასაქონლო ნომენკლატურის 2006 წლის ვერსიაში მოხდა რამდენიმე საქონლის დეტალური ჩაშლა ბრენდების მიხედვით. ასეთებს მიეკუთვნება:

- მსუბუქი ავტომობილები. თუ მანამდე ამ საქონლის დახასიათება შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთი პარამეტრებით, როგორცაა: ახალი და ექსპლუატაციაში ნამყოფი, ძრავის მოცულობა და საწვავის ტიპი, ახლა შესაძლებელია აღნიშნული საქონლის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები ჩაიშალოს მანქანის მარკების მიხედვით. კერძოდ კი, შესაძლებელია შემდეგი მარკების გამოყოფა: Audi, Alfa Romeo, BMW, Citroen, Daewoo, Ford, Honda, Hyundai, Infiniti, Kia, Land Rover, Lexus, Mazda, Mercedes-benz, Mitsubishi, Nissan, Opel, Peugeot, Jeep, Renault, Rover, Toyota, Volvo, Volkswagen;
- ქართული წარმოების ღვინოები: გურჯაანი, მუკუზანი, საფერავი, ტვიში, ტიბაანი, ქინძმარაული, წინანდალი, ხვანჭკარა;
- ქართული წარმოების ბუნებრივი მინერალური და მტკნარი წყლები, როგორცაა: ბორჯომი, ნაბეღლავი, საირმე, კოკატაური, ზანავი, ბორჯომის წყაროები, ბაკურიანი, გევა, ბახმარო, სქური;
- ქართული წარმოების სპირტიანი სასმელები: ენისელი და გრემი;
- სიგარეტები შემდეგი დასახელების: Marlboro, Winston, Camel, Parliament, Kent, L&M, Virginia Slims, Davidoff, Lucky Strike, Gauloises, Magna, West, Pall Mall.

2012 წლის ივლისამდე გამოიყენებოდა ჰარმონიზებული სისტემის 2007 წლის ვერსია, რომელიც საქართველოში 2009 წლის 28 დეკემბრიდან შევიდა მოქმედებაში. აღნიშნულ ნომენკლატურაში ცვლილებები შესულია სასაქონლო ჯგუფების (ორ ნიშნა) დონეზეც კი, ამიტომ დინამიკური მწკრივების შესადარისობა რამდენადმე გართულებულია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის და

დსთ-ის ქვეყნების მიერ გამოყენებულ კლასიფიკატორებთან შესადარისობა კვლავ უზრუნველყოფილია შესაბამისად 6 და 9 ნიშნა დონეზე. სასაქონლო ნომენკლატურა მოიცავს საერთაშორისო კლასიფიკაციის 77-ე ჯგუფს, რომელიც არის დარეზერვებული კოდი და ყველა ქვეყანას შეუძლია გამოიყენოს ეროვნული ინტერესების შესაბამისად. ჩვენს შემთხვევაში ამ ჯგუფში გაერთიანებულია როგორც კონფიდენციალური, ისე ძალიან მცირე მოცულობის მქონე საქონლის ექსპორტ-იმპორტის მონაცემები. ჯგუფის დასახელებაა „შერეული საქონელი“. მისი დეტალიზაცია არ ხორციელდება ქვეყნების, ტრანსპორტის სახეობისა და მოვაჭრე სუბიექტების მიხედვით, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებისას.

2012 წლის 1 მაისიდან მოხდა გადასვლა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ახალ 2012 წლის ჰარმონიზებულ ვერსიაზე, რომელშიც ცვლილებები შესულია თანამედროვე მსოფლიო ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან და მისი მოთხოვნებიდან, ძირითადი საექსპორტო და საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების სტრუქტურულიდან და ქვეყნების ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. გარდა აღნიშნულისა, რამდენადმე შეცვლილია თავად კლასიფიკატორის სტრუქტურაც. ზოგიერთი საქონელი უფრო დეტალურად არის ჩაშლილი, ხოლო უმეტესობა – პირიქით გაერთიანებულია და ამ მხრივ უფრო გამარტივებულია კლასიფიკაცია. შეტანილია მცირე ტექსტური კორექტირებები და ახალი შენიშვნები.

ახალ კლასიფიკატორში თევზის ჯგუფის დეტალიზაცია შემცირებულია. ცალკეა გამოყოფილი მანიოკის ჯიშის კარტოფილი, რომელიც ლათინური ამერიკის ქვეყნების ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურულიდან გამომდინარე გახდა საჭირო. ასევე, ბაღჩეულიდან ცალკე გამოიყო ყაბაყი და გოგრა. ხილიდან – წაბლი ჩაიშალა ნაჭუჭგაცლილად და ნაჭუჭგაუცლელად. მარცვლოვნებიდან ხორბალში ცალკე გამოიყო დასათესად განკუთვნილი მარცვალი. ცხოველებიდან ცალკე საკლასიფიკაციო კოდი მიენიჭა აქლემს, ბოცვრებს და ფუტკრებს, რაც მანამდე შესაბამისი სასაქონლო პოზიციების დანარჩენ სუბპოზიციაში შედიოდა და შეუძლებელი იყო კონკრეტულად ამ სახეობების შესახებ სტატისტიკური მონაცემების დამუშავება. დანარჩენი ბოსტნეულიდან მოხდა ზოგიერთი ჩვენთვის უცნობი ბოსტნეულის გამოცალკევება. ცალკე პროდუქციად გამოიყო ბიო-დიზელი, რაც მსოფლიოში ეკოლოგიური საკითხებისადმი გაზრდილმა ყურადღებამ გამოიწვია.

კლასიფიკატორის ყოველი ახალი ვერსიის მიღებისას აუცილებელია, რომ საბაჟო და სტატისტიკურმა სამსახურებმა ერთდროულად მოახდინონ მათი დანერგვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს საბაჟო და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ჰარმონიზაცია.

2006 წლის სექტემბერში, ამოქმედდა სეს ესნ-ის ახალი ვერსია, რომელიც მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა 1999 წელს და ძალაში შევიდა 2002 წლის 1 იანვრიდან. მასში დაახლოებით 400 ცვლილება იქნა შეტანილი. მათგან ნაწილი ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ ცვლილებების უმეტესობა გამოწვეული იყო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნით. საქართველოს სტატისტიკურმა სამსახურმა მოახდინა 2005-2006 წლების (2006 წლის იანვარი-აგვისტო) მონაცემთა ბაზების გადაყვანა ახალ კლასიფიკაციაზე. ამან ფაქტიურად გაზარდა ქრონოლოგიური მწკრივი, რომელიც უფრო ხანგრძლივ დინამიკაში საგარეო სავაჭრო ნაკადების მეტად დეტალიზებულ სურათს გვიჩვენებდა. შესაძლებელი გახდა საქონლის ექსპორტ-იმპორტის მონაცემთა დამუშავება და გავრცელება საქონლის ბრენდების, მათ შორის ქართული წარმოების საქონლის, მიხედვით (კლასიფიკატორში შესული ცვლილებების გათვალისწინებით), რაც საკმაოდ ფასეული ანალიზის გაკეთების, მსოფლიო ბაზარზე ეროვნული წარმოშობის პროდუქტის ადგილისა და კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის და შესაბამისად, ექსპორტის მასტიმულირებელი პოლიტიკის შემუშავების საშუალებას იძლეოდა.

ანალოგიური სამუშაოები ჩატარდა სეს ესნ-ის 2007 წლის ვერსიის დანერგვისას. 2009 წლის ბოლოს, სტატისტიკის დეპარტამენტში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოახდინა ჰარმონიზებული სისტემის HS 2002 ვერსიიდან იმავე სისტემის HS 2007 ვერსიაზე გადამყვანი კორელაციური ცხრილების შედგენა, რომლის საშუალებითაც 2010 წლის მაისისთვის დასრულდა წინა წლის საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზების ახალ კლასიფიკატორზე გადაყვანის სამუშაოები. ამით უზრუნველყოფილი იქნა დინამიკაში მონაცემთა ურთიერთშესადარისობა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ახალ კლასიფიკაციაში სასაქონლო კოდების 4 ნიშნა დონეზე შესული არსებითი ხასიათის ცვლილებების გამო, სასაქონლო ჭრილში საგარეო ვაჭრობის მონაცემთა დინამიკა ორ პერიოდად არის დაყოფილი 1995-2008 წწ და 2009-2010 წწ.

სასაქონლო ნომენკლატურის ეს ვერსია მოიცავდა 22 კარს (სხვანაირად სექციას, როგორც პრაქტიკაში ხშირად ვუწოდებთ), 98 ჯგუფს (დეტალიზაციის 2

ნიშნა დონე), 1257 ქვეჯგუფს (დეტალიზაციის 4 ნიშნა დონე). კლასიფიკატორი დეტალიზებულია 11 ნიშნა სასაქონლო დონეზე.

2011 წლის აგვისტოდან, პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, HS 2007 კლასიფიკატორს დაემატა ახალი სასაქონლო კოდები (დანართი №10).

თუმცა, იმის გამო, რომ აღნიშნული კოდებით გაფორმებულ დეკლარაციებში საქონლის აღწერილობა ძალზედ მწირია და უბრალოდ მარტივია დეკლარანტისთვის ერთ კონკრეტულ კოდში სხვადასხვა დასახელების საქონლის გატარება, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა საქონლის დეკლარირებისას ახალი კოდებია გამოყენებული. რეალურად შემოწმებაც კი შეუძლებელია რამდენად ზუსტად მოხვდა ესა თუ ის საქონელი შესაბამის კოდში.

ამ პრობლემის რეალურობის საჩვენებლად მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: მოქმედ კლასიფიკატორში ტყავის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები და სხვა ნაწარმი განაწილებულია სხვადასხვა კოდებში, რომლებიც განსხვავებულია 2 ნიშნა სასაქონლო პოზიციის დონეზე. მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად შესაძლებელია ტყავის სხვადასხვა დასახელების საქონლის ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური მონაცემების ცალ-ცალკე დამუშავება და გაცემა. მაგრამ რაც შეეხება ახალ კოდს 9803 00 000 00, ის არ ითვალისწინებს საქონლის მსგავს დეტალიზაციას, რაც საშუალებას არ იძლევა შეიქმნას საერთო სურათი ქვეყანაში ექსპორტირებული ან იმპორტირებული ტყავის კონკრეტული ნაწარმის შესახებ. ანალოგიური პრობლემა იქმნება სხვა სასაქონლო კოდების შემთხვევაში და განსაკუთრებით 9801 10 000 00 კოდში, რადგან მსუბუქი ავტომობილების (8703) ნაწილების შესაბამისი სასაქონლო კოდები უკვე არსებობს სხვა სასაქონლო კოდში, მაგრამ დეკლარირების პროცესის გამარტივების მიზნით, ადვილი შესაძლებელია, ავტომანქანის ახალი ნაწილებიც ამ კოდის ქვეშ გატარდეს.

2004 წელს სტატისტიკურმა კომისიამ, 35-ე სესიაზე, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჰარმონიზებულ სისტემაში შესული მრავალრიცხოვანი ცვლილებების გამო, მოემზადებინათ საქონლის საერთაშორისო სტანდარტული სავაჭრო (Standard International Trade Classification - SITC) კლასიფიკაციის მეოთხე ვარიანტი შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საქონლის წარმოებისას გამოყენებული მასალის შემადგენლობა;
- სამრეწველო გადამუშავების სტადია;
- პროდუქტის დანიშნულება და სავაჭრო პრაქტიკა;
- საქონლის ადგილი საერთაშორისო ვაჭრობაში;

- ტექნოლოგიური ცვლილებები.

კლასიფიკატორის მეოთხე გადამუშავებული ვერსია გამოქვეყნდა 2006 წელს და ის მოიცავს 3993 ძირითად თავს და ქვეთავს, რომლებიც ერთიანდება 262 ქვეჯგუფში, 67 ჯგუფში და 10 სექციაში, რომელთა სტრუქტურა ასეთია:

0 საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები;

1 სასმელები და თამბაქო;

2 არასაკვები ნედლეული, საწვავის გარდა;

3 მინერალური საწვავი, საპოხი ზეთები და ანალოგიური მასალები;

4 მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ზეთები, ცხიმები და ვაქსები;

5 სხვა კატეგორიაში ჩაურთველი ქიმიური და ანალოგიური პროდუქტები;

6 სამრეწველო საქონელი, რომელიც ძირითადად კლასიფიცირებულია შემადგენელი მასალის მიხედვით;

7 მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები;

8 სხვადასხვა მზა ნაწარმი;

9 საქონელი, რომელსაც არ მოიცავს აღნიშნული კლასიფიკაციის სხვა კატეგორია.

ზემოაღნიშნული კლასიფიკატორის ყველა ვერსიაში ცალკეული განყოფილებების მოცვის სფერო იმდენად ერთგვაროვანია, რომ ამ დონეზე განზოგადებული მონაცემები ქრონოლოგიურ მწკრივებში უმეტესად ურთიერთშესადარისია.

რაც შეეხება კლასიფიკაციას ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით (Broad Economic Categories - BEC), ის ძირითადად შემუშავებული იქნა გაეროს სტატისტიკური განყოფილების მიერ საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემების დაჯგუფებისათვის საქონლის გაფართოებული ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით, სპეციფიკური ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. მისი მთავარი დანიშნულება იყო ვაჭრობის მონაცემთა გადაყვანა საბოლოო გამოყენების კატეგორიაში, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტრუქტურაში: კაპიტალური, შუალედური და სამომხმარებლო საქონელი.

აღნიშნული კლასიფიკატორი მოიცავს 19 ძირითად კატეგორიას, რომლებიც აგრეგირებულია საქონლის შვიდ ჯგუფში:

1 – სასმელი და საკვები პროდუქტები;

2 – სამრეწველო პროდუქცია (სხვა ადგილას დაუსახელებელი);

3 – საწვავი და საპოხი მასალები;

- 4 – კაპიტალური საქონელი (გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა) სათადარიგო ნაწილებისა და აქსესუარების ჩათვლით;
- 5 – სატრანსპორტო საშუალებები, მათი ნაწილები და აქსესუარები;
- 6 – სამომხმარებლო საქონელი (სხვა ადგილას დაუსახელებელი);
- 7 – სხვაგან დაუსახელებელი დანარჩენი საქონელი.

აღნიშნული კლასიფიკატორი საშუალებას იძლევა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემები განვიხილოთ ეკონომიკური სტატისტიკის (ეროვნული ანგარიშები და დარგობრივი სტატისტიკები) სხვა მაჩვენებლებთან ერთად ეროვნული, რეგიონული და გლობალური ეკონომიკური ანალიზის წარმოებისათვის. თუმცა გაეროს სტატისტიკური კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, კლასიფიკაცია ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც „სტანდარტული კლასიფიკაცია“.

ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის მესამე გადამუშავებული ვარიანტი გაეროს ეკონომიკური კომისიის მიერ მიღებული იქნა 1989 წელს. ის მოიცავს მწარმოებლური ეკონომიკური საქმიანობის სტანდარტულ კლასიფიკაციას და შედგება 17 კატეგორიის, 60 ქვეკატეგორიის, 159 ჯგუფისა და 292 კლასისგან.

ძირითადი პროდუქტების კლასიფიკაცია გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ დამტკიცებული იქნა 1997 წელს. ის შედგება 10 ჯგუფისაგან. ჯგუფები 0-4 აგებულია ჰარმონიზებული სისტემის ბაზაზე და საშუალებას იძლევა გაკეთდეს გარკვეული ეკონომიკური ანალიზი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიზნებიდან გამომდინარე. ჯგუფები 5-9 კი ცდება ჰარმონიზებული სისტემის კატეგორიის საზღვრებს და აყალიბებს პროდუქტების კლასიფიკაციას მომსახურების სფეროში.

საქართველოს სტატისტიკური საქმიანობის პრაქტიკაში სეს ესნ-ის გარდა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დამუშავებისას გამოიყენება სხვა კლასიფიკატორებიც. კერძოდ: საერთაშორისო სტანდარტული საგაჭრო კლასიფიკაცია და კლასიფიკაცია ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით.

საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციით საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას და მონაცემთა გავრცელებისას, სასურველია ქვეყნებმა გამოიყენონ საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა.

საერთაშორისოდ აღიარებული სასაქონლო ნომენკლატურების გარდა, ქვეყნის წინაშე მდგარი კონკრეტული ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზნებიდან

და ამოცანებიდან გამომდინარე, სტატისტიკურმა სამსახურებმა შეიძლება შემუშაონ და პრაქტიკაში დანერგონ ნებისმიერი სახის კლასიფიკატორი. ამის მაგალითს საქართველოში წარმოადგენს პრეფერენციების განზოგადებული სისტემის საფუძველზე შექმნილი სტანდარტული ცხრილი, რომელშიც გაითვალისწინება შესწორებები პრეფერენციული რეჟიმის სატარიფო განაკვეთების ცვლილების შესაბამისად. პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP) ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე.

ერთი სასაქონლო ნომენკლატურის შეცვლა ახალი ვერსიით მოითხოვს კორელაციური ცხრილების აგებას. კორელაცია ორ კლასიფიკაციას შორის, თავის მხრივ, წარმოადგენს ურთიერთკავშირის აღწერას და ხორციელდება 2 ცხრილის მეშვეობით. პირველში მოცემულია ნომენკლატურის ძველი კოდები, რომელსაც აღწერილობის შესაბამისად მისადაგებული აქვს სასაქონლო კოდები ახალი ვერსიიდან. მეორე ცხრილი წარმოადგენს უკუკორელაციას და მის საფუძველზე შესაძლებელია ახალი სასაქონლო ნომენკლატურით მიღებული ინფორმაციის გადაყვანა ძველ სასაქონლო სტრუქტურაზე. ორივე სახის (პირდაპირი და უკუ კორელაცია) კორელაციური ცხრილების გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ მონაცემთა დინამიკური მწკრივების შესადარისობის უზრუნველყოფისათვის.

როგორც წესი, ჰარმონიზებული სისტემის საერთაშორისო კლასიფიკატორის ცვლილების შემთხვევაში, საერთაშორისო საბაზო ორგანიზაცია უზრუნველყოფს ორივე სახის კორელაციური ცხრილების შედგენას და გამოქვეყნებას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მსგავსი ცხრილები დეტალიზებულია მხოლოდ 6 ნიშნა დონეზე, რასაც სტანდარტული კორელაცია ეწოდება. სტატისტიკოსები ვალდებული არიან კორელაცია აწარმოონ მაქსიმალურად დეტალიზებულ დონეზე. ეს საკმაოდ შრომატევადი საქმიანობაა, რისთვისაც ქვეყნებს უწევთ დამატებითი საკადრო და ფინანსური რესურსების მობილიზება.

გარდა იმისა, რომ კორელაციური ცხრილები უნდა შეიქმნას ერთი და იმავე სასაქონლო ნომენკლატურის სხვადასხვა ვერსიებს შორის კავშირის უზრუნველსაყოფად, ისინი აუცილებელია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახის სასაქონლო კლასიფიკაციებს შორის

ურთიერთდამოკიდებულების დასადგენად. საფუძვლად გამოიყენება ის ნომენკლატურა, რომელსაც ქვეყანა იყენებს როგორც ძირითად კლასიფიკატორს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკაში სასაქონლო ნომენკლატურებთან ერთად აქტიურად გამოიყენება მსოფლიო ქვეყნების საერთაშორისო კლასიფიკატორი, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციის (International Standards Organization ISO) სტანდარტს. ის ძირითადად არის სამ დონიანი იერარქიული კლასიფიკაცია 251 კატეგორიით. მასში მოცემულია ქვეყნების რიცხვითი (3 ნიშნა) და ასოითი (აღფა-2 და აღფა-3) კოდები და შესაბამისი ქვეყნების დასახელება. პირველი დონე მოიცავს 246 კატეგორიას ორ სიმბოლოიანი აღფა კოდით. მაგალითად, პირველი დონის ერთი კატეგორია გაერთიანებული სამეფო (GB – Great Britain) დაყოფილია მეორე დონეზე ორ კატეგორიად ორ ნიშნა კოდით XB გაერთიანებული სამეფო და XI ჩრდილოეთის კუნძულები (Nothern Islands). ამ კატეგორიიდან ერთ-ერთი მათგანი XB თავის მხრივ იყოფა მესამე დონეზე სამ კატეგორიად ორ ნიშნა კოდით. ასეთი დეტალური დაყოფა საჭიროა კონკრეტული ანალიტიკური მიზნებისათვის, როდესაც ქვეყანა ძირითად ტერიტორიასთან ერთად შედგება მცირე კუნძულებისაგან. თუმცა ასეთი დეტალიზაცია არ არის გათვალისწინებული ISO-ს ოფიციალურ კლასიფიკაციაში.

ისევე, როგორც სასაქონლო ნომენკლატურაში, ქვეყნების კლასიფიკატორშიც ხდება პერიოდულად გარკვეული ცვლილებების შეტანა, მისი განახლება, სასაქონლო ნომენკლატურის მსგავსად, ხუთ წელიწადში ერთხელ, რაც გარკვეული პოლიტიკური მოვლენების თანამდევია პროცესია. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ქვეყნის კოდის, დასახელების ან უბრალოდ ახალი ქვეყანა-სახელმწიფოს წარმოქმნასთან. ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესება, მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში დამოუკიდებლად და სრულფასოვნად ინტეგრაციის სურვილი იწვევს ქვეყანათა ჯგუფების ან კავშირების დაშლას და ცალკეული ქვეყნების დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებას. სწორედ ასეთ შემთხვევაში ჩნდება ქვეყნების საერთაშორისო კლასიფიკაციის განახლების აუცილებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტი ქვეყანა ერთვება მსოფლიო სავაჭრო სისტემაში და მისი ბაზარი, უკვე როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ხელმისაწვდომი ხდება მრავალი მიმწოდებლისათვის და მყიდველისათვის.

საერთაშორისო გაცვლით პროცესებში ნებისმიერი დოზით ჩართულობა იწვევს ქვეყნების ვალდებულებას ცვლილებები გაითვალისწინონ მოქმედ კლასიფიკაციებში.

მოვიყვანოთ მსოფლიო ქვეყნების კლასიფიკაციაში განხორციელებული ცვლილების მაგალითები. მსოფლიო რიცხვითი კოდის ცვლილება წარმოდგენილია დანართში №11.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის შემთხვევები, როცა იცვლება ქვეყნის დასახელება, ხოლო რიცხვითი კოდი რჩება უცვლელი (დანართი №12).

ცალკე მოცემულია ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა კოდებიც, ან თავად ქვეყნის დასახელება თანამედროვე პირობებში, აღარ გამოიყენება ან შესაბამისი ქვეყანათა ჯგუფები აღარ არსებობს (დანართი №13).

ქართულ რეალობაში, გარკვეული მიზეზების გამო, ქვეყნების კლასიფიკაციის ცვლილებები არ განხორციელებულა 2003 წლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ეს პროცესი განუხრელად მიმდინარეობს. მართალია, ყველა ქვეყანასთან, რომელსაც ცვლილება შეეხო, საქართველოს არ აქვს სავაჭრო ურთიერთობები, მაგრამ ზუსტი სტატისტიკის წარმოების და მონაცემთა საერთაშორისო შესადარისობის უზრუნველყოფისათვის, ასევე, ეროვნული კლასიფიკატორის მსოფლიო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, კლასიფიკაციის განახლება აუცილებელი მოთხოვნაა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ერთ-ერთი პრობლემური ქვეყანაა სერბია და მონტენეგრო, რომელიც მოქმედ კლასიფიკაციაში ერთ ქვეყანადაა წარმოდგენილი რიცხვითი კოდით 891 და სტატისტიკური მონაცემებიც ამ ერთ ქვეყანაზეა მიწერილი. რეალურად უნდა ფიგურირებდეს როგორც ორი დამოუკიდებელი ქვეყანა: სერბია კოდით 688 და მონტენეგრო კოდით 499.

აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით, 2012 წლის განმავლობაში საქსტატის ინიციატივითა და უშუალო ორგანიზებით იგეგმება ქვეყნების ეროვნული კლასიფიკატორის ჰარმონიზება საერთაშორისო კლასიფიკაციასთან და 2003 წლის შემდგომ შესული ცვლილებების გათვალისწინება, რათა მიღწეული იქნეს სავაჭრო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა მაღალი ხარისხი და შესაბამისობა მსოფლიო სტანდარტებთან.

სავაჭრო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების არსებობას, ტრანსპორტის სახეების ანუ ტვირთის გადაზიდვის ხერხების მიხედვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტის საკითხში

გადაზიდვების საერთაშორისო მარშრუტების მონიტორინგის, ტვირთების ტრანსპორტირების სფეროში შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებისა და გარემოზე ვაჭრობის ზეგავლენის შეფასების ჩათვლით.

საერთაშორისო დონეზე მონაცემების მაქსიმალური შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყნებმა საგარეო სავაჭრო ოპერაციების აღრიცხვისას უნდა გამოიყენონ სატრანსპორტო სახეობების ძირითადი კატეგორიები და სხვადასხვა საჭიროებიდან გამომდინარე, უფრო დეტალური კლასიფიკაცია:

1. საჰაერო ტრანსპორტი
2. წყლის ტრანსპორტი
  - 2.1. საზღვაო
  - 2.2. შიდა წყლის
3. სახმელეთო ტრანსპორტი
  - 3.1. სარკინიგზო
  - 3.2. საავტომობილო
4. ტრანსპორტი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კატეგორიებს
  - 4.1. მილსადენი და საკაბელო
    - 4.1.1. მილსადენი
    - 4.1.2. საკაბელო
  - 4.2. ფოსტა და საფოსტო და საკურიერო მომსახურების გამოყენება
  - 4.3. თვითმავალი
  - 4.4. სხვა.

ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, შეიძლება განისაზღვროს ტრანსპორტის სახეობების მიხედვით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების დეტალიზაციის დონე ან შემუშავდეს უფრო დეტალური ეროვნული კლასიფიკაცია.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას, სხვა კლასიფიკატორებთან ერთად, აქტიურად გამოიყენება მსოფლიო ქვეყნების ვალუტების კლასიფიკატორი. საქართველოში, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის პრაქტიკაში, დღემდე არ ყოფილა აღნიშნული კლასიფიკატორის გამოყენების საჭიროება, რადგან ნებისმიერი საინფორმაციო წყაროს მონაცემები მოცემული იყო ეროვნულ ვალუტაში ან აშშ დოლარებში. მას შემდეგ, რაც შსს-ის მომსახურების სააგენტოს მიერ დაიწყო კონტეინერული ტვირთების განბაჟების პროცედურების წარმოება, მათ მიერ მოწოდებულ მონაცემთა ბაზაში საქონლის სტატისტიკური ღირებულება

ფიქსირდება ტრანსაქციის განხორციელების ორიგინალ ვალუტაში. იმის გამო, რომ საქართველოში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დამუშავება და გავრცელება წარმოებს აშშ დოლარებში, აღნიშნული სამუშაოების ტექნიკური უზრუნველყოფისათვის აუცილებელია მსოფლიო ქვეყნების ვალუტების კლასიფიკატორის ადაპტაცია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ბაზასთან. ამ სამუშაოების შესრულება იგეგმება 2012 წელს.

2012 წელი საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების პერიოდია. კერძოდ, 1) ეტაპობრივად უნდა დაიწყოს საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლის სამუშაოები; 2) ცვლილებები უნდა შევიდეს მსოფლიო ქვეყნების ეროვნულ კლასიფიკატორში საერთაშორისო კლასიფიკაციასთან ჰარმონიზაციის მიზნით; 3) წინასწარ შეთანხმებული გეგმის შესაბამისად მოქმედებაში უნდა შევიდეს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 2012 წლის ვერსია; 4) საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიხედვით, 2012 წლის 10 ივნისისთვის დასრულდა 2009-2011 წლების მონაცემთა ბაზების გადაყვანა ახალ კლასიფიკატორზე; 5) აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად, განხორციელდა HS 2007-დან HS 2012-ზე გადაყვანილი კორელაციური ცხრილების შედგენა; 6) საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დამუშავების პრაქტიკაში უნდა დაინერგოს ვალუტების კლასიფიკატორი; 7) დასრულდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის 2010 წლის მონაცემთა ბაზის ძირეული რევიზია. ეს განპირობებული იყო სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზასთან შედარებით, აღმოჩენილი ძალიან დიდი განსხვავებებით, რაც გამოიწვია შესაბამის პერიოდში არასრული ინფორმაციის მიღებამ. ამ ფაქტის შედეგად, აღმოჩნდა, რომ დაზუსტებული მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მანამდე არსებული მონაცემებისგან. თუმცა, ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ პერიოდულად მსგავსი რევიზიის განხორციელება და მონაცემთა დაზუსტება აუცილებელია როგორც ინფორმაციული წყაროების სისრულის მონიტორინგის, ისე საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

### 3.3 საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშების პრაქტიკული ასპექტები და პრობლემები საქართველოში

საგარეო ვაჭრობაში ინდექსების პრაქტიკულად გაანგარიშება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

1997 წელს გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ ერთ-ერთ პრიორიტეტულ საქმიანობად, საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სფეროში, მიიჩნია საგარეო ვაჭრობის ინდექსების წარმოება. 1999 წელს მსოფლიო მასშტაბით ჩატარდა გამოკითხვა ქვეყნების მიერ საგარეო ვაჭრობის ინდექსების წარმოების, მონაცემთა გავრცელებისა და ამ სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების ზოგადი ტენდენციების დასადგენად. 2002 წელს შესაძლებელი გახდა გამოკვლევის შედეგების მიღება. როგორც აღმოჩნდა, 77 რესპონდენტი ქვეყნიდან 75 პროცენტი ანგარიშობდა საქონლის ფიზიკური მოცულობის ინდექსებს, 17 პროცენტი ფასების ინდექსებს და მხოლოდ 8 პროცენტი ორივე მათგანს.

რესპონდენტების 95 პროცენტი ინდექსების გაანგარიშებას აწარმოებდა საქონლის სხვადასხვა კლასიფიკაციის საფუძველზე. მათგან 45 პროცენტის მიერ გამოიყენებდა საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაცია (SITC), 19 პროცენტი იყენებდა ჰარმონიზებულ სისტემას, 16 პროცენტი – კლასიფიკაციას ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით (BEC), დანარჩენები – სხვა საერთაშორისო ან ეროვნულ კლასიფიკატორებს.

რაც შეეხება უშუალოდ ფასების ინდექსების სახეებს, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ქვეყნების 30 პროცენტი იყენებდა პააშეს ინდექსს, 18 პროცენტი – ლასპეირესს, 21 პროცენტი – ფიშერს, დანარჩენები ანგარიშობდნენ მხოლოდ საქონლის ფიზიკური მოცულობის ინდექსებს.

ინდექსების პრაქტიკული გაანგარიშების ძირითად პრობლემებად დასახელდა: შეცდომები მონაცემებში ან კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესადარისი მონაცემების არარსებობა, დეკლარაციებში არაზუსტი სასაქონლო კოდებისა და არასწორი აღწერილობის მითითება, შეუსაბამობები შერჩეული საქონლის რაოდენობრივ მონაცემებში, საქონლის ხარისხობრივი ცვლილების მონაცემთა არარსებობა. პრობლემების ჩამონათვალი მოიცავდა ასევე, ფინანსური, საკადრო და ტექნიკური ხასიათის მიზეზებს.

საქართველოში დღემდე არ არსებობს საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშების რეალური პრაქტიკა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანა

არასოდეს დაინტერესებულა აღნიშნული ინდიკატორების აგებით და მსგავსი მცდელობა არ ჰქონია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2002 წლის ROSC (Report on Observance of Standards and Codes) მისიის ანგარიშის (ანგარიში სტანდარტებისა და კოდეზის დაცვის შესახებ) თანახმად, საქართველოს მიეცა რეკომენდაცია დაეწყო ექსპორტ-იმპორტის ინდექსების წარმოება, მაგრამ აღნიშნული რეკომენდაცია მხოლოდ ქაღალდზე დარჩა მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო.

2004 წლის სექტემბერში, თურქეთის ქალაქ ანკარაში ჩატარდა ერთ კვირიანი სამუშაო შეხვედრა საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშებასთან დაკავშირებით, რომელსაც ესწრებოდნენ წარმომადგენლები საქართველოს სტატისტიკიდან. შეხვედრის დროს დაიგეგმა საქართველოში საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშების პრაქტიკის დანერგვა 2002-2004 წლების მონაცემების მიხედვით. საბაზისო პერიოდად შეირჩა 2002 წელი. ძირითად კლასიფიკაციებად გამოყენებული უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაცია (SITC) და კლასიფიკატორი ფართო ეკონომიკური კატეგორიების (BEC) მიხედვით. ინდექსების გაანგარიშების პერიოდულობა იქნებოდა კვარტალური. 2005 წელს, თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (TIKA) პროექტის ფარგლებში, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტში ორი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ექსპერტი თურქეთის სახელმწიფო სტატისტიკის ინსტიტუტიდან. პირველი ვიზიტის ფარგლებში ის გაეცნო საქართველოში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიას, გამოყენებულ კლასიფიკაციებს, მონაცემთა დამუშავების ტექნიკურ საკითხებს. მისი რეკომენდაციის ფარგლებში მოხდა ინდექსების გაანგარიშებაში მონაწილეობისათვის სასაქონლო კოდეზის შერჩევა, იმ დროისათვის მაქსიმალურად დეტალიზებულ, 9 ნიშნა დონეზე. მეორე ვიზიტის ფარგლებში მომზადდა საფუძველი საგარეო ვაჭრობის ერთეულის ღირებულების, ფასებისა და ფიზიკური მოცულობის ინდექსების აგებისთვის. შემდგომი სამუშაოები უნდა დაწყებულიყო ექსპერტის მიერ დატოვებული რეკომენდაციების შესრულების შემდეგ. თუმცა, სამწუხაროდ, ინდექსების გაანგარიშება პირველადი სამუშაოების წარმოების დონეზე შეჩერდა და გაგრძელება ვერ ჰპოვა საკადრო, ტექნიკური და რაც ყველაზე მთავარი იყო, ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო. სავარაუდოდ, ნაკლები იყო პრაქტიკული დაინტერესებაც აღნიშნული

საკითხებისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი განვითარება შესაძლებელი იქნებოდა და დღეისათვის საქართველოს საკმაო გამოცდილება ექნებოდა დაგროვილი აღნიშნულ საკითხში.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიაში, კლასიფიკაციებსა და საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების პრაქტიკულ სფეროშიც.

2012 წელს საქართველოს კვლავ ეწვია სსფ-ის მისია 10 წლის წინ გაწეული რეკომენდაციების შესრულების დონის შესაფასებლად. ასევე, საერთაშორისო მეთოდოლოგიებისა და კლასიფიკაციების ცვლილების შესაბამისად, საქართველოს სტატისტიკური სისტემის პრაქტიკაში არსებული მდგომარეობის მონიტორინგისათვის და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით. კვლავ აღინიშნა, როგორც სისუსტე, საგარეო ვაჭრობის ინდექსების არარსებობა. გარდა იმისა, რომ საგარეო ვაჭრობის ინდექსებით შესაძლებელია საქართველოს საგარეო ვაჭრობაში არსებული ტენდენციებისა და დინამიკის ზუსტი შეფასება, ექსპორტისა და იმპორტის ფასების ინდექსები გამოიყენება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გასაანგარიშებლად დანახარჯების მეთოდით მუდმივ ფასებში. ინდექსები აუცილებელია მონაცემთა დეფლირებისათვის, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება გავიანგარიშოთ მშპ-ის რეალური ზრდა. სსფ-ის ROSC მისიის 2012 წლის რეკომენდაციებშიც ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი საგარეო ვაჭრობის ინდექსების წარმოება რჩება.

ამასთან დაკავშირებით, წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 2011 წელს ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის „ტაიექსის“ (TAIEX – Technical Assistance and Information Exchange) ეგიდით წარმოებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა საქსტატის თანამშრომლების სასწავლო ვიზიტი ლიტვაში და შემდგომ ლიტველი ექსპერტების სამუშაო ვიზიტი საქართველოში. სასწავლო ვიზიტის მიზანი იყო საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ინდექსების აგების მეთოდოლოგიისა და პრაქტიკული გაანგარიშებების ადგილზე გაცნობა, მათი აგების ძირითადი პრინციპებისა და პრაქტიკული თავისებურებების შესწავლა. აღნიშნული ვიზიტის დროს დაიგეგმა საქართველოს მხარის მიერ შესასრულებელი საბაზისო სამუშაოები, რომელიც საფუძვლად დაედებოდა, ექსპერტების ვიზიტის დროს, საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზის ანალიზსა და ინდექსების გაანგარიშებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებას. ლიტველი ექსპერტების ვიზიტის დროს, ბაზის

გაანალიზების შედეგად აღმოჩნდა გარკვეული პრობლემები, რაც მოითხოვდა გარკვეული ცვლილებების შეტანას ბაზის მომზადების დაწყებით სტადიაზე. კერძოდ, საქართველოს საგარეო ვაჭრობა უფრო პასიური აღმოჩნდა და მისი სასაქონლო სტრუქტურაც საკმაოდ მწირი. ზოგიერთი პროდუქციის არჩევისათვის არ იყო საკმარისი სავაჭრო ნაკადების ინტენსივობა. არსებული მონაცემთა წყაროები (საბაჟო დეკლარაციების მონაცემები) იძლევა მხოლოდ იმის საშუალებას, რომ გაანგარიშდეს ექსპორტისა და იმპორტის ფიზიკური მოცულობის და ერთეულის ღირებულების ინდექსები. რაც შეეხება საგარეო ვაჭრობის ფასების ინდექსებს, მისი აგება მოითხოვს სპეციალური კვლევების ჩატარებას, რომლის ფარგლებშიც მოხდება ექსპორტიორი და იმპორტიორი კომპანიების გამოკვლევა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ექსპორტისა და იმპორტის ინდექსების აგება მთელი სასაქონლო ნომენკლატურისათვის არ ემყარება მხოლოდ ერთ რომელიმე წყაროს. ზოგიერთი პროდუქციისთვის უმჯობესია სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის მონაცემების გამოყენება, ხოლო ზოგიერთისთვის – გამოკვლევის მონაცემების. ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ინდექსების გაანგარიშებისათვის აუცილებელია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშების იდეა აბსტრაქციად შეიძლება ჩაითვალოს.

მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა, ნაშრომში მაინც შევეცადეთ დეტალურად ჩამოგვეყალიბებინა საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშებისათვის აუცილებელი მოსამზადებელი ეტაპები და აგვეგო იმპორტის ერთეულის ღირებულების ჯაჭვური ინდექსი, სასაქონლო ნომენკლატურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექციის ბაზაზე. ამისათვის გამოვიყენეთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ემპირიული მონაცემები. ინდექსების გაანგარიშება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, რადგან ის, აბსოლუტური მონაცემებისაგან განსხვავებით, გვიჩვენებს ვაჭრობის რეალურ ტრენდს.

შვეიცარიის სტატისტიკის პრაქტიკის გათვალისწინებით, ინდექსები შეიძლება დაიყოს შემდეგ სახეობებად:

- ნომინალური ანუ ღირებულებითი ინდექსი;
- ერთეულის ღირებულების ანუ „საშუალო ფასების“ ინდექსი;
- რეალური, ანუ ფიზიკური მოცულობის ინდექსი.

ნომინალური ინდექსი გაიანგარიშება სტატისტიკური ღირებულების მიხედვით და გვიჩვენებს ღირებულების ცვლილებას ორი პერიოდის განმავლობაში.

ერთეულის ღირებულების ინდექსი ზომავს ფასების ტრენდს საქონლის ერთეულის ღირებულების საფუძველზე.

რეალური ინდექსი ასახავს რეალურ ტრენდს (ფასის ეფექტის გამორიცხვით) საგარეო ვაჭრობაში. ის არის სხვაობითი სიდიდე ნომინალურ ინდექსსა და ერთეულის ღირებულების ინდექსს შორის.

აღნიშნული ინდექსები გაიანგარიშება როგორც მთლიანად ვაჭრობისთვის, ისე საქონლის ცალკეული ჯგუფებისთვის (სექციებისთვის). ქვეყნებისა და ცალკეული სასაქონლო პოზიციების მიხედვით ინდექსების გაანგარიშება არ წარმოებს. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ გაანგარიშების პროცესში საქონლის ფასების ანალიზი წარმოებს ცალკეული ქვეყნების ჭრილში.

როგორც წესი, საქონლის ფასი ცალკე არ რეგისტრირდება საბაჟო ორგანოების მიერ, მაგრამ დეკლარაციაში ფიქსირდება საქონლის ღირებულება და წონა. ერთეულის ფასს ვანგარიშობთ ღირებულების შეფარდებით წონასთან. აქედან გამომდინარე, ერთეულის ღირებულება არ არის რეალური ფასი, მაგრამ არის საშუალო ფასი ცალკეული საქონლის ერთ კილოგრამზე (ან დამატებითი ზომის ერთ ერთეულზე). აღსანიშნავია, რომ საშუალო ფასები გაანგარიშებული უნდა იყოს ერთგვაროვანი საქონლის მიხედვით. ამიტომ, ერთეულის ღირებულება პირდაპირპროპორციულად ცვალებადია ფასის მიმართ.

ერთეულის ღირებულების ინდექსის გაანგარიშებას, ფასების ინდექსებთან შედარებით, აქვს გარკვეული უპირატესობები და ნაკლოვანებები. ძირითადი უპირატესობებია:

- არ მოითხოვს ინფორმაციის დამატებითი წყაროების არსებობას. გაიანგარიშება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემების საფუძველზე;
- ვაჭრობის სრული მონაცემების არსებობა. ერთეულის ღირებულების ინდექსი გაიანგარიშება ყველა ოპერაციისთვის, რომელსაც ადგილი აქვს საგარეო ვაჭრობაში.

ნაკლოვანებებს მიეკუთვნება:

- მაღალი ვარიაცია. როგორც წესი, ერთეულის ღირებულება უფრო ცვალებადია, ვიდრე ფასი;

- ცვლილებები უფრო მეტად გამოწვეულია ცალკეული ფაქტორების და არა ფასის გავლენით. ეს ფაქტორებია:
  - o საქონლის ჰეტეროგენულობა ანუ არაერთგვაროვნება საქონლის ასორტიმენტში;
  - o საქონლის ზომის შემცირება (მინიატურიზაცია): ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად შეიძლება საქონლის მოცულობა შემცირდეს ხარისხობრივი ცვლილების გარეშე, რაც იწვევს საშუალო ფასის გაზრდას;
  - o იქიდან გამომდინარე, რომ ერთეულის ღირებულება დამოკიდებულია საქონლის წონაზე, მასზე გავლენას ახდენს შეფუთვის ცვლილებაც;
  - o ხარისხობრივი ცვლილება, თუმცა ეს საკითხი ქმნის პრობლემებს არა მხოლოდ ერთეულის ღირებულების ინდექსის არამედ კლასიკური ფასების ინდექსის გაანგარიშების შემთხვევაშიც.

ინდექსების გაანგარიშების დაწყებამდე უნდა მომზადდეს საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზა ცალ-ცალკე ექსპორტისთვის და იმპორტისთვის და ანალიზი გაკეთდეს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექსპერიმენტული ინდექსის ასაგებად შევარჩიეთ 2010 წლის ყველაზე მსხვილი, რეპრეზენტატიული საიმპორტო სასაქონლო სექცია. როგორც წესი, ანალიზი უნდა დაიწყოს ყველაზე დეტალური დონიდან, მაგრამ ეს პროცესი მოითხოვს ძალიან დიდ დროით დანახარჯებს (მინიმუმ რამდენიმე თვის ინტენსიურ მუშაობას, რადგან სასაქონლო ნაკადების გაანალიზება უნდა მოხდეს ცალკეული დეკლარაციების დონეზე) და საკადრო რესურსს, მითუმეტეს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობის პირობებში, ამიტომ ჩვენს შემთხვევაში გამოვიყენეთ დედუქციის მეთოდი.

წინასწარ განვსაზღვრეთ რამდენიმე კრიტერიუმი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს შერჩეული საქონელი, რომ ის იყოს რეპრეზენტატიული: ა) იმპორტირებული იყოს საანგარიშო წლის მანძილზე მინიმუმ 8 თვის განმავლობაში და ისეთი ინტენსივობით, რომ ინდექსების კვარტალური პერიოდულობით გაანგარიშებისას, ყველა კვარტალში იყოს განხორციელებული შესაბამისი ოპერაცია; ბ) წლის მანძილზე შევსებული იყოს მინიმუმ 20 დეკლარაცია; გ) აღნიშნული საქონლის იმპორტის ღირებულება წლის მანძილზე აღემატებოდეს 400 000 აშშ დოლარს (მაგალითად, ლიტვის სტატისტიკის

პრაქტიკაში, ეს მაჩვენებელი უნდა აღემატებოდეს 250 000 ევროს, მაგრამ ჩვენი რეალური მონაცემების გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ თუ ღირებულებას ასეთ დაბალ ნიშნულზე დავტოვებთ, დანარჩენი ორი კრიტერიუმი ვერ დაკმაყოფილდება) და დ) გამოირჩეოდნენ შესაბამის აგრეგირებულ დონეში მაღალი პროცენტული წილით. ინდექსების გაანგარიშებაში მონაწილეობას არ მიიღებს ჰუმანიტარული ტვირთები.

ევროსტატის რეგლამენტის მიხედვით, სავალდებულოა საბაზისო პერიოდი შეიცვალოს ხუთ წელიწადში ერთხელ. აღნიშნული რეგლამენტის და იმის გათვალისწინებით, რომ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა ძირეულად შეიცვალა 2009 წელს, საბაზისო პერიოდად ავირჩიეთ 2010 წელი.

ინდექსების გაანგარიშებისათვის საჭირო მოსამზადებელი პროცესი, რომელიც გულისხმობს რეპრეზენტატიული პროდუქციის შერჩევას, ძალზედ მნიშვნელოვანი და მეტად საპასუხისმგებლოა. ამ დროს სწორად უნდა იქნას შერჩეული ყველა საქონელი მაქსიმალურად დეტალიზებულ, 11 ნიშნა, დონეზე წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე ემპირიული მონაცემების გამოყენებით. ანუ მთელი ერთობლიობა უნდა დავეყთ რეპრეზენტატიულ და არარეპრეზენტატიულ ჯგუფებად. ცალკეული სასაქონლო კოდისთვის უნდა გავითვალისწინოთ ხარისხის შეფასების განსხვავებული ინდიკატორები: ვარიაციის კოეფიციენტი; შედარებითი მნიშვნელოვნობის დონე სასაქონლო ჯგუფის შიგნით და აბსოლუტური მნიშვნელოვნობა მთლიან ვაჭრობასთან მიმართებაში და სხვა. კონკრეტულ პირობებში უნდა შეფასდეს თითოეული საქონლის ერთ-ერთ რომელიმე ჯგუფში მოხვედრის ალბათობა (რეპრეზენტატიული, არარეპრეზენტატიული). შედეგების საბოლოო გადამოწმება მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დისკრიმინანტული ანალიზის საფუძველზე დავადასტუროთ ან უარვეყთ ჩვენს მიერ შედგენილი გეგმის მართებულობა.

რეპრეზენტატიული საქონლის შერჩევის პროცესი პირობითად დავყავით შემდეგ ეტაპებად:

- I რეპრეზენტატიული სექციის შერჩევა;
- II რეპრეზენტატიული 2 ნიშნა სასაქონლო პოზიციის კოდების შერჩევა შესაბამისი სექციიდან;
- III რეპრეზენტატიული 4 ნიშნა სასაქონლო ჯგუფების კოდების შერჩევა შესაბამისი 2 ნიშნა სასაქონლო პოზიციიდან;

- IV რეპრეზენტატიული 6 ნიშნა სასაქონლო კოდების შერჩევა შესაბამისი 4 ნიშნა სასაქონლო ჯგუფებიდან;
- V რეპრეზენტატიული 9 ნიშნა სასაქონლო კოდების შერჩევა შესაბამისი 6 ნიშნა სასაქონლო კოდებიდან;
- VI რეპრეზენტატიული 11 ნიშნა სასაქონლო კოდების შერჩევა შესაბამისი 9 ნიშნა სასაქონლო კოდებიდან;
- VII შერჩეული საქონლის მიერ შერჩევის კრიტერიუმების კომპლექსური დაკმაყოფილების შემოწმება.

პრაქტიკულად გავიაროთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპი და მოვახდინოთ კონკრეტული გაანგარიშებების წარმოება რეალური მონაცემების საფუძველზე.

პირველ ეტაპზე იმპორტის მონაცემების გაანალიზებით დავადგინეთ, რომ უმსხვილესი სასაქონლო სექცია საბაზისო წელს იყო მინერალური პროდუქტები (სექცია V), რომლის წილმა მთლიან იმპორტში შეადგინა 20.4 პროცენტი, ფაქტიურად მთელი იმპორტის მეხუთედი (ეტაპი I):

**ეტაპი I. რეპრეზენტატიული სექციის შერჩევა  
იმპორტი საქართველოში 2010 წელს**

სექცია	სექციის დასახელება	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში (%)
<b>სულ</b>		<b>5,257,122.4</b>	<b>100.0</b>
მათ შორის:			
V	მინერალური პროდუქტები	1,070,230.9	20.4
XVI	მანქანები, მოწყობილობები და მექანიზმები; ელექტროტექნიკური მოწყობილობები	771,193.4	14.7
IV	მზა კვების პროდუქტები; ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი; თამბაქო და მისი შემცველები	464,776.3	8.8
XVII	მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები, საფრენი აპარატები, მოცურავე საშუალებები, მათი მოწყობილობები და დანადგარები	455,225.5	8.7
VI	ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების პროდუქცია	439,040.9	8.4
XV	არაძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი	378,307.9	7.2
II	მცენარეული წარმოშობის პროდუქტები	289,390.3	5.5

სექცია	სექციის დასახელება	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში (%)
VII	პლასტმასები და მათი ნაწარმი; კაუჩუკი, რეზინი და მათი ნაწარმი	230,200.2	4.4
XI	ტექსტილის (საფეიქრო) მასალები და ტექსტილის ნაწარმი	215,406.1	4.1
I	ცოცხალი ცხოველები; ცხოველური წარმოშობის პროდუქტები	181,849.2	3.5
XIII	ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, ქარსისა ან ანალოგიური მასალების ნაწარმი; კერამიკული ნაწარმი; მინა და მისი ნაწარმი	174,206.7	3.3
XX	სხვადასხვა სამრეწველო საქონელი	171,314.3	3.3
X	მასა მერქნისა ან სხვა ბოჭკოვანი ცელულოზის მასალებისაგან; რეგენერირებადი ქაღალდი და მისი ნაწარმი	124,985.7	2.4
XVIII	ინსტრუმენტები და აპარატები ოპტიკური, ფოტოგრაფიული, სამედიცინო; ყველა სახის საათები; მუსიკალური ინსტრუმენტები და მათი ნაწილები	77,893.9	1.5
III	ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები	72,064.5	1.4
IX	მერქანი და მერქნის ნაწარმი; ხის ნახშირი; კორპი და მისი ნაწარმი	58,270.1	1.1
XII	ფეხსაცმელი, თავსაბურავები, ქოლგები, ხელოვნური ყვავილები; ნაწარმი ადამიანის თმისაგან	54,809.7	1.0
VIII	დაუმუშავებელი ტყავები, გამოქნილი ტყავი, ნატურალური ბეწვი და მათი ნაწარმი	15,770.9	0.3
XIV	ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები, ძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი; ბიჟუტერია; მონეტები	10,696.6	0.2
XXI	ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი	1,485.9	0.03
XIX	იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები და საკუთნოები	3.4	0.0001

ცხრილში გამოყვავით ბოლო ოთხი პოზიცია, რომელიც იმპორტის ინდექსების გაანგარიშებაში საერთოდ არ მიიღებს მონაწილეობას, რადგან არ არის რეპრეზენტატიული მთელი ერთობლიობის და მისი გავლენა ძალზედ უმნიშვნელო იქნება საბოლოო ინდექსის სიდიდეზე, თუმცა წონების გაანგარიშებისას თავისთავად იქნება წარმოდგენილი.

მომდევნო ეტაპია ცალკეული სასაქონლო პოზიციების პროცენტული წილის განსაზღვრა მომდევნო გამსხვილებულ დონეში და შესაბამისად, ყოველ დონეში რეპრეზენტატიული ჯგუფების გამოყოფა.

**ეტაპი II. რეპრეზენტატიული 2 ნიშნა სასაქონლო პოზიციის კოდების შერჩევა V სექციიდან**

**მინერალური პროდუქტების იმპორტი საქართველოში 2010 წელს**

სექცია	დასახელება	ათასი აშშ დოლარი	2 ნიშნა კოდი	დასახელება	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში (%)	2 ნიშნა კოდის წილი შესაბამის სექციაში (%)
<b>სულ იმპორტი</b>					<b>5,257,122.4</b>		
<b>V</b>	<b>მინერალური პროდუქტები</b>	<b>1,070,230.9</b>				<b>20.4</b>	<b>100.0</b>
			27	მინერალური საწვავი და ნავთობი	957,299.1	18.2	89.4
			26	მადნები, წიდა და ნაცარი	68,095.4	1.3	6.4
			25	მარილი, გოგირდი, კირქვა და ცემენტი	44,836.4	0.9	4.2

როგორც ცხრილიდან ჩანს, V სექციიდან შესაძლებელია მხოლოდ ერთი რეპრეზენტატიული სასაქონლო ჯგუფის შერჩევა – 27, რომლის წილი შესაბამის სექციაში 89.4 პროცენტს შეადგენს. დანარჩენი ორი ჯგუფი გამოირიცხება ინდექსის გაანგარიშებიდან.

**ეტაპი III. რეპრეზენტატიული 4 ნიშნა სასაქონლო ჯგუფების შერჩევა შესაბამისი 2 ნიშნა სასაქონლო პოზიციიდან**

**27-ე სასაქონლო ჯგუფის პროდუქტების იმპორტი საქართველოში 2010 წელს**

4 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	2 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	2 ნიშნა კოდის წილი შესაბამის 4 ნიშნაში (%)
<b>სულ 27</b>	<b>957,299.1</b>			<b>100.0</b>
მათ შორის:				
2710	694,995.5	27	957,299.1	72.6
2711	160,508.2	27	957,299.1	16.8
2713	51,061.6	27	957,299.1	5.3

4 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	2 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	2 ნიშნა კოდის წილი შესაბამის 4 ნიშნაში (%)
2704	23,873.4	27	957,299.1	2.5
2716	13,078.8	27	957,299.1	1.4
2701	8,217.0	27	957,299.1	0.9
2709	4,008.5	27	957,299.1	0.4
2712	772.6	27	957,299.1	0.1
2715	513.7	27	957,299.1	0.1
2707	181.5	27	957,299.1	0.02
2703	82.4	27	957,299.1	0.01
2708	5.7	27	957,299.1	0.001
2714	0.2	27	957,299.1	0.00002

მესამე ეტაპზე გამოიკვეთა ორი რეპრეზენტატიული 4 ნიშნა კოდი: 2710 ნავთობი და ნავთობპროდუქტები და 2711 ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები, რომლებიც ჯამში შეადგენენ შესაბამისი ორნიშნა სასაქონლო პოზიციის 89.4 პროცენტს.

**ეტაპი IV. რეპრეზენტატიული 6 ნიშნა სასაქონლო კოდების შერჩევა შესაბამისი 4 ნიშნა სასაქონლო ჯგუფებიდან**

**2710 და 2711 სასაქონლო ჯგუფების იმპორტი საქართველოში 2010 წელს**

6 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	4 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	6 ნიშნა კოდის წილი შესაბამის 4 ნიშნაში (%)
<b>სულ 2710</b>	<b>694,995.5</b>			<b>100.0</b>
2710 19	367,034.7	2710	694,995.5	52.8
2710 11	327,916.9	2710	694,995.5	47.2
2710 99	43.9	2710	694,995.5	0.01
<b>სულ 2711</b>	<b>160,508.2</b>			<b>100.0</b>
2711 21	149,275.9	2711	160,508.2	93.0
2711 13	7,239.9	2711	160,508.2	4.5
2711 19	2,682.0	2711	160,508.2	1.7
2711 12	1,303.4	2711	160,508.2	0.8
2711 29	6.9	2711	160,508.2	0.004

მეოთხე ეტაპზე გამოირიცხა ის 6 ნიშნა სასაქონლო კოდები (271099, 271112 და 271129), რომლებიც მონაწილეობას ვერ მიიღებენ ინდექსების გაანგარიშებაში,

შესაბამის სასაქონლო ჯგუფებში (რომლებიც შეირჩა მესამე ეტაპზე) დაბალი პროცენტული წილის გამო. მიუხედავად იმისა, რომ კოდი 271112 ღირებულების მიხედვით აკმაყოფილებს ჩვენს კრიტერიუმს, შემდგომი ანალიზის დროს აღმოვაჩინეთ კიდევ ერთ მიზეზს, რის გამოც ის გამოირიცხება ინდექსების გაანგარიშებიდან.

მომდევნო ეტაპზე გავიანგარიშეთ წინა ეტაპზე შერჩეულ 6 ნიშნა სასაქონლო კოდებში შესაბამისი 9 ნიშნა სასაქონლო კოდების პროცენტული წილი.

**ეტაპი V. რეპრეზენტატიული 9 ნიშნა სასაქონლო კოდების შერჩევა შესაბამისი 6 ნიშნა სასაქონლო კოდებიდან**

**იმპორტი საქართველოში 2010 წელს**

9 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	6 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	9 ნიშნა კოდის წილი შესაბამის 6 ნიშნაში (%)
<b>სულ 2710 11</b>	<b>327,916.9</b>			<b>100.0</b>
2710 11 410	253,252.7	2710 11	327,916.9	77.2
2710 11 450	63,628.9	2710 11	327,916.9	19.4
2710 11 490	10,762.9	2710 11	327,916.9	3.3
2710 11 310	166.0	2710 11	327,916.9	0.1
2710 11 210	101.1	2710 11	327,916.9	0.03
2710 11 900	3.4	2710 11	327,916.9	0.001
2710 11 250	2.0	2710 11	327,916.9	0.001
<b>სულ 2710 19</b>	<b>367,034.7</b>			<b>100.0</b>
2710 19 450	212,091.2	2710 19	367,034.7	57.8
2710 19 410	82,491.9	2710 19	367,034.7	22.5
2710 19 210	46,888.3	2710 19	367,034.7	12.8
2710 19 810	15,566.4	2710 19	367,034.7	4.2
2710 19 990	3,879.1	2710 19	367,034.7	1.1
2710 19 870	1,997.1	2710 19	367,034.7	0.5
2710 19 610	1,932.1	2710 19	367,034.7	0.5
2710 19 830	1,589.9	2710 19	367,034.7	0.4
2710 19 910	401.2	2710 19	367,034.7	0.1
2710 19 930	166.1	2710 19	367,034.7	0.05
2710 19 290	22.9	2710 19	367,034.7	0.01
2710 19 490	6.7	2710 19	367,034.7	0.002
2710 19 850	1.1	2710 19	367,034.7	0.0003
2710 19 150	0.6	2710 19	367,034.7	0.0002
2710 19 310	0.1	2710 19	367,034.7	0.00002

9 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	6 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	9 ნიშნა კოდის წილი შესაბამის 6 ნიშნაში (%)
2710 19 250	0.01	2710 19	367,034.7	0.000001
<b>სულ 2711 12</b>	<b>1,303.4</b>			<b>100.0</b>
2711 12 970	1,274.9	2711 12	1,303.4	97.8
2711 12 110	28.5	2711 12	1,303.4	2.2
<b>სულ 2711 13</b>	<b>7,239.9</b>			<b>100.0</b>
2711 13 910	4,827.2	2711 13	7,239.9	66.7
2711 13 970	2,412.8	2711 13	7,239.9	33.3
<b>2711 19 000</b>	<b>2,682.0</b>	<b>2711 19</b>	<b>2,682.0</b>	<b>100.0</b>
<b>2711 21 000</b>	<b>149,275.9</b>	<b>2711 21</b>	<b>149,275.9</b>	<b>100.0</b>

მეხუთე ეტაპზე შესაძლებელი გახდა იმ 9 ნიშნა სასაქონლო კოდების შერჩევა, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოტენციური კანდიდატები ინდექსების გაანგარიშებისათვის. აღნიშნული სასაქონლო კოდების რეალურ მონაწილეობაზე მყარი დასკვნის გაკეთების საშუალებას მოგვცემს მომდევნო ეტაპი, როდესაც გავიანგარიშებთ 11 ნიშნა სასაქონლო კოდების პროცენტულ წილს უკვე შერჩეულ 9 ნიშნა კოდებში.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ მეხუთე ეტაპზე აგებულ ცხრილში მწვანედ დავფერეთ ის სასაქონლო კოდები, რომლებსაც რეალურად გამოვიყენებთ ექსპერიმენტული ინდექსების გაანგარიშების დეტალური პროცესის სადემონსტრაციოდ.

**ეტაპი VI. რეპრეზენტატიული 11 ნიშნა სასაქონლო კოდების შერჩევა შესაბამისი 9 ნიშნა სასაქონლო კოდებიდან**

**იმპორტი საქართველოში 2010 წელს**

11 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	9 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	11 ნიშნა კოდის წილი შესაბამის 9 ნიშნაში (%)
<b>2710 11</b>				
2710 11 410 00	253,252.7	2710 11 410	253,252.7	100
2710 11 450 00	63,628.9	2710 11 450	63,628.9	100
2710 11 490 00	10,762.9	2710 11 490	10,762.9	100
2710 11 310 00	166.0	2710 11 310	166.0	100

11 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	9 ნიშნა კოდი	ათასი აშშ დოლარი	11 ნიშნა კოდის წილი შესაბამის 9 ნიშნაში (%)
2710 11 210 00	101.1	2710 11 210	101.1	100
2710 11 900 00	3.4	2710 11 900	3.4	100
2710 11 250 00	2.0	2710 11 250	2.0	100
<b>2710 19</b>				
2710 19 450 00	212,091.2	2710 19 450	212,091.2	100
2710 19 410 00	82,491.9	2710 19 410	82,491.9	100
2710 19 210 00	46,888.3	2710 19 210	46,888.3	100
2710 19 810 00	15,566.4	2710 19 810	15,566.4	100
2710 19 990 00	3,879.1	2710 19 990	3,879.1	100
2710 19 870 00	1,997.1	2710 19 870	1,997.1	100
2710 19 610 00	1,932.1	2710 19 610	1,932.1	100
2710 19 830 00	1,589.9	2710 19 830	1,589.9	100
2710 19 910 00	401.2	2710 19 910	401.2	100
2710 19 930 00	166.1	2710 19 930	166.1	100
2710 19 290 00	22.9	2710 19 290	22.9	100
2710 19 490 00	6.7	2710 19 490	6.7	100
2710 19 850 00	1.1	2710 19 850	1.1	100
2710 19 150 00	0.6	2710 19 150	0.6	100
2710 19 310 00	0.1	2710 19 310	0.1	100
2710 19 250 00	0.01	2710 19 250	0.01	100
2711 12 970 00	1,274.9	2711 12 970	1,274.9	100
<b>2711 13</b>				
2711 13 910 00	4,827.2	2711 13 910	4,827.2	100
2711 13 970 00	2,412.8	2711 13 970	2,412.8	100
2711 19 000 00	2,682.0	2711 19 000	2,682.0	100
2711 21 000 00	149,275.9	2711 21 000	149,275.9	100

რისთვის დაგეგმირდა 11 ნიშნა სასაქონლო კოდების პროცენტული წილის განსაზღვრა შესაბამის 9 ნიშნა დონეში მაშინ, როცა მაქსიმალურად დეტალიზებულ დონემდე ყველა შეჩეული კოდი შევსებულია მხოლოდ ნულებით და გაანგარიშების გარეშეც მარტივად შეიძლება მიხვედრა, რომ ყველა მათგანის წილი შესაბამის აგრეგირებულ დონეში იქნება 100%. ზოგადად ამ ეტაპების გავლა აუცილებელია პირველ რიგში იმ 11 ნიშნა სასაქონლო კოდების გამოსარიცხად, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ჩვენს მიერ წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

როდესაც საქმე გვაქვს არა რამდენიმე სასაქონლო კოდთან, არამედ საგარეო ვაჭრობის მთლიან მონაცემთა ბაზასთან, სადაც 2010 წელს მხოლოდ იმპორტში დაფიქსირდა 1850 თერთმეტნიშნა სასაქონლო კოდი ქვეყნების მიხედვით და რომელთა ღირებულება წელიწადში აჭარბებდა 400 ათას აშშ დოლარს, აღნიშნულ ეტაპზე რეალურად არსებობს კოდები, რომლებიც 9 ნიშნა დონისაგან განსხვავებულ დეტალიზაციას გვაძლევენ 11 ნიშნა დონეზე.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება. სასაქონლო კოდი 2711 12 970 00, რომელსაც, ამ შემთხვევაში სხვა კოდების შესაბამისად, 100 პროცენტი უჭირავს ზედა აგრეგირებულ დონეში, გამოვრიცხეთ ინდექსების გაანგარიშებიდან. ამის ახსნას გვაძლევს მომდევნო ეტაპზე შემუშავებული ცხრილი, სადაც კომპლექსურადაა წარმოდგენილია 11 ნიშნა კოდების მიერ შერჩევის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შესაძლებლობები.

### ეტაპი VII. შერჩეული საქონლის მიერ შერჩევის კრიტერიუმების კომპლექსური დაკმაყოფილების შემოწმება

#### საქონლის მიერ შერჩევის კრიტერიუმების დაკმაყოფილება

11 ნიშნა სასაქონლო კოდი	2010 წლის განმავლობაში საიმპორტო ნაკადების რაოდენობა (თვეები)	2010 წლის განმავლობაში გაფორმებული დეკლარაციის რაოდენობა	ღირებულების დიაპაზონი 2010 წლის მანძილზე (აშშ დოლარი)
2701 11 100 00	10	27	> 400 000
2710 11 410 00	12	387	> 400 000
2710 11 450 00	12	128	> 400 000
2710 19 450 00	12	585	> 400 000
2710 19 410 00	12	208	> 400 000
2710 19 210 00	12	207	> 400 000
2711 12 970 00	6	56	> 400 000
2711 13 910 00	10	25	> 400 000
2711 13 970 00	12	29	> 400 000
2712 90 390 00	11	17	> 400 000
2712 90 990 00	10	22	< 400 000

როგორც ცხრილიდან ჩანს, სასაქონლო კოდი 2711 12 970 00 საბოლოო ჯამში ვერ აკმაყოფილებს ინდექსების გასაანგარიშებლად აუცილებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს, რომელიც ეხება წლის განმავლობაში შესაბამისი საქონლის იმპორტის მინიმალურ ინტენსივობას. აღნიშნული საქონლის იმპორტი 2010 წლის განმავლობაში მხოლოდ 6 თვის მანძილზე ხორციელდებოდა

საქართველოში. მისი იმპორტი არ დაფიქსირებულა წლის პირველი ოთხი და ბოლო ორი თვის განმავლობაში (დანართი №14). ცხადია, რომ 2010 წლის პირველ კვარტალში ამ საქონლის წარმომადგენელი არ არსებობს. შესაბამისად, გამოირიცხება შერჩეული კატეგორიიდან მიუხედავად იმისა, რომ მისი წლიური ღირებულება აჭარბებს 12 მლნ. აშშ დოლარს და მისი წილი შესაბამის 6 ნიშნაკოდში თითქმის 98 პროცენტია.

როდესაც მხოლოდ თეორიულად განიხილება ინდექსების აგების საკითხი, რა თქმა უნდა, მსგავს შემთხვევებს ადგილი არ აქვს და მიიჩნევა, რომ საგარეო ვაჭრობის ყველა მონაცემი მისაღებია გაანგარიშებების საწარმოებლად. თუმცა პრაქტიკაში ნებისმიერ მოვლენაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს, რის გამოც რიგ შემთხვევებში აუცილებელია ზოგიერთი მათგანის გავლენის ელიმინირება. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ მოცემულ ფაქტორს არ ჰქონდეს შესაბამის მოვლენაზე გავლენის მაღალი ხარისხი, რამაც შეიძლება ანალიზი და შემდგომი გაანგარიშებები მცდარი მიმართულებით წაიყვანოს.

ამ ეტაპის შემდეგ დეტალურად გავაანალიზოთ შერჩეული ორი 11 ნიშნაკოდი დეკლარაციების დონეზე და გავიანგარიშოთ ვარიაციის კოეფიციენტი იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ შერჩეული საქონელი ნამდვილად გამოსადეგია ინდექსის ასაგებად.

ვარიაციის კოეფიციენტის გასაანგარიშებლად საჭიროა პირველ რიგში საქონლის საშუალო ფასისა და დისპერსიის (ჩვენს შემთხვევაში შეწონილი) გამოთვლა საანგარიშო და საბაზისო პერიოდების ბაზაზე. ჩვენს შემთხვევაში საბაზისო პერიოდად არჩეული გვაქვს 2010 წელი, ხოლო საანგარიშო პერიოდად 2011 წლის მეორე კვარტალი.

აღნიშნული გაანგარიშებების წარმოებისას შესაძლებელია წარმოიშვას დარჩენილი კოდების მიხედვით შერჩევის ბაზის კორექტირების აუცილებლობა, რასაც პრაქტიკულად ვნახავთ ჩვენი მაგალითის საფუძველზე.

დანართში №15 მოცემულია ჩვენს მიერ შერჩეული პირველი სასაქონლო კოდის (2711 13 910 00) მიხედვით წარმოებული გაანგარიშებები. 2010 წლის განმავლობაში აღნიშნულ კოდზე გაფორმებულია 25 დეკლარაცია. მათგან ორი დეკლარაციის მიხედვით გაანგარიშებული საქონლის ფასის გადახრა ამ საქონლის საშუალო ფასისგან საკმაოდ დიდია. მათი გათვალისწინებით გაანგარიშებული დისპერსია და ვარიაციის კოეფიციენტიც უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე მათ

გარეშე, ამიტომ საჭირო გახდა ამ დეკლარაციების საანალიზო ბაზიდან ამოღება. დანარჩენი 23 დეკლარაციის საფუძველზე გაანგარიშებულმა საშუალო ფასმა შეადგინა 0.71 აშშ დოლარი. ამისთვის გამოვიყენეთ შეწონილი საშუალო არითმეტიკულის გასანგარიშებელი ფორმულა.

ამის შემდეგ გავიანგარიშეთ დისპერსია შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$S^2 = \frac{\sum(x-\bar{x})^2 f}{\sum f}$$

სადაც,  $S^2$  – საქონლის ფასის დისპერსიაა,

$x$  – საქონლის ერთეულის ფასია,

$\bar{x}$  – საქონლის საშუალო ფასია,

$f$  – სიხშირე (ჩვენს შემთხვევაში საქონლის წონა).

დისპერსიამ შეადგინა 0.1 პროცენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალო მაჩვენებლიდან ცალკეული ვარიანტების გაფანტულობა მცირეა და შერჩევა კარგად არის გაკეთებული.

ბოლოს მოვახდინეთ ვარიაციის ხარისხობრივი მაჩვენებლის, ვარიაციის კოეფიციენტის, გაანგარიშება შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

$$V^2 = \frac{S^2}{\bar{x}}$$

სადაც,  $V^2$  – ვარიაციის კოეფიციენტია,

$S^2$  – საქონლის ფასის დისპერსიაა,

$\bar{x}$  – საქონლის საშუალო ფასია.

ვარიაციის მაჩვენებელმა 0.2 პროცენტი შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ საშუალო მაჩვენებელი ნაკლებად ცვალებადია და მაშასადამე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გაანგარიშებები საიმედო იქნება.

ყველა ზემოთხსენებული გაანგარიშება ვაწარმოეთ საბაზისო წლისთვის (2010 წელი), საანგარიშო პერიოდისთვის (2011 წლის II კვარტალი) (დანართი №16) და საანგარიშო პერიოდის წინა კვარტალისთვის (2011 წლის I კვარტალი) (დანართი №17), რადგან გადაწყვეტილი გვქონდა საგარეო ვაჭრობის ერთეულის ღირებულების ჯაჭვური ინდექსის აგება.

ანალოგიური გაანგარიშებები გაკეთდა მეორე შერჩეული საქონლის მიმართ. ამის შემდეგ გადავედით უშუალოდ ინდექსის აგების პროცედურაზე. ჯერ

გაიანგარიშეთ ფასების ინდივიდუალური ინდექსები საბაზისო პერიოდის მიმართ, ხოლო შემდეგ ფასების აგრეგატიული ინდექსი ლასპეირესის ფასების ინდექსის ფორმულის გამოყენებით:

$$I_p = \frac{\sum p(t)q(0)}{\sum p(0)q(0)}$$

სადაც,  $p(t)$  – საანგარიშო პერიოდის ფასია,

$p(0)$  – საბაზისო პერიოდის ფასი,

$q(0)$  – საბაზისო პერიოდის საქონლის ფიზიკური მოცულობა,

$p(t)q(0)$  – საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვა საანგარიშო პერიოდის ფასებში,

$p(0)q(0)$  – საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვა ამავე პერიოდის ფასებში.

აღნიშნული ინდექსები გაიანგარიშება ყველაზე დეტალიზებულ (11 ნიშნა) დონეზე და შემდგომ ხდება აგრეგირება ყოველ ზედა დონეზე, რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს ინდექსს მთლიანი იმპორტის და ექსპორტის მიხედვით.

საიმპორტო ფასების ინდექსმა, ჩვენს შემთხვევაში კი უფრო ზუსტი იქნებოდა ვუწოდოთ საქონლის ერთეულის ღირებულების ინდექსი, მინერალურ პროდუქტებზე (სექცია V) შეადგინა 113.6 პროცენტი, ანუ 2011 წლის მეორე კვარტალში ამავე წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაიზარდა 13.6 პროცენტით (დანართი №18).

ანალოგიური გაანგარიშებები უნდა შესრულდეს ყველა შერჩეული რეპრეზენტატიული საქონლის მონაცემების მიხედვით როგორც იმპორტზე, ისე ექსპორტზე.

საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშების მთლიანი პროცესის დეტალური აღწერა, რომელიც მოცემულ ნაშრომში გაკეთდა, საკმაოდ ღირებული მნიშვნელობისაა. ეს ფაქტიურად პირველი მცდელობაა, დოკუმენტურად ჩამოგვეყალიბებინა ინდექსების პრაქტიკული გაანგარიშების ცალკეული ეტაპები. ის წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ტექნიკურ ალგორითმს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისათვის.

აღნიშნული მეთოდის დანერგვა საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების პრაქტიკაში, სხვა ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად, უზრუნველყოფს საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშებას ყოველკვარტალური პერიოდულობით, რაც ხარისხობრივად გააუმჯობესებს

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ინფორმაციულ მხარეს, დასაწყისისთვის შექმნის წინაპირობას, რომ საფუძველი ჩაეყაროს მშპ-ის გაანგარიშების პრაქტიკას დანახარჯების მეთოდით მუდმივ ფასებში და ყოველივე აქედან გამომდინარე, შესრულდეს სსფ-ის ROSC მისიის რეკომენდაცია.

სტატისტიკის უმთავრეს ამოცანას საგარეო ვაჭრობის ზრდაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ზომის დადგენა წარმოადგენს, რისთვისაც ახდენს ფაქტორულ ანალიზს. ამისათვის, საინდექსო მეთოდის გარდა, აქტიურად იყენებს კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდებს. სტატისტიკური ანალიზის სპეციალური პროგრამის, SPSS-ის გამოყენებით დავადგინეთ კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხი მშპ-ს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ექსპორტ-იმპორტს შორის 2000-2011 წლების კვარტალური მონაცემების საფუძველზე (ცხრილი №1). გენერალური ერთობლიობა შეადგენდა 48 კვარტალს (N=48).

**ცხრილი №1**

**კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხი**

		მშპ	პუი	ექსპორტი	იმპორტი
მშპ	Pearson Correlation	1	.636(**)	.961(**)	.976(**)
	Sig. (2-tailed)		.000	.000	.000
	N	48	48	48	48
პუი	Pearson Correlation	.636(**)	1	.595(**)	.741(**)
	Sig. (2-tailed)	.000		.000	.000
	N	48	48	48	48
ექსპორტი	Pearson Correlation	.961(**)	.595(**)	1	.950(**)
	Sig. (2-tailed)	.000	.000		.000
	N	48	48	48	48
იმპორტი	Pearson Correlation	.976(**)	.741(**)	.950(**)	1
	Sig. (2-tailed)	.000	.000	.000	
	N	48	48	48	48

\*\* Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).

ცხრილის მონაცემების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ყველაზე მჭიდრო კავშირი არსებობს მშპ-სა და იმპორტს, სადაც კორელაციის კოეფიციენტი  $R = 0.976$  და მშპ-სა და ექსპორტს შორის, სადაც კორელაციის კოეფიციენტი  $R = 0.961$ . შედარებით მცირეა კავშირის სიმჭიდროვის ხარისხი პუი-სა და დანარჩენ მაჩვენებლებს შორის, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით კავშირის აღნიშნული დონე სავსებით მისაღებია სტატისტიკური ანალიზისა და შერჩევით კვლევაში საფუძველიანი დასკვნების გასაკეთებლად.

### 3.4 სარკისებური შედარებები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში

საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების პრობლემატიკის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ სტატისტიკური მონაცემები გარკვეული ცდომილებით ხასიათდებიან. რეგისტრირებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობა არ შეესაბამება მთლიანი სავაჭრო ნაკადების სიდიდეს. მაჩვენებლები მეტნაკლებად მიახლოებითია, რადგან ექსპორტისა და იმპორტის გარკვეული ნაწილი სხვადასხვა მიზეზით აღურიცხავი რჩება.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ქვეყანა-კონტრაგენტებთან ურთიერთშორის განხორციელებული ექსპორტისა და იმპორტის ამსახველ მონაცემებს შორის განსხვავება მნიშვნელოვნად ართულებს მათ გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში და ამ პროცესების ეკონომიკურ-სტატისტიკურ ანალიზში.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში განსხვავებათა ანალიზისას გამოიყენება განსხვავებათა შეფასების როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლები.

ექსპორტის დროს, განსხვავებათა აბსოლუტური მაჩვენებლები განისაზღვრება როგორც სხვაობა ქვეყანა-კონტრაგენტში ქვეყნის ექსპორტის მონაცემებსა და ამ ქვეყნიდან ქვეყანა-კონტრაგენტის იმპორტის მონაცემებს შორის. ანალოგიურად გაიანგარიშება ქვეყნის იმპორტში არსებული განსხვავება.

განსხვავება გამოითვლება ასევე შეფარდებით მაჩვენებლებში. განისაზღვრება განსხვავების ხვედრითი წილი ქვეყნის ექსპორტის (იმპორტის) მიხედვით მისი მთლიანი ექსპორტიდან (იმპორტიდან).

სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებს შორის არსებული განსხვავების აღმოჩენა და მისი სიდიდის გაანგარიშება შესაძლებელია ჯამურ მონაცემთა მარტივი შედარების გზით. მაგრამ განსხვავების მიზეზების დადგენისთვის ანუ სტატისტიკური ასიმეტრიის გამოვლენისათვის პრაქტიკაში გამოიყენება ე.წ. „სარკისებური შედარების“ მეთოდი. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: ორი დაინტერესებული ქვეყნის საბაჟო და სტატისტიკის სამსახურების წარმომადგენლები, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ახორციელებენ ორ სავაჭრო პარტნიორს შორის კონკრეტული პერიოდის განმავლობაში გადაადგილებული სასაქონლო ნაკადების სიდიდის შედარებას პირველადი მონაცემების საფუძველზე. შედარების შედეგად შეირჩევა საქონლის

წრე, სადაც ყველაზე დიდი განსხვავება ფიქსირდება და ამის შემდეგ იწყება დეტალური კვლევა ოპერაციის განხორციელების თარიღის, ექსპორტიორი ან იმპორტიორი კომპანიის, წარმოშობისა და ტრანზიტის ქვეყნების და სხვა დეტალების ერთობლივი განხილვით. შედეგად შესაძლებელია განსხვავების რეალური მიზეზების დადგენა.

საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბებული, ქვეყნების ექსპორტისა და იმპორტის მონაცემებს შორის განსხვავების, ძირითადი მიზეზები სარკისებურ შედარებებში შეიძლება იყოს:

- განსხვავება CIF (იმპორტის შემთხვევაში) და FOB (ექსპორტის შემთხვევაში) ფასებს შორის.

ზოგადი მეთოდოლოგიის თანახმად, აღნიშნული განსხვავება მერყეობს 10-12 პროცენტის ფარგლებში, რომელიც მოიცავს ტვირთის ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯებს. აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე, ბუნებრივია, განსხვავებული იქნება ცალკეული ქვეყნების მიხედვით;

- პარტნიორი ქვეყნების მიერ ოპერაციების აღრიცხვის დროს შორის განსხვავება.

რაც უფრო შორს მდებარეობენ ქვეყნები ტერიტორიული თვალსაზრისით, მით მაღალი იქნება აღნიშნული განსხვავების არსებობის ალბათობა;

- პარტნიორი ქვეყნის აღრიცხვაში სხვადასხვა მიდგომის გამოყენება. როგორც წესი, ექსპორტის დროს, სავაჭრო პარტნიორის როლში გამოდის დანიშნულების ქვეყანა, იმპორტის დროს – მოვაჭრე ან წარმოშობის ქვეყანა. საქართველოში ორივე შემთხვევაში პარტნიორად მოიაზრება საქონლის მომწოდებელი (იმპორტის შემთხვევაში) და საბოლოო დანიშნულების (ექსპორტის შემთხვევაში) ქვეყანა;

- განსხვავებული სასაქონლო კლასიფიკაციების გამოყენება, რომელიც მნიშვნელოვნად გაართულებს ორ ქვეყანას შორის გადაადგილებული სასაქონლო ნაკადების შედარების პროცესს.

- აღრიცხვის დროს ტერიტორიის არასრული აღრიცხვა. საკითხი ეხება ქვეყნის ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებს;

- ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვის „ზოგადი“ და „სპეციალური“ სისტემების გამოყენება;

- საქონლის ღირებულების აღრიცხვა ეროვნულ ვალუტაში და სავალუტო კურსების ფლუქტუაცია;

- არაორგანიზებული ვაჭრობა, რომელიც გამოწვეულია საბაჟო ღირებულების ზღვარს ქვემოთ არსებული ტვირთების არადეკლარირებით. საქართველოს შემთხვევაში დეკლარირებას არ ექვემდებარება 300 ლარზე ნაკლები ღირებულების საქონელი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ამ სახის ვაჭრობა მნიშვნელოვან მასშტაბებს აღწევს. აღნიშნული ზღვარიც განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით;
- შეცდომები დაშვებული საქონლის დეკლარირების დროს: ქვეყნის ან საქონლის კოდის არასწორად მითითება, ღირებულებისა და წონის არასწორად დაფიქსირება და მრავალი სხვა, რასაც პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი.

ქვეყნების უმრავლესობა ექსპორტს აღრიცხავს FOB ფასის, ხოლო იმპორტს – CIF ფასის ბაზაზე. ამასთან, იმპორტის ღირებულების დეტალური შესწავლისათვის აუცილებელია მისგან CIF ფასის გამიჯვნა.

განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება იყოს ასევე ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვის დროში სხვაობა. მაგალითად, ქვეყანა-ექსპორტიორის საქონელმა გადაკვეთა მისი სახელმწიფო საზღვარი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, ხოლო ქვეყანა-იმპორტიორის საზღვარზე გადავიდა მხოლოდ შემდეგი სააღრიცხვო წლის დასაწყისში. ამ შემთხვევაში სააღრიცხვო წლის ბოლოს ქვეყანა-იმპორტიორისათვის მოცემული საქონელი “იმყოფება გზაში“ და არ შეიძლება დაფიქსირებული იყოს, როგორც სააღრიცხვო წლის იმპორტი. თუმცა, ე.წ. „საქონელი გზაში“ შეიძლება გახდეს მონაცემებს შორის განსხვავების აღმოცენების მიზეზი მხოლოდ ქვეყანა-კონტრაგენტებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ სახელმწიფო საზღვარი.

განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ჯამობრივი მაჩვენებლების ურთიერთშედარება. მრავალი ქვეყანა იყენებს საგარეო სავაჭრო ბრუნვის აღრიცხვის სხვადასხვა სისტემებს: „სპეციალურს“ და „ზოგადს“. „სპეციალური“ სისტემით აღრიცხვისას საგარეო ვაჭრობაში აისახება ეროვნული წარმოების საქონელი, აგრეთვე, ქვეყანაში საბაჟო კონტროლის ქვეშ გადასამუშავებლად შემოზიდული და „ნაციონალიზებული“ (უცხოური წარმოების საქონელი, რომელმაც გაიარა საბაჟო გაწმენდა და გატანილ იქნა უცხოეთში გადაუმუშავებელი სახით) საქონელი. „ზოგადი“ სისტემით საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის გაანგარიშებისას „სპეციალური“ სისტემით აღრიცხულ საქონელს

დაემატება „თავისუფალი ზონიდან“ გაზიდული (შემოზიდული) საქონლის ღირებულება.

განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ნებისმიერ ვალუტაში გამოსახული, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ღირებულების გადაანგარიშებისას სხვადასხვა მეთოდის გამოყენება. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში უცხოურ ვალუტაში გამოსახული საქონლის ღირებულების გადაანგარიშება ხორციელდება ექსპორტირების (იმპორტირების) მომენტში ქვეყანაში მოქმედი კურსის მიხედვით. ზოგ ქვეყანაში კი (დიდი ბრიტანეთი) – ეროვნული ვალუტის საშუალო თვიური კურსის საფუძველზე აშშ დოლართან მიმართებაში.

პრაქტიკაში ღირებულებით მაჩვენებლებთან ერთად საკმაოდ აქტიურად გამოიყენება მოცულობითი მაჩვენებლების შედარება, რომლებიც უფრო ზუსტ წარმოდგენას იძლევიან სასაქონლო ნაკადების მოძრაობის სრულად აღრიცხვაზე.

განსხვავების მიზეზები შეიძლება იყოს აგრეთვე საერთაშორისო მეთოდოლოგიიდან გადახრები საქონელთა წრის ნაწილში, რომელსაც აღრიცხავს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა.

განსხვავებათა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოწვეულია იმით, რომ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის მეშვეობით ქვეყნების ნაწილი განსხვავებულად ახორციელებს ფიზიკური პირების მიერ შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას. მაგალითად, აზერბაიჯანი ცალკე აღრიცხავს ავტომობილების იმპორტს და არ ასახავს მას მთლიან იმპორტში.

არაფორმალურ პირობებში სარკისებური შედარების ჩატარება გართულებულია, რადგან ქვეყნების უმრავლესობა არ ავრცელებს ინფორმაციას პარტნიორებისა და სასაქონლო ჭრილში. მთლიანი მონაცემების შედარება ზოგადი ტენდენციის დანახვის საშუალებას მოგვცემს, თუმცა, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია განსხვავების მიზეზების დადგენა.

არ არის სარწმუნო ანგარიშგების დოკუმენტაცია და სავარაუდო მონაცემები არაორგანიზებული საექსპორტო ოპერაციების, აგრეთვე კონტრაბანდული გზით საქონელმომოქცევის შემთხვევაში. დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული ჩრდილოვანი ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების დადგენა, რადგან არ არსებობს არავითარი პირდაპირი ინფორმაცია მის შესახებ.

მონაცემებს შორის განსხვავების ანუ სტატისტიკური ასიმეტრიის დონე შეიძლება გაიზომოს შემდეგი ტოლობის საშუალებით:

$$DIF_{st}^{ij} = \frac{Imp_{st}^{ij} - Exp_{st}^{ij}}{Imp_{st}^{ij}}$$

სადაც,  $Imp_{st}^{ij}$  - არის  $j$  ქვეყნის მიერ რეგისტრირებული  $s$  საქონლის იმპორტი განხორციელებული  $i$  ქვეყნიდან  $t$  პერიოდში;

$Exp_{st}^{ij}$  - არის  $i$  ქვეყნის მიერ რეგისტრირებული  $s$  საქონლის ექსპორტი განხორციელებული  $j$  ქვეყნიდან  $t$  პერიოდში.

აღნიშნული ფორმულის მიხედვით მოვახდინოთ სტატისტიკური ასიმეტრიის დონის პრაქტიკული გაანგარიშებები საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის და მეზობელი ქვეყნის, აზერბაიჯანის, ორმხრივი ვაჭრობის რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით (ცხრილი №2).

### ცხრილი №2

#### საქართველო-აზერბაიჯანის მონაცემების სარკისებური შედარება

მლნ. აშშ დოლარი		2008	2009	2010
ქვეყანა				
საქართველო	ექსპორტი	203.9	165.6	256.2
აზერბაიჯანი	იმპორტი (ავტომობილების იმპორტის ჩათვლით)	105.0	95.4	154.7
	განსხვავება (მლნ. აშშ დოლარი)	98.9	70.2	101.6
	სტატისტიკური ასიმეტრიის დონე (%)	48.5	42.4	39.6
10%-იანი სატრანსპორტო და სადაზღვევო დანახარჯების პირობებში საქართველოდან ექსპორტირებული ტვირთის მიახლოებითი ღირებულება აზერბაიჯანში შეტანისას		224.3	182.2	281.9

მლნ. აშშ დოლარი		2008	2009	2010
ქვეყანა				
საქართველო	იმპორტი	607.4	410.2	484.6
აზერბაიჯანი	ექსპორტი	490.7	395.0	411.0
	განსხვავება (მლნ. აშშ დოლარი)	116.7	15.2	73.6
	სტატისტიკური ასიმეტრიის დონე (%)	19.2	3.7	15.2

10%-იანი სატრანსპორტო და სადაზღვევო დანახარჯების პირობებში აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ტვირთის მიახლოებითი ღირებულება საქართველოში შემოტანისას

539.7      434.5      452.1

როგორც ცხრილიდან ჩანს, სტატისტიკური ასიმეტრიის დონე აზერბაიჯანთან, საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში უფრო მაღალია, ვიდრე იმპორტის. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საბაჟო აღრიცხვა საკმარისად მაღალ დონეზეა. აზერბაიჯანს კი ამ მიმართულებით აშკარად გარკვეული პრევენციული ღონისძიებები აქვს გასატარებელი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებების ტენდენცია კლებადია, რაც თავის მხრივ, საბაჟო აღრიცხვიანობის შედარებით მოწესრიგებაზე მეტყველებს.

გარდა აღნიშნულისა, გავიანგარიშეთ თუ რა ღირებულება უნდა დაფიქსირებულიყო აზერბაიჯანსა და საქართველოში სატრანსპორტო და სადაზღვევო დანახარჯების დამატების შემდეგ. 10 პროცენტის სხვაობის აღება გადავწყვიტეთ იქიდან გამომდინარე, რომ აზერბაიჯანი ჩვენი მოსაზღვრე ქვეყანაა და რეალურად ამ სახის დანახარჯები შედარებით მცირე იქნება.

იგივე ფორმულის გამოყენებით, მოვახდინეთ ასიმეტრიის დონის გაანგარიშება საქართველოსა და აშშ-ის შორის ვაჭრობის მონაცემების საფუძველზე (ცხრილი №3).

**ცხრილი №3.**

**საქართველო-აშშ ორმხრივი ვაჭრობის სარკისებური შეფასება**

მლნ. აშშ დოლარი

	საქსტატი		აშშ-ის აღწერის სახელმწიფო ბიურო		ასიმეტრიის დონე (%)	
	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი	საქართველო როგორც ექსპორტიორი	საქართველო როგორც იმპორტიორი
2004	21.2	110.9	77.7	227.1	72.7	-104.8
2005	26.7	146.9	194.4	213.9	86.2	-45.6
2006	58.5	129.6	105.3	263.5	44.4	-103.3
2007	149.0	203.9	211.6	364.2	29.6	-78.6
2008	102.2	358.1	207.8	586.5	50.8	-63.8
2009	36.9	231.6	69.6	363.8	47.0	-57.1
2010	187.2	181.0	197.8	301.1	5.3	-66.4
2011*	143.5	245.8	176.1	579.3	18.5	-135.7

\* წინასწარი მონაცემები

როგორც ჩანს, სტატისტიკური ასიმეტრიის დონე აშშ-ის შემთხვევაში იმპორტში უფრო მაღალია, ვიდრე ექსპორტში. ასეთი დიდი განსხვავება, გარდა დროითი ფაქტორისა, შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზით: ქართული კომპანიის მიერ აშშ-ში საქონლის შესყიდვისთანავე ამერიკული მხარე აფიქსირებს ექსპორტს საქართველოს მიმართულებით (საქართველო, როგორც საბოლოო დანიშნულების ქვეყანა). რადგან საქონელი ამერიკიდან ძირითადად საზღვაო გადაზიდვების გზით შემოდის, ტვირთის მფლობელს, საკუთარი ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე, უფლება აქვს საბოლოო დანიშნულების ადგილამდე მოახდინოს საქონლის გადაყიდვა.

სპეციალური სავაჭრო კომპანიების წახალისებისა და საქართველოს, როგორც რეგიონული ჰაბის ჩამოყალიბების პოლიტიკიდან გამომდინარე, ექვემდებარება, რომ მომავალში აშშ-დან საქართველოს მიმართულებით წამოსული საქონლის მოცულობა, მისი შემდგომი რეექსპორტის მიზნით, კიდევ უფრო გაიზრდება და განსხვავებაც უფრო სოლიდური გახდება.

აღნიშნული გათვლები საშუალებას იძლევა გაიზომოს პარტნიორი ქვეყნების მონაცემებს შორის არსებული განსხვავების დონე, მაგრამ ასეთი ზოგადი ინფორმაცია არ არის საკმარისი დავადგინოთ ამ განსხვავებების მიზეზები.

სტატისტიკური ასიმეტრიის დონე შეიძლება გაანგარიშდეს ასევე, პროდუქციების ჭრილში. ამის საფუძველზე გამოვლინდება ტენდენციურობა რომელიმე კონკრეტული საქონლის ან საქონელთა ჯგუფის მიმართ და ექსპორტების მუშაობა, განსხვავების მიზეზების დასადგენად, წარიმართება შესაბამისი მიმართულებით.

ცხრილის მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოში პროდუქციის გარკვეული მოცულობის არაორგანიზებული გზით მიმოქცევაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ნაწილობრივი უზუსტობის მიუხედავად, ისინი მიმდინარე პროცესების და საერთო ტენდენციის გამოვლენის საშუალებას მაინც იძლევა.

იმისათვის, რომ ქვეყნებს ჰქონდეთ საშუალება სისტემატიურად გააანალიზონ საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე პროცესები, მოახდინონ საექსპორტო და საიმპორტო ნაკადების სიზუსტის მონიტორინგი, მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნებთან ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება ეკონომიკური თანამშრომლობისა და მონაცემთა ურთიერთგაცვლის

შესახებ. ეს პროცესი ამჟამად საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის კავშირების გაღრმავებას და თანამშრომლობის გაძლიერებას როგორც სამთავრობო, ისე უწყებრივი სტრუქტურების დონეზე.

## თავი IV საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური ანალიზი

### 4.1 საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში და მისი გავლენა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ზოგად ტენდენციებზე

თანამედროვე პირობებში ქვეყნები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებში. ამით ისინი ესწრაფვიან ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობას. ქვეყნები ასევე მონაწილეობენ საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებში გარკვეული სუბიექტური ხასიათის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. ზოგადად, ნებისმიერი ქვეყანა ისწრაფვის უცხოური კონკურენციისადმი არსებული ბარიერების შემცირების გზით შექმნას ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ან მისი მომხმარებლებისათვის უფრო იაფი და ხარისხობრივად უკეთესი პროდუქციის მოპოვების შესაძლებლობა. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული პროდუქციისათვის ხელსაყრელი პირობების მიღება უცხოურ ბაზრებზე.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად განიხილება მისი გაწევრიანება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო). ვმო წარმოადგენს ტარიფებისა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების (ტვმ-GATT) სამართალმემკვიდრეს, რომელსაც 1947 წელს ხელი მოაწერა 24 ქვეყანამ (18 მათგანმა მაშინვე მიიღო ეს შეთანხმება). შეთანხმება ძალაში შევიდა 1948 წლის პირველ იანვარს, მაგრამ ეს სტრუქტურა იმ დროისათვის ვერ ჩამოყალიბდა წევრი სახელმწიფოების მხრიდან საკმარისი პოლიტიკური მხარდაჭერის არარსებობის გამო. ახალი საერთაშორისო სავაჭრო ინსტიტუტი საბოლოოდ მხოლოდ 1995 წლის პირველ იანვარს შეიქმნა ზემოთხსენებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფორმით.

ტვმ ადგენდა წესებს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლიანად წარმართვისათვის, ასევე გამოიყენებოდა, როგორც საერთაშორისო ფორუმი სავაჭრო ბარიერების (ძირითადად ექსპორტისა და იმპორტის ქვოტირების) გაუქმების და ტარიფების მნიშვნელოვნად შემცირების შესახებ მოლაპარაკებებისათვის. მისი მიზანი იყო „უფრო თავისუფალი და უფრო

სამართლიანი ვაჭრობა“ ტარიფების შემცირების და სავაჭრო ბარიერების მოხსნის გზით.

ტვგშ სამი პრინციპის საფუძველზე მოქმედებდა:

1. არადისკრიმინაცია, მრავალმხრივობა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის (MFN) ველა მონაწილე მხარეზე გავრცელება;
2. ვაჭრობის გაფართოება სავაჭრო ბარიერების შემცირების გზით;
3. ყველა მონაწილე მხარეს შორის ნაცვალგების პრინციპის დაცვა.

ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ ძირითადი შეთანხმების (ტვგშ) მიზანი იყო საერთაშორისო უნივერსალური სავაჭრო წესების შექმნა და ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყენება.<sup>[9]</sup>

1986 წელს ურუგვაის ქალაქ პუნდა დელ ესტეში დაწყებული ტვგშ-ის მოლაპარაკებების ე.წ. ურუგვაის რაუნდი გამორჩეულ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. განვითარებადმა ქვეყნებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ მოლაპარაკებებში. ამ დროს განვითარებულმა ქვეყნებმა განვითარებადი ქვეყნებისათვის საიმპორტო ტარიფები საშუალოდ 40 პროცენტით შეამცირეს, ხოლო იგივე ტარიფი განვითარებადი ქვეყნებისთვის მხოლოდ 28 პროცენტით შემცირდა, ასევე შემცირდა ტარიფები სამრეწველო იმპორტზეც.

შეიძლება ითქვას, რომ ურუგვაის რაუნდის ყველა გადაწყვეტილება მიმართული იყო განვითარებული ქვეყნების ინტეგრაციის დასაჩქარებლად ემო/ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების (ტვგშ) სტრუქტურებში. ურუგვაის რაუნდი წარმოადგენს ერთგვარ დათმობებს განვითარებული ქვეყნების მხრიდან განვითარებადი ქვეყნებისათვის. ფსონი დაიდო მათ ლიბერალურ განვითარებაზე და გახსნილობაზე და ამ წამოწყების წარმატება დიდწილად იყო დამოკიდებული განვითარებული ქვეყნების გარკვეულ დათმობებზე ტარიფების საკითხში. კერძოდ, ურუგვაის რაუნდის ძირითადი შედეგებიდან აღსანიშნავია შემდეგი<sup>[10]</sup>:

- ვალდებულებები ტარიფების შემდგომ შემცირებაზე „ურუგვაის რაუნდის“ შეთანხმების ფარგლებში ითვალისწინებენ განვითარებულ ქვეყნებში 6 წლის განმავლობაში (დაწყებული 1995 წლიდან) იმპორტულ სამრეწველო პროდუქციაზე ტარიფების შემცირებას საშუალოდ 36 პროცენტით საბაზისო პერიოდთან შედარებით, თითოეულ სატარიფო პოზიციაში მინიმუმ 15

<sup>[9]</sup> John H. Jackson – The World Trading System, The MIT Press, Cambridge, Massachusetts London, England, 1999, p. 15-22.

<sup>[10]</sup> The Uruguay Round and the developing countries, edited by W. Martin and L. Alan Winters, 1996.

პროცენტიანი შემცირებით. განვითარებად ქვეყნებს ამ მხრივ მიეცათ სპეციალური შეღავათები (10 წლიანი პერიოდი, ტარიფის შემცირება საშუალოდ 24 პროცენტით და ა.შ.);

- ტვგშ-ის სისტემა გავრცელდა სოფლის მეურნეობის, საფეიქრო და ტანსაცმლის სექტორებზე, მომსახურებით ვაჭრობაზე და ვაჭრობასთან დაკავშირებულ ინტელექტუალური საკუთრების ასპექტებზე;
- დაიხვეწა წესები ისეთ სფეროებში, როგორცაა სუბსიდიები, ანტიდემპინგი, ვაჭრობაზე მოქმედი ტექნიკური ბარიერები, ბაზრის დაცვის ღონისძიებები, ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ღონისძიებები, დაგების გადაწყვეტის მექანიზმი და სხვა;
- ე.წ. მარაკეშიდე დეკლარაციის საფუძველზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სტრუქტურის – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) შექმნის შესახებ.

ტვგშ-ის გარდაქმნა ვმო-დ ურუგვაის რაუნდის ერთ-ერთი მთავარი შედეგი იყო. ვმო წვერი ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციაა, ხოლო ტვგშ მხოლოდ ხელმომწერ მხარეებს შორის მრავალმხრივ შეთანხმებას წარმოადგენდა<sup>[11]</sup>. ამჟამად ვმო-ში 153 სრულუფლებიანი წევრია გაერთიანებული და მათი წილი საერთაშორისო ვაჭრობაში დღეისათვის 95 პროცენტზე მეტს შეადგენს. ვმო ასევე ასრულებს საერთაშორისო არბიტრის როლს, რომელმაც უნდა იშუამდგომლოს მოლაპარაკებების საშუალებით განსხვავებული მიზნების საერთაშორისო წესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

1996 წლის 26 ივნისს ვმო-ს გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს მიენიჭა დამკვირვებლის სტატუსი, ხოლო ამავე წლის ივლისში საქართველოს მხარემ ოფიციალურად განაცხადა ვმო-ში სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღების სურვილი, რის შედეგადაც ვმო-ს გენერალურმა საბჭომ ამ მიზნით ჩამოაყალიბა წვერი ქვეყნების სამუშაო ჯგუფი. არსებული პროცედურის შესაბამისად 1997 წლის მარტში ვმო-ს სამდივნოს ოფიციალურად გადაეგზავნა „მემორანდუმი საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმის“ შესახებ.

1999 წლის 6 ოქტომბერს საქართველომ ოფიციალურად მოაწერა ხელი ვმო-ში გაწევრიანებას და შეუერთდა მარაკეშის ხელშეკრულებას. ეს ფაქტი პერსპექტივაში საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალური ტენდენციით განვითარებას ადასტურებს.

<sup>[11]</sup> The Result of Uruguay Round of Multilateral Trade Negotiations, The Legal Text; Geneva, 1995.

სამწლიანი მოლაპარაკების შემდეგ, საქართველო კავკასიის სახელმწიფოთაგან პირველი და ყოფილი კავშირის ქვეყნებიდან მე-4 გახდა ვმო-ს სრულუფლებიანი 136-ე წევრი, სადაც მან გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსით შეაბიჯა. ეს კი ჩვენს ქვეყანას გაცილებით მეტ და ბევრად უფრო ოპერატიულად შესასრულებელ ვალდებულებებს აკისრებს განვითარებადი ქვეყნების სტატუსთან შედარებით.

ვმო-ს აქვს მკაცრი რეჟიმი, რომელიც უნდა დაიცვას საქართველომ. პირველ რიგში, საქართველოს მხარეს ნაკლები შესაძლებლობები ექნება საგარეო სავაჭრო რეჟიმის შესაცვლელად. თუკი ამას მოისურვებს, უნდა მიიღოს ვმო-ს თანხმობა, შეასრულოს ყველა ის პროცედურული ვალდებულებანი, რასაც ითვალისწინებს ვმო-ს ვალდებულებები. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა მოუქნელი გახდება, რაც გულისხმობს, რომ საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ნებით ვერ აამაღლებს ან შეამცირობს (ანდა გააუქმებს) სავაჭრო ბარიერებს.

ხელშეკრულების თანახმად, ვმო-ში გაწევრიანებით საქართველომ მიიღო ვაჭრობაში „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი“ (MFN) წევრ ქვეყნებთან. საქართველოდან ექსპორტირებული საქონელი საგარეო ბაზარზე ისეთივე ტარიფებით დაიბეგრება, როგორც სხვა წევრი ქვეყნების საქონელი ე.ი. არ იქნება დისკრიმინირებული.

საქართველო სარგებლობს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით, რაც გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა. ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებულია შემდეგ ქვეყნებთან: აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, თურქეთი. ამასთან, რუსეთის ფედერაციასა და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ითვალისწინებს გარკვეულ გამონაკლისებს პროდუქციის მხრივ.

საერთაშორისო ვაჭრობის ინსტიტუციონალიზაციის კონტექსტში ვმო-სთან ერთად აღსანიშნავია ის ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გლობალური ლიბერალური ვაჭრობისა და განვითარების მიმართულებით. მაგალითად, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD) რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მისი წევრებისა და

მსოფლიოს სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას; აგრეთვე, ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაერთიანებული ერების კონფერენცია (UNCTAD), რომელიც მიზნად ისახავს განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობის ხელშეწყობას გლობალურ სავაჭრო სისტემაში, როგორც ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში.

მრავალმხრივი სავაჭრო სისტემა ყველაზე მცირე და უღარიბეს ქვეყნებსაც კი აძლევს მიზნის მიღწევისათვის საჭირო უფრო მეტ საშუალებას და უსაფრთხოებას, ვიდრე ისინი შეძლებდნენ ამ სისტემის ფარგლებს გარეთ. ეს ის სისტემაა, რომელმაც საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში „ძალაუფლების“ მნიშვნელობა შეცვალა „კანონის წესებით“<sup>[12]</sup>.

საქართველო მცირე ქვეყანაა. ასეთ ქვეყნებს ეკონომიკური ინტეგრაცია შესაძლებლობას აძლევს, შეზღუდული რესურსების პირობებში ეროვნული ეკონომიკა ოპტიმალურად განავითაროს და ამავე დროს, მეტად იყოს დაზღვეული მსოფლიო ბაზრის გლობალური კონიუნქტურული რყევებით გამოწვეული ზარალისაგან. ამიტომ გარდამავალი პერიოდის თანამდროვე ეტაპზე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ორიენტაციის აღება რეგიონულ ინტეგრაციულ დაჯგუფებებში მონაწილეობასა და ორმხრივი ხელშეკრულებებით სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე, ექსპორტის სტიმულირებასა და საერთოდ, ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტშეცვლის პოლიტიკის დაბალანსებაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების (თეზ) გამოყენებაზე.

თეზ-ების შექმნა სამი ძირითადი ამოცანის შესრულებას უკავშირდება:

- სამრეწველო ექსპორტის სტიმულირებით სავალუტო საშუალებების მიღება;
- სამუშაო ძალის დასაქმების ზრდა;
- მეურნეობის ახალი მეთოდების გამოსაცდელად ზონის სივრცის საცდელ ეკონომიკურ პილიგონად გადაქცევა.

არსებობს თეზ-ების კლასიფიკაცია მათი შინაარსისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თეზ-ების კლასიფიკაციაში არ არსებობს აზრთა ერთიანობა, ეს დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ თავისებურებებზე, სავაჭრო ოპერაციების სიმრავლეზე და სხვა ფაქტორებზე.

<sup>[12]</sup> ემო-ს გენერალური მდივნის ბ-ნი სუპანჰაის გამოსვლა ქენევაში, 6 მარტი, 2003 წ.

თეზ-ების ტიპობრივი მრავალფეროვნების მიუხედავად, თითქმის ყველასათვის ძირითად ფუნქციად მეტ-ნაკლები ზომით მაინც საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების განვითარება რჩება.

დღეისათვის საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა რეალურ პერსპექტივას იძლევა ფართომასშტაბიანი თავისუფალი შერეული ტიპის სავაჭრო-სამრეწველო ზონების შექმნისათვის.

თეზ-ების არსებობისათვის ისტორიული საფუძველი არსებობს ბათუმში. 1978 წელს მისმა ნავსადგურმა მიიღო „თავისუფალი“ პორტის სტატუსი.

ბათუმი, თეზ-ის ამოქმედების თვალსაზრისით, ყველაზე უფრო სტრატეგიული რეგიონია, რადგანაც ამ ქალაქში თავმოყრილია ყველა ის უმთავრესი ფაქტორი, რაც ამაღლებს თეზ-ის ფუნქციონირების ეფექტიანობას. ესენია:

- ბათუმის მძლავრი ნავსადგური;
- ბათუმის მაღალტევადობის ტერმინალი;
- საერთაშორისო სტანდარტების მქონე რკინიგზა;
- მძლავრი ავტომაგისტრალი.

ყოველივე ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ბათუმი არის „ტრასეკას“ (TRACECA-Transport Corridor Europe – Caucasias - Asia) კვანძი. მისი ძირითადი მიზანი რეგიონული თანამშრომლობის განვითარებაა. „ტრასეკას“ პროექტმა ფაქტიურად აღადგინა ძველი „აბრეშუმის გზა“, რომლის უდიდესი ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა იაპონიას, ჩინეთს აკავშირებდა შავი და ხმელთაშუა ზღვის ნაპირებთან. ამავე დროს, მისი განშტოებები კვეთდა ირანს, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიას, კასპიისა და შავი ზღვის აუზის თითქმის ყველა ქვეყანას.

1997 წელს პარლამენტში პირველად იქნა წარდგენილ კანონპროექტი „თეზ-ების შესახებ“, რომელიც არ დამტკიცდა. იგი ითვალისწინებდა შემდეგი ტიპის თეზ-ების შექმნას: ა) საექსპორტო წარმოების ზონა; ბ) თავისუფალი სავაჭრო ზონა; გ) სამეცნიერო-ტექნიკური პარკი (ტექნოპარკი).<sup>[13]</sup> 2001 წლის მარტში პარლამენტში კვლავ დაისვა საკითხი ბათუმში თეზ-ების ჩამოყალიბების შესახებ.

კანონპროექტი საექსპორტო წარმოების ზონის შექმნის ძირითად მიზნად ისახავდა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარებას.

<sup>[13]</sup> კანონპროექტი „თეზ-ების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, 1997 წ., 27 თებერვალი №7 - 8/ა.

მსოფლიოში თეზ-ების მრავალრიცხოვან ეფექტურ ფუნქციონირებასთან ერთად, ადგილი მათი ორგანიზაციის წარუმატებელ შემთხვევებსაც ჰქონდა. თეზ-ების შექმნის შესახებ კამათი მრავალი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. უცხოელ ექსპერტთა, ქართველ ეკონომისტთა და არასპეციალისტთა მოსაზრებები განსხვავებული იყო. თუმცა მიუხედავად ამისა, დღეს საქართველოში სამი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ფუნქციონირებს: თბილისში, ფოთსა და ქუთაისში და უნდა ითქვას, საკმაო წარმატებითაც. ასეთი ზონები უცხოური კაპიტალის მოზიდვის და ადგილობრივი წარმოების განვითარების საკმაოდ მძლავრი საშუალებაა.

ქვეყანაში წარმოებული საქონელი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის ერთობლიობად. ექსპორტირებადია ისეთი საქონელი, რომელზეც არის მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე. არაექსპორტირებადია საქონელი, რომელიც იწარმოება ადგილობრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და რომლის საზღვარგარეთ გატანა შეუძლებელია ტრანსპორტირების მაღალი ხარჯების, კონკურენტუნარიანობის დაბალი დონისა და სხვა მიზეზების გამო.

გაეროს მიერ მიღებული სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაციის (SIC-ის) მიხედვით საქონლისა და მომსახურების ერთობლიობა იყოფა 9 ძირითად ჯგუფად ესენია<sup>[14]</sup>:

1. სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობა, მეტყევეობა და მეთევზეობა;
2. მინერალური ნედლეულისა და ქვანახშირის მოპოვება;
3. გადამამუშავებელი მრეწველობა;
4. ელექტროენერჯია, გაზი და წყლით მომარაგება;
5. მშენებლობა;
6. ვაჭრობა, რესტორნები და სასტუმროები;
7. ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა;
8. საფინანსო სფერო, დაზღვევა, უძრავი ქონება, ბიზნეს-მომსახურება;
9. კავშირგაბმულობის მომსახურება, კომუნალური, საზოგადოებრივი და კერძო მომსახურების სახეები.

საქონლის უმრავლესობა, რომელიც პირველ სამ ჯგუფს მიეკუთვნება, ყველაზე მეტად ექსპორტირებადია, ხოლო სხვა დანარჩენი ჯგუფის საქონელი – ძირითადად ითვლება არაექსპორტირებადად. თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც,

<sup>[14]</sup> პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევები, თბ., 1999 წ., გვ., 138

როგორც ექსპორტირებად, ასევე არაექსპორტირებად დარგებშიც. ერთის მხრივ, მაღალი სატრანსპორტო დანახარჯები სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზოგიერთ სახეს (მაგ., ბოსტნეულს) არაექსპორტირებადად ხდის. ასევე, გადაულახავ ბარიერს წარმოადგენს ვაჭრობაში ტარიფები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე.

ამასთან, სამშენებლო საქმიანობის ცალკეული სახეები (მაგალითად, ქართველ მშენებელთა მიერ სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებისა თუ დაწესებულებების მშენებლობაში მონაწილეობა) ან სატრანსპორტო მომსახურების ისეთი სახეები, როგორცაა საერთაშორისო ავიაგადაზიდვები, საზღვაო გადაზიდვები და ა.შ. შეიძლება იყოს ექსპორტირებადი. ასევე, თანამედროვე ეტაპზე მრავალი სახის საფინანსო მომსახურებაც ექსპორტირებადი გახდა.

პირველ სამ დარგში წარმოებული საქონელი არ არის კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე. კერძოდ, თუ განვიხილავთ სოფლის მეურნეობის თავისებურებებს, საქართველოში იგი ძირითადად წვრილი მეურნეობით არის წარმოდგენილი, სადაც პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი (შინაური ფრინველები, წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ხილი, ბოსტნეული და ა.შ.) იწარმოება მცირე პარტიებით ქვეყნის შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით. მოცემულ დარგში წარმოების მოცულობის დაბალი მასშტაბები არ იძლევა ამ სახის პროდუქციის საექსპორტოდ წარმოების შესაძლებლობას. ასევე საქართველოში მოპოვებული ზოგიერთი სახის ნედლეულის გატანა საზღვარგარეთ დაკავშირებულია მაღალ სატრანსპორტო დანახარჯებთან და ამდენად, არაეფექტურია.

თანამედროვე პერიოდში საქართველო სულ უფრო აქტიურად ერთვება მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. მისი ეკონომიკა კარგახსნილი ხდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისათვის.

იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას თანამედროვე პერიოდში საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, აუცილებელია მოვახდინოთ საგარეო ვაჭრობის მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტ-იმპორტის მონაცემთა დინამიკის სტატისტიკური ანალიზი დამოკიდებულია სათანადო სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფაზე. ამ სფეროში ჯერ კიდევ მრავალი პრობლემაა გადასაჭრელი. თუმცა აღნიშნულ სფეროში, ბოლო წლების

განმავლობაში, მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები შეიმჩნევა, რაც შესაბამის სტატისტიკაზეც სათანადო ასახვას ჰპოვებს.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებული ტენდენციების სტატისტიკური გაანალიზება დავიწყოთ ზოგადი მაჩვენებლებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიერ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება დაიწყო 1995 წლიდან. სწორედ ამ პერიოდიდან მოგვეპოვება საბაჟო სამსახურების მიერ დეკლარირებული სტატისტიკური მონაცემები ექსპორტისა და იმპორტის შესახებ.


ნებისმიერ სფეროში სიახლის დანერგვა, პირველ ეტაპზე მრავალ პრობლემას აწყდება. დროთა განმავლობაში იხვეწება როგორც მეთოდოლოგია, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევები. შესაბამისად, გაუმჯობესება აისახება სტატისტიკურ მონაცემებზეც. ყოველივე აქედან გამომდინარე, საანალიზოდ გადავწყვიტეთ საგარეო ვაჭრობის 2000-2011 წლების სტატისტიკური მონაცემების აღება, როცა უკვე მკვეთრად გაუმჯობესებულია როგორც საბაჟო აღრიცხვიანობა, ისე, მონაცემთა ტექნიკური დამუშავება.

დანართში №19 მოცემულია საგარეო ვაჭრობის როგორც აბსოლუტური (ექსპორტი, რეექსპორტი, იმპორტი, რეიმპორტი, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა და სალდო), ისე შეფარდებითი (რეექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში, რეიმპორტის წილი მთლიან იმპორტში, ექსპორტის იმპორტით დაფარვის კოეფიციენტი, ექსპორტის, იმპორტისა და სავაჭრო სალდოს წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში) მაჩვენებლები. ცალ-ცალკე განვიხილოთ ექსპორტში და იმპორტში ჩამოყალიბებული ტენდენციები მოცემულ დინამიკაში.

2000 წლიდან 2011 წლამდე საქართველოში ექსპორტის დინამიკური მწკრივი მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2007 წელს მან პირველად გადააჭარბა მილიარდ ამერიკულ დოლარს. 2000 წელთან შედარებით, 2011 წელს ექსპორტის მოცულობა თითქმის შეიდგურ გაიზარდა და 2.2 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. მკვეთრი ვარდნა აღინიშნება 2009 წელს, რომელიც აისხნება საქართველოში აგვისტოს ომის შემდგომი ინერციით და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. ექსპორტის განვითარების ანალოგიური ტენდენცია შეიმჩნევა რეექსპორტშიც, რომელიც კარგად ჩანს ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (დიაგრამა №1). რეექსპორტის ამსახველი მრუდი თითქმის ზუსტად იმეორებს ექსპორტის მიმართულებას.

## დიაგრამა №1

### საქართველოს ექსპორტი და რეექსპორტი 2000-2011 წწ.



\*წინასწარი მონაცემები.


რეექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა და 2011 წელს 22.3 პროცენტი შეადგინა, რაც ოთხჯერ აღემატება 2000 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ასევე მზარდი ტენდენცია ფიქსირდება იმპორტშიც, საანგარიშო წელს, საბაზისოსთან შედარებით იმპორტი თითქმის ათჯერ არის გაზრდილი და 7.1 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომისა და 2009 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა უფრო მეტად აისახა იმპორტზე და ამის შედეგად, 2008 წლის ნიშნულს მხოლოდ 2011 წელს გადააჭარბა.

რაც შეეხება რეიმპორტის მონაცემს, მისი სიდიდე ძალიან მცირეა და წილიც მთლიან იმპორტში მეტად უმნიშვნელო (დანართი №19). თუმცა აღსანიშნავია 2006 წელი, როცა რეიმპორტის წილი კვლავ მცირე იყო, მაგრამ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია (დიაგრამა №2) საანალიზო პერიოდის განმავლობაში და 7.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ეს ფაქტი გამოწვეული იყო რუსეთის მიერ ქართული წარმოშობის ექსპორტირებულ პროდუქტებზე ემბარგოს დაწესებით, რის გამოც 6.1 მლნ. აშშ დოლარის ქართული ღვინო უკან იქნა დაბრუნებული. მეთოდოლოგიის მიხედვით კი საქონლის დაბრუნება უნდა აისახოს იმპორტში.

დიაგრამა №2

რეიმპორტის წილი საქართველოს მთლიან იმპორტში




\*წინასწარი მონაცემები.

განსახილველ პერიოდში საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ნათლად ასახავს ქვემოთ მოცემული გრაფიკული გამოსახულება (დიაგრამა №3).

დიაგრამა №3

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზოგადი ტენდენციები



\*წინასწარი მონაცემები.

როგორც ჩანს, საგარეო ვაჭრობის ყველა მაჩვენებელი ზრდას განიცდის მთელი პერიოდის განმავლობაში 2000-დან 2011 წლამდე. ერთადერთი ჩავარდნა 2009 წელია და ამის ობიექტურ მიზეზებს უფრო დეტალურად მოგვიანებით შევეხებით. საგარეო ვაჭრობის საღდო მუდმივად უარყოფითია და ის ფაქტიურად სარკისებური ეფექტით იმეორებს სავაჭრო ბრუნვის ტენდენციას. უარყოფითი საღდოს აბსოლუტური მნიშვნელობა, საანალიზო პერიოდში, განუხრელად იზრდება, თუმცა თუ განვიხილავთ ისეთ მაჩვენებელს, როგორცაა სავაჭრო ბალანსის წილი სავაჭრო ბრუნვაში, 2008 წლიდან ეს მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება (დანართი №19), რაც საერთო გლობალურ ფონზე დადებით ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ.

ნებისმიერ სფეროში არსებულ ტენდენციებზე უფრო ზუსტ წარმოდგენას, აბსოლუტური მაჩვენებლისაგან განსხვავებით, გვაძლევს დინამიკის შეფარდებითი სიდიდეები, როგორცაა ჯაჭვური ზრდისა და საშუალო წლიური ზრდის ტემპები, რომლებიც წარმოდგენილია დანართში №20.

როგორც ცხრილიდან ჩანს, რეექსპორტის ზრდის ტემპი უსწრებს არა მხოლოდ ექსპორტის ზრდას, არამედ, 2008 წლიდან აღემატება საგარეო ვაჭრობის დანარჩენი ყველა ზოგადი მაჩვენებლის ზრდის ტემპს. აღნიშნული ინდიკატორის ზრდა ძირითადად საქართველოდან მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის ხარჯზე ხდება, რაც განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო წლების განმავლობაში. საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, ლიბერალური საბაჟო-საგადასახადო პოლიტიკის არსებობის და იმ უპირატესობის გამო, რომ ამიერკავკასიაში ყველაზე მსხვილი დილერები, ავტოკომერციულ ინდუსტრიაში, საქართველოში მდებარეობენ, ბევრი ქვეყნისთვის მომგებიანია სწორედ ჩვენი ქვეყნიდან ავტომობილების გაყვანა. ეს პროცესი თავის მხრივ, საკმაოდ მომგებიანს ხდის ვაჭრობის აღნიშნულ სეგმენტს და რამდენაღმე ზრდის როგორც ცალკეული ბიზნეს სუბიექტების, ისე მთლიანად ქვეყნის შემოსავალს.

წლების მანძილზე საგარეო სავაჭრო ნაკადების ზრდის ტემპების ცვალებადობა შეიმჩნევა და ხანდახან დინამიკაში რთულია იმის დადგენა თუ საერთო ჯამში როგორი ტენდენცია აქვს მაჩვენებლის განვითარებას. ამის გამო საინტერესოა საშუალოწლიური ზრდის ტემპის გაანგარიშება.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლების საშუალო წლიური ზრდის ტემპები თითქმის თანაბარია და 119.3 - 119.8 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ყველაზე მაღალი საშუალო წლიური ზრდის ტემპით

რექსპორტი გამოიჩინა და 2000-2011 წლების პერიოდში 144.9 პროცენტი შეადგინა (დანართი №20).

საანალიზო პერიოდი, განვითარების ტენდენციების შესაბამისად, პირობითად შეიძლება დაყოფილი სამ ფაზად: I - 2000-2003 წლები, II - 2004-2007 წლები და III - 2008-2011 წლები.

პირველი ფაზა საგარეო სავაჭრო პროცესების შედარებით სტაბილური განვითარებით ხასიათდებოდა. საგარეო სავაჭრო ოპერაციების მასშტაბებიც მცირე იყო და გრაფიკიდანაც ნათლად ჩანს, რომ მათი ზრდა თანაბარზომიერად მიმდინარეობდა.

მეორე ფაზა საგარეო ვაჭრობის სწრაფი ზრდის ტენდენციით განვითარებას ასახავს, თუმცა ამ პერიოდში იმპორტის ზრდის ტემპი ბევრად უსწრებს ექსპორტის ზრდას, რის გამოც, ამ პერიოდში უარყოფითი სავაჭრო სალდოს საშუალო წლიური ზრდის ტემპი 150 პროცენტს აღწევს.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების და ზოგადად ეკონომიკური აქტივობის თვალსაზრისით ყველაზე გამორჩეულია ბოლო, მესამე ფაზა.

საქართველო, ფაქტიურად ახლადშემდგარი კაპიტალიზმის რელსებზე, 2008 წლის დასაწყისში პირისპირ შეეჯახა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს. მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში აქტიური ინტეგრაციის ფონზე, ბუნებრივია, ქვეყანა გვერდს ვერ აუვლიდა კრიზისის დამანგრეველ ძალას. თუმცა, ჩვენი ეკონომიკის მასშტაბებიდან და გლობალური ეკონომიკური და ფინანსური სისტემის ფუნქციონირებაში მისი უმნიშვნელო როლიდან გამომდინარე, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით რეცესია ნაკლებად შეეხო საქართველოს.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოს გაურთულდა საგარეო პოლიტიკური მდგომარეობაც. რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად კიდევ უფრო საგრძნობი გახდა კრიზისის უარყოფითი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შემდეგ საქართველო ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ომის შედეგად მიყენებული ზარალის დროულად დაფარვისა და საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შეუქცევადობის უზრუნველსაყოფად, დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები ჩვენს ქვეყანას დაახლოებით 4.5 მილიარდი დოლარის დახმარებას დაპირდნენ. ამ დახმარებიდან დაახლოებით 2 მილიარდი სესხი იყო, ხოლო დანარჩენი თანხა გრანტებზე მოდიოდა. ამან კიდევ უფრო გაზარდა ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი, რამაც 2011

წლის ბოლოსთვის 11.2 მლრდ. აშშ დოლარს მიაღწია და ქვეყნის მშპ-ის 46.1 % შეადგინა.


თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური კრიზისის გავლენის შემცირების მიზნით საქართველოს მთავრობამ 2009 წლის დასაწყისიდანვე განახორციელა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები. მნიშვნელოვანი თანხები მიმართა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე, რაც კერძო ინვესტიციების შემცირების პირობებში ეკონომიკის გარკვეულწილად სტიმულირებას წარმოადგენდა. ამ პროცესებმა დასაქმების პრობლემის გამწვავებას ნაწილობრივ შეუშალა ხელი. გარდა ამისა, 2009 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადი 25%-დან 20%-მდე შემცირდა, რამაც ინფლაციური პროცესების ფონზე მოსახლეობის შემოსავლების ნომინალური ზრდა გამოიწვია, თუმცა მათი რეალური მსყიდველუნარიანობა დროთა განმავლობაში რამდენადმე შემცირდა.

როგორც სსფ-ის პროგნოზით იყო ნავარაუდები, 2009 წელს განვითარებულ ეკონომიკებში ზრდა ნულთან მოახლოებული იქნებოდა, ხოლო გლობალური რეცესია გარდაუვალი. 2009 წლის მეორე ნახევრიდან უნდა დაწყებულიყო ფინანსური კრიზისის შერბილება და ეკონომიკას უნდა დაეწყო უმნიშვნელო ზრდა. თუ წინა პერიოდებში, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები 2009 წელს უარყოფითი ნიშნით შეიცვალა და – 3.8 % შეადგინა, მსოფლიო ეკონომიკის შედარებითი გაჯანსაღების ფონზე 2010 წლიდან საქართველოში ეკონომიკური ზრდის საკმაოდ მყარი ტენდენცია შეიმჩნევა და 2011 წლის წინასწარი მონაცემებით 7.0 პროცენტს შეადგენს (დიაგრამა №4).

გართულდა მდგომარეობა საერთაშორისო ბაზრებზეც ეროვნული წარმოების პროდუქციის გატანისა და სავაჭრო კრედიტების გადახდის საკითხში. მკვეთრად შემცირდა როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მოცულობა. გაუარესდა საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურაც. ეროვნული წარმოების ზოგიერთი პროდუქცია უმსხვილესი საექსპორტო ათეულის წამყვანი პოზიციებიდან ჩრდილში გადავიდა.

#### დიაგრამა №4

#### მშპ-ის რეალური ზრდა საქართველოში (%)




\* წინასწარი მონაცემები.

გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ომის მდგომარეობამ საქართველოში უცხოური საინვესტიციო ნაკადების შემცირებაც გამოიწვია. განუხრელად მზარდი დაბანდების ტენდენცია ამ პერიოდში რადიკალურად შეიცვალა. 2008 წლის მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2005 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია და 135 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (დიაგრამა №5). ამავე წლის მეოთხე კვარტალში ინვესტიციების 286 მლნ. აშშ დოლარამდე გაზრდა ძირითადად უცხოელი ინვესტორების მხრიდან პირდაპირი ინვესტირების საწარმოებზე გაცემული დიდი ოდენობით სესხების ხარჯზე მოხდა. შემდგომ პერიოდებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოში საგრძნობლად შემცირდა. მაღალი რისკის საინვესტიციო გარემომ და არასტაბილურმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია ის ფაქტი, რომ უცხოელმა ინვესტორებმა მასიურად დაიწყეს დივიდენდების აღება და საწარმოთა სულ უფრო მცირე რაოდენობა ახორციელებდა საკუთარი საქმიანობიდან მიღებული მოგების ხელახალ რეინვესტირებას საწარმოში.

დიაგრამა №5

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში



\* წინასწარი მონაცემები.

ამ მხრივ აშკარა გაუმჯობესება მხოლოდ 2011 წელს გახდა შესამჩნევი, როცა მთელი წლის მზარდი ტენდენციის ფონზე, მეოთხე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ საქართველოში 337.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. გლობალური კრიზისისა და პოლიტიკური არასტაბილურობის დაწყების შემდეგ ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და იმედის მომცემი იმ მხრივ, რომ უცხოელი ინვესტორების დაინტერესება საქართველოს მიმართ კვლავ გაიზრდება. ეს ტენდენცია ერთი მხრივ, ეროვნული წარმოების განვითარებისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების წინაპირობაა და მეორე მხრივ, ეკონომიკური ზრდის მძლავრი მასტიმულირებელი ფაქტორია.

მიუხედავად 2008 წელს დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და ქვეყნის შიგნით შექმნილი პოლიტიკური არასტაბილურობისა, რომლის შედეგებიც მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში აშკარად შესამჩნევი იყო, საქართველოში ექსპორტი უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა, ვიდრე იმპორტი. ამ პერიოდში უარყოფითი სავაჭრო სალდოს საშუალო წლიური ზრდის ტემპი მხოლოდ 0.5 პროცენტი დაფიქსირდა.

ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტმა ყველაზე მაღალ ნიშნულს 2000 წელს მიაღწია და 45.7 პროცენტი შეადგინა. ეს ტენდენცია შენარჩუნდა 2007 წლის ჩათვლით, როცა აღნიშნული მაჩვენებელი 23.6 პროცენტი დაფიქსირდა. ამის

შემდეგ მცირედენი ზრდა შეინიშნებოდა, ხოლო 2011 წელს, წინა წელთან შედარებით 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირება აღინიშნა და ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტმა 31.0 პროცენტი შეადგინა (დანართი №19).

ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსში ასეთი ტენდენცია ჩამოყალიბდა (ცხრილი №4).

**ცხრილი №4.**

**პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა საქართველოს სავაჭრო ოპერაციებში**

	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	დადებითი სალდო	უარყოფითი სალდო
2000	110	87	92	31	73
2001	114	81	104	26	81
2002	125	86	111	31	84
2003	124	83	112	30	86
2004	125	80	118	19	94
2005	131	94	120	28	93
2006	132	100	120	26	97
2007	123	95	114	23	93
2008	130	94	126	21	100
2009	131	102	121	28	92
2010	138	106	128	31	96
2011*	147	107	135	29	102

\* წინასწარი მონაცემები.

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

როგორც ცხრილის მონაცემებიც მოწმობს, საქართველო სულ უფრო აქტიურად ერთვება ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესებში და უფრო მეტად კარგახსნილი ხდება მსოფლიოს სავაჭრო ნაკადებისთვის. ასევე ფართოვდება უცხოური ბაზრების არეალი ჩვენი ქვეყნის ექსპორტისთვის.

2011 წელს საქართველომ სავაჭრო ოპერაციები განახორციელა მსოფლიოს 147 ქვეყანასთან, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ისტორიაში. ტენდენცია ანალოგიურია როგორც საექსპორტო, ისე საიმპორტო ნაკადების მხრივ. საექსპორტო ოპერაციები 107 ქვეყანასთან განხორციელდა, რაც 23 პროცენტით აღემატება საბაზისო წლის (2000 წელი) და მხოლოდ 1 პროცენტით წინა წლის მაჩვენებელს. საანგარიშო წლის განმავლობაში მხოლოდ 29 ქვეყანასთან დაფიქსირდა დადებითი სავაჭრო სალდო 434 მლნ. აშშ დოლარით. ამავე პერიოდში საიმპორტო ნაკადები დარეგისტრირდა 135 ქვეყანასთან, რაც 47 პროცენტით აღემატება საბაზისო წლის და 5 პროცენტით

2010 წლის მაჩვენებელს. 2011 წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 102 ქვეყანასთან 5298.1 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით.

2011 წელს საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა დსთ-ის 6 ქვეყანასთან: სომხეთთან 164.0 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, ყაზახეთთან 86.3 მლნ. აშშ დოლარი. ასევე, მცირე დადებითი სავაჭრო ბალანსი აღინიშნა ყირგიზეთთან, მოლდოვასთან, ტაჯიკეთთან და უზბეკეთთან. ყაზახეთთან დადებითი სალდო ძირითადად მსუბუქი ავტომობილების ექსპორტითაა გამოწვეული. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, მათთან ვაჭრობაში მხოლოდ უარყოფითი სალდო ფიქსირდება. დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებიდან აღსანიშნავია დადებითი სალდო კანადასთან და მექსიკასთან. მაგრამ ხარისხობრივი თვალსაზრისით დიდად სახარბიელო სასაქონლო სტრუქტურა არ შეინიშნება. კანადაში ძირითადად ოქრო გადის, ხოლო მექსიკაში - ფეროშენადნობები. უნდა აღინიშნოს, რომ 2000 წლიდან სომხეთთან და 2005 წლიდან კანადასთან, მუდმივად დადებითი სავაჭრო სალდო ფიქსირდება.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობა ფიქსირდებოდა 2010 წელს. საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა დსთ-ის 4 ქვეყანასთან: სომხეთთან 120.6 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, მცირე მოცულობის დადებითი ბალანსი გვქონდა მოლდოვასთან, ტაჯიკეთთან და ყირგიზეთთან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2011 წელს 2010 წელთან შედარებით, დადებითი სავაჭრო ბალანსის მიხედვით არა მარტო თანამეგობრობის ქვეყნების რაოდენობის მხრივ შეინიშნება ზრდა, არამედ, ღირებულებითაც.

2000 წელს ლიტვა (ამჟამად უკვე ევროკავშირის წევრი ქვეყანა), ტაჯიკეთი, მოლდოვა და ესტონეთი გვხვდებოდა თანამეგობრობის ქვეყნებიდან დადებითი სავაჭრო ბალანსის მქონე ქვეყნების ჩამონათვალში ჯამში 2.0 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

რაც შეეხება უარყოფით სავაჭრო ბალანსს, 2011 წელს 100 მლნ. აშშ დოლარზე მეტი უარყოფითი სალდო ფიქსირდება მსოფლიოს 14 ქვეყანასთან და აქედან ყველაზე მეტი თურქეთთან, საქართველოს უკვე დიდი ხნის ყველაზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორთან. მასთან უარყოფითმა სალდომ 1 მლრდ. ამერიკულ დოლარს გადააჭარბა, იგივე მაჩვენებელმა 2010 წელს 669.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამავე ნუსხაში 2011 წელს, ისევე როგორც 2010 წელს, ხვდება დსთ-ის 3 (უკრაინა, რუსეთი და აზერბაიჯანი) და ევროკავშირის 5 ქვეყანა (გერმანია, რუმინეთი, ბულგარეთი, ნიდერლანდები და იტალია).

## 4.2 საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებები


თუ განვიხილავთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის მონაცემებს გეოგრაფიულ ჭრილში, კერძოდ, კონტინენტების მიხედვით (დანართი №21), შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ექსპორტის მიმართულებით საქართველოს ტვირთების საბოლოო დანიშნულების ადგილად პირველ რიგში აზია (2011 წელს 1221.4 მლნ აშშ დოლარით და მთლიან ექსპორტის 55.8 პროცენტის ვილით) და შემდგომ ევროპა (2011 წელს 643.5 მლნ. აშშ დოლარით და მთლიან ექსპორტში 29.4 პროცენტის ვილით) უნდა განვიხილოთ. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2006 წლამდე საქართველოსთვის ძირითად საექსპორტო მიმართულებას ევროპა წარმოადგენდა. 2006 წლიდან გააქტიურდა ექსპორტი ამერიკის კონტინენტზეც და 2011 წელს 314.6 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი ექსპორტის 14.4 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება საიმპორტო ნაკადებს, 2010-2011 წლებში იმპორტი ძირითადად აზიიდან ხორციელდებოდა და მთლიანი იმპორტის საშუალოდ 47.1 პროცენტს შეადგენდა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2000-2009 წლებში ევროპიდან შემოსული იმპორტი ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩეოდა დანარჩენ კონტინენტებს შორის და მთლიანი იმპორტის საშუალოდ 52.4 პროცენტს შეადგენდა. 2010-2011 წლებში კი ევროპიდან იმპორტის წილმა საშუალოდ მთლიანი იმპორტის 45.9 პროცენტი შეადგინა. ამერიკის კონტინენტიდან იმპორტის მოცულობა დინამიკაში ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა 2011 წელს წინა წელთან შედარებით საიმპორტო ნაკადები ამ მიმართულებით 31 პროცენტით გაიზარდა, 403.7 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 5.7 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ამერიკის კონტინენტიდან იმპორტის წილობრივი მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი იყო 2000-2004 წლებში და საშუალოდ 11-12 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა (დანართი №21).

სტრუქტურული გრაფიკის (დიაგრამა №6) მიხედვით განვსაზღვროთ მთლიანობაში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურა კონტინენტების მიხედვით:

დიაგრამა №6

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა კონტინენტების მიხედვით 2011\* წელს (%)



\*წინასწარი მონაცემები.

როგორც ჩანს, საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ძირითადად აზიას წარმოდგენილი 49.2 პროცენტით, შემდეგ მოდის ევროპა 42.1 პროცენტით და დანარჩენი კონტინენტები ჯამში იკავებენ მხოლოდ 8.6 პროცენტს.

განვიხილოთ საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (დანართი №22). შედარებისათვის ავიღოთ მხოლოდ ევროკავშირისა და დსთ-ის წევრი ქვეყნების გაერთიანებები, რადგან ამ ჯგუფებს შორის ქვეყნების თანაკვეთა არ არის. სხვა შემთხვევაში ჯგუფების შედარება არარეალურ სურათს მოგვცემს, რამდენადაც ერთი და იგივე ქვეყანა სხვადასხვა საერთაშორისო თანამშრომლობის კავშირშია გაწევრიანებული.

საქართველოსთვის საგარეო საქონელბრუნვის ორიენტაციას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ტერიტორიული და მენტალური სიახლოვის მქონე დსთ-ს წევრი ქვეყნები განსაზღვრავენ. განსაკუთრებით მაღალია მათი წილი საქსპორტო ნაკადებში და განსახილველ პერიოდში 36.2 პროცენტიდან - 50.6 პროცენტამდე დიაპაზონში მერყეობს, მაშინ როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების წილი 25.0 პროცენტზე მაღალი ნიშნულით არ დაფიქსირებულა. 2011 წელს ექსპორტმა დსთ-ის ქვეყნებში 1 მლრდ. დოლარს გადააჭარბა, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში მხოლოდ 424.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 12 წლიანი პერიოდის განმავლობაში.

რაც შეეხება საიმპორტო ნაკადებს ქვეყნების ჯგუფების ჭრილში, ექსპორტისგან რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა. 2000 წლიდან დღემდე ევროკავშირისა და დსთ-ის წევრი ქვეყნებიდან იმპორტის წილი მთლიან იმპორტში თითქმის თანაბარია, მხოლოდ 2011 წელს ფიქსირდება ევროკავშირიდან 1.6 პროცენტით მეტი იმპორტი ვიდრე დსთ-დან და მთლიანი იმპორტის 29.1 პროცენტს შეადგენს.

ძალზედ საინტერესოა ერთ-ერთი ჯგუფის განხილვა. ეს არის სუამის ქვეყნები (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა). აღნიშნულ ჯგუფში საქართველოდან ექსპორტის საკმაოდ მაღალი წილი ფიქსირდება და 2011 წელს 26.4 პროცენტს შეადგენს. როგორც ჩანს, 3 ქვეყანაში კონცენტრირებულია საქართველოს ექსპორტის მეოთხედი ნაწილი და სამივე მათგანი ყოფილი კავშირის წევრი ქვეყანაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ექსპორტი ჯერ კიდევ ორიენტირებულია ძველ კავშირებზე და ახალი ბაზრების დაპყრობა მხოლოდ მომავლის პერსპექტივაა. საიმპორტო ნაკადები აღნიშნული ქვეყნებიდან ჯამში 20 პროცენტამდე აღწევს.

ახლა უფრო მიკროდონეზე განვიხილოთ საქართველოს საგარეო სავაჭრო ნაკადების გეოგრაფიული სტრუქტურა ანუ შევეხეთ ცალკეულ ქვეყნებს.


როგორც კონტინენტების და ქვეყანათა ჯგუფების ანალიზიდან კარგად გამოჩნდა, საქართველოს საგარეო საქონელბრუნვის ძირითად ბირთვს წარმოადგენს ტერიტორიულად ახლოს განლაგებული ქვეყნები. მისი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები 2008 წლიდან დღემდე არიან თურქეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა. 2002-2005 წლებში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების ათეული, სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, რუსეთით იწყებოდა, 2000-2001 წლებში კი - თურქეთით.

2011 წელს სამი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 36.6 პროცენტი და 9.2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 868.0 მლნ. აშშ დოლარით და 34.5 პროცენტით აღემატება. თუმცა, უმსხვილესი პარტნიორების წილი, ამ პერიოდში უმნიშვნელოდ, 0.3 პროცენტული პუნტქით არის გაზრდილი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად სავაჭრო პარტნიორების რაოდენობის ზრდისა (2011 წელს 147 ქვეყანა დაფიქსირდა), სავაჭრო ბრუნვის მესამედზე მეტი მხოლოდ სამ ქვეყანაზეა კონცენტრირებული. ზუსტად ანალოგიური მდგომარეობა ფიქსირდება 2008-2010 წლებში.

ცალ-ცალკე განვიხილოთ უმსხვილესი საექსპორტო და საიმპორტო ათეულები ქვეყნების ჭრილში.

2011 წელს საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ათეულის წილი მთლიან ექსპორტში 75.4 პროცენტს შეადგენს. ანალოგიური მაჩვენებელი 2010 წელს 74.1 პროცენტი იყო. ათეულში გვხვდება დსთ-ის ოთხი, რომელთა წილი მთლიან ექსპორტში შეადგენს 43.3 პროცენტს და ევროკავშირის სამი ქვეყანა - შესაბამისად 10.0 პროცენტული წილით. უმსხვილესი ქვეყნების ათეულს 2011 წლის მიხედვით გვიჩვენებს დიაგრამა №7.

დიაგრამა №7



\*წინასწარი მონაცემები.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, უმსხვილეს ათეულებთან ექსპორტის მოცულობა გაზრდილია 2010 წელთან შედარებით. გამონაკლისს წარმოადგენს აშშ და კანადა, თუმცა მცირედი კლების მიუხედავად, ისინი ათეულში კვლავ ინარჩუნებენ ადგილს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამივე უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე ქვეყანას (დანართი №23) და მათი წილი მთლიან ექსპორტში 40.0 პროცენტს, რაც გვიჩვენებს საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის ჯერ კიდევ ნაკლებ პოპულარობას.

2011 წელს საქართველოს უმსხვილეს ათეულს აზერბაიჯანი უდგას სათავეში 425.9 მლნ. აშშ დოლარით, რომელიც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 66.2 პროცენტით და მისი წილი მთლიან ექსპორტში 19.5 პროცენტს

შეადგენს. აზერბაიჯანის წილი საქართველოს ექსპორტში განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო წლებში. 2000-2006 წლების განმავლობაში მისი წილი მთლიან ექსპორტში საშუალოდ 6.3 პროცენტს შეადგენდა. 2011 წელს (ფაქტიურად ისევე, როგორც წინა წელს) ძირითად საექსპორტო პროდუქციას აზერბაიჯანში წარმოადგენს (დანართი №24): მსუბუქი ავტომობილები, რომლის ექსპორტი წინა წელთან შედარებით 70.6 პროცენტით გაიზარდა; საფრენი აპარატის ნაწილები (შესაბამისად 38.2 პროცენტით); წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან (91.3 პროცენტით); მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (50.6 პროცენტით) და ცემენტი (236.5 პროცენტით).

მეორე უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი თურქეთია 227.6 მლნ. აშშ დოლარით. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 5.0 პროცენტით, თუმცა განსახილველი პერიოდის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს, რომელიც დაფიქსირდა 2008 წელს (262.9 მლნ. აშშ დოლარი) ჩამოუვარდება 13.4 პროცენტით. უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში წინა წელთან შედარებით აბსოლუტურ მაჩვენებლებში თურქეთში ექსპორტირებული საქონლის გაზრდილი ღირებულების მიუხედავად, მისი წილი მთლიან ექსპორტში შემცირებულია და ნაცვლად 12.9 პროცენტისა (რაც დაფიქსირდა 2010 წელს), შეადგენს 10.4 პროცენტს. უმსხვილესი საექსპორტო საქონელი 2011 წელს თურქეთში იყო (დანართი №25): შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი, რომელის ექსპორტი 2010 წელთან შედარებით შემცირდა 7.0 პროცენტით და თურქეთში მთლიანი ექსპორტის 36.3 პროცენტი შეადგინა (ნაცვლად 41.0 პროცენტისა, რომელიც დაფიქსირდა წინა წელს); ფეროშენადნობები, რომლის ექსპორტი ფაქტიურად გაორმაგებულია; აზოტოვანი სასუქები (გაიზარდა 3.3 პროცენტით); ელექტროენერგია (გაიზარდა 18.2 პროცენტით) და მსუბუქი ავტომობილები (შემცირდა 54.7 პროცენტით).


საექსპორტო ქვეყნების ათეულის მესამე ადგილს იკავებს ამიერკავკასიის რეგიონის კიდევ ერთი წარმომადგენელი, საქართველოს ასევე, მოსაზღვრე ქვეყანა სომხეთი. 2011 წელს სომხეთში ექსპორტმა 2000 წლიდან დღემდე ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია და 223.0 მლნ. აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც მთლიანი ექსპორტის 10.2 პროცენტია. საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელი 2010 წლისას 33.8 პროცენტით აღემატება. ძირითად საექსპორტო საქონელს 2011 წელს წარმოადგენს (დანართი №26): მსუბუქი ავტომობილები, რომლის წილი სომხეთში განხორციელებულ მთლიან ექსპორტში 43.7 პროცენტი იყო, ხოლო ზრდამ წინა

წელთან შედარებით 79.3 პროცენტი შეადგინა; მეორე პოზიციას სატვირთო ავტომობილები იკავებს 11.6 მლნ. აშშ დოლარით, რომელიც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 41.0 პროცენტით; მესამე ადგილზე იმყოფება ნახშირბადიანი ფოლადის წნელების სასაქონლო ჯგუფი, რომლის ექსპორტიც წინა წელთან შედარებით 6.1 პროცენტით გაიზარდა.

დიაგრამა №8 გვიჩვენებს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების რეიტინგს 2000 წლის მიხედვით.

დიაგრამა №8

საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ათეული 2000 წელს



უმსხვილესი საექსპორტო ათეული 2000 წელს მთლიანი ექსპორტის 82.3 პროცენტს შეადგენდა და მოიცავდა ევროკავშირის სამ და დსთ-ის ხუთ ქვეყანას. ამ პერიოდისგან განსხვავებით, თანამედროვე ათეულში აღარ გვხვდება შვეიცარია, თურქმენეთი და გაერთიანებული სამეფო, სადაც ძირითადად სპილენძის მადნების, საფრენი აპარატებისა და აზოტოვანი სასუქების ექსპორტი ხორციელდებოდა..

საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების და განსაკუთრებით ექსპორტის ანალიზისას, ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ახლო წარსულში ყველაზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორთან არსებული ვითარება რეტროსპექტივაში და მისი ადგილი თანამედროვე ეტაპზე. ადვილი მისახვედრი იქნება, რომ საქმე ეხება მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოს, ყველა ქვეყნისთვის სასურველ და მეტად მიმზიდველ ბაზარს, რუსეთს. ზოგადად რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხი ცალკე განხილვის


საგანს წარმოადგენს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში შეუძლებელია არ აღვნიშნოთ მისი როლი ბოლო ათეული წლის განმავლობაში.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2000 წელს საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების ათეულში რუსეთი მეორე ადგილზე იმყოფებოდა და მისი წილი მთლიან ექსპორტში 20.7 პროცენტს შეადგენდა, ფაქტიურად საქართველოს ექსპორტის მეხუთედი მეზობელი ქვეყნის ბაზარზე რეალიზაციისათვის იყო განკუთვნილი. 2001-2005 წლებში რუსეთი ათეულის ლიდერი იყო და ამ წლების განმავლობაში მისი წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში საშუალოდ 18.6 პროცენტს შეადგენდა. რაც შეეხება ძირითად საექსპორტო პროდუქციას, ათეულში შედიოდა ღვინო, მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები, ფეროშენადნობები, თხილი, შაქარი, მანგანუმის მადნები, საფრენი აპარატები, ჩაი და რკინიგზის ლოკომოტივები. 2010-2011 წლებში რუსეთში ძირითად საექსპორტო პროდუქციას ელექტროენერგია, მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, მანგანუმის მადნები და ოქსიდები წარმოადგენს (დანართი №27). 2011 წელს წინა წელთან შედარებით მეზობელ ქვეყანაში 74 სასაქონლო პოზიციით ნაკლებია ექსპორტირებული.

საქართველოდან რუსეთში განხორციელებული საექსპორტო ნაკადების ევოლუცია შეგვიძლია ვიხილოთ ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებაზე (დიაგრამა №9):

დიაგრამა №9

ექსპორტი საქართველოდან რუსეთში



\*წინასწარი მონაცემები.

ვითარება რადიკალურად შეიცვალა 2006 წლიდან, როცა რუსეთმა, გარკვეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოსაზრებების გამო, ქართული წარმოების პროდუქციაზე ემბარგო დააწესა. ამ მდგომარეობამ გამოიწვია ის ფაქტი, რომ რუსეთში ექსპორტის წილმა საქართველოს მთლიანი ექსპორტის მსოფლიო 8.1 პროცენტი შეადგინა და ამ ნიშნულიდან სისტემატიური კლების შედეგად 2011 წელს აღნიშნული მაჩვენებელი უკვე 1.7 პროცენტით განისაზღვრება და პოზიციურად რუსეთი მე-12 ადგილს იკავებს.


როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2002 წლიდან ექსპორტის მზარდი ტენდენცია რუსეთში, 2006 წლიდან რადიკალურად შეიცვალა, 2005 წელთან შედარებით 51.0 პროცენტით დაეცა და აბსოლუტური მოცულობით თითქმის 2001 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა. განსაკუთრებით შესამჩნევია მთლიან ექსპორტში რუსეთის წილობრივი მაჩვენებლის მკვეთრი კლება. განსახილველ პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლის ყველაზე დაბალი დონე 2011 წელს დაფიქსირდა და 1.7 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების ძირითად საქონელში ეროვნული წარმოებიდან გამოიკვეთა ელექტროენერგია. ამ სფეროში ბოლო წლებში დიდი მოცულობის უცხოური ინვესტიციები განხორციელდა, დაგეგმილია 15 ჰესის მშენებლობა, რაც პერსპექტივაში ელექტროენერგიას ერთ-ერთ ძირითად საექსპორტო პროდუქციად აქცევს.

საგარეო ვაჭრობის მონაცემების ანალიზისას პროდუქციის ჭრილში, განვიხილავთ ეროვნული წარმოების უმსხვილეს საექსპორტო საქონელს დინამიკაში რუსეთის ემბარგომდე და ემბარგოს შემდეგ.

საქართველოს უმსხვილესმა საიმპორტო ათეულმა 2011 წელს მთლიანი ექსპორტის 69.4 პროცენტი შეადგინა და სხვა ქვეყნებთან ერთად მოიცავდა დსთ-ის და ევროკავშირის 3-3 წევრ ქვეყანას (დიაგრამა №10). ანალოგიური მაჩვენებელი წინა წელს 67.4 პროცენტს შეადგენდა ე.ი. ქვეყნის მოთხოვნის თითქმის 2/3 ათი ქვეყნის პროდუქციით კმაყოფილდება.

დიაგრამა №10



\*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილეს საიმპორტო ათეულს, 2007 წლიდან დღემდე, თურქეთი უდგას სათავეში (დანართი №28). ის პირველ ადგილს 2000-2001 წლებშიც იკავებდა. 2011 წელს თურქეთიდან იმპორტმა 1 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა და მთლიანი იმპორტის 18.0 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით იმპორტი თურქეთიდან 43.5 პროცენტითაა გაზრდილი. ძირითად საიმპორტო საქონელს სამშენებლო მასალები და სამკურნალო საშუალებები წარმოადგენს (დანართი №25). ზოგადად თურქეთიდან იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა საკმაოდ მრავალფეროვანია და 1000-მდე დასახელების სასაქონლო ჯგუფს მოიცავს.

მეორე ადგილზე უკრაინა იმყოფება 705.6 მლნ. აშშ დოლარით და მთლიან იმპორტში 10.0 პროცენტით. 2010 წელთან შედარებით, ამ ქვეყნიდან იმპორტი 25.8 პროცენტით არის გაზრდილი. 2004 წლიდან უკრაინიდან იმპორტმა 140 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა და უმსხვილეს საიმპორტო პარტნიორთა ათეულში მესამე ადგილი დაიკავა. აღნიშნული ქვეყნიდანაც საკმაოდ ფართო ასორტიმენტის საქონელი შემოდის (დანართი №29): სიგარეტები, ზეთი, ხორბალი და სხვა საკვები თუ სამშენებლო პროდუქტები.

მესამე ადგილს, სამეულის უცვლელი წევრი, აზერბაიჯანი იკავებს 610.8 მლნ. აშშ დოლარით. წინა წელთან შედარებით, ამ ქვეყნიდან იმპორტი 26.0

პროცენტით გაიზარდა და მთლიანი იმპორტის 8.7 პროცენტი შეადგინა. აზერბაიჯანიდან იმპორტის 84.1 პროცენტს ნავთობი და ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი აირი შეადგენს (დანართი №24).

რაც შეეხება რუსეთს, ამჟამად მეექვსე ადგილზე იმყოფება საქართველოს უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნების ათეულში 289.7 მლნ. აშშ დოლარით. 2011 წელს მისი წილი მთლიან იმპორტში 5.5 პროცენტს შეადგენს, როცა 2000-2007 წლების პერიოდში საშუალო წლიური მაჩვენებელი 13.7 პროცენტს აღწევდა. განსაკუთრებული უარყოფითი გავლენა ამ მხრივ პოლიტიკურმა უთანხმოებამ მოახდინა და 2008 წლიდან იმპორტის აბსოლუტური მაჩვენებლის ზრდის მიუხედავად, საქართველოს მთლიან იმპორტში რუსეთის წილი განუხრელად მცირდება. 2011 წელს ძირითად საიმპორტო საქონელში შედის: ხორბალი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ნავთობის აირები და ელექტროენერგია (დანართი №27), რაც ჯამში რუსეთიდან მთლიანი იმპორტის 53 პროცენტს შეადგენს.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, საქართველოს უმსხვილესი საგაჭრო პარტნიორები მისი უახლოესი მეზობელი ქვეყნები არიან, რაც უფრო მეტად მისაღებია ჩვენს ქვეყანაში არსებული დაბალი შემოსავლების პირობებში. ტერიტორიული სიახლოვის გამო ტრანსპორტირებისა და შესაბამისად დაზღვევის დაბალი დანახარჯები უზრუნველყოფს პროდუქციის ნაკლები ფასნამატით მოძრაობას პარტნიორ ქვეყნებს შორის და რეალიზაციის პროცესის მეტად სტიმულირებას.

#### **4.3 საქართველოს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურა**


საგარეო ვაჭრობაში არსებული ტენდენციების სტატისტიკური ანალიზისას ვაჭრობის ხარისხობრივი შეფასებისათვის ქვეყნების პარალელურად უნდა განვიხილოთ სასაქონლო სტრუქტურა.

ათი უმსხვილესი საექსპორტო პროდუქცია მთლიანი ექსპორტის 71.7 პროცენტს იკავებს. როგორც ჩანს საექსპორტო საქონლის სტრუქტურა მეტად

მწირი და არასახარბიელოა. მასში სჭარბობს ნედლეული და ბუნებრივი რესურსები. ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში წარმოდგენილია 3 უმსხვილესი დარგი: სოფლის მეურნეობა, დამამუშავებელი და მოპოვებითი მრეწველობა (დანართი №30). 2011 წელს სასაქონლო პოზიციები რეიტინგის მიხედვით ასე განაწილდა (დიაგრამა №11).

დიაგრამა №11

საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები  
2011\* წელს



\*წინასწარი მონაცემები.

ბოლო წლის განმავლობაში საქართველოს საექსპორტო ათეულში ლიდერობს მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი, რომელიც 100 პროცენტით რეექსპორტს წარმოადგენს. მათი ექსპორტი საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით 98.1 პროცენტით არის გაზრდილი და მთლიანი ექსპორტის 20.6 პროცენტს შეადგენს. შედარებისათვის მოვიყვანოთ რამოდენიმე წლის მონაცემი. 2000 წელს ექსპორტირებული იყო 0.3 მლნ. აშშ დოლარის, 2005 წელს 17.5, 2009 წელს 78.5 და 2011 წელს 450.3 მლნ. აშშ დოლარის მსუბუქი ავტომობილები. როგორც ჩანს, საანალიზო პერიოდში აღნიშნული პროდუქციის ექსპორტი საკმაოდ სწრაფი ტემპებით იზრდებოდა და ჯერჯერობით თავის


მაქსიმუმს 2011 წელს მიაღწია. 2011 წელს ექსპორტირებული მსუბუქი ავტომობილების 74.9 პროცენტი ექსპლუატაციაში ნამყოფი იყო. 2010 წელს ეს მაჩვენებელი 61.0 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2009 წელს ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებული იყო, რადგან ექსპორტირებული მსუბუქი ავტომობილების 93.4 პროცენტი ახალი იყო.

საინტერესოა ძირითადად რა მარკის ავტომობილების ექსპორტი ხორციელდება საქართველოდან და რომელ ქვეყნებში.

უმსხვილეს საექსპორტო საავტომობილო მარკას 2011 წელს წარმოადგენს „მერსედეს-ბენცი“, რომლის ექსპორტიც 2010 წელთან შედარებით 96.6 პროცენტით გაიზარდა და მსუბუქი ავტომობილების მთლიანი ექსპორტის 29.8 პროცენტი შეადგინა. მეორე პოზიციას იკავებს „ტოიოტა“ 25.2 პროცენტით და მისი ექსპორტი 33.8 პროცენტით არის გაზრდილი. 2009-2010 წლებში „ტოიოტა“ პირველ ადგილზე იმყოფებოდა და 2009 წელს საქართველოდან ექსპორტირებული ავტომობილების 92.7 პროცენტს შეადგენდა, 2010 წელს ეს მაჩვენებელი 37.4 პროცენტამდე შემცირდა. მესამე ადგილზე ვოლკსვაგენია, რომლის წილი 10.5 პროცენტს შეადგენს, ხოლო მეოთხე პოზიციასზე „დექსუსი“ 6.4 პროცენტით (დიაგრამა №12).

დიაგრამა №12

მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი მარკების მიხედვით 2011\* წელს



\*წინასწარი მონაცემები.

მსუბუქი ავტომობილებისათვის ძირითადი საექსპორტო ქვეყნები 2010-2011 წლების მიხედვით აზერბაიჯანი, ყაზახეთი და სომხეთია. 2011 წელს აზერბაიჯანში ექსპორტირებული მანქანების 48.4 პროცენტს წარმოადგენს „მერსედეს-ბენცი“, 19.4 პროცენტს - „ტოიოტა“, 7.6 პროცენტს - „ოპელი“. ყაზახეთში: 19.3 პროცენტი - „ვოლკსვაგენი“, 17.1 პროცენტი - „მერსედეს-ბენცი“, 15.5 პროცენტი - „ტოიოტა“, 10.8 პროცენტი - „ლექსუსი“ და 6.8 პროცენტი - „BMW“. სომხეთში: 25.4 პროცენტი - „მერსედეს-ბენცი“, 14.0 პროცენტი - „ტოიოტა“.

მეორე პოზიციას იკავებს ფეროშენადნობები 254.9 მლნ. აშშ დოლარით და მთლიან ექსპორტში 11.6 პროცენტია წილით. 2006-2010 წლებში ეს პროდუქცია პირველ ადგილზე იმყოფებოდა, თუმცა საანგარიშო პერიოდში 2010 წელთან შედარებით ფეროშენადნობების ექსპორტი 3.4 პროცენტით არის შემცირებული, ხოლო 2008 წელთან შედარებით - 4.6 პროცენტით. დანარჩენ წლებთან შედარებით აღნიშნული საქონლის ექსპორტის სოლიდური ზრდა ფიქსირდება.

მესამე ადგილზეა აზოტოვანი სასუქები 144.1 მლნ. აშშ დოლარით. წინა წელთან შედარებით მისი ექსპორტი 71.2 პროცენტით არის გაზრდილი და მთლიანი ექსპორტის 6.6 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ შავი ლითონების ჯართის ექსპორტი, საანგარიშო პერიოდში, მეხუთე ადგილზე იმყოფება, თუმცა 2000-2005 წლებში ის თავისი მოცულობით უმსხვილესი ათეულის სათავეში იდგა. ასეთი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი იყო ჯართის ექსპორტზე სალიცენზიო გადასახადის (1 ტ. – 28 ლარი) გაუქმება. არსებული ტენდენციების გაგრძელების პირობებში, შავი ლითონების ჯართის სასაქონლო ჯგუფი მალე დატოვებს საექსპორტო ათეულს.

საექსპორტო ათეულში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართული წარმოების პროდუქტები: თხილი, ყურძნის ნატურალური ღვინო და მინერალური წყლები, რომლებიც რუსეთის მიერ, 2006 წელს, გამოცხადებული ემბარგოს მიუხედავად მაინც ინარჩუნებენ წამყვან პოზიციებს საქართველოს ექსპორტში. თუმცა რუსეთის ემბარგომ განაპირობა საქართველოს საექსპორტო ვექტორის შეცვლა. მაგრამ ქართული პროდუქცია, მაღალი ხარისხის წყალობით ნელ-ნელა იმკვიდრებს ადგილს ახალი ქვეყნების ბაზრებზე.


საქართველოს საწარმოთა ორიენტაცია რუსეთის და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნების ბაზრებზე გამოწვეული იყო არა იმდენად ტრადიციული სამეურნეო და სატრანსპორტო კავშირურობების აღდგენით, ან შემორჩენილი მენტალიტეტით, არამედ იმით, რომ წარმოების ჯერ კიდევ მოძველებული

ტექნიკური აღჭურვილობა და არსებული ტექნოლოგიები, რომლებიც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა ევროპული და ამერიკული სტანდარტის მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას, არ იძლეოდა ისეთ ბაზრებზე შეღწევის საშუალებას, სადაც ძლიერი კონკურენციის გამო, მხოლოდ მაღალი ხარისხის და შედარებით იაფი პროდუქცია იყიდება. ამიტომ ადგილობრივი ნაწარმისათვის დსთ-ს სახელმწიფოების ბაზრები უფრო მისაწვდომი იყო, ვიდრე სხვა ქვეყნების. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით დიდი ცვლილებები არ მომხდარა და ტრადიციული ქართული საექსპორტო საქონლისთვის გასაღების აქტიურ ბაზრებად ისევ ყოფილი კავშირის ქვეყნები რჩება.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში უმსხვილეს ათეულს მთლიანი იმპორტის 35.9 პროცენტი უჭირავს (დიაგრამა №13). ეს მოწმობს იმპორტის ასორტიმენტის მრავალფეროვნებას და ჩვენი ქვეყნის დამოკიდებულების მაღალ ხარისხს შემოტანილ პროდუქციაზე.

დიაგრამა №13

საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები 2011\* წელს



\*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილეს საიმპორტო ათეულში პირველ ადგილს მთელი საანალიზო პერიოდის მანძილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტები სასაქონლო ჯგუფი იკავებს

(დანართი №31). მისმა ღირებულებამ 2011 წელს 911.0 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 12.9 პროცენტი შეადგინა. 2000-2011 წლებში მოცემული სასაქონლო ჯგუფის საშუალო წლიური წილი მთლიან იმპორტში 11.6 პროცენტია.


მეორე უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფია მსუბუქი ავტომობილები. ეს საქონელი მეორე ადგილს 2004 წლიდან იკავებს. 2011 წელს მსუბუქი ავტომობილების იმპორტმა 510.5 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 7.2 პროცენტი შეადგინა. 2008 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 27.8 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2010 წლის მაჩვენებელს 27.1 პროცენტით აღემატება.

2009-2011 წლებში იმპორტირებული მსუბუქი ავტომობილების 60 პროცენტზე მეტი ექსპლუატაციაში ნამყოფია.

2011 წელს იმპორტირებული მსუბუქი ავტომობილების 61.8 პროცენტი მოდიოდა შემდეგ საავტომობილო მარკებზე: „ტოიოტა“ - 26.0 პროცენტი, „მერსედეს-ბენცი“ - 21.6 პროცენტი, „BMW“ - 7.2 პროცენტი და „ოპელი“ - 7.1 პროცენტი (დიაგრამა №14).

დიაგრამა №14

მსუბუქი ავტომობილების იმპორტი მარკების მიხედვით  
2011\* წელს



ძირითადი ქვეყნები, საიდანაც ხორციელდებოდა იმპორტი 2011 წელს იყვნენ იაპონია, აშშ და გერმანია. იაპონიიდან იმპორტირებული ავტომობილების 67.9

პროცენტს, ბუნებრივია, წარმოადგენს „ტოიოტა“, 8.1 პროცენტს - „მიცუბიში“. აშშ-დან: 23.9 პროცენტს - „მერსედეს-ბენცი“, 13.0 პროცენტს - „ვოლკსვაგენი“ და 12.4 პროცენტს - „BMW“. გერმანიიდან: 41.4 პროცენტს - „მერსედეს-ბენცი“, 20.9 პროცენტს - „ოპელი“ და 10.0 პროცენტს - „BMW“.

2006 წლიდან მესამე ადგილს ნავთობის აირები იკავებს, გამონაკლისი იყო 2010 წელი, როცა ამ პოზიციაზე სამკურნალო საშუალებების იმპორტი დაფიქსირდა. 2011 წელს ნავთობის აირების იმპორტმა, რომელშიც ძალიან დიდი წილი ბუნებრივ აირს უკავია, 236.6 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 3.4 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ამ საქონლის იმპორტი 47.4 პროცენტით არის გაზრდილი. შემცირება ფიქსირდება მხოლოდ 2007 წელთან შედარებით 19.5 პროცენტით.


იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში განსაკუთრებით გაზრდილია შავი ლითონების მეტალოკონსტრუქციების სასაქონლო ჯგუფის იმპორტი და 2011 წელს 102.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ამ საქონლის იმპორტი გაორმაგებულია, რაც დაკავშირებულია სამშენებლო პროცესების გააქტიურებასთან.

საქონლის შემდეგ საინტერესო იქნება საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციის გაანალიზება სატრანსპორტო ჭრილში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2011 წლიდან ექსპორტ-იმპორტის მონაცემების დამუშავება ტრანსპორტის სახეობების მიხედვით აღარ წარმოებს საბაჟო დეკლარირების პროცედურების გამარტივების გამო. ამიტომ, საანალიზო პერიოდი მოიცავს 2000-2010 წლებს (დანართი №32).

როგორც განსახილველ პერიოდში ჩამოყალიბებული ტენდენცია გვიჩვენებს, ექსპორტის უდიდესი ნაწილი გადაადგილდება საზღვაო ტრანსპორტით და 2010 წელს მისმა წილმა მთლიან ექსპორტში 47.8 პროცენტი შეადგინა (დიაგრამა №15).

დიაგრამა №15

საქართველოს ექსპორტი ტრანსპორტის სახეობების მიხედვით 2010 წელს (%)



ზოგადად საზღვაო ტრანსპორტი საყოველთაოდ არის აღიარებული ყველაზე იაფ სატრანსპორტო საშუალებად. 2006 წლიდან მეორე პოზიციას იკავებს სააერო ტრანსპორტი და 2010 წლის ჩათვლით მისი საშუალო წლიური წილი მთლიან ექსპორტში შეადგენს 23.5 პროცენტს. უნდა აღინიშნოს, რომ 2001-2005 წლებში მეორე ადგილზე, ექსპორტირებული ტვირთების მიხედვით, სარკინიგზო ტრანსპორტი იყო. მისი წილი 2006 წლიდან შემცირდა და 2010 წელს მხოლოდ 8.6 პროცენტი შეადგინა. მონაცემების უფრო დეტალური გაანალიზება გვიჩვენებს, რომ რკინიგზის საშუალებით ტვირთების მესამეზე მეტის ექსპორტი რუსეთში ხორციელდებოდა და 2005 წელს აღნიშნული საქონლის 65.5 პროცენტს ღვინო და მინერალური წყლები შეადგენდა. ანალოგიური მდგომარეობა ფიქსირდება წინა წლებშიც. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც რუსეთის ემბარგო გადამწყვეტი როლი შეასრულა ტრანსპორტის რეიტინგის განსაზღვრაში.


რაც შეეხება იმპორტს, 2008-2010 წლებში პირველ ადგილზე სააერო ტრანსპორტით გადახიდვები იმყოფებოდა (დანართი №33).

2010 წელს სააერო ტრანსპორტის წილი მთლიან იმპორტში 40.6 პროცენტს შეადგენდა (დიაგრამა №16). მანამდე წამყვანი პოზიცია საზღვაო ტრანსპორტს ეკავა და მისი საშუალო წლიური წილი მთლიან იმპორტში 36.4

პროცენტი იყო. 2008 წლიდან საზღვაო ტრანსპორტი მეორე პოზიციას იკავებდა. ხოლო მესამე ადგილზე სარკინიგზო ტრანსპორტი იმყოფება 11.5 პროცენტით.

დიაგრამა №16

საქართველოს იმპორტი ტრანსპორტის სახეობების მიხედვით 2010 წელს (%)



ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში თვისებრივი გაუმჯობესების მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეინიშნება. იმის გამო, რომ ჯერ კიდევ განუვითარებელია საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი დარგები და საწარმოო ინფრასტრუქტურა, სუსტია შესაბამისი საბაზრო ინსტიტუტები და შედარებით მწირია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გამოცდილება, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის რეალიზებაში სერიოზული პრობლემები წარმოიშობა. ადგილობრივ წარმოებას უჭირს ახალ ეკონომიკურ სიტუაციასთან შეგუება, იგი ვერ აკმაყოფილებს შიდა ბაზრის მოთხოვნას, ამიტომ იმპორტზე მოსახლეობის დამოკიდებულება მაღალია. ექსპორტის ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ ეროვნული ნაწარმი, განსაკუთრებით შრომატევადი პროდუქცია, დაბალკონკურენტუნარიანია საგარეო ბაზარზე. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა დადებითი ტენდენციები, რაც იმაში გამოიხატება, რომ საქართველოს საექსპორტო პოტენციალში გამოიკვეთა პრიორიტეტული პროდუქცია, რომელიც ხელშემწყობი

ეკონომიკური და სავაჭრო პოლიტიკის პირობებში მნიშვნელოვნად გაზრდის ექსპორტის მოცულობას და შესაბამისად სახელმწიფო შემოსავლებსაც.

#### 4.4 საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და მისი განვითარების შესაძლებლობები

საქართველო, როგორც შავი ზღვის რეგიონისა და „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი ცენტრალური ქვეყანა, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში, მისი სახელმწიფოებრივი დანაწილების მიუხედავად, აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და როგორც დამოუკიდებელ და ცივილიზებულ ქვეყანას, თავისი წვლილი შეჰქონდა ტერიტორიულად განცალკევებულ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება-განვითარების საქმეში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თავისი ერთიანი სახალხომეურნეობრივი სისტემით, საქართველომ, ისევე, როგორც პრაქტიკულად ყოფილი კავშირის ყველა სუბიექტმა, მემკვიდრეობით მიიღო ეკონომიკური სისტემა სპეციფიკური დარგობრივი სტრუქტურით, დარღვეული სამეურნეო კავშირებით, დანგრეული ფინანსური სისტემით, საბაზრო ურთიერთობების სრული გამოუცდელობით და ასეთივე საკანონმდებლო ბაზით ახალი ეკონომიკური საფუძვლების ფორმირებისათვის. ეკონომიკური სირთულეები გაღრმავდა პოლიტიკური პროცესებით და სეპარატისტული ხასიათის ეთნოკონფლიქტებით.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებში დღის წესრიგში აქტიურად დადგა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ინტეგრირებაზე ორიენტირებული ეფექტური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების საკითხი. 1990-იან წლებში საქართველო დიდი ეკონომიკური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. თუმცა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით ქვეყანამ შეძლო მოეხდინა საგარეო ვაჭრობის ღრმა ლიბერალიზაცია: გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კვოტირება, მხოლოდ ძალიან

შეზღუდული ნომენკლატურის სპეციფიკურ საქონელზე შენარჩუნდა ექსპორტის და იმპორტის აკრძალვა და ლიცენზირება, გაუქმდა საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა, შემცირდა აქციზური საქონლის ნუსხა და სააქციზო განაკვეთები, იმპორტზე 12 ან 5 პროცენტის განაკვეთები დაწესდა, ასევე ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით გაუქმდა საბაჟო გადასახადი ექსპორტზე, ხოლო საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე დაწესდა მთელი რიგი შეღავათები.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის პროცესი აქტიურად ვითარდება. ამ პროცესში საქართველოს, როგორც სოციალისტური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნის, ჩართვის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ერთი მხრივ, ამ მიმართულებით არ არსებობს ისტორიული ანალოგი და, მეორე მხრივ, მსოფლიო სტანდარტების დონეზე პროდუქციის წარმოება მრავალმხრივ ეკონომიკურ პრობლემებს უკავშირდება.

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი სიმდიდრე, სოფლის მეურნეობის ტრადიციები, ღვინისა და მინერალური წყლების წარმოებისა და ექსპორტირების შესაძლებლობები შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მისი რაციონალური მონაწილეობის კარგი წინაპირობაა. მაგრამ ერთიან სახელმწიფო-სამეურნეო კომპლექსში მისმა იძულებითმა სპეციალიზაციამ და საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების უუფლებობამ ქვეყნის განვითარებაში სერიოზული დეფორმაცია გამოიწვია.

დღეს საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი ისტორიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, კვლავ ეძლევა ეფექტური შანსი აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში და მიაღწიოს ეკონომიკურ წინსვლას.

ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის სწორად განსაზღვრასა და მისი ეფექტურად გამოყენების ღონისძიებების შემუშავებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ეკონომიკის ზრდისა და განვითარებისათვის, მყარი და სტაბილური ექსპორტი თავისთავად, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკის გაძლიერებით მიიღწევა.

საქართველო მდიდარი საექსპორტო პოტენციალის მქონე ქვეყანაა. ერთ-ერთი სტრატეგიული დარგია მეღვინეობა. განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნებს შორის საქართველო გამოირჩევა კონკურენციული უპირატესობით. ამას განაპირობებს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება.

საქართველოს მეღვინეობის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი თავისებურება და განუყოფელი ნიშან-თვისებაა ხარისხი.

მსოფლიოში საექსპორტო ღვინოებიდან, პრიორიტეტი ფრანგულ ღვინოებს ენიჭება. ამ წარმატების მიზეზი კი ღვინის დაყენების ტექნოლოგიაა. კერძოდ, ღვინო-მასალის დიატომიტისაგან დამზადებულ ფილტრში გატარება. მსოფლიოში კი დიატომიტის მხოლოდ ორი საბადოა ცნობილი: კალიფორნიის შტატსა (აშშ) და საქართველოში, ახალციხის რაიონში სოფელ ქისათიბში. ამდენად, საქართველოს საუკეთესო შესაძლებლობა აქვს, კიდევ უფრო აამაღლოს თავისი პროდუქციის ხარისხი და უფრო მეტად კონკურენტუნარიანი გახადოს იგი.

ქართველი ექსპორტიორების ინიციატივით, 90-იანი წლების ბოლოს, „ტასისის“ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო (GEPA), რომელმაც დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის ღვინის ბაზრები გამოიკვლია. შედეგებმა ცხადყო, რომ ევროპის ამ ორ ბაზარზე ქართულ ფირმებს დამკვიდრების არც თუ ურიგო შანსი აქვთ.

იმ პერიოდში საუკეთესო გერმანელმა ექსპერტებმა ქართული სასმელების დეგუსტაციის შემდეგ დაადგინეს, რომ „გერმანულ ბაზარზე მათი ადგილი მაღალი და უმაღლესი ხარისხის ღვინოებს შორისაა“<sup>[15]</sup>.

მეორე სახის პროდუქცია, რითაც საქართველოს ევროპის ბაზრის დაინტერესება შეუძლია, თხილია. ჩვენი ქვეყნისათვის ეს პროდუქტი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საექსპორტო საქონლად მიიჩნევა. ამჟამად ქართული თხილი და კაკალი ძირითადად გერმანიაში გადის. დიდი ბრიტანეთი კი, რომელიც ამ პროდუქციის მსხვილი მომხმარებელია, მას თურქეთიდან, გერმანიიდან, დანიიდან და საფრანგეთიდან იღებს.

მესამე მნიშვნელოვანი ქართული წარმოების პროდუქცია მინერალური წყლებია, რომლის საწარმოებლად საქართველოს ბუნებრივი უპირატესობა გააჩნია. ჩვენი ქვეყანა მდიდარია მიწისქვეშა წყლებით და ეს რესურსები საკმაოდ მაღალი ხარისხისაა. მაღალი მინერალიზაციით ხასიათდება ნაბეღლავის წყაროს წყალი.

კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა ქართული „ბორჯომი“, „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“, რომელთა წარმოების სურვილი ბევრს უჩნდება, რის გამოც ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. „რუსეთის ბაზარზე ქართულ „ხვანჭკარას“ რუმინული, ბულგარული, უნგრული „ხვანჭკარაც“ უმშვენებს გვერდს.

<sup>[15]</sup> კვინიკაძე გ., გერმანია - ქართული ღვინის პერსპექტიული ბაზარი, გაზ. ეკო-დაიჯესტი, 2000წ. №90.

გარდა ამისა, აქ ყაზახეთში, უზბეკეთსა და აზერბაიჯანში დამზადებული „ქინძმარაული“ და „ხვანჭკარაულიც“ იყიდება“.<sup>[16]</sup>


აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია მთავრობის ძალისხმევა მიმართული იყოს ქართული წარმოების საქონლის რეგისტრაციისაკენ სხვა ქვეყნების ბაზრებზე. სამთავრობო დონეზე გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებები პატენტებისა და ლიცენზიების საკითხებსაც მოიცავს, თუმცა პარტნიორი ქვეყნების მხრიდან ხშირად აქვს ადგილი რეგისტრაციის პროცედურების დროში გაწელვას სხვადასხვა სახის ოფიციალური დოკუმენტების მოთხოვნის მიზეზით, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებასთან არის დაკავშირებული.

საინტერესოა დინამიკაში ქართული წარმოების, ზემოთ ჩამოთვლილი, პროდუქციის ექსპორტის გაანალიზება პოტენციური ბაზრების ჭრილში. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი დღესაც უმსხვილეს ათეულში გვხვდებიან და ასე ვთქვათ, საქართველოს სავაჭრო ბარათებს წარმოადგენენ.

დავიწყოთ თხილით, რადგან საანგარიშო პერიოდში ეს სასაქონლო პოზიცია მეოთხე ადგილზე იმყოფება (დიაგრამა №17):

დიაგრამა №17

თხილის ექსპორტი საქართველოდან



\*წინასწარი მონაცემები.


<sup>[16]</sup> ქადაგიშვილი ნ., ქართულ ღვინოს რუსეთის ბაზარზე სახელს „უტეხენ“, გაზ. ეკო-ლაიფესტი, 2000 წ., №68.

2011 წელს თხილის ექსპორტმა 130.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, თითქმის 2-ჯერ მეტი, ვიდრე 2010 წელს. ძირითადი ექსპორტიორები ევროპის ქვეყნები არიან და მათ შორის გერმანია თითქმის ყოველთვის ლიდერობდა. სწორედ ამის გამო, რუსეთთან ომმა ამ პროდუქციის ექსპორტზე გავლენა ვერ მოახდინა და უკვე ათვისებულ ბაზრებზე თხილის ექსპორტის მოცულობა და ზოგადად მისი წილი მთლიან ექსპორტში კიდევ უფრო გაიზარდა. 2000-2005 წლებში რუსეთი თხილის ექსპორტიორ სამ უმსხვილეს ქვეყანაში შედიოდა, მაგრამ 2007 წლიდან თხილის ექსპორტის მახვენებელი ამ ქვეყანაში მინიმუმამდე დაეცა და 2010 წლიდან საერთოდ განუღდა. აღსანიშნავია, რომ 2 წლიანი პაუზის შემდეგ თხილის ექსპორტი ჩეხეთში კვლავ განახლდა და 2011 წლისთვის ეს ქვეყანა მცირედით ჩამორჩება მეორე პოზიციაზე მყოფ იტალიას.

დიაგრამა №18 გვიჩვენებს ყურძნის ნატურალური ღვინის ექსპორტის დინამიკას 2000-2011 წლებში, საანგარიშო პერიოდის სამი უმსხვილესი ქვეყნისა და რუსეთის მიხედვით.

დიაგრამა №18

ყურძნის ნატურალური ღვინის ექსპორტი საქართველოდან



\*წინასწარი მონაცემები.

2011 წლის მიხედვით ღვინის ექსპორტის მხრივ პირველ ადგილზე უკრაინა იმყოფება 22.6 მლნ აშშ დოლარით 41.7 პროცენტით ღვინის მთლიან ექსპორტში.

ყაზახეთს 16.3 პროცენტი და ბელარუსს 10.3 პროცენტი უჭირავს. როგორც ჩანს, ქართული ღვინის ექსპორტის უდიდესი ნაწილი ჯერ ისევ დსთ-ის ბაზარზეა ორიენტირებული. რუსეთის ემბარგო ყველაზე მეტად ღვინის ექსპორტზე აისახა. მიუხედავად იმისა, რომ ღვინის ექსპორტი ღირებულებით მაჩვენებლებში მაინც მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს (გამონაკლისია 2005 წელი, როცა ღვინის ექსპორტმა თავის მაქსიმუმს მიაღწია და 81.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა), მთლიან ექსპორტში მისი წილი 2007 წლიდან სტაბილურია და საშუალოდ 2.5 პროცენტს შეადგენს, თუმცა ასეთი სტაბილურობა აბსოლუტური მაჩვენებლის ზრდის პირობებში უარყოფით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.

2011 წელს ღვინის მთლიანი ექსპორტი 2005 წლის მაჩვენებელზე 33.5 პროცენტით ნაკლებია და მხოლოდ რუსეთში ღვინის ექსპორტის მაჩვენებელს 14.1 პროცენტით ჩამოუვარდება. დიაგრამიდან კარგად ჩანს თუ რა დიდი მნიშვნელობის იყო ქართული ღვინის ექსპორტისთვის რუსეთის ბაზარი. 2002-2005 წლის დონისთვის დღევანდელ პირველ სამეულს არ მიუღწევია ჯამში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ემბარგოს შემდეგ 2007 წელს ღვინო საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ათეულიდან საერთოდ გაქრა და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეძლო ათეულში ადგილის კვლავ დამკვიდრება.


ქართული ღვინის სახეობებიდან ყველაზე მეტი პოპულარობით ქინძმარაული სარგებლობს (დანართი №34), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახეობის ექსპორტი ღირებულებით აჭარბებს საფერავს. მაგრამ თუ გავაანალიზებთ ქართული ღვინის ექსპორტს მოცულობის და არა ღირებულების მიხედვით, ყველაზე მეტი ოდენობით საქართველოდან საფერავის ექსპორტი ხორციელდება. ხვანჭკარა მესამე პოზიციას იკავებს და ყველაზე ძვირადღირებულ ქართულ ბრენდს წარმოადგენს, რომლის ერთი ლიტრის საექსპორტო ფასი საშუალოდ 6.3 აშშ დოლარის ფარგლებში ვარირებს.

და ბოლოს განვიხილოთ მინერალური წყლების ექსპორტში არსებული ტენდენცია (დიაგრამა №19).

განსახილველ პერიოდში მინერალური წყლების ექსპორტმა მაქსიმალურ მაჩვენებელს მიაღწია და 47.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 2.2 პროცენტია, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ საქონელს ათეულში მოეპოვებინა ადგილი. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების პირველ სამეულს ყოფილის საბჭოთა კავშირის ქვეყნები წარმოადგენენ. რუსეთის ემბარგოს შემდეგ, 2006 წელთან შედარებით მინერალური წყლების

ექსპორტი საქართველოდან 98.0 პროცენტით გაიზარდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ღვინის შემთხვევაში იყო, უკრაინა, რომელიც ამ საქონლის პირველი საექსპორტო ქვეყანაა რეიტინგის მიხედვით, თავისი მაქსიმალური მაჩვენებლით 5.1 პროცენტით ჩამორჩება რუსეთში მინერალური წყლების ექსპორტის 2005 წლის მაჩვენებელს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის ბაზარი ამ დარგისთვისაც საკმაოდ მიმზიდველი და შეიძლება ითქვას, შეუცვლელი იყო.

დიაგრამა №19



\*წინასწარი მონაცემები.

2011 წელს ექსპორტირებული მინერალური წყლების 95.2 პროცენტს წარმოადგენს მინერალური წყალი „ბორჯომი“, ხოლო „ნაბეღლავი“ მხოლოდ 4.3 პროცენტს იკავებს. 2010 წელს ეს მაჩვენებლები შესაბამისად იყო 92.9 და 6.2 პროცენტი (დანართი №35).

საქართველოს, როგორც ჩაის მწარმოებელ ქვეყანას ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია. დღეს ამ მწვანე ოქროს მსოფლიოს 30-მდე ქვეყანა აწარმოებს და ამის მიუხედავად, მასზე მოთხოვნა არ კლებულობს. დარგს

ნამდვილად გააჩნია არსებითი ეკონომიკური ზრდის რეალური რეზერვები, მაგრამ მათი ამოქმედება დაკავშირებულია ქმედით სახელმწიფო მხარდაჭერასთან. 2011 წლის მონაცემებით ჩაი მხოლოდ 63-ე პოზიციას იკავებს ექსპორტში.

საქართველოში ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებია ეთერზეთოვანი კულტურების საწარმოებლად, რომლებიც ძვირფასი ნედლეულია ნატურალური ეთერზეთების წარმოებისათვის.

საქართველო ძირითადად ნედლეულის ექსპორტიორი ქვეყანაა. მსოფლიო პრაქტიკა კი მოწმობს, რომ განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის სანედლეულო ტენდენციით განვითარებამ ქვეყანათა უმრავლესობა განვითარებული ქვეყნების სანედლეულო დანამატად აქცია და მეტად მწვავე პრობლემის წინაშე დააყენა.

სანედლეულო ექსპორტის ტენდენციური განვითარება, მასზე დაბალი მსოფლიო მოთხოვნის გამო, საერთო ჯამში, გამოიწვევს საქართველოს საგარეო სავაჭრო პოზიციის გაუარესებას.

როგორ მიაღწიეს წინათ ჩამორჩენილმა ქვეყნებმა მნიშვნელოვან ეკონომიკურ პროგრესს?

საყოველთაოდ ცნობილია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ორი ძირითადი სტრატეგიული მოდელი:

- ექსპორტზე ორიენტირებული ეროვნული ეკონომიკა;
- იმპორტშემცველი ეროვნული ეკონომიკა.

იმპორტშემცველის სტრატეგია გულისხმობს იმპორტული საქონლის ასორტიმენტიდან ისეთების შეცვლას (გამოდევნას), რომელთა წარმოება შესაძლებელია აითვისონ და თანდათანობით გაფარდოდეს ეროვნული ეკონომიკის შესაბამის დარგებში. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, იმპორტშემცველი წარმოების განვითარების ეკონომიკური მეთოდი ნაკლებეფექტურია და ჩამორჩენილობის კონსერვაციას იწვევს. თუმცა, მისი მთლიანად უგულბეზყოფაც არ შეიძლება, რადგან უცხოური მოწინავე ტექნოლოგიების გარეშე ეროვნული ეკონომიკის განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია.

აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობის პირობებში ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური მოდელით ფუნქციონირებადი ქვეყანა ცდილობს ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურის ისეთ სპეციალიზაციას, რომ თუ თავდაპირველად მის მოცულობაში ჭარბობს მასალებისა და ნედლეულის ხვედრითი წილი, თანდათანობით იგი შეიცვალოს შრომატევადი პროდუქციით,

შემდეგ – კაპიტალტევადით და ბოლოს – ტექნოტევადი პროდუქციით. ე.ი. ფაქტიურად ხდება „დროის ყიდვა“ ანუ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებათა გამოყენებით ეკონომიკური ჩამორჩენილობის მოკლე ვადაში დაძლევა.

ექსპორტზე ორიენტაციის სტრატეგიის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

საგარო ვაჭრობის განხორციელებას შეიძლება ხელი შეუშალოს რამდენიმე ფაქტორმა, რის გამოც მომხმარებლები ზოგჯერ ეროვნულ ნაწარმს ანიჭებენ უპირატესობას. კერძოდ, ნაციონალიზმის გრძნობა, ეროვნული პროდუქციის სიკეთისადმი წრმენა, უცხოურ საქონელზე სათადარიგო ნაწილების მოპოვების სირთულე, ადგილობრივ გემოვნებასთან შეუსაბამობა და სხვა. გარდა ამისა, დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მიერ არჩეული სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკა.

საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის არჩევაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: იდეოლოგიური, ეკონომიკური, ისტორიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური, ღობისტური.

საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა არის სახელმწიფოს მიერ შემუშავებული და გატარებული ღონისძიებების სისტემა, რომელიც არეგულირებს: რა მოცულობით, რომელი საქონლით (მომსახურებით), რომელ ქვეყანასთან და რა ფორმით (რეჟიმით) ივაჭროს. მარეგულირებელი ბერკეტების გამოყენების დონე განსაზღვრავს, ქვეყნის საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა რომელი მიმართულებით იხრება მეტად ლიბერალურია, თუ მეტად პროტექციონისტული, ანუ როგორია სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბები საგარეო ვაჭრობაში.

საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა ორი ტენდენციის პროტექციონიზმისა და ლიბერალიზმის (ფრიტრედერობის) მუდმივი ურთიერთქმედებით ხასიათდება.

რა პოზიცია უნდა დაიკავოს ქვეყანამ ექსპორტისა და იმპორტის მიმართ, როცა საკუთარი ეკონომიკა ჩამოყალიბების სტადიაშია, მსოფლიო ბაზარზე კი უძლიერესი ქვეყნები ბატონობენ? მაშასადამე, ერთი მხრივ, აუცილებელია ეროვნული წარმოების დაცვა უცხოური კონკურენციისაგან, ახალი დარგების დაცვა, სახაზინო შემოსავლების მიღება საბაჟო გადასახადებისაგან, მეორე მხრივ, კი - აუცილებელია ლიბერალური პრინციპების დაცვა, რადგან პროტექციონისტულ ღონისძიებებს აქვს გარკვეული შეზღუდულობა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან შედარებით – ამასთან, ლიბერალიზაციას გვაგაღდეულებს მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირების გარდაუვალი პროცესიც.

ცხადია, ის, რაც მიესადაგება ერთ ქვეყანას, არ გამოადგება სხვებს. გასათვალისწინებელია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის სპეციფიკურობები. ისე კი, საგარეო სავაჭრო პოლიტიკის არჩევისას პროტექციონიზმსა და ლიბერალიზმს შორის აუცილებელია გარკვეული პრაგმატიზმისა და სათანადო წონასწორობის დაცვა. ეს წონასწორობა ისეთი სახის უნდა იყოს, რომ მან არ ავნოს სუსტ სახელმწიფოებს და კიდევ უფრო არ გააძლიეროს ქვეყანათა უთანასწორობა.

სახელმწიფო კანონებმა ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ბაზა უნდა შექმნას. საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში პროტექციონისტული და ლიბერალური მიმართულებების შეჯერებით შეიძლება მოიძებნოს ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც საბოლოო ჯამში ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი გარანტი იქნება. მართალია, არ არსებობს მზა რეცეპტი გარდამავალი ეკონომიკური პროცესების მრავალმხრივი სირთულეების დასაძლევად, მაგრამ მხედველობაშია მისაღები მსოფლიო გამოცდილება. საერთო ჯამში სწორად განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკა საშუალებას მოგვცემს განხორციელდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აქსელერაცია. განვითარებული ეკონომიკა მოამწიფებს და კანონზომიერ საფუძველს შექმნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციისათვის.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკას ახორციელებს სახელმწიფო და, აქედან გამომდინარე, საჭიროა მისი როლის განსაზღვრა ექსპორტ-იმპორტის რეგულირების სისტემაში. რამდენადაც, საგარეო ვაჭრობას ეწევიან ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირები (თანამედროვე პირობებში) სახელმწიფოს ამოცანაა მოვაჭრე პარტნიორების კომერციული საქმიანობის მაქსიმალური ხელშეწყობა. მაშასადამე, ერთ-ერთი კონცეპტუალური პრინციპი საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებაში, არის სახელმწიფო მონოპოლიის უარყოფა.

სახელმწიფოს როლი საგარეო სავაჭრო პროცესების რეგულირებისას შეიძლება იყოს ორგვარი – ხელშემშლელი და ხელშემწყობი. ქვეყნის მიერ ამ მიმართულებებით გატარებულ ღონისძიებათა მიზანია ისეთი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უმთავრესად მოცემული სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებს შეესაბამება. მსოფლიოს არცერთი ქვეყანა არ იძლევა თავის საზღვრებზე საქონლის არარეგულირებადი ნაკადების მოძრაობის უფლებას. შეზღუდვები დამახასიათებელია როგორც ექსპორტისათვის, ასევე იმპორტისათვის.

სახელმწიფო თავის საგარეო სავაჭრო პოლიტიკას ისეთი ინსტრუმენტების მეშვეობით ახორციელებს, როგორცაა ტარიფი, სუბსიდია, ქვოტა, ემბარგო, ლიცენზია, სავალუტო კონტროლი, ადმინისტრაციული ბარიერები და სხვა.

საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ყველაზე გავრცელებული და კლასიკური ინსტრუმენტია საბაჟო ტარიფები.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეგულირებაში პრიორიტეტი სწორედ მას ეძლევა. არსებობს კანონი „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ“. ამ კანონის მიხედვით საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მიზანს შეადგენს: ხელსაყრელი პირობები შეუქმნას მოვაჭრე სუბიექტებს და განახორციელოს საქონლის შემოტანა-გატანის რაციონალიზაცია, დაიცვას საქართველოს ეკონომიკა უცხოური კონკურენციის არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან და უზრუნველყოს მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ეფექტიანი ინტეგრაცია.

საბაჟო ბარიერების დემონტაჟის პირობებში სახელმწიფოები შიდა ბაზრის დასაცავად სულ უფრო მეტად მიმართავენ ე.წ. არასატარიფო ზომებს, რომლებიც მოიცავენ თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობისა და სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების ფართო წრეს. ზოგიერთი მათგანი უშუალოდ არ არის დაკავშირებული საგარეო ვაჭრობის რეგულირებასთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს.

ექსპორტის დროებითი შეზღუდვა განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიყენება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქონლის ცალკეული სახეობების ექსპორტის დროს.

სალიცენზიო სისტემა გულისხმობს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანიზაციების მიერ იმ საქონლის საგარეო სავაჭრო ოპერაციების წარმოებაზე ნებართვის (ლიცენზიის) გაცემას, რომელიც ჩართულია ექსპორტის სალიცენზიო სიაში.

ქვოტა ზღუდავს საქონლის ექსპორტს ღირებულებით ან ფიზიკურ გამოსახულებაში და მოქმედებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. საექსპორტო ქვოტები შეიძლება ადგილობრივი მომხმარებლებისთვის დაბალ ფასებში სასაქონლო მარაგების უზრუნველსაყოფად დადგინდეს, ეროვნული ბუნებრივი რესურსების გამოლევის საშიშროების გამო, აგრეთვე საზღვარგარეთის ბაზარზე მიწოდების შეზღუდვის გზით ექსპორტზე ფასების ასამაღლებლად განისაზღვროს.

ქვოტების სპეციფიკური სახეა ემბარგო, რომელიც გულისხმობს ვაჭრობის სრულ შეწყვეტას.

ექსპორტზე სერიოზული ზემოქმედების მოხდენა შესაძლებელია სავალუტო რეგულირების მეთოდებით: სავალუტო შეზღუდვა, ვალუტის კურსის ცვლილება და ე.წ. მრავალფეროვანი სავალუტო კურსების სისტემის გამოყენება.

ექსპორტი ქვეყანაში წარმოების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია, ამიტომ სახელმწიფო დაინტერესებულია მის ზრდაში და ხელს უწყობს მას. მართალია, სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს ექსპორტის განვითარებაზე, მაგრამ მას სასურველი შედეგი მოაქვს: წარმოებისა და დასაქმების ზრდასთან ერთად, ვითარდება ეკონომიკა, იზრდება საგარეო ვაჭრობისაგან მიღებული შემოსავლები, აგრეთვე საგადასახადო შენატანები.

ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირების მექანიზმი მრავალფეროვანია და სხვადასხვა ფორმებით ხორციელდება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ექსპორტი ან რექსპორტი განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. გარდა ამისა, 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან დღგ-თი არ იბეგრება.

თანამედროვე ეტაპზე ექსპორტის სტიმულირების საკმაოდ გავრცელებული და, ამასთან, აგრესიული ფორმაა პირდაპირი სუბსიდირება. სუბსიდირების მთავარი მიზანია საქონელმწარმოებელთა ხელშეწყობა მათი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ამ დროს ექსპორტიორს ეძლევა საქონლის დაბალი, ხშირ შემთხვევაში თვითღირებულებაზე ნაკლები (დემპინგური) ფასით გაყიდვისა და ამით უპირატესობის მიღწევის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში სუბსიდიები განიხილება, როგორც კონკურენტული ბრძოლის „არაკეთილსინდისიერი“ მეთოდი.

ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბანკო სისტემის განვითარებას (კრედიტებისა და სესხების გაცემის გამარტივებული პროცედურები), აგრეთვე უცხოურ დახმარებებს. ფართოდ გამოიყენება ექსპორტის შერეული დაკრედიტებაც.

ექსპორტის დაკრედიტება შეიძლება განხორციელდეს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საექსპორტო-საიმპორტო ბანკების (აშშ), ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სპეციალური სამმართველოების (ინგლისი),

საექსპორტო დაკრედიტების სახელმწიფო ქსელის (საფრანგეთი), ფირმა-ექსპორტიორების (გერმანია) მიერ და ა.შ. სახელმწიფო საექსპორტო კრედიტს იძლევა კომერციულ ბანკებთან შედარებით უკეთესი პირობებით: დაბალი პროცენტითა და ხანგრძლივი ვადით. ექსპორტის დაკრედიტების მიზნით შეიძლება შეიქმნას სპეციალური ფონდებიც.

ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირების ერთ-ერთი ინსტრუმენტია დაზღვევა. ექსპორტის სახელმწიფო დაზღვევა ითვალისწინებს კომერციული და პოლიტიკური რისკების დაზღვევას. კომერციული რისკისაგან ექსპორტის დაზღვევის დროს კომერციული ბანკები შედარებით კრედიტებს გასცემენ სამთავრობო გარანტიებით.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ინვესტორების მოზიდვა და საიმედო კაპიტალდაბანდების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული წარმოების ამოქმედებას, ეროვნული პროდუქციის ხარისხისა და შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ, ექსპორტის წახალისებისა და შემდგომი განვითარების გარანტიაა. დღეისათვის კი, საქართველოში, ექსპორტების შეფასებით, ჯერ კიდევ არახელსაყრელი საინვესტიციო კლიმატია.

საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ვითარდება იმ ფონზე, რომელიც შეიქმნა სოციალისტური სისტემის კრახის შემდეგ. მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის ინტეგრირების ობიექტური აუცილებლობა საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციას მოითხოვს, მაგრამ სავაჭრო ბარიერების სისტემა არ უნდა იყოს იმდენად სუსტი, რომ საჭიროების შემთხვევაში ვერ შეძლოს ეროვნული წარმოების დაცვა.

საქართველოს გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას. საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე. საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 90 პროცენტზე. აღარ არსებობს სეზონური ტარიფები.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ცხადია, ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის გააქტიურებას და შეიძლება მოჰყვეს ის დადებითი შედეგები, რასაც ვაჭრობის ლიბერალიზაცია იწვევს. მაგრამ, მეორე მხრივ, როცა გარდამავალი ეკონომიკის

ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ფუნდამენტური ეკონომიკური სექტორები, როცა ჯერ არ არის გამოკვეთილი პრიორიტეტული საექსპორტო საქონელთა ჯგუფი, რომელიც მყარი და სტაბილური უცხოური სავალუტო შემოსავლების მიღების გარანტია იქნება და როცა უკანასკნელი წლების მანძილზე ქრონიკულ მოვლენად იქცა საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ შეიძლება აშკარად დათრგუნოს ადგილობრივი წარმოების განვითარების პერსპექტივა. ამიტომ სახელმწიფო კომპლექსურად უნდა მიუდგეს აღნიშნულ საკითხს და ოპტიმალური გადაწყვეტილებები მიიღოს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარებისა და ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის გატარების მიმართულებით.

## დასკვნა

საქართველო, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში, აქტიურად აწარმოებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ მან მემკვიდრეობით მიიღო დარღვეული ეკონომიკური სისტემა საბაზრო ურთიერთობების სრული გამოუცდელით და ასეთივე საკანონმდებლო ბაზით, რამაც უამრავი პრობლემა შეუქმნა ქვეყანას.

დღეისათვის, როდესაც ასე აქტიურად მიმდინარეობს და უფრო მეტად ღრმავდება მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესი, გლობალიზაცია ყოველდღიური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების მიზანსწრაფვის ობიექტი ხდება. ასეთ დროს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკურ შესწავლას განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება, როგორც საგარეო სავაჭრო მოვლენებისა და პროცესების, უცხოური დაბანდებების დონის, დინამიკისა და განვითარების ტენდენციების დადგენაში, ისე არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საკითხში.

გლობალიზაციის პროცესებში აქტიური ჩართვა ითვალისწინებს ეროვნული სტატისტიკური უწყების შეუქცევად ინტეგრაციას საერთაშორისო სტატისტიკურ სისტემაში და მოითხოვს საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურ ჰარმონიზაციას. ის უზრუნველყოფს მაღალი დონის სტატისტიკის წარმოებას, რაც გლობალური ინტეგრაციული პროცესების რეალურად დახასიათების საშუალებას იძლევა.

თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს განვითარების დაჩქარებული ტემპები მოითხოვს შესაბამისი დონის სამეცნიერო და პრაქტიკულ ინოვაციებს. ამ მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციები პერიოდულად ახორციელებენ ეკონომიკური და სოციალური ინდიკატორების გაანგარიშების მეთოდოლოგიის გადახედვას და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ახალი და განახლებული რეკომენდაციების პრაქტიკაში განხორციელების ძირითად მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ მაღალი ხარისხის და ურთიერთშესადარისი მონაცემების წარმოების უზრუნველყოფა, არამედ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის, როგორც

გლობალიზაციის პროცესების ანალიზის უმნიშვნელოვანესი წყაროს, აქტუალობის ამაღლება.

სადისერტაციო ნაშრომის დასაწყისში დავასაბუთეთ არჩეული თემის აქტუალობა თანამედროვე ეტაპზე. საგარეო ვაჭრობა, როგორც საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძალზედ აქტიური და სწრაფად მზარდი სექტორი ყოველთვის იყო და დღემდე რჩება სახელისუფლო ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული ინტერესის სფეროდ. პრაქტიკული ინტერესი კი თავისთავად იწვევს მოცემული სფეროს მეცნიერული შესწავლის, არსებული ტენდენციების გამოვლენის, უპირატესობებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენის, მათი გაუმჯობესების გზების ძიების, მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გამოტანისა და მდგომარეობის გამაჯანსაღებელი პრაგმატული ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობას.

სადისერტაციო ნაშრომში დასახული მიზნები ფაქტიურად მიღწეულია კვლევის პროცესში დასახული ამოცანების გადაწყვეტის გზით. დეტალურად არის განხილული საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო მეთოდოლოგია, ახალი და განახლებული საერთაშორისო რეკომენდაციები, რომლებიც შემუშავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების მიერ, რათა მაქსიმალურად ყოფილიყო უზრუნველყოფილი ძირითადი დეფინიციებისა და პრინციპების ჰარმონიზაცია ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ანგარიშების, ეროვნული ანგარიშებისა და საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის, ასევე, მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის ზოგად მეთოდოლოგიურ საკითხებთან.

გაანალიზებულია საქართველოს სტატისტიკის პრაქტიკაში, აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად, მეთოდოლოგიური სიახლეების დანერგვის შესაძლებლობები. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი რეკომენდაციის პრაქტიკული რეალიზაცია საკმაოდ რთულია და რიგ შემთხვევებში შეუძლებელიც კი. ეს ძირითადად ეხება ახალ შემოთავაზებებს. ჩამოყალიბებულია მათი განხორციელების შესაძლო რეალური პრობლემები და შემუშავებულია კონკრეტული პრაგმატული წინადადებები რიგი რეკომენდაციების შესაძლო რეალიზაციისათვის.

ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული გარიგების საფუძველზე საზღვარზე გადაადგილებული

საქონლის ღირებულების ასახვა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში და მსგავსი ოპერაციების ცალკე იდენტიფიცირებაც.

ურთიერთდაკავშირებული მხარეების გამოვლენა ძალზედ გართულებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემთა მისაღებად წარმოებულ საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკურ გამოკვლევაშიც, რომელსაც აწარმოებს საქსტატი. ამ რეკომენდაციის რეალიზება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში დაემატება ერთი ველი, სადაც მიეთითება არის თუ არა აღნიშნული საქონელი განკუთვნილი კონტრაგენტისათვის, რომელსაც იურიდიული სახის კავშირი აქვს მოცემულ ექსპორტიორ ან იმპორტიორ სუბიექტთან. თუმცა დეკლარაციაში დამატებითი ველის გათვალისწინებაზე საბაჟო სამსახურები არ თანხმდებიან ექსპორტიორებისა და იმპორტიორების ზედმეტი დატვირთვის თავიდან აცილების მოტივით.

ახალი რეკომენდაციებიდან მნიშვნელოვან საკითხებს შორის გამოვყავით კავშირის დამყარება ბიზნეს რეგისტრსა და საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზებს შორის. ეს საკითხი დადგა დღის წესრიგში მომხმარებელთა მოთხოვნიდან გამომდინარე, რომ საგარეო ვაჭრობის მონაცემების დამუშავება მოხდეს ქვეყნის რეგიონების და დარგობრივ ჭრილში, რაც რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს.

თუმცა, აქ აუცილებლად წავაწყდებით შემდეგი სახის პრობლემას: საწარმოს ადგილმდებარეობის განსაზღვრა შესაძლებელია როგორც იურიდიული, ისე ფაქტიური მისამართის მიხედვით. საწარმოთა რეესტრში ფიქსირდება მხოლოდ იურიდიული მისამართი. რეგიონულ ჭრილში საგარეო ვაჭრობის მონაცემთა დამუშავება, საწარმოთა იურიდიული მისამართის მიხედვით, არასწორ სურათს შექმნის რეგიონის საექსპორტო პოტენციალის შესაფასებლად, რადგან სამეწარმეო სუბიექტების უდიდესი ნაწილი კონცენტრირებული იქნება დედაქალაქში. ფაქტიური მისამართის დასადგენად წარმოებს აქტუალიზაციის გამოკვლევა, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული. რეესტრში მარტივად მოიპოვება ინფორმაცია შესაბამისი იურიდიული პირის ძირითადი საქმიანობის შესახებ. ასეთ პირობებში, მთავარია განხორციელდეს ბიზნეს რეესტრისა და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ბაზების პროგრამული კავშირი და უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის სისტემატიური განახლება.

რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, რომლებიც მრავლად არიან წარმოდგენილი საგარეო სავაჭრო გარიგებებში, რამდენადაც გართულებულია მათი ადგილმდებარეობის დადგენა და არ არსებობს მეთოდოლოგიური განმარტება ან ინსტრუქცია, რომელიც ზუსტ მიმართულებას მისცემს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას.

ნაშრომში სისტემურად არის ჩამოყალიბებული საქართველოში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წამოების მეთოდოლოგიური და ტექნიკური საკითხები. დოკუმენტურად არის წარმოდგენილი მონაცემთა ბაზების დამუშავების სრული პროცესი პირველადი ინფორმაციის მიღებიდან საშედეგო მონაცემების გამოქვეყნებამდე. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის პრაქტიკული წარმოების მთლიანი პროცესის მსგავსი დეტალური აღწერა დღემდე არ ჩამოყალიბებულა დოკუმენტურად. ეს არის პირველი მცდელობა, რაც, პირველ რიგში, მიზნად ისახავს შესაბამისი ინფორმაციის ნებისმიერი კატეგორიის მომხმარებლის უფრო მეტად ინფორმირებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უმაღლეს სასწავლებლებში, საგარეო სექტორის სტატისტიკის დისციპლინის სწავლების პროგრამაში მსგავსი საკითხების ჩართვა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად აამაღლებს პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული მეცნიერული სიახლეების მნიშვნელობას. ეს ხელს შეუწყობს თეორიისა და პრაქტიკის სინთეზს, პრაგმატული მეცნიერული დასკვნების ჩამოყალიბებას და კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაზრდის მეცნიერების როლს თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრებაში.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყენებული დეფინიციებისა და კლასიფიკაციების მთელი სპექტრი და დადგენილია მათი შესაბამისობა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან.

მეთოდოლოგიური პრინციპების მხრივ, არსებითი ხასიათის შეუსაბამობები პრაქტიკაში არ აღინიშნება, მაგრამ გამოვლენილია გარკვეული ნაკლოვანებები საკლასიფიკაციო ცვლილებების ეროვნული სტატისტიკის პრაქტიკაში გაუთვალისწინებლობის გამო. საკითხი ძირითადად ეხება მსოფლიო ქვეყნების კლასიფიკატორში ბოლო პერიოდში, კერძოდ კი 2003 წლიდან, განხორციელებულ ცვლილებებს, რომლებიც განპირობებულია ცალკეული სახელმწიფოების დაშლითა და მათ ადგილზე რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით. ბუნებრივია, ნებისმიერ ახალ ქვეყანას, როდესაც ის უკვე საერთაშორისო დონეზე

აღიარებული იქნება როგორც სუვერენული სახელმწიფო, საერთაშორისო კლასიფიკაციაში უნდა მიენიჭოს ახალი კოდი და ყველა ქვეყანამ უნდა ასახოს შესაბამისი ცვლილება. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საერთაშორისო ურთიერთშესაძარისობა შესაბამის სფეროში.

აღნიშნული მიმართულებით ქართულ რეალობაში ერთ-ერთი პრობლემური ქვეყანაა სერბია და მონტენეგრო, რომელიც მოქმედ კლასიფიკაციაში ერთ ქვეყანადაა წარმოდგენილი რიცხვითი კოდით 891 და სტატისტიკური მონაცემებიც ამ ერთ ქვეყანაზეა მიწერილი. რეალურად უნდა ფიგურირებდეს როგორც ორი დამოუკიდებელი ქვეყანა: სერბია კოდით 688 და მონტენეგრო კოდით 499. ნაშრომში დასაბუთებულია საერთაშორისო კლასიფიკაციების ქვეყნის პრაქტიკაში დანერგვის მნიშვნელობა და დასახულია აღნიშნული პრობლემის მოგვარების კონკრეტული გზები.

დიდი მოცულობის ემპირიული სტატისტიკური მონაცემების გაანალიზების შედეგად გამოვლენილია საქართველოს საგარეო ვაჭრობის უახლესი ტენდენციები გეოგრაფიული მიმართულებისა და სასაქონლო სტრუქტურის ჭრილში.

2000 წლამდე საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო. ამ მიმართულებით ნაკლები იყო პრაქტიკული გამოცდილებაც. უამრავი შეცდომა ფიქსირდებოდა მონაცემთა პირველად წყაროებში (სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებში), დიდი იყო აღურიცხავი სავაჭრო ნაკადების წილი. ამიტომ საანალიზოდ შევარჩიეთ 2000-2011 წლების პერიოდი, რადგან მივიჩნიეთ, რომ ტენდენციის გამოსავლენად და რეალური სურათის ჩამოსაყალიბებლად ეს ყველაზე ღირებული პერიოდია.

როგორც ანალიზმა ცხადყო, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე საგარეო სავაჭრო ნაკადების სიდიდემ მაქსიმალურ მნიშვნელობას 2011 წელს მიაღწია. ექსპორტმა 2.2 მლრდ. აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა 7.1 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. წლების მანძილზე ორივე მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. გამონაკლისი იყო 2009 წელი, როცა მკვეთრი ვარდნა აღინიშნა. ეს გამოწვეული იყო ერთი მხრივ 2008 წლის აგვისტოს რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგებით, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენით.

რაც შეეხება უარყოფით საგარეო სავაჭრო ბალანსს, ის ჩვენი ქვეყნისთვის უკვე კანონზომიერებად იქცა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი, რაც თავისი შინაარსით

დადებით მოვლენას წარმოადგენს, თუმცა ამ მაჩვენებლების ციფრობრივი მონაცემები ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია, 2011 წელს 31 პროცენტით განისაზღვრა.

საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებების გაანალიზებამ გვიჩვენა და მოსალოდნელიც იყო, რომ საქართველოსთვის საგარეო საქონელბრუნვის ორიენტაციას, ჯერ კიდევ ტერიტორიული და მენტალური სიახლოვის მქონე დსთ-ს წევრი ქვეყნები განსაზღვრავენ. განსაკუთრებით მაღალია მათი წილი საქსპორტო ნაკადებში და განსახილველ პერიოდში 36.2 პროცენტიდან - 50.6 პროცენტამდე დიაპაზონში მერყეობს, მაშინ როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების წილი 25.0 პროცენტზე მაღალი ნიშნულით არ დაფიქსირებულა. 2011 წელს ექსპორტმა დსთ-ის ქვეყნებში 1 მლრდ. დოლარს გადააჭარბა, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში მხოლოდ 424.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 12 წლიანი პერიოდის განმავლობაში.

2011 წელს უმსხვილეს საქსპორტო ათეულში აზერბაიჯანი, თურქეთი და სომხეთი ლიდერობენ. 2000 წელს ანალოგიურ სამეულს თურქეთი, რუსეთი და გერმანია წარმოადგენდნენ. აქვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ძალზე მიმზიდველი და ხელსაყრელი რუსეთის უზარმაზარი ბაზარი საქართველოსთვის „ხანგრძლივი ვადით დაიკეტა“. 2001 წელს მთლიან ექსპორტში რუსეთის წილი 23.2 პროცენტი იყო, ხოლო 2011 წელს აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 1.7 პროცენტით განისაზღვრა.

რაც შეეხება საიმპორტო ნაკადებს ქვეყნების ჯგუფების ჭრილში, ექსპორტისგან რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა. 2000 წლიდან დღემდე ევროკავშირისა და დსთ-ის წევრი ქვეყნებიდან იმპორტის წილი მთლიან იმპორტში თითქმის თანაბარი იყო, მხოლოდ 2011 წელს ფიქსირდება ევროკავშირიდან 1.6 პროცენტით მეტი იმპორტი ვიდრე დსთ-დან და მთლიანი იმპორტის 29.1 პროცენტს შეადგენს.

2011 წლის მიხედვით უმსხვილეს საიმპორტო ქვეყნებს თურქეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი წარმოადგენენ.

რუსეთი ამჟამად ის მეექვსე ადგილზე იმყოფება საქართველოს უმსხვილეს საიმპორტო ქვეყნების ათეულში. 2011 წელს მისი წილი მთლიან იმპორტში 5.5 პროცენტს შეადგენს, როცა 2000-2007 წლების პერიოდში საშუალო წლიური მაჩვენებელი 13.7 პროცენტს აღწევდა. განსაკუთრებული უარყოფითი გავლენა ამ მხრივ პოლიტიკურმა უთანხმოებამ მოახდინა და 2008 წლიდან იმპორტის

აბსოლუტური მაჩვენებლის ზრდის მიუხედავად, საქართველოს მთლიან იმპორტში რუსეთის წილი განუხრელად მცირდება.

ამრიგად, საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები მისი უახლოესი მეზობელი ქვეყნები არიან, რაც უფრო მეტად მისაღებია ჩვენს ქვეყანაში არსებული დაბალი შემოსავლების პირობებში. ტერიტორიული სიახლოვის გამო ტრანსპორტირებისა და შესაბამისად დაზღვევის დაბალი დანახარჯები უზრუნველყოფს პროდუქციის ნაკლები ფასნამატით მოძრაობას პარტნიორ ქვეყნებს შორის და რეალიზაციის პროცესის მეტად სტიმულირებას.

სასაქონლო სტრუქტურის მხრივ, საანალიზო პერიოდში, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას არ ჰქონია ადგილი.

საქართველოს ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა მეტად მწირია, რაც დადასტურდა არა მხოლოდ საექსპორტო პროდუქციის გაანალიზებით, არამედ ექსპორტის კონცენტრაციის ინდექსის გაანგარიშებით, რომლის მნიშვნელობამ 2011 წელს 0.28 პროცენტი შეადგინა. საქართველოს ექსპორტში ძირითადად ნედლეული და ბუნებრივი რესურსები სჭარბობს. თუმცა, დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ შავი ლითონების ჯართი, რომელიც წლების მანძილზე უმსხვილეს საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა, პირველი პოზიციიდან მეხუთეზე გადავიდა, ხოლო ფერადი ლითონების ჯართმა საერთოდ დატოვა უმსხვილესი საექსპორტო ათეული.

მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის სანედლეულო ტენდენციით განვითარებამ ქვეყნების უმრავლესობა განვითარებული ქვეყნების სანედლეულო დანამატად აქცია და მეტად მწვავე პრობლემის წინაშე დააყენა.

გარდა აღნიშნულისა, ახალი რეკომენდაციების საფუძველზე გაანგარიშებული რეექსპორტისა და რეიმპორტის მაჩვენებლების ანალიზის დროს გამოიკვეთა რეექსპორტის ძალზე მაღალი პროცენტული წილი მთლიან ექსპორტში (2011 წლის მონაცემებით 22.3 პროცენტი შეადგინა), რაც ექსპორტის, გარდა სანედლეულო ხასიათისა, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მისი სტრუქტურის არაეფექტიანობას. რაც შეეხება რეიმპორტს, მისი წილი მთლიან იმპორტში უმნიშვნელოა. ამ მხრივ გამონაკლისია და საზგასმით აღნიშვნის ღირსია მხოლოდ 2006 წლის რუსეთის ემბარგოს შედეგად ქართული ღვინის დაბრუნება, რომელმაც დაახლოებით 8 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 0.2 პროცენტი შეადგინა.

სავაჭრო პარტნიორების გაანალიზებამ ცხადყო, რომ საქართველო სულ უფრო აქტიურად ერთვება ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესებში და მეტად კარგახსნილი ხდება მსოფლიოს სავაჭრო ნაკადებისთვის. 2011 წელს სავაჭრო პარტნიორების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა და 147 ქვეყანა შეადგინა.

რეტროსპექტიული ანალიზის საფუძველზე შევაფასეთ საქართველოსთვის უახლოეს წარსულში პოპულარული საქსპორტო პროდუქციის მომავალი რეალიზაციის პერსპექტივები.

2006 წელს რუსეთის მიერ ქართული წარმოების პროდუქციაზე ემბარგოს დაწესებამ რეალური საფრთხე შექმნა ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტის განვითარებაში. მართალია, ბოლო პერიოდში აღნიშნული პროდუქციის ექსპორტი მზარდი ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ემბარგომდე არსებული დონე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

თანამედროვე პერიოდში საქართველოს, თავისი ისტორიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, საშუალება ეძლევა კვლავაც აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და მიაღწიოს ეკონომიკურ წინსვლას. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითადი სტრატეგიული მოდელის არჩევა, ეფექტიანი საქსპორტო პოლიტიკის შემუშავება და გატარება, სახელმწიფოს როლის განსაზღვრა ექსპორტის რეგულირების სისტემაში, ექსპორტის მაქსიმალური სტიმულირება.

საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალური ხასიათი ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის გააქტიურებას. საქართველო ისწრაფვის გააფართოვოს კავშირები მსოფლიოს ქვეყნებთან, კვლავაც იქონიოს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებთან. მათთან ორმხრივი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ მაქსიმალურად ლიბერალური პირობების შენარჩუნებას, ხელისშემშლელი სავაჭრო ბარიერების მოხსნას, რათა ამ ქვეყნების უზარმაზარი ბაზარი და სანედლეულო რესურსები ხელმისაწვდომი გახდეს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური კაპიტალისათვის, მაგრამ სავაჭრო ბარიერების სისტემა არ უნდა იყოს იმდენად სუსტი, რომ საჭიროების შემთხვევაში ვერ შეძლოს ეროვნული წარმოების დაცვა.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს კავშირის დონე მსოფლიოსთან დადგენილია ექსპორტისა და იმპორტის ქვოტების გაანგარიშების საფუძველზე.

2011 წელს ექსპორტის ქვოტამ საქართველოში 15,2 პროცენტს მიაღწია. აღნიშნული მაჩვენებელი მისაღებ დონეზე მაღალია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეროვნული საქონლით საგარეო ბაზარი გაუჯერებელია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეროვნული პროდუქცია ჯერ კიდევ საკმაოდ არაკონკურენტუნარიანია.

ამავე პერიოდში იმპორტის ქვოტამ 49,1 პროცენტი შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა პრაქტიკულად იმპორტზეა დამოკიდებული. აღნიშნული ფაქტი საქართველოსთვის, რა თქმა უნდა, სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა, ასეთი ტენდენციის ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნება პერსპექტივაში საშიში ხდება და ეროვნულ წარმოებას დადუპით ემუქრება. საგარეო სავაჭრო ნაკადების ზრდის მიუხედავად, ექსპორტის სტრუქტურა არასახარბიელოდ ვითარდება, რადგან რეექსპორტის ზრდის ტემპი უსწრებს არა მხოლოდ ექსპორტის ზრდას, არამედ, 2008 წლიდან აღემატება საგარეო ვაჭრობის დანარჩენი ყველა ზოგადი მაჩვენებლის ზრდის ტემპს.

სტატისტიკის უმთავრესი ფუნქცია სწორედ მოვლენების განვითარების რეალური ტენდენციების დიაგნოსტიკა და თვალსაჩინო ასახვაა დინამიკაში, რაც ხელისუფლების წარმატებული პოლიტიკის შემუშავების საფუძველია. შესაძლებელია არსებობდეს ცუდი პოლიტიკა სტატისტიკასთან ერთად, მაგრამ წარმატებული პოლიტიკა სტატისტიკის გარეშე წარმოუდგენელია.

მოვლენების განვითარების დინამიკის ყველაზე რეალურ სტატისტიკურ მახასიათებლად მსოფლიოში აღიარებულია ინდექსების სისტემა, რომელიც ნებისმიერი მაჩვენებლის განვითარების ზუსტ სურათს ქმნის ცალკეული ფაქტორების ელიმინირების გზით. საქართველოში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის პრაქტიკაში ინდექსების სისტემის დანერგვა გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება და ჯერ კიდევ თეორიული გადაწყვეტილების დონეზეა მიღებული მიუხედავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის არაერთგზის წარმოდგენილი რეკომენდაციებისა.

დისერტაციაში ავტორის მიერ, საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში პირველად, წარმოდგენილია ერთეულის ღირებულების ინდექსის აგების როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტები, გაანგარიშების ეტაპების დეტალური და საკმაოდ სიღრმისეული აღწერა და აგებულია ექსპერიმენტული ინდექსი ყველაზე რეპრეზენტატიული საიმპორტო სასაქონლო სექციის დონეზე. მთლიანად ექსპორტისა და იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსების გაანგარიშება მთელ რიგ პრობლემებთან არის

დაკავშირებული, რომელთაგან უმთავრესია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობა, რის გარეშეც უზარმაზარი მოცულობის მონაცემთა ბაზების დამუშავება, ინდექსების ასაგებად, შეუძლებელია.

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის კავშირის სიმჭიდროვის ხარისხი. ყველაზე მჭიდრო კავშირი აღმოჩნდა მშპ-სა და იმპორტს, სადაც კორელაციის კოეფიციენტი  $R = 0.976$  და მშპ-სა და ექსპორტს შორის, სადაც კორელაციის კოეფიციენტი  $R = 0.961$ .

პრობლემები წარმოიშობა სტატისტიკურ მონაცემთა საერთაშორისო ურთიერთშედარებისას. პატნიორი ქვეყნების მონაცემებს შორის არსებული განსხვავების შესაფასებლად, სარკისებური შედარების საფუძველზე, გაიანგარიშება სტატისტიკური ასიმეტრიის დონე. ასევე, დგინდება განსხვავების მიზეზები და ისახება ღონისძიებები შეცდომებისა და უზუსტობების აღმოსაფხვრელად. ნაშრომში აღნიშნული მიდგომა გამოვიყენეთ საქართველო-აზერბაიჯანისა და საქართველო-აშშ-ის ურთიერთსავაჭრო ნაკადების შედარებისას. ბოლო პერიოდში, ეკონომიკურ წრეებსა და მედია საშუალებებში განსაკუთრებული ინტერესი საქართველო-აშშ-ის სავაჭრო ნაკადებს შორის არსებულმა ძალიან დიდმა განსხვავებამ გამოიწვია. ნაშრომში ჩამოვყალიბეთ განსხვავების სავარაუდო მიზეზები, თუმცა იქვე აღვნიშნეთ, რომ ზუსტი მიზეზების გამოსავლენად აუცილებელია შესაბამისი პარტნიორი ქვეყნების მონაცემებს შორის სარკისებური შედარების ჩატარება.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის პრობლემატიკის განხილვისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ სტატისტიკური მონაცემები გარკვეული ცდომილებით ხასიათდებიან. რეგისტრირებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობა არ შეესაბამება რეალური ნაკადების სიდიდეს, რადგან საგარეო სავაჭრო ოპერაციების ნაწილი სხვადასხვა მიზეზით აღურიცხავი რჩება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების არასრულყოფილების მიუხედავად, ისინი მიმდინარე პროცესების საერთო ტენდენციის გამოვლენის საშუალებას მაინც იძლევა.

ნაშრომში მოცემულია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა პრაქტიკული დამუშავების ტექნიკური ხარვეზები და შემუშავებულია რეალური რეკომენდაციები როგორც არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ისე ზოგადად

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

კარგად ორგანიზებული ეროვნული სტატისტიკური სისტემა, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო მეთოდოლოგიებსა და სტანდარტებზე, მკვეთრად აამაღლებს სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხსა და საიმედოობას. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში ჩამოყალიბებული რეალური ტენდენციების გამოვლენას, რაც საშუალებას მისცემს სახელისუფლო ორგანოებს შეიმუშაონ რაციონალური საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკა. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვნად წაახალისებს ქვეყნის ღირსეულ ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ანალიტიკური კვლევა „ბიზნეს გარემო საქართველოში“, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მსოფლიო ბანკის ჯგუფი, თბილისი, 2006
2. „ახალი კურსი“ (სამართლიანი, მარტივი და სანდო საგადასახადო სისტემისათვის), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, თბილისი, 2011 წ.
3. ასათიანი რ., ეკონომიკური თეორია, თსუ, 1998 წ.
4. ასლამაზიშვილი ნ., „ეკონომიკური კრიზისი და სტატისტიკა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ჟურნალი სოციალური ეკონომიკა, გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2011 წ.
5. ასლამაზიშვილი ნ., საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა: სასწავლო-მეთოდური მასალები. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 1995.
6. ასლამაზიშვილი ნ., საგარეო ვაჭრობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.
7. ასლამაზიშვილი ნ., საერთაშორისო სტატისტიკა, თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, გამომცემლობა საუნჯე, თბილისი, 2009.
8. ასლამაზიშვილი ნ. სარკისებური სტატისტიკის მეთოდის გამოყენების პრობლემები და თავისებურებები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში. ჟურნალი „ეკონომიკა“, №1-2, თბილისი, 2001 წ.
9. ასლამაზიშვილი ნ., გელაშვილი ს. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფა. სამეცნიერო შრომების კრებული: გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1996 წ.
10. ბერკაცაშვილი ზ., საქართველოსა და რუსეთის სავაჭრო ურთიერთობები, პრობლემები და პერსპექტივები, დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2004 წ.
11. ბერუჩაშვილი თ., ვაჭრობის, როგორც ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორის ევოლუცია, დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2006 წ.
12. ბერუჩაშვილი თ., ყარაულაშვილი ა., მშვიდლობაძე ვ., საქართველო და ევროკავშირი, თბილისი, 2006 წ.
13. გაბიძაშვილი ბ., ახალი ინდექსები საბაჟო სტატისტიკაში. ჟურნალი „ეკონომიკა“, №8, 2001 წ.
14. გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკის თეორია, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2005.
15. გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკის მოკლე კურსი, თბ., თსუ 1998 წ.
16. გაბიძაშვილი ბ., ფისკალური სტატისტიკა, თბ., თსუ 2000 წ.
17. გელაშვილი ს., ჩიხლაძე ნ., სტატისტიკური მოდელირებისა და პროგნოზირების თეორიული საფუძვლები. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2001 წ.

18. გელიტაშვილი ნ., ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში, დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2011 წ.
19. გოგორიშვილი ი., საერთაშორისო ეკონომიკა, თბილისი, 2002 წ.
20. გოცირიძე რ., ეკონომიკა პოლიტიკა ცხოვრება, თბ., 1996 წ.
21. ეკონომიკა და ბიზნესი, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, თსუ, თბილისი, 2011 წ. ივლისი-აგვისტო.
22. ვანიშვილი მ., ვაშაკიძე ზ., კიკაჩიშვილი ნ., ჯუღელი გ., საქართველოს საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის თავისებურებანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009 წ.
23. ვეშაპიძე შ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემები. შასწავლო-მეთოდური მასალები, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტე, თბილისი, 1999 წ.
24. კაკაბაძე ვ., საგარეო ვაჭრობის მაკროეკონომიკური რეგულირება (საქართველოს მაგალითზე), დისერტაცია, ეკონომიკის ინსტიტუტე, თბილისი, 2003 წ.
25. კახნიაშვილი ჯ., მაკროეკონომიკა, თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 1997 წ.
26. კბილაძე დ., აბესაძე ნ., მეტრეველი შ., სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2008.
27. კიკვაძე ტ., ბერიძე თ., ბიზნესის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.
28. ლეკაშვილი ე., საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ამიერკავკასიის ქვეყნებთან; თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, დისერტაცია, თსუ, თბილისი, 1999 წ.
29. მარშავა ქ., სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის საკითხისათვის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები IX ტომი, გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი, 2011 წ.
30. მარშავა ქ., ეკონომიკის ინფორმაციული მოთხოვნები და ეას-ის აგრეგატების ანალიტიკური შესაძლებლობები. საერთაშორისო ბიზნესი საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული VI ტომი, №1-4, გვ. 22-36. გამომცემლობა “უნივერსალი”, თბილისი, 2008 წ.
31. მარშავა ქ., მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) და მისი კომპონენტების საერთაშორისო შედარებები – მშპ-ს ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულება. ივ. ჯვახიშვილის სახელობის თსუ სამეცნიერო შრომათა კრებული, გამომცემლობა “უნივერსალი”, თბილისი, 2012 წ.
32. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ., ეკონომიკური გლობალიზაცია: გამოწვევა ოფიციალური სტატისტიკისათვის. გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები. სამეცნიერო შრომათა კრებული. გამომცემლობა “უნივერსალი”, თბილისი, 2008 წ.
33. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ., სტატისტიკის თანამედროვე პრობლემები. მონოგრაფია. გამომცემლობა “უნივერსალი”, თბილისი, 2012წ.
34. 86. მენქიუ გრეგორი, ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2008 წ.

35. მოვსესიანი ა. გ., ოგნივცევი ს. ბ., მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2003.
36. ოთარაშვილი ა., საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, დისერტაცია, მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2005 წ.
37. ოქროცვარიძე ა., ოქროცვარიძე დ., ვადაჭკორია მ., საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბილისი, 2009 წ.
38. პაპაჩაშვილი ნ., ექსპორტზე ორიენტირების პერსპექტივები საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, თბილისი, 1999 წ.
39. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევები, თბ., 1999 წ.
40. პაპავა ვლ., ხადური ნ., მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და დაგეგმვის თავისებურებანი პოსტკომუნისტურ საქართველოში, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №6, თბილისი, 2004 წ.
41. საქართველო და მსო, **TACIS**, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (**GEPLAC**), საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო, თბ., 1996 წ.
42. საქართველოს კანონი საბაჟო მოსაკრებლების შესახებ, თბილისი, 1998 წ.
43. საქართველოს კანონი საბაჟო ტარიფებისა და გადასახადის შესახებ, თბილისი, 1998 წ.
44. საქართველოს საბაჟო კოდექსი, თბილისი, 1997 წ.
45. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2004 წ.
46. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2009, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი 2010 წ.
47. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მონიტორინგი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2010 წ.
48. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2000, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2001 წ.
49. სეფაშვილი ე., საქართველოს პრობლემები და პერსპექტივები შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობაში, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2001 წ.
50. ქარჩავა ნ., პრივატიზაციისა და საგარეო ვაჭრობის ურთიერთკავშირის მაკროეკონომიკური ანალიზი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, დისერტაცია, თბილისი, 2004 წ.
51. ყანდაშვილი თ., საქართველოს ექსპორტი და მისი სტიმულირება, დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2002 წ.
52. ყორღანაშვილი ლ., საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, თსუ, 1997 წ.
53. ჩილოღლუ ი., საერთაშორისო რეგიონული ინტეგრაციის უპირატესობები თურქული და ქართული კომპანიებისათვის, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2009 წ.

54. ჩიქავა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ., საგამომცემლო ფირმა “სიახლე” 1997 წ.
55. ძეგისაური ლ., „საქართველო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ჟურნალი სოციალური ეკონომიკა, გამომცემლობა „ეკროპული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2011 წ.
56. ძეგისაური ლ., „სტატისტიკა საქართველოს ეკონომიკის გლობალიზაციის კვლადაკვად“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2012 წ.
57. ძნელაძე დ., ძნელაძე ლ., ბიზნესი, ნაწილი II, თსუ, 1999 წ.
58. ხადური ნ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, PMSG, თბილისი, 2010 წ.
59. ჯამაგიძე ლ., ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2008 წ.
60. ჯინჯოლია დ., საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მათი განხორციელების გზები, დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2001 წ.
61. ჯოლია გ., საერთაშორისო ბიზნესი, თბილისი, თსუ, 1996 წ.
62. ჯოლია გ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბილისი, თსუ, 1998 წ.
63. ჯულაყიძე გ., ფინანსური ანგარიშსწორების ფორმები საგარეო ბაზარზე, ჟურნალი მაკრო-მიკრო ეკონომიკა, 5' 99.
64. Anne Y. Kester. IMF Data Standard Initiatives: A consultative Approach to Enhancing Global Data Transparency. IMF Working Paper. WP/06/102. International Monetary Fund, 2006.
65. “Balance of Payments and International Investments Position Manual” (BPM6) (International Monetary Fund, Washington D.C., USA, 2008., Sixth Edition), 2009.
66. Balance of Payments compilation guide, BPM5, Washington, D.C., 1995.
67. BOPCOM98/1/3 (“Shuttle trade”), IMF Committee on Balance of Payments Statistics, Washington, D.C., 21-23 December, 1998.
68. Carlo A. (2007), “Regional Economic Integration and the Location of Multinational Firms, Review of World Economics, Vol. 143, pp. 277-303.
69. Carol S. Carson and Luie La. liberté. Manuals on Macroeconomic Statistics: A Stocktaking to Guide Future Work. IMF Working Paper. WP/01/183, International Monetary Fund, 2001.
70. Development and Globalization: Facts and Figures. United Nations Conference on Trade and Development. United Nations. New York and Geneva, 2008.
71. Economic survey of Europe, Economic Commission for Europe, UN, New York and Geneva, 2002.
72. Edwards T.H. (2007), “Measuring Global and Regional Trade Integration in Terms of Concentration of Access”. Review of World Economics, Vol. 143, pp. 257-276.
73. Enrico Giovannini. Understanding Economic Statistics: an OECD Perspective. OECD. 2008.

74. Foreign Trade Zones, Guidelines for Submitting Statistical Data, US Census Bureau, 2009.
75. Globberman S., "Trade, FDI And Regional Economic Integration: Cases Of North America And Europe". Bellingham, Washington 98225, August, 2002.
76. Handbook of Statistical Organization, Third Edition. The Operation and Organization of Statistical Agency. Department of Economic and Social Affairs. Statistics Division. Series F No.88. United Nations. New York, 2003.
77. Hausmann, R., J. Hwang and D. Rodrik, 2005. What you export matters. NBER Working Paper, No. 11905.
78. Hausmann, R., J. Hwang and D. Rodrik, 2007. What you export matters. Journal of Economic Growth, vol. 12, 1-25.
79. International Merchandise Trade Statistics, Compilers manual, United Nations, New York, 2004.
80. International Merchandise Trade Statistics, Concepts and definitions, United Nations, New York, 1998.
81. International Trade Statistics: Concepts and Definitions, Series M, No. 52, Rev.2. New York: United Nations, 1998.
82. James W. Vogelgesang, Export Sophistication and Catching Up, Baylor University, 2010.
83. Lall, S., J. Weiss and J. Zhang, 2006. The "sophistication" of exports: a new measure of product characteristics. QEH Working Paper Series, No. 123.
84. Making data meaningful, United Nations Economic Commission for Europe, Part I, A guide to writing stories about numbers, UN, New York and Geneva, 2009.
85. Making data meaningful, United Nations Economic Commission for Europe, Part II, A guide to presenting statistics, UN, New York and Geneva, 2009.
86. Managing statistical confidentiality and micro data access, Principles and guidelines of good practice, UN, New York and Geneva, 2007.
87. Manual on Statistics of International Trade in Services. Geneva, Luxembourg, New York, Paris, Washington D.C. A publication of the United Nations, European Commission, International Monetary Fund, Organization for Economic Co-operation and Development, United Nations Conference on Trade and Development and the World Trade Organization, 2002.
88. Mirror Statistics of International Trade in Manufacturing Goods, The case of China, United Nations Industrial Development Organization (UNIDO), Research and Statistics Branch, Working Paper 19/2009.
89. Models of Statistical Systems. By Roger Edmunds. October 2005.
90. National practices in compilation and dissemination of external trade index numbers, a technical report, UNSD, New York, 2005.
91. National Strategies for the development of statistics (NSDS): Some issues in design and implementation planning. PARIS21 Document Series No4. Partnership in statistics for development in the 21<sup>st</sup> century. March 2007.
92. Principles governing international statistical activities. United Nations Statistical Commission. Special Session of 11-15 April 1994, and the endorsement of the Declaration of Good Practices in Technical Cooperation in Statistics in its 30th Session of 1-5 March 1999.

93. Purchasing power parities – measurement and uses. By Paul Schreyer and Francette Koechlin. Statistics brief. March 2002. No. 3. Organization for Economic Co-operation and Developments.
94. Purchasing power parities – Statistics to describe the world. Written by Fred Vogel, Manager ICP. Edited by Farah Hussain. January 2005.
95. Report on the Observance of Standards and Codes (ROSC)—Data Module, International Monetary Fund, Washington, USA, March 7, 2012.
96. Standard country or area codes for statistical use, revision 4, United Nations publication, Sales No. M.98.XVII.9.
97. Statistical metadata in a corporate context: A guide for managers, UNECE, Geneva, 2009.
98. Statistical Territories of the World for use in International Merchandise Trade Statistics, Department of Economic and Social Affairs, Statistics Division, UN, 2000.
99. Statistical Territories of the World for use in International Merchandise Trade Statistics, Studies in Methods Series M, No. 30, Rev. 3, Department of Economic and Social Affairs, Statistics Division, United Nations, New York, 2000.
100. Statistical Territories of the World for use in International Merchandise Trade Statistics, UN, New York, 2000.
101. Swiss foreign trade indices, user's guide, Statistics Section of Federal Customs Administration (FCA), Switzerland, 2006.
102. "System of National Accounts 1993" (SNA 1993) (Commission of the European Communities, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, Brussels/Luxembourg, New York, Paris), Washington D.C., 1993.
103. System of National Accounts 2008, (SNA 2008) (Commission of the European Communities, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, Brussels/Luxembourg, New York, Paris), Washington D.C., 2009.
104. The Economic Desk Companion: How to measure, convert, calculate and define practically anything, New York, John Wiley and Sons, 1998.
105. WCO, The Harmonized Commodity Description and Coding System, second edition, Brussels, 1996.
106. Weights, Measures and Conversion Factors for Agricultural Commodities and their products, special report, Washington, D.C., United States Department of Agriculture, June 1992.
107. WTO, The results of the Uruguay round of multilateral trade negotiations, Geneva, 1995.
108. Авдovuшкин Е. Ф., Международные экономические отношения, учебное пособие, Москва, Информационно – внедренческий центр "Маркетинг", 1997 г.
109. Гусаров В. М., Статистика, Москва, 2003 г.
110. Долан Э. Дж., Линдсей Д. Е., Рынок, пер. с англ., С – Петербург, 1992 г.
111. Дорнбуш Р., Фишер С., Макроэкономика, Издательство Московского Университета, 1997 г.

112. Елисеева Ш. И. и др., Международная статистика, Минск, 1995 г.
113. Ефимова М. Р., Рябцев В. М., Общая теория статистики, Москва, Финансы и статистика 1991 г.
114. Колганов А. И., Бузгалин А. В. Экономическая компаративистика: Учебник. М.: ИНФРА – М, 2005 г.
115. Колесов В. П., Кулаков М. В., Международная Экономика: Учебник. М.: ИНФРА – М, 2004 г.
116. Курс социально – экономической статистики, под ред. М. Т. Назарова, М., 2000 г.
117. Линвуд Т. Тайгер, Макроэкономическая теория и переходная экономика, пер. с англ., М., 1996 г.
118. Маршава К., Дзедзисаури Л., "Внешняя торговля Грузии: ретроспектива и перспективы", сборник научных работ, Одесский Национальный Университет им. И. Мечникова, Одесса, Украина, 2008 г.
119. Менкью Н. Грегори, Принципы экономикс, С – Петербург, 1999 г.
120. Методы статистического исследования динамики социально – экономических явлений, Издательство Саратовского университета, 1987 г.
121. Петер Фон Дер Липпе, Экономическая статистика, пер. с немец., издательство Густав Фишер Ферлаг, Штуттгарт, Йена, 1995 г.
122. Последние события и текущие инициативы. Статистический Департамент. Международный Валютный Фонд. 2007 г.
123. Сакс Д. Д. и др., Макроэкономика, пер. с англ., М., 1996 г.
124. Салин В. Н., Шпраковская Е. Р., Социально – экономическая статистика, Москва 2004 г.
125. Сиденко А. В., Башкатов Б. И., Матвеева В. М. Международная Статистика. Учебник. М.: Изд. «Дело и сервис», 1999 г.
126. Теория статистики, под. ред. Р. А. Шмайловой, М., 1998 г.
127. Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р., Экономика, пер. с англ., Москва, Дело, 1997 г.
128. Хасбулатов Р. И., Мировая экономика, Москва, "Инсан", 1994 г.
129. Экономическая Статистика: Учебник/Под ред. Ю. Н. Иванова. – М.: ИНФРА – М, 1999 г.
130. <http://unesis.un.org/unsd/tradereport/>
131. <http://www.statistica.md/pageview.php?l=en&id=2251&idc=351>
132. [Ring Comparison for Global PPPs. http://www.worldbank.org](http://www.worldbank.org)
133. [www.economy.ge](http://www.economy.ge)
134. [www.fao.org](http://www.fao.org)
135. [www.imf.org](http://www.imf.org)
136. [www.mfa.gov.ge](http://www.mfa.gov.ge)
137. [www.mof.ge](http://www.mof.ge)
138. [www.unsd.org](http://www.unsd.org)
139. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
140. [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)

## დანართები

### დანართი №1.

საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის 2010 წლის ახალი და განახლებული რეკომენდაციები და ახალი შემოთავაზებები

№	რეკომენდაციები	სტატუსი
<b>ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები</b>		
1.	საბაჟო და სტატისტიკურ ზღვარს ქვემოთ არსებული ვაჭრობა უნდა შეფასდეს და აისახოს საქონლით საგარეო ვაჭრობის მთლიან მოცულობაში, თუ მისი მასშტაბები ეკონომიკურად მნიშვნელოვანია	ახალი
2.	საკუთრების უფლების ცვლილება, როგორც კრიტერიუმი გამოყენებული იქნას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ცალკეული სახის საქონელზე	ახალი
<b>სპეციფიკური სახელმძღვანელო პრინციპები</b>		
3.	გამოირიცხოს, მაგრამ აღირიცხოს ცალკე: ცალკეული კატეგორიის საქონელი არ უნდა ჩაირთოს საგარეო ვაჭრობაში, მაგრამ ცალკე უნდა აღირიცხოს საგადასახდელი ბალანსისა და ეროვნული ანგარიშების წარმოების მიზნებიდან გამომდინარე	განახლებული
4.	ჩაწერილი ან ჩაუწერავი მედია საშუალებები უნდა აღირიცხოს მათი გარიგების სრული ღირებულებით, იმ მედია საშუალებების გამოკლებით, რომლებზეც ჩაწერილია პროგრამული უზრუნველყოფა სპეციალური დაკვეთით ან/და ორიგინალი ვერსიები	განახლებული
5.	საქონელი გადამუშავებისათვის საკუთრების ცვლილებით ან მის გარეშე, უნდა აღირიცხოს სრული ღირებულებით	განახლებული
6.	საკუთრების უფლების ცვლილების შემთხვევაში საქონლის გადამუშავების აღრიცხვა უნდა მოხდეს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, მაგრამ ასევე უნდა აღირიცხოს ცალკე სპეციალური კოდის მინიჭებით	ახალი შემოთავაზება
7.	ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული გარიგების საფუძველზე საზღვარზე გადაადგილებული საქონლის ღირებულების ჩართვა საგარეო ვაჭრობაში და მსგავსი ოპერაციების ცალკე იდენტიფიცირება	ახალი შემოთავაზება

№	რეკომენდაციები	სტატუსი
8.	დაჭერილი თევზი, ზღვის ფსკერიდან მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული და გადარჩენილი ტვირთი; ბუნკერები, ბორტის მარაგები, ბალასტი და სამაგრი მასალა: ჩაირთოს ყველა ოპერაცია განხორციელებული როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მისი ეკონომიკური ტერიტორიის ფარგლებს გარეთ თუ ისინი მნიშვნელოვანია ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით	განახლებული
9.	საგარეო ვაჭრობიდან გამოირიცხოს ისეთი საქონელი, რომელიც უბრალოდ გადაადგილდება მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე (ტრანზიტი) და დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი	განახლებული
<b>ვაჭრობის სისტემა</b>		
10.	სტატისტიკური ტერიტორიის ელემენტები: ზუსტად განისაზღვროს რა სახის ელემენტები არსებობს ქვეყანაში და რომლებია ჩართული სტატისტიკური ტერიტორიის შემადგენლობაში	ახალი
11.	რეიმპორტი და რეექსპორტი: აისახოს საგარეო ვაჭრობაში და ასევე, ცალკე გამოიყოს სპეციალური კოდირების სისტემით ანალიტიკური მიზნებისათვის	ახალი
12.	საბაჟო პროცედურების კოდები: ცალკეული ოპერაციების აღრიცხვისათვის გამოყენებული საბაჟო პროცედურების შესახებ ინფორმაცია, ჩაირთოს საგარეო ვაჭრობაში, როგორც სავაჭრო სტატისტიკის მონაცემთა ბაზის შემადგენელი ელემენტი	ახალი
<b>სასაქონლო კლასიფიკაციები</b>		
13.	საერთაშორისო სტანდარტული სავაჭრო კლასიფიკაცია (სსსკ - SITC): სსსკ-ის გამოყენება საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ანალიზისა და გავრცელებისათვის მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით	ახალი
<b>ღირებულების განსაზღვრა</b>		
14.	სტატისტიკური ღირებულება: ყველა საქონლის სტატისტიკური ღირებულების გათვალისწინება, რომელიც ასახავს ჰპოვებს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, მათ შორის გაყიდულის, გაცვლილის ან უსასყიდლოდ მიწოდებულის	განახლებული
15.	ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის სტატისტიკური ღირებულება: გამოყენებულ იქნას FOB (ფრანკო-ბორტი) ფასი ექსპორტის და CIF (ღირებულება, დაზღვევა, ფრანკი) ფასი იმპორტის შეფასებისას. გარდა აღნიშნულისა, ყველა ქვეყანას ეძლევა რეკომენდაცია, რომ იმპორტის გადაანგარიშება მოახდინოს FOB ფასში საგადასახდელო ბალანსის საჭიროებიდან გამომდინარე	განახლებული

№	რეკომენდაციები	სტატუსი
16.	<p>სპეციალური კატეგორიის საქონლის ღირებულების განსაზღვრა, როგორებიცაა: მიმოქცევაში არმყოფი ბანკოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები - მათი ღირებულების გაანგარიშება უნდა მოხდეს ნაბეჭდი ქაღალდის ან შტამპირებული ლითონის წარმოების და არა ნომინალური ღირებულების მიხედვით; ჩაწერილი და ჩაუწერელი ინფორმაციის მატარებლების ღირებულების განსაზღვრა მათი სრული ღირებულებით;</p> <p>ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, ნავთობისა და წყლის ღირებულების განსაზღვრა მიწოდების დანახარჯების გამოკლებით, რომლებიც არ შედის FOB და CIF ფასებში;</p> <p>საფინანსო ლიზინგით საზღვარზე გადაადგილებული საქონლის ღირებულების განსაზღვრა ანალოგიური საქონლის ღირებულების მიხედვით, რომლებიც კვეთენ საზღვარს ყიდვა-გაყიდვის შედეგად; გადამუშავებისათვის განკუთვნილი საქონლის ღირებულების განსაზღვრა (მიუხედავად იმის, იცვლება თუ არა მესაკუთრე) მათი სრული ღირებულებით; დაბრუნებული საქონლის ღირებულების განსაზღვრა - ასეთი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში ღირებულება უნდა შეფასდეს, როგორც საწყისი სავაჭრო ოპერაცია; ისეთი საქონლის ღირებულების განსაზღვრა, რომლის მიწოდებაც ხდება მომსახურებასთან ერთად კომპლექსურად: სტატისტიკური ღირებულება გამოიყენება საქონელთან და არა მომსახურებასთან მიმართებაში, გარდა იმ მომსახურებისა, რომელიც მონაწილეობს FOB და CIF ფასების გაანგარიშებაში</p>	განახლებული
17.	<p>ფრახტისა და დაზღვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვება: იმ ქვეყნებს, რომლებიც იმპორტის აღრიცხვას ახორციელებენ მხოლოდ CIF ფასში, ეძლევათ რეკომენდაცია, რომ ცალკე მოახდინონ ფრახტისა და დაზღვევის შესახებ ინფორმაციის მოპოვება მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში საქონლისა და პარტნიორი ქვეყნების ჭრილში</p>	განახლებული
<b>რაოდენობრივი აღრიცხვა</b>		
18.	<p>რაოდენობრივი ინფორმაციის შედგენა და მიწოდება: რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვება და შეფასება, შემოწმება და წარდგენა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის რაოდენობრივი აღრიცხვის სტანდარტულ ერთეულებში ყველა სავაჭრო ოპერაციაზე ნეტო წონის მითითებით</p>	განახლებული

№	რეკომენდაციები	სტატუსი
19.	რაოდენობრივი მონაცემების გადაანგარიშების კოეფიციენტები: მეტამონაცემებში მიწოდებული იქნას ინფორმაცია გადაანგარიშების კოეფიციენტებზე რეკომენდებულ სტანდარტულ ერთეულებში იმ შემთხვევაში, როცა გამოყენებულია ისეთი რაოდენობრივი ერთეულები, რომლებიც განსხვავდება მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის აღრიცხვის სტანდარტული ერთეულისაგან	განახლებული
<b>პარტნიორი ქვეყანა</b>		
20.	პარტნიორი ქვეყნის დადგენა: იმპორტის შემთხვევაში უნდა აღრიცხოს საქონლის წარმოშობის ქვეყანა, ხოლო ექსპორტის შემთხვევაში - საბოლოო დანიშნულების ცნობილი ქვეყანა	უცვლელი
21.	გაგზავნის ქვეყანა: იმპორტის შემთხვევაში გამომგზავნი ქვეყნის აღრიცხვა, როგორც პარტნიორი ქვეყნის დადგენის დამატებითი კრიტერიუმი საქონლის წარმოშობის ქვეყანასთან ერთად; ექსპორტის შემთხვევაში სასურველია დამატებითი ინფორმაციის მოზიდვა გაგზავნის ქვეყნის შესახებ	განახლებული
22.	სავაჭრო ბალანსის გაანგარიშება: იმპორტის მონაცემების გამოყენება საქონლის წარმოშობის ქვეყნის ჭრილში და ექსპორტის - საბოლოო დანიშნულების ცნობილი ქვეყნის ჭრილში	ახალი
23.	სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური ტერიტორია: სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური ტერიტორიის კატეგორიის გამოყენება, როგორც ამოსავალი პრინციპი ვაჭრობის შესახებ სტატისტიკური მასალის მომზადებისას პარტნიორი ქვეყნის ჭრილში	განახლებული
<b>ტრანსპორტის სახე</b>		
24.	ტრანსპორტის სხვადასხვა სახეების აღრიცხვა: საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემები დამუშავდეს და გამოქვეყნდეს ტრანსპორტის სახეობების მაქსიმალურად შესაძლებელი დეტალიზაციით საქონლის ჭრილში	ახალი
25.	ტრანსპორტის სახეობების რეგისტრაცია: ტრანსპორტის სახეობად გათვალისწინებული იქნას ტრანსპორტირების ხერხი, რომელიც გამოიყენება საქონლის შემოსატანად ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და მის გასატანად ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ	ახალი
26.	კლასიფიკაცია: ზუსტად იქნეს ფორმულირებული გამოყენებული კატეგორიების შინაარსი. ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ რეკომენდებული კლასიფიკაცია ტრანსპორტის სახეობების მიხედვით ვაჭრობის სტატისტიკის შედგენისათვის	ახალი
<b>მონაცემთა შედგენის მეთოდები</b>		

№	რეკომენდაციები	სტატუსი
27.	საბაუო დოკუმენტების გამოყენება: მონაცემთა ძირითად და როგორც წესი, უფრო უპირატეს წყაროდ გამოყენებული იქნას საბაუო დეკლარაციების მონაცემები	ახალი
28.	საბაუო პროცედურების განსაზღვრა: საბაუო ექსპერტებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის დამყარება საბაუო პროცედურებისა და შესაბამისი სავაჭრო ოპერაციების კოდების ზუსტი განსაზღვრის უზრუნველყოფისათვის ზოგადი ან სპეციალური სავაჭრო სისტემების საფუძველზე	ახალი
29.	არასაბაუო ინფორმაციის წყაროების გამოყენება: საჭიროების შესაბამისად საბაუო დოკუმენტების მონაცემთა შევსება ინფორმაციის სხვა წყაროებიდან საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა სრული მოცვის უზრუნველსაყოფად. ასეთი ინფორმაცია გამოყენებული იქნას როგორც საბაუო დოკუმენტაციის ალტერნატივა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა საშუალებას იძლევა ეკონომიკურად ეფექტიანად ავამაღლოთ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ხარისხი	განახლებული
30.	მონაცემთა შეგროვებისადმი კომპლექსური მიდგომა: მონაცემთა წყაროების გამოყენებისას, რომლებიც დაკავშირებული არ არის საბაუო ორგანოებთან, ისეთები, როგორებიცაა საწარმოთა გამოკვლევის მასალები, ვიხელმძღვანელოთ მონაცემთა მოპოვების პროცესისადმი კომპლექსური მიდგომით. ეს ნიშნავს, რომ გამოვიყენოთ კომერციული საწარმოების საცნობარო მონაცემები და საწარმოთა საიდენტიფიკაციო კოდები იმისათვის, რომ მინიმალური დანახარჯებითა და საწარმოთა მცირე დატვირთვით მივიღოთ აუცილებელი ინფორმაცია	ახალი
31.	ინსტიტუციონალური მექანიზმები: პრიორიტეტად განხილული უნდა იქნას ინსტიტუციონალური მექანიზმის ფორმირება, რომელიც აუცილებელია საგარეო ვაჭრობის ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების მიღებისათვის და მათი აქტუალობის პერიოდული ანალიზისათვის	ახალი
<b>მონაცემთა ხარისხი და მეტამონაცემები</b>		
32.	მონაცემთა ხარისხის პრობლემისადმი სისტემური მიდგომა: მონაცემთა ხარისხის პრობლემისადმი ვიხელმძღვანელოთ სისტემური მიდგომით და შევიმუშაოთ სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი ნიმუშები ინსტიტუციონალურ მექანიზმებთან, სტატისტიკურ პროცესებთან და შედეგებთან კავშირში. მას ასევე უწოდებენ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის განვითარების კომპლექსურ პროგრამას	ახალი

№	რეკომენდაციები	სტატუსი
33.	სტანდარტი ხარისხის შესახებ ანგარიშის წარმოებისათვის: სტანდარტის შემუშავება ხარისხის შესახებ რეგულარული ანგარიშების მომზადებისათვის, რომელიც საერთო იქნება სტატისტიკური პროცესებისა და შედეგების მთელი სპექტრისათვის და დაფუძნებული იქნება შესაბამის პრინციპებსა და სტანდარტებზე	ახალი
34.	ხარისხის შესახებ ანგარიშის მომზადების პერიოდულობა: საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ხარისხის შესახებ ანგარიშის შედგენა ან განახლება მინიმუმ ხუთ წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად, მეთოდოლოგიასა და ინფორმაციის წყაროებში არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანის შემთხვევაში	ახალი
35.	ხარისხის შესახებ ანგარიშის შინაარსი: ხარისხის შესახებ ანგარიშები დაფუძნებული უნდა იყოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მთლიან კომპლექსზე, რომელიც ახასიათებს საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკას და ასევე, საკონტროლო ჩამონათვალზე, რომელიც მოქმედებს მონაცემთა მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების პროცედურებზე იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს სტატისტიკური პროცესების დადებითი მხარეებისა და ნაკლოვანებების შეფასება და იმ ღონისძიებების განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ხარისხის ამაღლებას	ახალი
36.	ხარისხის მაჩვენებლები: ხარისხის განსაზღვრის შერჩეული მაჩვენებლების შესაბამისობის უზრუნველყოფა შემდეგ კრიტერიუმებთან: ა) ისინი უნდა მოიცავდეს ხარისხის ყველა პარამეტრს; ბ) დაფუძნებული უნდა იყოს რაციონალური მეთოდოლოგიის თანამიმდევრულ გამოყენებაზე; გ) მაჩვენებლები ადვილად ინტერპრეტირებადი უნდა იყოს როგორც შიდა ისე გარე მომხმარებლების მიერ	ახალი
37.	მეტამონაცემების კატეგორიები: მეტამონაცემების შემდეგი კატეგორიების მოცვის უზრუნველყოფა: ა) ყველა საბაზო კონცეფციისა და განსაზღვრების აღწერა გამოყენებული სავაჭრო სისტემისა და ასევე, საერთაშორისო სტანდარტებიდან გადახვევის (თუ ასეთი არსებობს) ინფორმაციის ჩათვლით; ბ) ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, ინსტიტუციონალური მექანიზმები და მონაცემთა წყაროების აღწერა; გ) მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების პროცედურების აღწერა; დ) გაანგარიშების მეთოდის აღწერა; ე) სტატისტიკური მონაცემების გავრცელების პოლიტიკა ინფორმაციის გამოქვეყნებისა და მონაცემთა გადასინჯვის გრაფიკის ჩათვლით; ვ) სტატისტიკური მონაცემების ყველა ველის აღწერა (სააღრიცხვო პერიოდი, სავაჭრო ნაკადი, გამოყენებული	ახალი

№	რეკომენდაციები	სტატუსი
	სასაქონლო კლასიფიკაცია, საქონლის ღირებულების განსაზღვრის მეთოდი, ვალუტა, წონა და დამატებითი ზომა, წონისა და დამატებითი ზომის ერთეული, პარტნიორი ქვეყანა - წარმოშობის, საბოლოო ცნობილი დანიშნულების თუ გამომგზავნი; ზ) განმარტებები და შენიშვნები, რომლებიც ეხება სტატისტიკურ მონაცემებს. მაგალითად, მომხმარებელთა ინფორმირება მაჩვენებელთა რევიზიაზე, სტატისტიკური მწკრივის წყვეტილობაზე, კონფიდენციალობის დაცვაზე და ა.შ.; თ) ანგარიში მაჩვენებელთა ხარისხის შესახებ	
38.	მონაცემთა ხარისხის პარამეტრები: მონაცემთა ხარისხის შეფასების სისტემის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნას შემდეგი პარამეტრები: აქტუალობა, სიზუსტე, დროულობა, მეთოდოლოგიური დასაბუთება, შეთანხმებულობა და ხელმისაწვდომობა	ახალი
39.	სხვადასხვა ქვეყნის მონაცემთა ურთიერთშესადარისობის უზრუნველყოფა: ქვეყნებმა პერიოდულად უნდა აწარმოონ ორმხრივი და მრავალმხრივი გამოკვლევები მონაცემთა ურთიერთთანხვედრაზე ან მოახდინონ ინფორმაციის სისტემატიური გაცვლა	განახლებული
40.	მეტამონაცემების პრიორიტეტული მნიშვნელობა: პრიორიტეტული ყურადღება დაეთმოს მეტამონაცემების შემუშავებას და მათი გავრცელება განხილული იქნას როგორც საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების გავრცელების შემადგენელი მნიშვნელოვანი ელემენტი	ახალი
<b>მონაცემთა გავრცელება</b>		
41.	კონფიდენციალობა: მაქსიმალურად იქნას გამოყენებული პასიური კონფიდენციალობა იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა აქტიური კონფიდენციალობა უკვე იქცა უპირატეს და მიღებულ პრაქტიკად	ახალი
42.	მონაცემთა გავრცელების გრაფიკი (კალენდარი): წინასწარ დადგინდეს მონაცემთა გამოქვეყნებისა და სტატისტიკური მასალის გადასინჯვის ზუსტი ვადები	განახლებული
43.	წინასწარი ექსპრეს-მონაცემების გამოქვეყნება: განხილული იქნას ოპერატიული შეფასებითი მონაცემების გამოქვეყნების შესაძლებლობა საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მაქსიმალურად მოკლე ვადებში	ახალი შემოთავაზება
44.	მონაცემთა რევიზიის პოლიტიკა: შემუშავდეს მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა, რომელიც დროში შეთანხმებული იქნება პუბლიკაციის გრაფიკთან	განახლებული შემოთავაზება

№	რეკომენდაციები	სტატუსი
45.	მონაცემთა გავრცელება: უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა მომხმარებლისათვის ახალ მონაცემებზე ერთდროული წვდომა, პრივილეგია არ უნდა მიენიჭოს არცერთ მათგანს არანაირი ეროვნული თუ საერთაშორისო ნიშნის მიხედვით. მონაცემთა გავრცელების ფორმატის არჩევა, რომელიც მაქსიმალურად იქნება მორგებული მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე	ახალი
<b>დამატებითი საკითხები</b>		
46.	მონაცემები სეზონური შესწორებებით: აუცილებლობის მიხედვით ყოველთვიური და კვარტალური სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და გამოქვეყნება საგარეო ვაჭრობის შესახებ სეზონური შესწორებების გათვალისწინებით. ასევე, აისახოს მეტამონაცემებში ინფორმაცია მონაცემთა კორექტირების მეთოდებზე, ხარისხზე და ა.შ.	განახლებული შემოთავაზება
47.	საქმიანი აქტივობისა და ვაჭრობის სტატისტიკის ურთიერთდაკავშირება: ვაჭრობის რეესტრისა და კომერციული საწარმოების რეესტრის გაერთიანება და განხორციელდეს ერთიანი ეკონომიკური სტატისტიკის სისტემის ფორმირება მონაცემთა შედგენისა და ანალიზის კონტექსტში	ახალი შემოთავაზება

**დანართი №2.**

**სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის პარამეტრები და შეფასების კრიტერიუმები**

ხარისხის პარამეტრი	ხარისხის კრიტერიუმები და მაჩვენებლები
აქტუალობა	<p>1. საქონლით საგარეო ვაჭრობის არსებულ სტატისტიკასა და მომხმარებელთა მოთხოვნას შორის არსებული განსხვავება კონცეფციების, მოცვისა და დეტალიზაციის დონის თვალსაზრისით.</p> <p>2. მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხის გამოკვლევის შედეგები და შეხვედრები ინფორმაციის მომხმარებელთა ჯგუფებთან</p>

ხარისხის პარამეტრი	ხარისხის კრიტერიუმები და მაჩვენებლები
სიზუსტე	<p>1. მონაცემთა რეგისტრაციის ზღვარის გამოყენება.  2. არასრული მოცვა (არაორგანიზებული ვაჭრობის წილის განსაზღვრა).  3. მონაცემთა გადახედვის სიხშირე და მახასიათებლები.  4. კონფიდენციალობის პრინციპის გამოყენება და მისი ზეგავლენა.  5. მონაცემთა სისწორის დადასტურების მეთოდების გამოყენება და მათი გამოყენების შედეგები.</p> <p>იმ შემთხვევაში, როცა გამოიყენება შერჩევითი გამოკვლევის საფუძველზე მიღებული საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის შეფასებითი მაჩვენებლები, მონაცემთა სიზუსტე შეიძლება განისაზღვროს შემდეგი მაჩვენებლების გამოყენებით:</p> <p>6. შერჩევის შეცდომა.  7. შეცდომები, რომლებიც დაკავშირებული არ არის შერჩევასთან:  ა) მონაწილეობის ინდივიდუალური კოეფიციენტი;  ბ) მონაწილეობის სასაქონლო კოეფიციენტი.  8. სტატისტიკური მონაცემების გადახედვის (რევიზია) რაოდენობა და საშუალო მოცულობა.</p>
დროულობა	დროითი სხვაობა საანგარიშო პერიოდის დასრულებასა და საგარეო ვაჭრობის ექსპრეს მონაცემების (ან საბოლოო მონაცემების) გამოქვეყნების თარიღს შორის
მეთოდოლოგიური დასაბუთება	შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებიდან გადახრის რაოდენობა და ხარისხი გაზომვის კონცეფციებისა და პროცედურების გამოყენებისას მონაცემთა მოპოვებისა და საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების პროცესში.
შეთანხმებულობა	<p>1. ზოგადი კონცეფციების, კლასიფიკაციების, მონაცემთა წყაროებისა და მეთოდების გამოყენება.  2. შესაბამისი კორელაციური ცხრილების არსებობა.</p>
ხელმისაწვდომობა	<p>1. საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის გავრცელებისათვის გამოყენებული საშუალებების რაოდენობა და სახეები.  2. დეტალურ მონაცემებთან დაშვების უზრუნველყოფის ხარისხი.  3. გამოყენებული მეტამონაცემების მთლიანი მოცულობის გავრცელება.</p>

დანართი №3

საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოში 1996-2011 წლებში

წელი	ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი)	იმპორტი (მლნ. აშშ დოლარი)	საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობა
1996	203.0	751.1	3.7
1997	244.2	995.4	4.1
1998	191.3	882.6	4.6
1999	238.0	689.6	2.9
2000	323.9	709.5	2.2
2001	317.2	751.8	2.4
2002	345.7	794.6	2.3
2003	461.3	1,139.0	2.5
2004	646.8	1,844.4	2.9
2005	865.5	2,487.6	2.9
2006	936.5	3,674.7	3.9
2007	1,232.1	5,212.1	4.2
2008	1,495.2	6,301.5	4.2
2009	1,133.5	4,500.2	4.0
2010	1,677.5	5,257.1	3.1
2011*	2,189.1	7,057.8	3.2

\*წინასწარი მონაცემები.

დანართი №4

საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის სიდიდე საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე 2001-2011 წლებში

წელი	საგარეო სავაჭრო ბრუნვა (მლნ. აშშ დოლარი)	მოსახლეობა (მლნ. კაცი)**	ერთ სულ მოსახლეზე საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის სიდიდე (აშშ დოლარი)	ერთ სულ მოსახლეზე ექსპორტის სიდიდე (აშშ დოლარი)	ერთ სულ მოსახლეზე იმპორტის სიდიდე (აშშ დოლარი)
2000	1,033.4	4.4	<b>234.9</b>	73.6	161.3
2001	1,069.0	4.4	<b>242.9</b>	72.1	170.8
2002	1,140.3	4.4	<b>260.8</b>	79.1	181.8
2003	1,600.3	4.3	<b>368.5</b>	106.2	262.3
2004	2,491.2	4.3	<b>577.3</b>	149.9	427.4
2005	3,353.1	4.3	<b>775.9</b>	200.3	575.6
2006	4,611.2	4.4	<b>1,047.7</b>	212.8	834.9
2007	6,444.2	4.4	<b>1,466.4</b>	280.4	1,186.0
2008	7,796.7	4.4	<b>1,779.2</b>	341.2	1,438.0
2009	5,633.7	4.4	<b>1,284.6</b>	258.5	1,026.2
2010	6,934.6	4.4	<b>1,576.0</b>	381.2	1,194.8
2011*	9,246.9	4.5	<b>2,069.0</b>	489.8	1,579.2

\*წინასწარი მონაცემები.

\*\*მოსახლეობის რიცხოვნობა მოცემულია ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

დანართი №5

ექსპორტის კვოტა საქართველოში 1996-2011 წლებში (%)

წელი	მშპ (მლნ. აშშ დოლარი)	ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი)	ექსპორტის კვოტა (%)
1996	3,064.6	203.0	6.6
1997	3,510.7	244.2	7.0
1998	3,606.9	191.3	5.3
1999	2,814.1	238.0	8.5
2000	3,059.1	323.9	10.6
2001	3,221.0	317.2	9.8
2002	3,397.8	345.7	10.2
2003	3,990.8	461.3	11.6
2004	5,124.7	646.8	12.6
2005	6,411.0	865.5	13.5
2006	7,761.7	936.5	12.1
2007	10,171.9	1,232.1	12.1
2008	12,800.5	1,495.2	11.7
2009	10,767.1	1,133.5	10.5
2010	11,636.5	1,677.5	14.4
2011*	14,370.4	2,189.1	15.2

\*წინასწარი მონაცემები.

დანართი №6

იმპორტის ქვოტა საქართველოში 1996-2011 წლებში (%)

წელი	მშპ (მლნ. აშშ დოლარი)	იმპორტი (მლნ. აშშ დოლარი)	იმპორტის ქვოტა (%)
1996	3,064.6	751.1	24.5
1997	3,510.7	995.4	28.4
1998	3,606.9	882.6	24.5
1999	2,814.1	689.6	24.5
2000	3,059.1	709.5	23.2
2001	3,221.0	751.8	23.3
2002	3,397.8	794.6	23.4
2003	3,990.8	1,139.0	28.5
2004	5,124.7	1,844.4	36.0
2005	6,411.0	2,487.6	38.8
2006	7,761.7	3,674.7	47.3
2007	10,171.9	5,212.1	51.2
2008	12,800.5	6,301.5	49.2
2009	10,767.1	4,500.2	41.8
2010	11,636.5	5,257.1	45.2
2011*	14,370.4	7,057.8	49.1

\*წინასწარი მონაცემები.

დანართი №7

ეკონომიკის გახსნილობის შეფასების კრიტერიუმები

შეფასების კრიტერიუმები	განმარტება
ვაჭრობაზე დამოკიდებულების შეფასება	(ექსპორტი + იმპორტი) / მშპ
ექსპორტის ზრდის მაჩვენებელი	ექსპორტის ზრდის მაჩვენებელი კონკრეტული პერიოდის განმავლობაში
საშუალო ტარიფი	საშუალო შეწონილი სატარიფო ღონეები
ჯამური ტარიფის შეფარდება	სატარიფო შემოსავლების შეფარდება იმპორტთან
რაოდენობრივი შეზღუდვების დაფარვა	იმ საქონლის პროცენტული შეფარდება, რომელიც ექვემდებარება რაოდენობრივ შეზღუდვებს
არალეგალური საქმიანობიდან მიღებული მოგება, რომელსაც ხელს უწყობს ჩრდილოვანი ეკონომიკა (Black market premium)	გაცვლითი კურსი „შავ“ ბაზარზე
საქსისა და უორნერის ინდექსი	კომპლექსური ინდექსი, რომელიც შედგება ვაჭრობასთან დაკავშირებული რამდენიმე ინდიკატორისაგან: ტარიფი, ქვოტა, ჩრდილოვანი ეკონომიკა, სოციალური მოწყობა და საექსპორტო მარკეტინგის საბჭოს არსებობა
ლიმერის გახსნილობის ინდექსი	ინდექსი, რომელიც მიახლოებით აფასებს განსხვავებას რეალურ სავაჭრო ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის, რომლებიც უნდა არსებობდნენ თეორიული სავაჭრო მოდელების შესაბამისად

დანართი №8

იმპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 1996-2011 წლებში, (%)

წელი	საგარეო სავაჭრო ბრუნვა (მლნ. აშშ დოლარი)	იმპორტი (მლნ. აშშ დოლარი)	იმპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში (%)
1996	954.1	751.1	<b>78.7</b>
1997	1,239.6	995.4	<b>80.3</b>
1998	1,073.9	882.6	<b>82.2</b>
1999	927.6	689.6	<b>74.3</b>
2000	1,033.4	709.5	<b>68.7</b>
2001	1,069.0	751.8	<b>70.3</b>
2002	1,140.3	794.6	<b>69.7</b>
2003	1,600.3	1,139.0	<b>71.2</b>
2004	2,491.2	1,844.4	<b>74.0</b>
2005	3,353.1	2,487.6	<b>74.2</b>
2006	4,611.2	3,674.7	<b>79.7</b>
2007	6,444.2	5,212.1	<b>80.9</b>
2008	7,796.7	6,301.5	<b>80.8</b>
2009	5,633.7	4,500.2	<b>79.9</b>
2010	6,934.6	5,257.1	<b>75.8</b>
2011*	9,246.9	7,057.8	<b>76.3</b>

\*წინასწარი მონაცემები.

## დანართი №9

### საქონლის მიწოდების საბაზისო პირობები "INCOTERMS"

<p>1. „ფრანკო საწარმო“ EXW საბაზისო პირობა ნიშნავს, რომ გამყიდველი მოვალეა მყიდველს საქონელი წარუდგინოს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე. საქონლის შემდგომ ტრანსპორტირებას და მასთან დაკავშირებულ რისკს ეწევა მყიდველი;</p>
<p>2. „თავისუფალია ხომალდის გემბანის გასწვრივ“ (გადატვირთვის პორტის აღნიშვნით) FAS. ამ პირობის თანახმად გამყიდველი ვალდებულია ტვირთი გადაიტანოს მყიდველის მიერ დაფრახტული ხომალდის გემბანამდე. საქონლის ხომალდის გემბანის გასწვრივ მასზე პასუხისმგებლობა გადადის მყიდველზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დაფრახტული გემის მიწოდება და მასში საქონლის ჩატვირთვა საკუთარი ხარჯებით. FAS პირობით საქონლის მიწოდებისას გამყიდველი ვალდებულია გასწიოს ხომალდის გემბანამდე საქონლის მიტანის ყველა ხარჯი, მათ შორის ფრახტისა და დაზღვევის ხარჯები;</p>
<p>3. „ღირებულება და ფრახტი“ (დანიშნულების პორტის მითითებით) CFR (აღრე იგი ცნობილი იყო CAF პირობით). ამ პირობის თანახმად გამყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს, კონტრაქტით გათვალისწინებული დანიშნულების პორტამდე, საქონლის მიწოდებისა და ფრახტის ხარჯები. ამასთან, უარს ამბობს დაკარგვის, დაღუპვის, გაფუჭების რისკზე და წარმოქმნილ დამატებით ხარჯებზე იმ მომენტიდან, როცა საქონელი გადაკვეთს დატვირთვის ნავსადგურში გემის მოაჯირს;</p>
<p>4. „მიწოდება ფრანკო-გემი“ (დანიშნულების პორტის მითითებით) DES პირობა ნიშნავს, რომ გამყიდველი ვალდებულია მყიდველს საქონელი გადასცეს დანიშნულების პორტში ხომალდის გემბანზე. გადმოტვირთვის და საბაჟო გადასახადის ხარჯი მყიდველმა უნდა გასწიოს;</p>
<p>5. „მიწოდება ფრანკო-მისადგომი“ (დანიშნულების პორტის მითითებით) DEQ პირობა ითვალისწინებს გამყიდველის უფლებას მყიდველს საქონელი მიაწოდოს დანიშნულების პორტში კონტრაქტით განსაზღვრული ბაჟებისა და საიმპორტო მოსაკრებლების გადახდის შემდეგ. ამ შემთხვევაში გამყიდველის ხარჯში შედის დანიშნულების პორტის მისადგომამდე საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული დანახარჯები, ხოლო მყიდველი კისრულობს საიმპორტო ბაჟების გადახდასა და გემიდან საქონლის გადმოტვირთვის ხარჯებს. საქონელზე პასუხისმგებლობის გადაცემა ხდება დანიშნულების პორტის მისადგომში;</p>
<p>6. „მიწოდება ფრანკო-საზღვარი“ (სასაზღვრო პუნქტის დასახელებით) DAF. აღნიშნული პირობის თანახმად გამყიდველი ვალდებულია მყიდველს საქონელი მიაწოდოს კონტრაქტით გათვალისწინებული ქვეყნის სასაზღვრო პუნქტში. DAF პირობა გამოიყენება კონტინენტზე, სადაც არ არის საზღვაო ან საჰაერო გადაზიდვა. ამ პირობით გამყიდველი ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი მყიდველის განკარგულებაში საქონლის გადაცემამდე;</p>

7. „მიწოდება ბაჟის გადახდით“ (იმპორტის ქვეყნებში დანიშნულების პუნქტის მითითებით) DDP. მოცემული პირობა „ფრანკო-საწარმოს“ საპირისპიროა იმ თვალსაზრისით, რომ ვალდებულებების მაქსიმუმი აკისრია გამყიდველს, ხოლო მინიმუმი – მყიდველს. გამყიდველის ფუნქციაში შედის ხელშეკრულების გაფორმება სატრანსპორტო გადაზიდვით სამსახურებთან, საბაჟო ფორმულების შესრულება, საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზიების მიღება. მყიდველი მოვალეა მიიღოს საქონელი კონტრაქტით გათვალისწინებულ ადგილზე და გასწიოს ყველა შემდგომი ხარჯი და რისკი;

8. „ფრანკო-გადამზიდავი“ FCA. ამ პირობის თანახმად გამყიდველი ვალდებულია კონტრაქტით გათვალისწინებულ პუნქტში საქონელი მიაწოდოს გადაზიდვით პირს ან ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელია მის ტრანსპორტირებაზე. საქონელზე პასუხისმგებლობა გამყიდველიდან მყიდველზე გადადის გადაზიდვისათვის მისი ჩაბარების მომენტში. გამყიდველს ასევე ევალება საექსპორტო ლიცენზიის მიღება. მყიდველი ვალდებულია ხელშეკრულება გააფორმოს გადაზიდვით და საქონლის საბოლოო პუნქტამდე მიწოდება განახორციელოს საკუთარი ხარჯებით;

9. „ფრანკი გადახდილია . . . მდე“ (დანიშნულების პორტის მითითებით) CPT. პირობა ითვალისწინებს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტით გათვალისწინებულ პუნქტამდე საქონლის ღირებულების გადახდას გამყიდველის მიერ. გამყიდველიდან მყიდველზე პასუხისმგებლობის გადაცემა ხდება პირველი გადაზიდვის განკარგულებაში საქონლის გადაცემის მომენტში. ამ პუნქტიდან მყიდველმა უნდა გადაიხადოს ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი, ფრანკის გარდა;

10. „ფრანკი და დაზღვევა გადახდილია . . . მდე“ (დანიშნულების პუნქტის მითითებით) CIP. ამ პირობის თანახმად გამყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს დანიშნულების პუნქტამდე გადაზიდვისა და დაზღვევის საზღაური. საქონლის დაღუპვის ან დაზიანების რისკი გამყიდველიდან მყიდველზე გადადის პირველი გადაზიდვის განკარგულებაში საქონლის გადაცემის მომენტში;

11. „მიწოდება ანაზღაურებულია უბაჟოდ“ DDU პირობა ძირითადად DDP პირობას ემსგავსება, მაგრამ იგი არ ითვალისწინებს გამყიდველის მიერ ბაჟის გადახდას;

12. „ფრანკო-ვაგონი“ (გამგზავნი პუნქტის დასახელებით) FOR. ეს პირობა ითვალისწინებს გამყიდველის მიერ საქონლის რკინიგზისთვის გადაცემას წინასწარშეთანხმებულ სადგურზე, ვაგონში ჩატვირთვას და მყიდველისათვის შეტყობინებას. ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯებსა და რისკს ეწევა მყიდველი;

13. „თავისუფალი აეროპორტში“ (გამგზავნი აეროპორტის მითითებით) FOA. აღნიშნული პირობის თანახმად გამყიდველი ვალდებულია მყიდველის ხარჯზე გააფორმოს ხელშეკრულება საქონლის საჰაერო გადაზიდვის შესახებ მიმღები პუნქტის აეროპორტამდე და მიიტანოს ტვირთი გამგზავნი პუნქტის აეროპორტში. ამ მომენტიდან ყველა დანარჩენ რისკსა და გადასახადის ხარჯს ეწევა მყიდველი;

14. „თავისუფალი ხომალდის გემბანზე“ (გადატვირთვის პორტის დასახელებით) FOB. ამ პირობის თანახმად გამყიდველმა საქონელი უნდა მიაწოდოს კონტრაქტით გათვალისწინებულ პორტს ექსპორტიორის ქვეყანაში და დატვირთოს იგი მყიდველის მიერ დაფრახტული (დაქირავებული) ხომალდის გემბანზე. ამ შემთხვევაში მიწოდების წერტილად ითვლება გემბანის ზრუდის გადაკვეთის მომენტი;

15. „ღირებულება, დაზღვევა, ფრახტი“ (დანიშნულების პორტის მითითებით) CIF. მოცემული პირობით გამყიდველი ვალდებულია დაფრახტოს ხომალდი, გადაიხადოს ფრახტი, დატვირთოს ხომალდი, გადასცეს მყიდველს კონოსამენტი (დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების პირობებს) და საქონლის დაზღვევის პოლისი. მყიდველი მოვალეა ანგარიშსწორება მოახდინოს მხოლოდ ამ დოკუმენტების წარდგენის შემდეგ. საქონელზე საკუთრების უფლება არ იცვლება მანამ, სანამ არ მოხდება საქონელზე შესაბამისი დოკუმენტების გადაცემა მისი ფასის გადახდის სანაცვლოდ.

**დანართი №10**

**საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის**

**(HS 2007) ცვლილებები**

სასაქონლო კოდი	დასახელება
9801 10 000 00	87-ე სასაქონლო ჯგუფის ავტომანქანის ნაწილები
9802 00 000 00	მეორადი მოხმარების რბილი სათამაშოები
9803 00 000 00	მეორადი მოხმარების ტყავის ნაწარმი
9804 00 000 00	მეორადი მოხმარების რბილი ავეჯის ნაკრები
9805 00 000 00	ნაჭრები და ქსოვილები მრეწველობაში გამოყენებისათვის
9905 00 000 00	დიპლომატიური საქონელი

**დანართი №11**

**ქვეყნის ან ტერიტორიის რიცხვითი კოდის ცვლილება 2004 წლიდან**

რიცხვითი კოდი	ქვეყანა ან ტერიტორია	ცვლილების წელი
728	სამხრეთ სუდანი	2011
729	სუდანი	2011
680	სარკი	2011
531	კურაკალ	2010
534	სენტ მარტენი (ნიდერლანდების ნაწილი)	2010
535	ბონაირე, წმ. ევსტატე და საბა	2010
652	წმ. ბარტლომე	2007
663	წმ. მარტინი (საფრანგეთის ნაწილი)	2007
499	მონტენეგრო (1)	2006
688	სერბია (1)	2006
34	სამხრეთი აზია (2)	2005
143	ცენტრალური აზია (3)	2005
831	გუერნსი	2004
832	ჯერსი	2004

(1) სერბია და მონტენეგრო არსებობდა როგორც ერთი ქვეყანა რიცხვითი კოდით 891, რომელიც 2006 წლის 3 ივნისს გაიყო ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ;

(2) შედგება შემდეგი ქვეყნების ჯგუფისაგან: ავღანეთი, ბანგლადეში, ბუტანი, ინდოეთი, ირანი, მალდივები, ნეპალი, პაკისტანი, შრი ლანკა. ყოფილი სამხრეთ-ცენტრალური აზიის ნაწილი (რიცხვითი კოდით 062);

(3) შედგება შემდეგი ქვეყნების ჯგუფისაგან: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი. ყოფილი სამხრეთ-ცენტრალური აზიის ნაწილი (რიცხვითი კოდით 062).

**დანართი №12**

**ქვეყნის დასახელების ცვლილება რიცხვითი კოდის შეუცვლელად**

ახალი დასახელება	ძველი დასახელება
მოლდოვას რესპუბლიკა	მოლდოვა
მიანმარი	ბურმა
ნეპალი	ნეპალის ფედერალურ-დემოკრატიული რესპუბლიკა
ლიბია	ლიბიის არაბთა ჯამაჰირა
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	ზაირი
კამბოჯა	დემოკრატიული კამპუჩია
ბურკინა ფასო	აფერ ვოლტა

დანართი №13

რიცხვითი კოდის ან დასახელების ხმარებიდან ამოღება

რიცხვითი კოდი	ქვეყანა
736	სუდანი (ახლა 729)
530	ნიდერლანდების ანტილები (1)
200	ჩეხოსლოვაკია (2)
720	დემოკრატიული იემენი (3)
230	ეთიოპია (ახლა 231)
280	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (4)
278	გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (4)
582	წყნარი ოკეანის კუნძულები
891	სერბია და მონტენეგრო
890	იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკა (5)
62	სამხრეთ-ცენტრალური აზია
810	სსრკ (6)
886	იემენი (3)

(1) ნიდერლანდების ანტილების ფედერაცია ფორმალურად დაიშალა 2010 წლის 10 ოქტომბერს, რის შედეგადაც შეიცვალა ხუთი კუნძულის კონსტიტუციური სტატუსი. ახალი პოლიტიკური სტრუქტურის მიხედვით კურაკაო და სენტ მარტენ (ნიდერლანდების ნაწილი) ნიდერლანდების სამეფოს შიგნით გახდნენ ავტონომიური ქვეყნები;

(2) 1993 წლის 1 იანვრამდე ცალკე არსებობდა ჩეხეთისა (კოდი 203) და სლოვაკეთის (კოდი 703) რესპუბლიკები;

(3) 1990 წლის 22 მაისს დემოკრატიული იემენი (კოდი 720) და იემენი (კოდი 886) გაერთიანდნენ ერთ სუვერენულ სახელმწიფოდ "იემენი" (კოდი 887);

(4) 1990 წლის 3 ოქტომბრის შემდეგ ორი გერმანული სახელმწიფო გაერთიანდა ერთ სუვერენულ სახელმწიფოდ. მას შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გაეროს კლასიფიკაციაში შევიდა გერმანიის სახელწოდებით (კოდი 276);

(5) 1992 წლის 1 იანვრამდე იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკა შედგებოდა ექვსი სახელმწიფოსგან: ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, მაკედონია, მონტენეგრო, სერბია, სლოვენია;

(6) 1991 წელს ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) დაიშალა 15 რესპუბლიკად: აზერბაიჯანი, ბელარუსი, ესტონეთი, თურქმენეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვას რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, საქართველო, სომხეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი.

დანართი №14

ცალკეული სასაქონლო კოდისათვის 2010 წლის განმავლობაში განხორციელებული იმპორტის ინტენსივობის დადგენა

ათასი აშშ დოლარი

სექცია	II ნიშნა სასაქონლო კოდი	კმ	I			II			III			IV			იმპორტის ინტენსივობა წლის განმავლობაში თვეების მისედვით (რაოდენობა)	ღირებულება ათასი აშშ დოლარი (1-12)	წონა ტონა (1-12)	საშ. ფასი აშშ დოლარი (1-12)
		თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12				
V	2711 12 97000	-	-	-	-	234.4	248.9	243.1	210.1	189.9	148.6	-	-	6	1,274.9	2,528.3	0.50	
V	2711 13 91000	-	178.9	339.5	555.8	723.7	171.6	605.5	-	522.8	354.1	638.1	737.1	10	4,827.2	6,793.9	0.71	

პირობითი აღნიშვნა:

- მოვლენას აღგილი არ ჰქონდა

დანართი №15

დეკლარაციის გაფორმების თარიღი	სასაქონლო კოდი	საქონლის აღწერილობა	f	xf	x	S <sup>2</sup>	ქვეყნის კოდი
			კბ	ღირებულება (აშშ დოლარი)	საქონლის ფასი (აშშ დოლარი)	დისპერსია	
23-Feb-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	245,000.0	178,850.0	0.73	81.4	31
05-Mar-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	244,000.0	178,120.0	0.73	81.0	31
29-Mar-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	221,100.0	161,403.0	0.73	73.4	31
02-Apr-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	245,500.0	179,215.0	0.73	81.5	31
10-Apr-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	24,400.0	17,812.0	0.73	8.1	31
17-Apr-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	244,300.0	178,339.0	0.73	81.1	31
19-Apr-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	247,200.0	180,456.0	0.73	82.1	31
29-May-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	245,100.0	178,923.0	0.73	81.4	31
17-May-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	478,900.0	349,597.0	0.73	159.1	31
07-May-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	244,700.0	178,631.0	0.73	81.3	31
21-Jun-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	235,100.0	171,623.0	0.73	78.1	31
30-Jul-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	477,200.0	348,356.0	0.73	158.5	31
05-Jul-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	352,300.0	257,179.0	0.73	117.0	31
06-Sep-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	238,600.0	174,178.0	0.73	79.3	31
24-Sep-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	239,100.0	174,543.0	0.73	79.4	31
29-Sep-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	238,400.0	174,032.0	0.73	79.2	31
20-Oct-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	239,600.0	174,908.0	0.73	79.6	31
28-Oct-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	244,000.0	178,120.0	0.73	81.0	31
29-Nov-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	474,100.0	317,647.0	0.67	827.4	31
16-Nov-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	478,300.0	320,461.0	0.67	834.7	31
06-Dec-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	490,050.0	328,333.5	0.67	855.2	31
20-Dec-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	489,350.0	327,864.5	0.67	854.0	31
30-Dec-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	120,700.0	80,869.0	0.67	210.6	31
<b>ჯამი</b>			<b>6,757,000.0</b>	<b>4,809,460.0</b>	<b>0.7118</b>	<b>0.001</b>	<b>S<sup>2</sup></b>
					<b>Xსაშ</b>	<b>0.002</b>	<b>V<sup>2</sup></b>

**შერჩევადან ამოღებული**

დეკლარაციის გაფორმების თარიღი	სასაქონლო კოდი	საქონლის აღწერილობა	<b>f</b>	<b>x f</b>	<b>x</b>	<b>S<sup>2</sup></b>	ქვეყნის კოდი
			კბ	აშშ დოლარი	საქონლის ფასი (აშშ დოლარი)	დისპერსია	
25-Oct-10	2711 13 910 00	ტურისტული გაზქურის ერთჯერადი გამოყენების აირის კონტეინერი-250გრ-იანი, 240 ცალი წონა ნეტო 60კგ	60.0	1,115.2	18.59	19,172.1	276
07-May-10	2711 13 910 00	ტექნიკური ბუტანი	36,850.0	16,582.5	0.45	2,500.9	364

	<b>ჯამი</b>	<b>6,793,910.0</b>	<b>4,827,157.6</b>	<b>0.7105</b>	<b>0.004</b>	<b>S<sup>2</sup></b>
				<b>Xსაშ</b>	<b>0.004</b>	<b>V<sup>2</sup></b>

**დანართი №16**

**2011 წლის I კვარტალი**

დეკლარაციის გაფორმების თარიღი	სასაქონლო კოდი	საქონლის აღწერილობა	<b>f</b>	<b>x f</b>	<b>x</b>	<b>S<sup>2</sup></b>	ქვეყნის კოდი
			კბ	აშშ დოლარი	საქონლის ფასი (აშშ დოლარი)	დისპერსია	
24-Jan-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	731,600	534,068	0.73	668.4	31
15-Mar-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	491,000	328,970	0.67	435.3	31
23-Mar-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	251,700	168,639	0.67	223.1	31
	<b>ჯამი</b>		<b>1,474,300</b>	<b>1,031,677</b>	<b>0.70</b>	<b>0.001</b>	<b>S<sup>2</sup></b>
					<b>Xსაშ</b>	<b>0.002</b>	<b>V<sup>2</sup></b>

დანართი №17

2011 წლის II კვარტალი

დეკლარაციის გაფორმების თარიღი	სასაქონლო კოდი	საქონლის აღწერილობა	f	xf	x	S <sup>2</sup>	ქვეყნის კოდი
			კბ	აშშ დოლარი	საქონლის ფასი (აშშ დოლარი)	დისპერსია	
08-Apr-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	490,350	357,956	0.73	970.0	31
28-Apr-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	120,300	87,819	0.73	238.0	31
28-Apr-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	367,100	297,351	0.81	463.2	31
07-May-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	477,350	386,654	0.81	602.3	31
08-May-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	341,300	276,453	0.81	430.7	31
16-May-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	480,500	389,205	0.81	606.3	31
16-May-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	242,000	196,020	0.81	305.4	31
21-May-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	145,600	106,288	0.73	288.0	31
06-Jun-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	335,350	271,634	0.81	423.2	31
06-Jun-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	331,750	268,718	0.81	418.6	31
11-Jun-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	239,300	174,689	0.73	473.4	31
21-Jun-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	336,000	245,280	0.73	664.7	31
27-Jun-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	365,250	266,632	0.73	722.6	31
27-Jun-11	27111391000	ტექნიკური ბუტანი	360,000	262,800	0.73	712.2	31
<b>ჯამი</b>			<b>4,632,150</b>	<b>3,587,497</b>	<b>0.77</b>	<b>0.002</b>	<b>S<sup>2</sup></b>
					<b>Xსაშ</b>	<b>0.003</b>	<b>V<sup>2</sup></b>

දානාර්ථි №18

HS	P(0)*Q(0)	P(0)	P(t-1)	P(t)	P(t-1)/P(0)	P(t)/P(0)	I(t)/I(t-1)	P(t-1)*Q(0)	P(t)*Q(0)
V	<b>1,070,230,889.5</b>				0.3419	0.3884	<b>1.1360</b>	365,930,945	415,715,237
	957,299,131.5				<b>0.3419</b>	<b>0.3884</b>	1.1360	327,317,571	371,848,579
27	957,299,131				0.3419	0.3884	1.1360	327,317,571	371,848,579
	859,512,143				<b>0.3419</b>	<b>0.3884</b>	1.1360	293,882,463	333,864,681
2709	4,008,485				0.8731	1.0478	1.2000	3,500,000	4,200,000
2710	694,995,487				0.2033	0.2096	1.0308	141,300,000	145,652,311
2711	160,508,172				0.9288	1.1464	1.2343	149,082,463	184,012,370
	18,117,537				<b>0.9288</b>	<b>1.1464</b>	1.2343	16,827,848	20,770,599
271113	10,665,401				0.9771	1.0634	1.0883	10,421,625	11,341,366
	8,454,562				<b>0.9771</b>	<b>1.0634</b>	1.0883	8,261,319	8,990,406
27111391000	4,809,460	0.71	0.70	0.77	0.9831	1.0881	1.1068	4,728,374	5,233,147
27111397000	3,645,102	0.65	0.63	0.67	0.9692	1.0308	1.0635	3,532,945	3,757,259
271112	7,452,136				0.8596	1.2653	1.4719	6,406,222	9,429,233
27111221000	7,452,136	0.57	0.49	0.62	0.8596	1.2653	1.4719	6,406,222	9,429,233
26	68,095,352.1				0.7636	0.8077	1.0577	52,000,000	55,000,000
25	44,836,405.9				0.8921	0.9367	1.0500	40,000,000	42,000,000

დანართი №19

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები

მლნ. აშშ დოლარი

	ექსპორტი	რე-ექსპორტი	რე-ექსპორტის წილი ექსპორტში (%)	იმპორტი	რე-იმპორტი	რე-იმპორტის წილი იმპორტში (%)	ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი (%)	საღდო	სავაჭრო ბრუნვა	ექსპორტის წილი ბრუნვაში (%)	იმპორტის წილი ბრუნვაში (%)	საღდოს წილი ბრუნვაში (%)
2000	323.9	18.8	5.8	709.5	0.02	0.002	45.7	-385.6	1,033.4	31.3	68.7	37.3
2001	317.2	19.0	6.0	751.8	0.08	0.01	42.2	-434.6	1,069.0	29.7	70.3	40.7
2002	345.7	20.0	5.8	794.6	0.10	0.01	43.5	-448.9	1,140.3	30.3	69.7	39.4
2003	461.3	28.3	6.1	1,139.0	0.14	0.01	40.5	-677.7	1,600.3	28.8	71.2	42.3
2004	646.8	61.0	9.4	1,844.4	0.02	0.001	35.1	-1,197.6	2,491.2	26.0	74.0	48.1
2005	865.5	59.8	6.9	2,487.6	0.04	0.002	34.8	-1,622.1	3,353.1	25.8	74.2	48.4
2006	936.5	109.9	11.7	3,674.7	7.94	0.2	25.5	-2,738.2	4,611.2	20.3	79.7	59.4
2007	1,232.1	119.4	9.7	5,212.1	0.25	0.005	23.6	-3,980.0	6,444.2	19.1	80.9	61.8
2008	1,495.2	169.6	11.3	6,301.5	0.20	0.003	23.7	-4,806.3	7,796.7	19.2	80.8	61.6
2009	1,133.5	143.5	12.7	4,500.2	0.14	0.003	25.2	-3,366.7	5,633.7	20.1	79.9	59.8
2010	1,677.5	296.9	17.7	5,257.1	0.36	0.01	31.9	-3,579.7	6,934.6	24.2	75.8	51.6
2011*	2,189.1	488.1	22.3	7,057.8	0.26	0.004	31.0	-4,868.6	9,246.9	23.7	76.3	52.7

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №20.

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ჯაჭვური ზრდის ტემპები საქართველოში (%)

	ექსპორტი	რეექსპორტი	იმპორტი	საღირებულება	საგაჭრო ბრუნვა
2000	136.1	127.2	102.9	85.4	111.4
2001	97.9	101.0	106.0	112.7	103.4
2002	109.0	105.6	105.7	103.3	106.7
2003	133.4	141.1	143.3	151.0	140.3
2004	140.2	215.8	161.9	176.7	155.7
2005	133.8	98.0	134.9	135.4	134.6
2006	108.2	183.9	147.7	168.8	137.5
2007	131.6	108.7	141.8	145.4	139.8
2008	121.4	142.0	120.9	120.8	121.0
2009	75.8	84.6	71.4	70.0	72.3
2010	148.0	206.9	116.8	106.3	123.1
2011*	130.5	164.4	134.3	136.0	133.3
საშუალო წლიური ზრდის ტემპი	119.8	144.9	119.4	119.3	119.5

\* წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №21

საქართველოს საგარეო ვაჭრობა კონტინენტების მიხედვით

კონტინენტი	მლნ. აშშ დოლარი											
	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011*
<b>ექსპორტი სულ</b>	<b>323.9</b>	<b>317.2</b>	<b>345.7</b>	<b>461.3</b>	<b>646.9</b>	<b>865.5</b>	<b>936.4</b>	<b>1,232.1</b>	<b>1,495.3</b>	<b>1,133.6</b>	<b>1,677.5</b>	<b>2,189.1</b>
მათ შორის:												
აფრიკა	4.7	0.5	2.8	0.1	2.5	13.9	13.4	4.9	1.5	9.4	21.1	8.4
ამერიკა	9.4	9.3	14.5	19.4	25.2	70.1	124.2	246.8	298.1	155.1	318.5	314.6
აზია	139.7	141.3	159.6	208.4	349.5	366.9	420.5	556.5	685.3	603.8	849.0	1,221.4
ევროპა	170.2	166.0	168.7	233.4	269.4	414.5	378.2	423.7	510.3	365.1	487.8	643.5
ოკეანეთი	0.0	0.0	0.1	0.0	0.2	0.0	0.1	0.2	0.2	0.3	1.0	1.2
<b>იმპორტი სულ</b>	<b>709.5</b>	<b>752.0</b>	<b>794.7</b>	<b>1,139.0</b>	<b>1,844.3</b>	<b>2,487.5</b>	<b>3,674.8</b>	<b>5,212.2</b>	<b>6,301.5</b>	<b>4,500.2</b>	<b>5,257.1</b>	<b>7,057.8</b>
მათ შორის:												
აფრიკა	0.6	1.9	1.6	0.5	9.5	4.2	9.8	33.4	45.3	37.0	34.2	51.5
ამერიკა	80.5	71.0	96.9	131.2	165.1	243.7	204.7	309.5	501.5	337.2	308.3	403.7
აზია	260.1	248.7	236.5	306.5	583.0	857.3	1,381.7	2,063.1	2,788.3	1,984.2	2,471.0	3,332.3
ევროპა	364.0	427.1	456.4	697.6	1,084.7	1,377.6	2,069.1	2,796.8	2,957.2	2,129.8	2,404.4	3,251.1
ოკეანეთი	4.3	3.3	3.2	3.2	2.1	4.7	9.6	9.3	9.3	12.1	39.4	19.1

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
პირობითი აღნიშვნები: 0.0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა

დანართი №22

საქართველოს ექსპორტ-იმპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით

მლნ. აშშ დოლარი

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011*
<b>ექსპორტი სულ</b>	<b>323.9</b>	<b>317.2</b>	<b>345.7</b>	<b>461.3</b>	<b>646.9</b>	<b>865.5</b>	<b>936.4</b>	<b>1,232.1</b>	<b>1,495.3</b>	<b>1,133.6</b>	<b>1,677.5</b>	<b>2,189.1</b>
აქედან:												
ევროკავშირის (EU) ქვეყნები (27)	78.9	62.3	63.4	82.7	128.2	216.8	225.4	268.5	335.2	237.5	309.5	424.3
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (CIS) ქვეყნები	128.1	143.8	168.5	224.7	327.6	407.2	391.1	461.9	540.9	416.2	676.7	1,052.7
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ქვეყნები	194.9	181.4	180.0	250.2	343.2	498.8	499.2	634.4	884.0	697.2	898.2	1,184.7
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნები	167.0	153.8	155.6	212.4	272.0	360.7	390.5	612.4	751.9	521.2	741.2	814.2
ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ქვეყნები	180.2	162.9	165.4	229.0	306.0	429.6	495.0	733.5	919.6	666.6	931.4	1,050.8
სუამის (GUAM) ქვეყნები	31.3	21.6	42.0	46.7	41.1	120.6	146.0	232.5	338.7	251.2	374.4	577.6
<b>იმპორტი სულ</b>	<b>709.5</b>	<b>752.0</b>	<b>794.7</b>	<b>1,139.0</b>	<b>1,844.3</b>	<b>2,487.5</b>	<b>3,674.8</b>	<b>5,212.2</b>	<b>6,301.5</b>	<b>4,500.2</b>	<b>5,257.1</b>	<b>7,057.8</b>
აქედან:												
ევროკავშირის (EU) ქვეყნები (27)	217.3	268.5	251.3	439.2	657.2	740.3	1,104.1	1,538.9	1,756.4	1,335.5	1,467.2	2,053.1
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (CIS) ქვეყნები	229.4	252.8	291.4	368.0	653.7	994.4	1,398.6	1,849.4	1,998.0	1,298.3	1,587.6	1,941.6
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ქვეყნები	348.2	366.3	388.4	497.3	852.0	1,292.9	1,950.1	2,653.2	2,981.5	2,288.1	2,620.2	3,553.3
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნები	392.0	420.2	411.4	625.3	946.8	1,094.0	1,708.9	2,360.6	3,068.7	2,303.2	2,515.6	3,387.5
ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ქვეყნები	460.2	478.0	469.2	729.8	1,126.3	1,400.0	2,090.3	3,064.3	3,885.6	2,926.3	3,225.6	4,432.0
სუამის (GUAM) ქვეყნები	91.5	124.3	139.4	175.0	300.5	456.2	642.5	961.1	1,269.4	835.4	1,050.1	1,322.6

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №23

საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით

მლნ. აშშ დოლარი

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011*
<b>ექსპორტი, სულ</b>	<b>323.9</b>	<b>317.2</b>	<b>345.7</b>	<b>461.3</b>	<b>646.9</b>	<b>865.5</b>	<b>936.4</b>	<b>1,232.1</b>	<b>1,495.3</b>	<b>1,133.6</b>	<b>1,677.5</b>	<b>2,189.1</b>
მათ შორის:												
აზერბაიჯანი	20.1	10.0	29.2	16.4	25.3	83.4	88.9	137.5	203.9	165.6	256.2	425.9
თურქეთი	74.4	69.8	53.7	82.5	118.6	121.9	123.3	171.8	262.9	225.8	216.8	227.6
სომხეთი	13.6	12.5	20.1	30.8	54.4	39.7	73.6	110.8	123.4	88.9	166.8	223.0
ყაზახეთი	4.0	4.3	3.0	4.3	7.6	9.8	15.4	34.3	22.0	20.5	50.1	156.9
აშშ	7.1	8.8	13.5	15.4	21.2	26.7	58.5	149.0	102.2	36.9	187.2	143.5
უკრაინა	11.0	11.5	12.7	30.1	15.6	36.9	56.8	94.2	134.2	84.0	110.4	141.2
კანადა	0.0	0.0	0.1	0.2	3.7	35.6	48.9	70.6	131.8	117.2	118.7	114.8
ბულგარეთი	2.4	0.6	0.1	0.2	15.6	42.8	62.3	59.4	108.2	82.3	66.8	93.7
იტალია	12.1	8.6	7.6	8.7	11.6	33.6	24.0	17.8	17.1	23.3	26.0	75.5
გერმანია	34.1	7.7	5.4	9.8	15.9	28.4	39.5	56.2	33.1	23.0	35.0	49.1
დანარჩენი ქვეყნები	145.2	183.4	200.4	262.9	357.5	406.5	345.2	330.6	356.4	266.1	443.5	538.0

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №24

ექსპორტი აზერბაიჯანში

კოდი	დასახელება	მლნ. აშშ დოლარი		
		2010	2011*	ცვლილება (%)
<b>ექსპორტი, სულ</b>		<b>256.2</b>	<b>425.9</b>	<b>66.2</b>
მათ შორის:				
8703	მსუბუქი ავტომობილები	104.3	177.8	70.6
8803	საფრენი აპარატების ნაწილები	26.4	36.5	38.2
7214	წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე	18.7	35.8	91.3
0102	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცოცხალი	18.4	27.7	50.6
2523	ცემენტი	5.6	18.7	236.5
	დანარჩენი საქონელი	82.9	129.3	-

იმპორტი აზერბაიჯანიდან

კოდი	დასახელება	მლნ. აშშ დოლარი		
		2010	2011*	ცვლილება (%)
<b>იმპორტი, სულ</b>		<b>484.6</b>	<b>610.8</b>	<b>26.0</b>
მათ შორის:				
2710	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	299.7	340.8	13.7
2711	ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	97.5	172.8	77.2
2520	თაბაშირი; ანჰიდრიტი; ბათქაში	6.8	10.5	54.8
2713	ნავთობის კოქსი, ნავთობის ბიტუმი და ნავთობის გადამუშავების სხვა ნარჩენები	6.4	9.1	42.1
8704	სატვირთო ავტომობილები	0.2	5.5	2,700.0
	დანარჩენი საქონელი	74.0	72.0	-

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №25

**ექსპორტი თურქეთში**

კოდი	დასახელება	მლნ. აშშ დოლარი		
		2010	2011*	ცვლილება (%)
<b>ექსპორტი, სულ</b>		<b>216.8</b>	<b>227.6</b>	<b>5.0</b>
მათ შორის:				
7204	ნარჩენები და ჯართი შავი ლითონებისა	89.0	82.7	-7.0
7202	ფეროშენადნობები	24.7	50.5	104.3
3102	სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	18.5	19.2	3.3
2716	ელექტროენერჯია	10.4	12.3	18.2
8703	მსუბუქი ავტომობილები	16.7	7.6	-54.7
	დანარჩენი საქონელი	57.5	55.4	-

**იმპორტი თურქეთიდან**

კოდი	დასახელება	მლნ. აშშ დოლარი		
		2010	2011*	ცვლილება (%)
<b>იმპორტი, სულ</b>		<b>886.7</b>	<b>1,272.4</b>	<b>43.5</b>
მათ შორის:				
7308	მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან და მათი ნაწილები	19.5	42.7	119.0
3917	მიღები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები პლასტმასებისაგან	23.8	35.4	48.3
3004	სამკურნალო საშუალებები	38.1	33.9	-11.0
4818	ქაღალდი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ან სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულებისა, რულონებად ან დაჭრილი ზომებად	27.5	33.4	21.6
8544	მავთულები იზოლირებული, კაბელები	13.0	28.9	122.9
	დანარჩენი საქონელი	764.8	1,098.1	-

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №26

ექსპორტი სომხეთში

კოდი	დასახელება	მლნ. აშშ დოლარი		
		2010	2011*	ცვლილება (%)
<b>ექსპორტი, სულ</b>		<b>166.8</b>	<b>223.0</b>	<b>33.8</b>
მათ შორის:				
8703	მსუბუქი ავტომობილები	54.4	97.5	79.3
8704	სატვირთო ავტომობილები	8.2	11.6	41.0
7214	წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე	8.1	8.6	6.1
	დანარჩენი საქონელი	96.0	105.3	-

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №27

ექსპორტი რუსეთში

კოდი	დასახელება	მლნ. აშშ დოლარი		
		2010	2011*	ცვლილება (%)
<b>ექსპორტი, სულ</b>		<b>34.7</b>	<b>36.6</b>	<b>5.5</b>
მათ შორის:				
2716	ელექტროენერგია	22.6	15.4	-31.8
8703	მსუბუქი ავტომობილები	1.2	5.5	351.5
7202	ფეროშენადნობები	5.0	4.5	-9.5
2602	მადნები და კონცენტრატები მანგანუმის	2.2	3.8	71.8
2820	მანგანუმის ოქსიდები	0.7	1.5	119.7
	დანარჩენი საქონელი	2.9	5.8	-

იმპორტი რუსეთიდან

კოდი	დასახელება	მლნ. აშშ დოლარი		
		2010	2011*	ცვლილება (%)
<b>იმპორტი, სულ</b>		<b>290.5</b>	<b>389.7</b>	<b>34.1</b>
მათ შორის:				
1001	ხორბალი და მესლინი	66.9	73.5	9.8
2710	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	26.6	57.5	116.1
2711	ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	50.9	52.0	2.1
2716	ელექტროენერგია	12.8	23.4	83.3
1806	შოკოლადი და კაკაოს შემცველი კვების სხვა მზა პროდუქტები	13.7	16.2	17.6
	დანარჩენი საქონელი	119.5	167.1	-

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №28

საქართველოს იმპორტი ქვეყნების მიხედვით

	მლნ. აშშ დოლარი											
	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011*
<b>იმპორტი, სულ</b>	<b>709.5</b>	<b>752.0</b>	<b>794.7</b>	<b>1,139.0</b>	<b>1,844.3</b>	<b>2,487.5</b>	<b>3,674.8</b>	<b>5,212.2</b>	<b>6,301.5</b>	<b>4,500.2</b>	<b>5,257.1</b>	<b>7,057.8</b>
მათ შორის:												
თურქეთი	111.5	107.1	89.6	112.0	202.1	283.0	522.6	727.9	940.5	787.9	886.7	1,272.4
უკრაინა	35.4	50.8	58.9	80.2	142.4	219.4	320.1	574.9	657.7	421.2	560.9	705.6
აზერბაიჯანი	55.9	73.2	80.1	93.7	156.4	232.8	318.9	382.4	607.4	410.2	484.6	610.8
ჩინეთი	2.9	3.9	8.7	23.2	28.9	46.7	103.3	206.7	298.3	174.7	335.2	524.8
გერმანია	55.4	76.2	59.8	82.8	151.1	206.8	351.1	387.3	497.3	302.1	333.4	480.6
რუსეთი	93.2	91.9	121.7	157.9	254.5	381.6	555.4	573.9	423.3	291.6	290.5	389.7
ბულგარეთი	15.7	10.7	13.8	19.3	38.9	72.3	115.5	184.0	124.1	152.8	131.7	255.6
აშშ	69.6	64.1	68.8	90.7	110.9	146.9	129.6	203.9	358.1	231.6	181.0	245.8
არაბთა გაერთიანებული ემირატები	9.8	8.2	6.2	19.8	46.7	73.0	109.1	214.7	276.9	110.4	159.3	226.4
რუმინეთი	13.3	17.0	5.2	10.5	14.0	40.7	40.8	90.2	92.4	115.1	140.8	188.3
<b>დანარჩენი ქვეყნები</b>	<b>246.8</b>	<b>249.0</b>	<b>281.9</b>	<b>448.8</b>	<b>698.5</b>	<b>784.5</b>	<b>1,108.4</b>	<b>1,666.2</b>	<b>2,025.5</b>	<b>1,502.6</b>	<b>1,753.0</b>	<b>2,157.9</b>

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №29

იმპორტი უკრაინიდან

კოდი	დასახელება	მლნ. აშშ დოლარი		
		2010	2011*	ცვლილება (%)
	<b>ექსპორტი, სულ</b>	<b>560.9</b>	<b>705.6</b>	<b>25.8</b>
	მათ შორის:			
2402	სიგარები და სიგარეტები	66.6	66.2	-0.6
1512	ზეთი მზეესუმზირისა, აღისარჩულისა ან ბამბისა და მათი ფრაქციები	37.9	56.8	50.0
1001	ხორბალი და მესლინი	19.2	50.1	160.2
7214	წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	50.4	46.6	-7.5
2704	კოქსი და ნახევარკოქსი ქვანახშირის, ლიგნიტის ან ტორფისაგან	23.9	40.9	71.5
	დანარჩენი საქონელი	362.9	444.9	-

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №30

საქართველოს ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

მლნ. აშშ დოლარი

კოდი	დასახელება	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011*
<b>ექსპორტი სულ</b>		<b>323.9</b>	<b>317.2</b>	<b>345.7</b>	<b>461.3</b>	<b>646.9</b>	<b>865.5</b>	<b>936.4</b>	<b>1,232.1</b>	<b>1,495.3</b>	<b>1,133.6</b>	<b>1,677.5</b>	<b>2,189.1</b>
მათ შორის:													
8703	მსუბუქი ავტომობილები	0.3	0.5	0.6	1.1	3.8	17.9	50.5	70.2	113.3	78.5	227.4	450.3
7202	ფეროშენადნობები	13.6	17.6	15.5	26.1	42.5	80.2	89.8	159.6	267.2	130.1	264.0	254.9
3102	სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	16.2	4.9	12.0	18.4	28.8	35.8	46.6	57.0	105.5	60.2	84.2	144.1
0802	კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი	19.3	9.8	6.8	12.6	17.7	70.3	56.6	65.1	31.7	70.0	75.1	130.1
7204	ნარჩენები და ჯართი შავი ლითონებისა	39.0	33.1	36.5	60.1	95.9	84.2	72.4	96.9	128.5	63.6	109.4	116.8
7108	ოქრო დაუშუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით	-	12.5	28.6	20.3	18.8	34.7	49.4	69.4	100.1	116.2	117.6	109.9
2603	მადნები და კონცენტრატები სპილენძის	9.8	9.6	13.2	23.4	31.8	36.4	79.5	79.2	118.3	61.9	74.5	85.1
2208	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე												
7214	წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე	3.0	3.9	5.6	13.1	18.9	29.2	30.1	57.4	59.0	54.0	55.7	67.9
2204	ყურძნის ნატურალური ღვინოები	0.1	0.2	0.2	0.1	0.1	0.2	0.2	0.2	9.4	2.5	36.2	61.0
7404	ნარჩენები და ჯართი სპილენძისა	29.0	32.3	33.2	42.6	48.7	81.3	41.1	29.2	36.9	32.0	41.1	54.1
2201	მინერალური და მტკნარი წყლები	4.3	7.6	4.6	8.7	8.3	11.5	30.2	37.1	29.7	19.0	41.7	48.1
	დანარჩენი საქონელი	9.4	11.7	17.3	19.7	19.3	32.5	24.0	25.4	31.0	24.7	36.9	47.6
		<b>179.8</b>	<b>173.5</b>	<b>171.6</b>	<b>215.1</b>	<b>312.1</b>	<b>351.2</b>	<b>366.1</b>	<b>485.4</b>	<b>464.6</b>	<b>421.0</b>	<b>513.7</b>	<b>619.2</b>

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირობითი აღნიშვნები: - მოვლენას ადგილი არ აქვს

დანართი №31

საქართველოს იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

მლნ. აშშ დოლარი

კოდი	დასახელება	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011*
<b>იმპორტი სულ</b>		<b>709.5</b>	<b>752.0</b>	<b>794.7</b>	<b>1,139.0</b>	<b>1,844.3</b>	<b>2,487.5</b>	<b>3,674.8</b>	<b>5,212.2</b>	<b>6,301.5</b>	<b>4,500.2</b>	<b>5,257.1</b>	<b>7,057.8</b>
მათ შორის:													
2710	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	71.8	87.7	88.8	104.8	186.2	336.3	443.1	556.3	762.5	555.3	696.9	911.0
8703	მსუბუქი ავტომობილები	15.5	13.1	21.9	46.5	116.3	178.5	294.5	369.7	706.8	304.0	401.7	510.5
2711	ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები												
	სხვა	50.3	48.8	52.4	66.0	80.1	90.8	213.1	293.9	204.7	191.7	160.5	236.6
3004	სამკურნალო საშუალებები	45.8	53.6	62.0	62.9	78.0	92.5	114.5	144.0	189.9	180.3	191.9	201.4
1001	ხორბალი და მესლინი	29.2	14.4	20.1	28.0	75.0	45.1	99.1	139.2	108.9	105.5	174.2	184.2
8517	სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების ნათვლით	6.4	10.4	9.3	14.7	9.7	10.2	24.3	28.9	49.5	78.6	111.3	133.7
7308	მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან და მათი ნაწილები	3.5	5.8	3.0	4.2	5.0	12.5	17.8	29.9	38.9	19.1	50.0	102.1
1701	შაქარი	25.4	24.1	34.7	53.0	50.8	78.2	65.6	90.5	66.0	50.4	74.2	89.7
2402	სიგარები, სიგარილები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცველებისაგან	29.4	18.7	18.9	20.8	27.8	14.6	22.9	38.1	60.0	57.4	79.0	86.7
8471	გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	4.9	5.8	5.4	6.9	15.7	22.4	46.4	78.0	92.8	37.9	49.7	75.9
	დანარჩენი საქონელი	427.4	469.5	478.2	731.3	1,199.9	1,606.3	2,333.5	3,443.7	4,021.6	2,920.0	3,267.8	4,525.9

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №32

საქართველოს ექსპორტი ტრანსპორტის სახეობების მიხედვით

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
<b>ექსპორტი, სულ</b>	<b>315.6</b>	<b>303.0</b>	<b>336.8</b>	<b>450.9</b>	<b>640.3</b>	<b>840.5</b>	<b>895.9</b>	<b>1,203.7</b>	<b>1,463.2</b>	<b>1,104.6</b>	<b>1,634.7</b>
მათ შორის:											
საზღვაო	143.4	109.9	106.0	196.2	315.8	420.3	463.3	663.5	839.4	534.4	786.1
საავტომობილო	74.7	55.0	44.1	60.0	69.4	138.5	158.0	230.4	284.9	316.8	547.1
საჰაერო	33.1	63.6	83.5	62.5	114.3	123.1	124.5	115.1	129.5	144.6	160.9
სარკინიგზო	64.4	74.6	103.1	132.3	140.9	158.7	150.1	194.7	209.5	108.8	140.6
დანარჩენი	8.4	14.1	9.0	10.4	6.6	24.9	40.4	28.4	32.1	29.0	42.8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №33

საქართველოს იმპორტი ტრანსპორტის სახეობების მიხედვით

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
<b>იმპორტი, სულ</b>	<b>631.2</b>	<b>677.3</b>	<b>711.4</b>	<b>1,012.1</b>	<b>1,647.5</b>	<b>2,256.3</b>	<b>3,305.2</b>	<b>4,736.2</b>	<b>5,900.1</b>	<b>4,218.0</b>	<b>5,034.0</b>
მათ შორის:											
საავტომობილო	172.5	187.1	199.4	257.6	373.6	627.6	1,044.8	1,551.3	2,214.4	1,751.1	2,135.6
საზღვაო	275.6	273.2	262.7	431.9	773.1	931.1	1,250.7	1,852.3	2,130.0	1,598.9	1,907.3
სარკინიგზო	85.4	111.2	135.6	202.9	332.6	444.4	677.7	868.5	1,026.8	473.9	604.1
საჰაერო	97.6	105.8	113.7	119.6	168.2	253.2	332.0	464.1	529.0	394.2	386.9
დანარჩენი	78.3	74.7	83.3	127.0	196.8	231.2	369.6	475.9	401.4	282.2	223.1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №34

ყურძნის ნატურალური ქართული ღვინის ექსპორტი საქართველოდან 2006-2011\* წლებში

	2006		2007		2008		2009		2010		2011*	
	მლნ. აშშ დოლარი	მლნ. ლიტრი										
<b>სულ</b>	<b>4.4</b>	<b>1.1</b>	<b>15.6</b>	<b>4.2</b>	<b>18.4</b>	<b>4.8</b>	<b>13.7</b>	<b>3.7</b>	<b>16.9</b>	<b>4.7</b>	<b>21.0</b>	<b>5.9</b>
მათ შორის:												
ქინძმარაული	1.0	0.2	4.1	1.0	5.0	1.1	4.2	0.9	5.1	1.2	6.4	1.4
საფერავი	1.2	0.4	4.1	1.5	5.0	1.9	3.6	1.6	4.3	1.8	5.8	2.7
ხვანჭკარა	0.9	0.1	3.0	0.5	3.7	0.6	2.7	0.4	3.5	0.6	4.1	0.6
წინანდალი	0.6	0.2	2.0	0.7	2.3	0.7	1.5	0.5	2.0	0.7	2.1	0.7
მუკუზანი	0.6	0.1	1.8	0.4	1.7	0.4	1.3	0.3	1.5	0.3	1.7	0.4
დანარჩენი	0.2	0.1	0.6	0.1	0.8	0.2	0.4	0.1	0.6	0.1	0.8	0.2

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი №35

ქართული მინერალური წყლის ექსპორტი საქართველოდან 2006-2011\* წლებში

	2006		2007		2008		2009		2010		2011*	
	მლნ. აშშ დოლარი	მლნ. ლიტრი										
<b>სულ</b>	<b>23.2</b>	<b>6.7</b>	<b>24.8</b>	<b>42.9</b>	<b>30.5</b>	<b>47.1</b>	<b>24.3</b>	<b>39.7</b>	<b>36.6</b>	<b>58.4</b>	<b>47.4</b>	<b>71.2</b>
მათ შორის:												
ბორჯომი	22.1	6.1	23.8	40.4	29.1	44.1	22.3	35.5	34.3	53.6	45.3	67.0
ნაბეღლავი	0.9	0.6	0.9	2.2	1.4	2.8	2.0	4.1	2.3	4.6	2.0	4.1
საირმე	-	-	-	-	0.02	0.2	0.05	0.2	0.1	0.2	0.04	0.1
ზანავი	0.2	0.04	0.1	0.2	0.02	0.03	0.01	0.01	-	-	-	-

\* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური